

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

## ნინო რუხაძე

სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან სახელმწიფო  
იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება  
საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ალექსიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი



თბილისი, 2012

## ქართული აბრევიატურები და შემოკლებები

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ბგ.	ბვერდი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად ან მაგალითისთვის

## ინგლისური აბრევიატურები და შემოკლებები

Conf.	Conference
Doc.	Document
ECHR	European Court of Human Rights
Ed./Eds.	Editor/Editors
ICJ	International Court of Justice
ICTY	International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia
ILC	International Law Commission
ILR	International Law Reports
No.	Number
Par.	Paragraph/ Paragraphs
PCA	Permanent Court of Arbitration

PCIJ	Permanent Court of International Justice
UK	United Kingdom
UN	United Nations
US	United States
v.	Versus
Vol.	Volume

შესავალი.....	4
თავი I. ტერმინთა განმარტება.....	12
1. შესავალი.....	12
2. სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი.....	12
3. ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები.....	18
4. დასკვნა.....	20
თავი II. ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები და უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია.....	21
1. შესავალი.....	21
2. უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია.....	25
3. დასკვნა.....	35
თავი III. სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი. ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ განვითარებული ტენდენციები და იმუნიტეტის პრინციპი.....	37
1. შესავალი.....	37
2. სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი.....	40
2.1 შესავალი.....	40
2.2 სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის ირგვლივ არსებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.....	40
2.3 სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის სამართლებრივი შეფასება.....	46
2.4 დასკვნა.....	57
3. ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ განვითარებული ტენდენციები და იმუნიტეტის პრინციპი.....	60
3.1 შესავალი.....	60
3.2 ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი დელიქტური ვალდებულებები და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი.....	62

3.3 აშშ-ის ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტი (Anti-Terrorism and Effective Death Penalty Act).....	72
3.4 სახელმწიფოს იმუნიტეტი v. ოფიციალური პირის ფუნქციური იმუნიტეტი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით.....	77
3.5 დასკვნა.....	92
4. დასკვნა .....	96
IV. ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ გამოთქმული არგუმენტი.....	98
1. შესავალი .....	98
2. ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი jus cogens ნორმებისა და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ურთიერთმიმართების შესახებ .....	102
3. სახელმწიფო იმუნიტეტი და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება.....	110
4. სახელმწიფო იმუნიტეტისა და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლი .....	117
5. სახელმწიფო იმუნიტეტი და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება .....	122
5.1 შესავალი.....	122
5.2 საქმის – Al-Adsani v. United Kingdom – ფაქტობრივი გარემოებები.....	126
5.3 სახელმწიფო იმუნიტეტი და მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობა.....	127
5.3.1. შესავალი .....	127
5.3.2 მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტები და სასამართლოს შეფასებები.....	128
5.3.3 სახელმწიფო იმუნიტეტისა და ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის ურთიერთმიმართების საკითხი ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით და საქმეზე – Al-Adsani v. United Kingdom – მიღებული გადაწყვეტილების ანალიზი .....	131
5.4 სახელმწიფო იმუნიტეტის მე-6(1) მუხლთან შესაბამისობის საკითხი.....	140
5.5 დასკვნა.....	144

6. დასკვნა .....	145
V. სახელმწიფო იმუნიტეტი და საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2) –ე მუხლი .....	147
დასკვნა .....	155
ბიბლიოგრაფია .....	165

## შესავალი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვის აღმავლობის პერიოდი იწყება.<sup>1</sup> ადამიანისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე საერთაშორისო სისტემა და საერთაშორისო სამართალი თანმიმდევრულად სახელმწიფოზე ორიენტირებული სისტემიდან ადამიანზე ორიენტირებულ სისტემად გარდაიქმნება.<sup>2</sup> ამ განვითარების შედეგად იცვლება ფიზიკური პირის საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. როგორც ლაუტერპახტი წერს, „გაერთიანებული ერების წესდების მიღების, ასევე საერთაშორისო სამართალში განხორციელებული სხვა ცვლილებების შედეგად ფიზიკურმა პირმა შეიძინა სტატუსი ..., რომელმაც ის საერთაშორისო თანაგრძნობის ობიექტიდან საერთაშორისო უფლებების სუბიექტად აქცია.“<sup>3</sup>

ფიზიკური პირის „საერთაშორისო უფლებების სუბიექტად“ აღიარება ბუნებრივად გულისხმობს, რომ მას შესაძლებლობა მიეცა სახელმწიფოს წაუყენოს გარკვეული მოთხოვნები საკუთარი უფლებების დაცვის, ხოლო დარღვევის შემთხვევაში – აღდგენის უზრუნველსაყოფად.

იდეალში, ადამიანის უფლებების დაცვა რომ იყოს ქმედითი, აუცილებელია, რომ ფიზიკურ პირს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი უფლებების უზრუნველსაყოფად მიმართოს არა მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა შესაბამისი უფლებების დარღვევაზე, არამედ ნეიტრალურ მხარესაც. პროცესში ნეიტრალური მხარის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებზე,<sup>4</sup> ვინაიდან სახელმწიფო, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა მსგავსი დარღვევებისთვის, როგორც წესი, არ არის დემოკრატიული და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან ფიზიკური პირი ობიექტური სასამართლო ფორუმით უზრუნველყოს. ნეიტრალური მხარის არსებობა ამ შემთხვევაში არის იმის გარანტია, რომ ფიზიკური პირი ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებს საკუთარი დარღვეული უფლების აღდგენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო თანამეგობრობა საერთაშორისო სამართლის საშუალებით, ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების პარალელურად, აყალიბებს მიუკერძოებელ სასამართლო ფორუმებს, ძირითადად, რეგიონალური საერთაშორისო სასამართლოების

<sup>1</sup> Weissbrodt D. S., De La Vega C., *International Human Rights Law: An Introduction* (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2007), 20.

<sup>2</sup> *Prosecutor v. Tadic (Jurisdiction)*, ICTY, Appeals Chamber, 1995 (105 ILR 419, 505).

<sup>3</sup> Lauterpacht H., *International Law and Human Rights* (London: Stevens & Sons, 1950), 4.

<sup>4</sup> მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების განმარტება იხ. ნაშრომის I თავის მე-3 ქვეთავში.

სახით, <sup>5</sup> რომლებსადმი მიმართვაც შეუძლიათ ფიზიკურ პირებს სახელმწიფოს მიერ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. თუმცა, დღესაც არსებობს რეგიონები, სადაც მსგავსი სასამართლოები არ არის შექმნილი და სადაც ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების ხშირი ფაქტებია გამოვლენილი. ასეთ რეგიონებში მსხვერპლს არ გააჩნია სხვა სასამართლო ფორუმი, გარდა იმ სახელმწიფოსი, რომელმაც მისი უფლებები დაარღვია. გარდა ამისა, არსებობს ადამიანის უფლებების დარღვევის ისეთი მძიმე ფაქტები, რომლებსაც შესაბამისი რეგიონალური საერთაშორისო სასამართლოების შექმნამდე ჰქონდათ ადგილი და რომლებიც, შესაბამისად, არ ექვემდებარებიან ამ სასამართლოთა იურისდიქციას. აქედან გამომდინარე, იმ პირებს, რომლებიც ამ დარღვევის მსხვერპლნი ან მათი მემკვიდრეები არიან (იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ მიიღებენ სამართალდამრღვევი სახელმწიფოსგან ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას), რეალურად არ გააჩნიათ არავითარი საერთაშორისო სასამართლო ფორუმი საკუთარი დარღვეული უფლებების აღსადგენად, რის შედეგადაც ისინი „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან ... გარიყულები“<sup>6</sup> რჩებიან.

ამ ვითარებაში საერთაშორისო სასამართლოების ერთადერთ ალტერნატივად უცხო სახელმწიფოს სასამართლო ორგანოები მოიაზრებიან და დღის წესრიგში მწვავედ დგება კითხვა – დასაშვებია თუ არა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის მსხვერპლმა პირმა ან მისმა მემკვიდრემ შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოითხოვოს ამ უკანასკნელისგან მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

---

<sup>5</sup> ასე, მაგალითად, 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით განმტკიცებულ უფლებათა უზრუნველსაყოფად შექმნილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (იხ. კონვენციის 19-51-ე მუხლები. კონვენციის ტექსტის არაოფიციალური ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე: [http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/181D458D-52B6-44A1-9C05-EC559FDA4D9D/0/GEO\\_CONV.pdf](http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/181D458D-52B6-44A1-9C05-EC559FDA4D9D/0/GEO_CONV.pdf));

აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის საფუძველზე ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო (იხ. კონვენციის 52-69-ე მუხლები. კონვენციის ტექსტი განთავსებულია შემდეგ მისამართზე: [http://www.hrcr.org/docs/American\\_Convention/oashr.html](http://www.hrcr.org/docs/American_Convention/oashr.html)); აქვე უნდა აღინიშნოს აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლო, რომელიც ჩამოყალიბდა აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებათა სასამართლოსა და აფრიკის მართლმსაჯულების სასამართლოს გაერთიანების საფუძველზე (იხ. აფრიკის კავშირის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ასამბლეის მიერ მიღებული პროტოკოლი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის დამტკიცების შესახებ. პროტოკოლის ტექსტი ხელმისაწვდომია აფრიკის კავშირის ვებგვერდზე: <http://www.africa-union.org/root/au/documents/treaties/text/Protocol%20on%20the%20Merged%20Court%20-%20EN.pdf>).

<sup>6</sup> Aceves W.J., Liberalism and International Legal Scholarship: The Pinochet Case and the Move Toward a Universal System of Transnational Law Litigation, 41 *Harvard International Law Journal* 129, 2000, 131 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).



ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ მსგავსი სამოქალაქო სარჩელების დაშვების ძირითადი სამართლებრივი დაბრკოლება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპია. იგი საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმაა, რომელიც კრძალავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქციის, მათ შორის, მართლმსაჯულების იურისდიქციის გავრცელებას.<sup>7</sup>

იმ ფონზე, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემა სულ უფრო მკაფიოდ იძენს ადამიანზე ორიენტირებული სისტემის ნიშნებს, დაპირისპირებაც სახელმწიფო და ფიზიკურ პირთა ინტერესებს შორის თანაზომიერად მწვავედება. კერძოდ, სულ უფრო ფართოვდება იმ სფეროების სპექტრი, რომლებშიც სახელმწიფოების ინტერესებისა და უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ადამიანის ინტერესებისა და უფლებების დაწინაურების მცდელობა კეთდება. მეტიც, ადამიანის უფლებათა დამცველების მხრიდან ხდება იმ იდეის ანგაჟირება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ფიზიკურ პირებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას სთავაზობს განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამ „ეიფორიის“<sup>8</sup> შედეგად საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში შეიქმნა გარკვეული ბუნდოვანება იმასთან დაკავშირებით, თუ რა დოზით გახდა დასაშვები თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ინტერესებისა და უფლებების ხარჯზე ადამიანის ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებების სასარგებლოდ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პოზიციების შესუსტების მცდელობების შედეგად ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დარტყმა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს მიაღება. საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აქტიურად ხდება იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოს სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან, თუ მას ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები ედება ბრალად და თუ ამ დარღვევებთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ წარდგენილია სამოქალაქო სარჩელი უცხო სახელმწიფოს სასამართლოში.

ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებაში, სახელმწიფო იმუნიტეტის შეზღუდვის იდეის წამოწევა გარკვეულწილად განპირობებულია ისტორიული პრეცედენტის არსებობით – სახელმწიფოთა პრაქტიკაში ერთ დროს დომინირებდა აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, რომელიც ფიზიკური პირების კერძო სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით დროთა განმავლობაში ჩაანაცვლა

<sup>7</sup> იხ. სქოლიოები 22, 23 და 24.

<sup>8</sup> Lauren P.G., *The Evolution of International Human Rights: Visions Seen* (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2003), 236.

შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპმა.<sup>9</sup> იმუნიტეტის შეზღუდვის სწორედ ამ პრეცედენტზე დაყრდნობით ხდება იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აღიარებულ უნდა იქნეს იმუნიტეტის პრინციპის შემდგომი შეზღუდვის დასაშვებობა, ამჯერად უკვე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით.<sup>10</sup>

საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება დღეს არსებულ მდგომარეობასა და იმ ვითარებას შორის, რომელიც შეიქმნა წარსულში აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტიდან შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინაზე გადასვლისას. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის სულისხამდგმელები იყვნენ: იტალია, ბელგია<sup>11</sup> და საბერძნეთი,<sup>12</sup> ქვეყნები, რომლებიც დღესაც ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის შემდგომი შეზღუდვის მთავარ ინიციატორებად გვევლინებიან და რომლებმაც საკუთარ სასამართლოებში შექმნეს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის შეზღუდვის პირველი პრეცედენტები.<sup>13</sup>

მათთვის, ვინც მხარს უჭერს ადამიანის უფლებების სასარგებლოდ სახელმწიფო იმუნიტეტის შემდგომ შეზღუდვას, შეიძლება ამ ფაქტებს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს – თავის დროზე სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხისადმი მსგავსი რეკოლუციური მიდგომის გამო უმცირესობაში მყოფი იტალიის, ბელგიისა და საბერძნეთის ხედავ მოგვიანებით ბევრმა სახელმწიფომ გაიზიარა.<sup>14</sup>

<sup>9</sup> ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ორი სახის იმუნიტეტი: აბსოლუტური და შეზღუდული. აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს იცავს იმუნიტეტი ყველა მის ქმედებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს, ის ერთმანეთისგან გამიჯნავს სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებს (*acta jure imperii*) და არასახელისუფლებო ქმედებებს (*acta jure gestionis*) და იმუნიტეტს სახელმწიფოს მხოლოდ სახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით ანიჭებს. დეტალურად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის I თავის მე-2 ქვეთავი.

<sup>10</sup> იხ. სქოლიოები 112 და 113.

<sup>11</sup> Bankas E. K., *The State Immunity Controversy in International Law, Private Suits Against Foreign States in Domestic Courts* (Berlin/Heidelberg/New York: Springer, 2005), 70-72.

<sup>12</sup> Gavouneli M., *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany*. Case No. 11/2000. Areios Pagos (Hellenic Supreme Court), May 4, 2000, 95 *American Journal of International Law* 198, 2001 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>13</sup> მაგ., იხ. *Ferrini v. Federal Republic of Germany*, Italy, Court of Cassation, 2004 (128 ILR 658); *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*, Greece, Court of Cassation (Areios Pagos), 2000 (129 ILR 513); *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, ICJ, 2002 (128 ILR 1).

<sup>14</sup> შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინას მხარს უჭერენ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა: ავსტრია, ავსტრალია, არგენტინა, აშშ, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ეგვიპტე, ესპანეთი, ესტონეთი, ისლანდია, კანადა, მექსიკა, ნიდერლანდი, ნორვეგია, სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი, ფინეთი და ა.შ. (იხ. Bankas E. K., *The State Immunity Controversy in International Law, Private Suits Against Foreign States in Domestic Courts*, 328-329, 331, იხ. სქოლიო 11).

აღსანიშნავია აგრეთვე უსამართლობის მწვავე განცდა, რომელიც ახლდა წარსულში აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებას (როდესაც სახელმწიფო პასუხს არ აგებდა კერძო პირებთან დადებული გარიგებების დარღვევისას) და რომელიც შეინიშნება დღესაც (როდესაც სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები ადეკვატური რეაგირების გარეშე რჩება). იმის გამო, რომ სახელმწიფოები აქტიურად ჩაერთნენ კერძო პირებთან კომერციულ საქმიანობაში, კერძო პირები დაუცველნი აღმოჩნდნენ სახელმწიფოების პირისპირ. ამან გააჩინა უსამართლობის განცდა, რამაც დიდწილად შეუწყო ხელი იმას, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა, მასობრივად დაიწყეს იმუნიტეტის საკითხისადმი საკუთარი მიდგომების გადახედვა და შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პოლიტიკის დამკვიდრება.<sup>15</sup>

იმ განწყობას, რომელიც არსებობდა აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპთან დაკავშირებით და რომელმაც განაპირობა ამ პრინციპის შეცვლა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპით, ყველაზე კარგად გადმოსცემს ლაუტერპახტის სახელგანთქმული ნაშრომი, სადაც ის ასაბუთებდა, რომ აბსოლუტური იმუნიტეტი არის „ხელოვნური, არასამართლიანი და არქაული“<sup>16</sup> დოქტრინა, რომელიც იწვევს „უსამართლობასა და უკმაყოფილებას.“<sup>17</sup> მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, ის წერდა: „პროგრესული მთავრობები აღარ იყენებენ [აბსოლუტური იმუნიტეტის დოქტრინას]“<sup>18</sup> და მოუწოდებდა სახელმწიფოებს, აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტი შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტით ჩაენაცვლებინათ.

დღეს უკვე უსამართლობის ანალოგიური განცდა შეინიშნება შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის მიმართ. საერთაშორისო სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა აღიქმება როგორც სერიოზული დაბრკოლება ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის გზაზე. იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო სამართალი ჩამოყალიბდა როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი და მისი ზრუნვის ერთ-ერთ ცენტრალურ ობიექტად ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვა იქცა,<sup>19</sup> სულ უფრო ხშირად გამოითქმება აზრი, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დასაშვები ხდება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შემდგომი შეზღუდვა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით.

<sup>15</sup> Bankas E. K., *The State Immunity Controversy in International Law, Private Suits Against Foreign States in Domestic Courts*, 72-74, იხ. სქოლიო 11.  
<sup>16</sup> Lauterpacht H., *The Problem of Jurisdictional Immunities of Foreign States*, 28 *British Yearbook of International Law* 220, 1951, 221.  
<sup>17</sup> იქვე, 226.  
<sup>18</sup> იქვე.  
<sup>19</sup> იხ. სქოლიოები 101 და 103.

ზემოაღნიშნული საკითხი მწვავედ დგას ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების წინაშე, რაც გამოწვეულია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლთა მიერ უცხო სახელმწიფოების სასამართლოებში წარდგენილი სამოქალაქო სარჩელების სიმრავლით.

საკითხს სიმწვავეს მატებს ადამიანის უფლებების სასარგებლოდ და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საწინააღმდეგოდ წამოყენებული არგუმენტების დამაჯერებლობაც. ეს დამაჯერებლობა დიდწილად განპირობებულია იმით, რომ ისინი არსებული საერთაშორისო სამართლებრივი კონსტრუქციების გამოყენებით ცდილობენ დაასაბუთონ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებობს მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმისწარმოება.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტორიც, რომ სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში სარწმუნოდ ვერ ასაბუთებენ აღნიშნული არგუმენტების სამართლებრივ ხარვეზიანობას. სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტების გამოუსადეგარობის დასაბუთებისას სასამართლო პრაქტიკაც და სამეცნიერო ლიტერატურაც, როგორც წესი, იმაზე შორს არ მიდის, ვიდრე იმ ფაქტის კონსტატაციაა, რომ სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიერ ეს არგუმენტები გაზიარებული არ არის.

ამ ფონზე შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის წინააღმდეგ წამოყენებულ არგუმენტებს არავითარი სამართლებრივი ხარვეზი არ ახასიათებთ და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ეს არგუმენტები უარყოფილ უნდა იქნეს, არის ის ფაქტი, რომ ისინი არ არის ფართოდ აღიარებული სახელმწიფოების მიერ, თუმცა ეს მიზეზიც არ არის სარწმუნო. როგორც იტალიის საკასაციო სასამართლომ საქმეზე – *Max Josef Milde Case* – აღნიშნა, სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ურთიერთ-მიმართების პრობლემატური საკითხის გადაჭრა სახელმწიფოთა პრაქტიკის მხოლოდ რიცხობრივი ანალიზით არ შეიძლება, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ „უცხო სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანი არგუმენტია საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმის არსებობის დასადგენად ... ინტერპრეტატორის ფუნქცია არ შეიძლება დაყვანილ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკის მონაცემთა არითმეტიკულ შეკრებამდე. აუცილებელია მონაცემების თვისობრივი თანმიმდევრულობის მხედველობაში მიღება.“<sup>20</sup> სხვა სიტყვებით, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტების უარყოფისთვის საკმარისი არ არის სახელმწიფოების მიერ საკუთარ სასამართლო პრაქტიკაში ამ არგუმენტების

<sup>20</sup> Ciampi A., The Italian Court of Cassation Court Asserts Civil Jurisdiction over Germany in a Criminal Case Relating to the Second World, The Civitella Case, 7 *Journal of International Criminal Justice* 597, 2009, 603 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

გამოყენების მწირე პრაქტიკის კონსტატაცია, არამედ აუცილებელია ამ არგუმენტების თანმიმდევრულობისა და დასაბუთებულობის შემოწმება იმის დასადგენად, სთავაზობენ თუ არა ისინი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლ პირებს ქმედით სამართლებრივ სქემას ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ სამოქალაქო დავის საწარმოებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია და შეფასებულია ის არგუმენტები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში და რომელთა მეშვეობით ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლნი, მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, ცდილობენ, დაასაბუთონ ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სამოქალაქო სარჩელების განხილვის დასაშვებობა.

აღნიშნული არგუმენტების განხილვით ნაშრომი ავლენს მათ სამართლებრივ ხარვეზებს. ეს ხარვეზები მხედველობიდან გამორჩებათ მათ, ვინც ცდილობს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტების არაქმედითობა დაასაბუთოს. ნაშრომის სიახლევ სწორედ იმაშია, რომ მას ჩრდილიდან გამოჰყავს ამ არგუმენტების ის არსებითი სამართლებრივი ხარვეზები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ყურადღების მიღმა რჩება, მაგრამ რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი წარმოაჩენენ, რომ მითითებული არგუმენტების სამართლებრივი კონსტრუქციები საფუძველშივე მცდარია.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტების სამართლებრივი ხარვეზები ძირითადად უკავშირდება იმ პრეზუმპციებს, რომლებსაც ეს არგუმენტები ეფუძნებიან. სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებიც სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხს ეძღვნება, ამ პრეზუმპციებს იღებენ როგორც მოცემულობებს, რომლებსაც არ სჭირდება შემოწმება. წინამდებარე ნაშრომი გამოირჩევა სხვა სამეცნიერო პუბლიკაციებისგან იმით, რომ ის აქცენტს აკეთებს სწორედ ამ პრეზუმპციებზე და ავლენს მათ მცდარობას, რითაც წარმოაჩენს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები პრინციპულად არ არის სწორი საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული მიდგომის შედეგად ნაშრომი არ ტოვებს სივრცეს ვარაუდისთვის, რომ მითითებულ არგუმენტებს აქვთ რაიმე სახის დასაყრდენი საერთაშორისო სამართალში. მსგავსი ვარაუდისთვის საფუძველს ქმნის სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების უმრავლესობა, რის შედეგადაც ათწლეულების მანძილზე

საერთაშორისო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ ვნებათაღელვა არ ცხრება.<sup>21</sup>

ნაშრომის ფარგლებში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების სასარგებლოდ წამოყენებული თითოეული არგუმენტის განხილვასა და შეფასებას დამოუკიდებელი თავი დაეთმობა. კერძოდ, ნაშრომის III თავი ეთმობა იმ არგუმენტის ანალიზს, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევისას სახელმწიფოზე არ ვრცელდება იმუნიტეტი, ვინაიდან, არგუმენტის მიხედვით, ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და, ამდენად, არ ექცევიან შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის „დაფარვის ზონაში“. ამავე თავში განხილული და შეფასებულია ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში განვითარებული ის ტენდენციები, რომლებიც, ერთი შეხედვით სამართლებრივად ამყარებენ მითითებულ არგუმენტს; IV თავში ფასდება ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი; დაბოლოს, ნაშრომის V თავი აანალიზებს არგუმენტს, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ 2001 წელს მიღებული საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2) –ე მუხლს.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საწინააღმდეგოდ და ადამიანის უფლებების სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტების შეფასებამდე ნაშრომის I თავში განმარტებულია ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული საკვანძო ტერმინები, ხოლო ნაშრომის II თავში განხილულია უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის საკითხი, ვინაიდან სწორედ უნივერსალური იურისდიქციის განვითარებამ მისცა ბიძგი ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოების წინააღმდეგ ტრანსნაციონალური სასამართლო პროცესების დასაშვებობის შესახებ აქტიური მსჯელობის დაწყებას.

ნაშრომის ფარგლებში განსახილველი საკითხების შეფასება ეფუძნება საერთაშორისო სამართალში არსებულ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკას. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ამ მასალის ფორმალურ იურიდიული და ფორმალურ ლოგიკური ანალიზისა და სისტემატიზაციის მცდელობა, რაც ემსახურება აღნიშნული საკითხების ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული, სამართლებრივად ყველაზე თანმიმდევრული მოსაზრებების წარმოჩენასა და ამ მოსაზრებების ახალი არგუმენტებით გამყარებას.

<sup>21</sup> იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხი ბუნდოვანებით არის მოცული, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ საკითხზე მიღებული ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ სულ ახლახანს, 2012 წლის თებერვალში (იხ. *Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)*, ICJ, 2012. გადაწყვეტილების ტექსტი ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვებგვერდზე: <http://www.icj-cij.org/docket/files/143/16883.pdf>

## თავი I. ტერმინთა განმარტება

### 1. შესავალი

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განმარტებულია ის სამართლებრივი კატეგორიები, რომლებსაც ცენტრალური ადგილი უკავიათ ნაშრომის ფარგლებში. ესენია: სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის უფლებების მიხედვით დარღვევები.

თითოეული მათგანი მრავალწახნაგოვანი ცნებაა, მაგრამ ნაშრომში ამ ცნებათა ვიწრო გაგებით გამოყენება ხდება. ამის გათვალისწინებით, დასაწყისშივე მიზანშეწონილია იმის დაკონკრეტება, ყოველი ამ სამართლებრივი კატეგორიის რა გაგებას ეყრდნობა წარმოდგენილი ნაშრომი.

### 2. სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი უცხო სახელმწიფოს ანიჭებს დაცვას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან.<sup>22</sup> იმუნიტეტის პრინციპის ძალით ადგილსამყოფელი სახელმწიფო არ ფლობს ან ფლობს, მაგრამ არ ავრცელებს საკუთარ საკანონმდებლო, სასამართლო და სააღსრულებო იურისდიქციას უცხო სახელმწიფოზე,<sup>23</sup> რის შედეგადაც უცხო სახელმწიფო არ ექვემდებარება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს<sup>24</sup> იურისდიქციას მისი ნებისმიერი გამოვლინებით.

მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპში იგულისხმება იმუნიტეტი მხოლოდ უცხო სახელმწიფოს მართლმსაჯულების, კერძოდ კი, სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი არ წარმოადგენს მონოლითურ სამართლებრივ კატეგორიას. ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ვხვდებით მის ორ ძირითად სახეს – აბსოლუტურ და შეზღუდულ იმუნიტეტს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა ორ სახედ. მათ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ფართო და ვიწრო მოქმედების შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპები.

<sup>22</sup> *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, 116, იხ. სქოლიო 13.

<sup>23</sup> Sucharitkul S., *Immunities of Foreign States Before National Authorities*, *Academie de Droit International*, 149 *Recueil des Cours* 87, 1976, 95.

<sup>24</sup> ნაშრომის მიზნებისთვის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში იგულისხმება სახელმწიფო, რომლის სასამართლოშიც არის წარდგენილი სარჩელი.

მოცემულ ნაშრომში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ვიწრო მოქმედების შეზღუდული იმუნიტეტი, ვინაიდან სწორედ ამ სახის იმუნიტეტის კონტექსტში არის წამოყენებული ნაშრომის ფარგლებში განსახილველი არგუმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში აქცენტი კეთდება იმუნიტეტის მხოლოდ ერთ სახეზე, იმუნიტეტის თითოეული ზემოთ მითითებული სახის ზოგადი მიმოხილვა მაინც მოხდება, ვინაიდან მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში და ერთმანეთთან შეპირისპირების საფუძველზე შესაძლებელია მათი არსის უკეთ წარმოჩენა.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის სხვადასხვა სახეებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ და დავახასიათოთ აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, ვინაიდან თავდაპირველად სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი სწორედ აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის სახით ჩამოყალიბდა.<sup>25</sup>

აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ძალით სახელმწიფოს ეკრძალება საკუთარი იურისდიქციის გავრცელება უცხო სახელმწიფოზე ამ უკანასკნელის ნებისმიერი სახის ქმედებასთან მიმართებით, იქნება ეს სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო ქმედება.<sup>26</sup>

აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საპირისპიროდ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი მიჯნავს ერთმანეთისგან სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებს (*acta jure imperii*) და არასახელისუფლებო ქმედებებს (*acta jure gestionis*) და მხოლოდ ამ უკანასკნელ ქმედებებთან მიმართებით იცავს სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან.<sup>27</sup>

შეზღუდული იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სახელმწიფოს არასახელისუფლებო ქმედებაში იგულისხმება სახელმწიფოს ისეთი „კერძოსამართლებრივი ხასიათის ქმედება, რომელიც [სახელმწიფოს გარდა] კერძო პირმაც შეიძლება განახორციელოს.“<sup>28</sup> არასახელისუფლებო ქმედების ამ ზოგად ფორმულირებაზე შეთანხმების არსებობის მიუხედავად, სხვადასხვა სახელმწიფოში იყენებენ განსხვავებულ მიდგომას იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა სახელმწიფოს ესა თუ ის ქმედება ისეთ ქმედებას, რომელიც შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სახელმწიფომ და არა კერძო პირმა. ამის საფუძველზე ყალიბდება ორგვარი შეხედულება

<sup>25</sup> გავრცელებული შეხედულების თანახმად აბსოლუტური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი დროს ითვლის 1812 წლიდან, როდესაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე – *The Schooner Exchange v. McFaddon* (იხ. Bröhmer J., *State Immunity and the Violation of Human Rights* (The Hague/Boston/ London: Martinus Nijhoff Publishers, 1997), 14-15; Sinclair I., *Law of Sovereign Immunity – Recent Developments*, *Academie de Droit International*, 167 *Recueil de Cours* 113, 1980, 122).

<sup>26</sup> *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*, 516, იხ. სქოლიო 13.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> *I Congreso del Partido*, UK, House of Lords, 1981 (64 ILR 307,314).



შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით და შედეგად ვითარდება შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ორი სახესხვაობა, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ვიწრო და ფართო მოქმედების შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპები.

ვიწრო მოქმედების შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი სახელმწიფოს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გასამიჯნად მხედველობაში იღებს ქმედების სამართლებრივ ბუნებას და სახელმწიფოს არასახელისუფლებო ქმედებაში გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომელიც არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ კერძო პირმაც შეიძლება განახორციელოს. შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ამ სახის ფარგლებში ქმედების არასახელისუფლებო ქმედებად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მიზანს ემსახურება აღნიშნული ქმედება – საჯარო თუ სხვა სახის მიზნებს.<sup>29</sup> როგორც საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის მოსამართლე ვაისი აღნიშნავს, „თუ ქმედება თავისი არსით ისეთი ქმედებაა, რომელიც ნებისმიერმა კერძო პირმა შეიძლება განახორციელოს, როგორცაც, მაგალითად, წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადება, ... მაშინ იგი, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს, წარმოადგენს კერძო [არასახელისუფლებო] ქმედებას ...“<sup>30</sup> ასეთი მიდგომის საფუძველზე შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ ექცევიან მხოლოდ სუფთა სახის სახელისუფლებო ქმედებები და დაცვის მიღმა რჩებიან სახელმწიფოს ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ქმედებები, განურჩევლად იმისა, თუ რა მიზანს ემსახურება ისინი.

ფართო მოქმედების შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მიხედვით სახელმწიფოს ქმედების სახელისუფლებო ან არასახელისუფლებო ქმედებად კვალიფიკაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ქმედების ბუნება, არამედ ის მიზანიც, რომელსაც ის ემსახურება.<sup>31</sup> ასეთი მიდგომის შედეგად სახელმწიფოს გაცილებით უფრო მეტ ქმედებებთან მიმართებით ენიჭება იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან, ვიდრე ზემოთ დახასიათებული პირველი მიდგომის საფუძველზე (სწორედ ამის გათვალისწინებით შეიძლება ეწოდოს შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის ამ სახეს ფართო მოქმედების შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, ხოლო შეზღუდული იმუნიტეტის ზემოთ დახასიათებულ პირველ სახეს – ვიწრო მოქმედების). კერძოდ, როდესაც სახელმწიფოს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამიჯვნისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ქმედების

<sup>29</sup> Schreuer C.H., *State Immunity: Some Recent Developments* (Cambridge: Grotius Publications Limited, 1988), 15-16.

<sup>30</sup> Academie de Droit International, *Recueil des Cours*, Vol. I, 1922, 545-546 (იხ. Bankas E. K., *The State Immunity Controversy in International Law, Private Suits Against Foreign States in Domestic Courts*, 75, იხ. სქოლიო 11).

<sup>31</sup> Schreuer C.H., *State Immunity: Some Recent Developments*, 15, იხ. სქოლიო 29.

ბუნება, არამედ მისი მიზანიც, მაშინ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ ექცევა არა მხოლოდ სუფთა სახის სახელისუფლებო ქმედებები, არამედ კერძოსამართლებრივი ქმედებებიც კი, თუ ეს ქმედებები ემსახურება სახელმწიფოს მიერ საკუთარი საჯარო ფუნქციების შესრულებას.

შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის ეს უკანასკნელი სახეობა დამკვიდრებულია საფრანგეთში.<sup>32</sup> საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში სახელმწიფოს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამოჯვანის სპეციფიკური მიდგომა ასახავს იმ შეხედულებას, რომელიც საფრანგეთს გააჩნია სახელმწიფოსთან, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილესთან დაკავშირებით.<sup>33</sup> კერძოდ, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, როდესაც ის მოქმედებს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად ის დებს ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივ გარიგებას, გააჩნია საგანგებო პრეროგატივები, რომელთა გამოც მას ჩვეულებრივი კერძოსამართლებრივი სუბიექტის სტატუსი ამ ურთიერთობებში არ გააჩნია.<sup>34</sup> ამის საფუძველზე საფრანგეთი უცხო სახელმწიფოს კერძოსამართლებრივ გარიგებებთან დაკავშირებითაც კი, რომლებიც საფრანგეთის შეფასებით ემსახურება უცხო სახელმწიფოს მიერ საჯარო ფუნქციების განხორციელებას, ანიჭებს იმუნიტეტს საკუთარი იურისდიქციისგან.<sup>35</sup>

ვიწრო და ფართო მოქმედების შეზღუდული იმუნიტეტის პრინციპების მიერ სახელმწიფოს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამოჯვანის მიდგომებს შორის განსხვავების უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილია შესაბამისი ქვეყნების სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითების მოყვანა.

სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამოჯვანის იმ მიდგომის სადემონსტრაციოდ, რომელიც აქცენტს აკეთებს ქმედების ბუნებაზე და არა მიზანზე, რომელსაც ეს ქმედება ემსახურება, შეიძლება მოყვანილ იქნეს ინგლისის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*. მოცემულ საქმეზე განიხილებოდა შვეიცარიის კერძო კომპანიის სარჩელი ნიგერიის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ. ბანკი დაარსებული იყო და ფუნქციონირებდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე. მან გარანტიის როლი იტვირთა იმ კომერციულ გარიგებაში, რომელიც გაფორმდა შვეიცარიის კერძო კომპანია და ნიგერიის თავდაცვის სამინისტროს შორის და რომელიც ითვალისწინებდა თავდაცვის სამინისტროსთვის ცემენტის მიწოდებას სამხედრო ბარაკების ასაშენებლად. ნიგერიაში მომხდარი გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა

<sup>32</sup> Sinclair I., *Law of Sovereign Immunity – Recent Developments*, 170-175, იხ. სქოლიო 25.

<sup>33</sup> Fox H., *The Law of State Immunity*, Second Edition (New York: Oxford University Press, 2008), 507-508.

<sup>34</sup> იქვე, 507.

<sup>35</sup> იქვე.

მთავრობამ უარი განაცხადა ცემენტის შესყიდვაზე. კომპანიამ ნიგერიის ცენტრალურ ბანკს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა. ცენტრალურმა ბანკმა ნიგერიის მთავრობის დავალებით უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე. ამის პასუხად, კომპანიამ ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ინგლისის სასამართლოში. ბანკი აცხადებდა, რომ წარდგენილ სარჩელთან მიმართებით ის სარგებლობდა იმუნიტეტით, ვინაიდან, ბანკის მოსაზრებით, ხელშეკრულების დანიშნულებიდან გამომდინარე თავდაცვის სამინისტროს მიერ ცემენტის მიმწოდებელ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენდა არა კომერციულ, არამედ საჯარო სახელისუფლებო ქმედებას.<sup>36</sup>

ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ კომპანიის მიერ წარდგენილი სარჩელი ეხებოდა არა თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, არამედ საგარანტიო წერილს, რომელიც გასცა ცენტრალურმა ბანკმა და რომელიც იყო სუფთა სახის კომერციული ხელშეკრულება. ამასთან, როგორც სასამართლომ დასძინა, იმ შემთხვევაშიც კი, საქმე რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას შეეხებოდა, „ეს იმუნიტეტის საკითხზე გავლენას ვერ მოახდენდა. თუ სამთავრობო სტრუქტურა გადის მსოფლიო ბაზარზე და ყიდულობს [საკუთარი არმიისთვის] სამხედრო ჩექმებსა და ცემენტს ..., ეს სამთავრობო სტრუქტურა შესაბამისი ბაზრის ყველა წესს უნდა დაემორჩილოს. გამყიდველს არ აინტერესებს, თუ რა მიზნებისთვის გამოიყენებს ამ ნივთებს მყიდველი.“<sup>37</sup>

ინგლისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაცხადი, რომ „სამხედრო ჩექმებთან“ დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ჩვეულებრივ კერძოსამართლებრივ გარიგებას, რომელთან დაკავშირებითაც უცხო სახელმწიფოს არ უნდა მიენიჭოს იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სასამართლოს იურისდიქციისგან, უპირისპირდება იმ პოზიციას, რომელსაც გამოხატავენ აღნიშნულ საკითხზე საფრანგეთის სასამართლოები. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Guggenheim v. State of Vietnam*. მოცემულ საქმეზე მოსარჩელე ითხოვდა ვიეტნამისგან ამ უკანასკნელის მიერ თავისი ჯარისთვის შეძენილი თამბაქოს საფასურის გადახდას. პარიზის სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან ვიეტნამმა თამბაქო შეიძინა საკუთარი საჯარისო ფორმირებებისთვის, ვიეტნამის ქმედება უნდა შეფასებულიყო როგორც სახელისუფლებო ქმედება და, შესაბამისად, ვიეტნამზე მოცემულ შემთხვევაში უნდა გავრცელებულიყო იმუნიტეტი საფრანგეთის იურისდიქციისგან.<sup>38</sup> საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ

<sup>36</sup> *Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, England, Court of Appeal, 1977 (64 ILR 111).

<sup>37</sup> იქვე, 132.

<sup>38</sup> *Guggenheim v. State of Vietnam*, France, Court of Appeal of Paris, 1955, ILR, Vol. 22, 224 (იხ. Sinclair I., *Law of Sovereign Immunity – Recent Developments*, 171, იხ. სქოლიო 25).

საჯარისო ფორმირებებისთვის თამბაქოს შექენა წარმოადგენდა ვიეტნამის სახელისუფლებო ქმედებას და განაცხადა, რომ „ვიეტნამის მიერ საკუთარი საჯარო მმართველობის ფარგლებში განხორციელებული მსგავსი ქმედება, დაცულია იმუნიტეტით.“<sup>39</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამოჯვნის ორ სხვადასხვა მიდგომას მიეყვართ აბსოლუტურად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებამდე. კერძოდ, პრაქტიკულად ერთი და იმავე შინაარსის ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ სამართალური თითობებს ეძლევათ აბსოლუტურად განსხვავებული კვალიფიკაცია იმისდა მიხედვით, თუ რა კრიტერიუმის საფუძველზე მიჯნავენ სახელმწიფოები ერთმანეთისგან სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებებს – გაერთიანებული სამეფო, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებს ქმედების ბუნებაზე და არა მის მიზანზე, საჯარისო ფორმირებებისთვის ამა თუ იმ ნივთების შექენას განიხილავს კერძო სამართლებრივ გარიგებად, მაშინ როდესაც საფრანგეთი იმის გათვალისწინებით, რომ ნივთების შექენა ხდება საჯარისო ფორმირებებისთვის, სახელმწიფოს ქმედებას მიიჩნევს სახელისუფლებო ქმედებად.

საფრანგეთის მიერ გამოყენებული მიდგომის სისწორე გარკვეულ ეჭვებს ბადებს. უპირველეს ყოვლისა, გაუგებარია როგორ შეიძლება სახელმწიფოს ქმედება დახასიათდეს როგორც სახელისუფლებო ან არასახელისუფლებო ქმედება იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ემსახურება ის. როგორც გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე – *Claim Against the Empire of Iran Case* – მართებულად აღნიშნა, სახელმწიფოს ყველა ქმედება „საბოლოო ჯამში ... ემსახურება სუვერენულ მიზნებს“<sup>40</sup> და შესაბამისად, მიზნიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ყველა ქმედება შეიძლება ჩაითვალოს სახელისუფლებო ქმედებად, რომლებთან დაკავშირებითაც სახელმწიფო უნდა მოექცეს იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ. გარდა ამისა, საფრანგეთის მიდგომა არ გვთავაზობს სახელმწიფოს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამოჯვნის მკაფიო კრიტერიუმს, რაც იწვევს სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებას, რის ნათელ მაგალითსაც თავად საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს. ასე, მაგალითად, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება გადაწყვეტილებები, რომლებიც საქმეზე – *Guggenheim v. State of Vietnam* მიღებული მიდგომის საპირისპიროდ შეიარაღებული ძალებისთვის აღჭურვილობის შექენას კერძო სამართლებრივი გარიგებად განიხილავენ.<sup>41</sup>

საფრანგეთის მიერ არჩეული მიდგომის ზემოაღნიშნული ხარვეზების გამო სახელმწიფოთა უმრავლესობა სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებების გამოჯვნისას ხელმძღვანელობს ქმედების ბუნებით და

<sup>39</sup> *Guggenheim v. State of Vietnam*, 224, იხ. სქოლიო 38.

<sup>40</sup> *Claim Against the Empire of Iran Case*, Federal Republic of Germany, Federal Constitutional Court, 1963 (45 ILR 57, 80).

<sup>41</sup> Schreuer C.H., *State Immunity: Some Recent Developments*, 17-18, იხ. სქოლიო 29.

არა მისი მიზნით.<sup>42</sup> ანალოგიური მიდგომაა გაზიარებული სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხზე არსებულ საერთაშორისო აქტებში.<sup>43</sup> წინამდებარე ნაშრომიც იზიარებს იმუნიტეტის პრინციპის იმ კონცეფციას, რომელსაც იყენებს სახელმწიფოების უმრავლესობა და საერთაშორისო თანამეგობრობა მთლიანობაში, ვინაიდან სწორედ მის კონტექსტში აღმოცენდა სახელმწიფო იმუნიტეტის წინააღმდეგ წამოყენებული ის არგუმენტები, რომელთა ანალიზიც წინამდებარე ნაშრომის ძირითად საგანს შეადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის ფარგლებში სახელმწიფო იმუნიტეტი პრინციპის ქვეშ იგულისხმება მართლმსაჯულების იურისდიქციისგან შეზღუდული (და არა აბსოლუტური) სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, რომლის ძალითაც უცხო სახელმწიფოზე ვრცელდება იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან მხოლოდ ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან და არა მიზნიდან გამომდინარე წარმოადგენენ სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებს.

### 3. ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ არგუმენტები წამოყენებულია ადამიანის უფლებების არა ყველა სახის, არამედ მხოლოდ ისეთი დარღვევების კონტექსტში, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი აცხადებს დანაშაულებრივად საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე და რომლებზეც ვრცელდება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია. შესაბამისად, მოცემული ნაშრომი ეხება ადამიანის უფლებების მხოლოდ ამ სახის დარღვევებს და მათ მოიხსენიებს როგორც ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს.

ზოგადად, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების კონცეფციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ის შემოღებულ იქნა 1949 წლის უენევის კონვენციების მიერ. კერძოდ, უენევის ოთხი კონვენცია ამკვიდრებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევების კონცეფციას, რომლებშიც მოიაზრებს სამხედრო კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებების ისეთ დარღვევებს, რომლებიც ცხადდება დანაშაულებრივად და

<sup>42</sup> Bröhmer J., *State Immunity and the Violation of Human Rights*, 1, იხ. სქოლიო 25; Wood M., Pronto A., *The International Law Commission 1999-2009: Volume IV: Treaties, Final Draft Articles and Other Materials* (New York: Oxford University Press, 2010), 33-35.

<sup>43</sup> Wood M., Pronto A., *The International Law Commission 1999-2009: Volume IV: Treaties, Final Draft Articles and Other Materials*, 28-33, იხ. სქოლიო 42.

რომლებზეც ვრცელდება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია.<sup>44</sup>

მოცემული ნაშრომი ადამიანის უფლებების მიმე დარღვევების ცნებას იყენებს ჟენევის კონვენციების ანალოგიით და მასში გულისხმობს ადამიანის უფლებების ისეთ დარღვევებს (არა მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში), რომლებსაც საერთაშორისო სამართალი აცხადებს დანაშაულებრივად საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე და რომლებზეც ავრცელებს უნივერსალურ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას.<sup>45</sup>

ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე დასჯადად არიან გამოცხადებული და რომლებზეც ვრცელდება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, მიეკუთვნებიან ისეთი საერთაშორისო დანაშაულები, როგორებიცაა ომის დანაშაულები, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და გენოციდი.<sup>46</sup>

რაც შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევებს, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი აცხადებს დანაშაულებრივად შიდაეროვნულ დონეზე და რომლებზეც ავრცელებს უნივერსალურ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას, ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან წამება,<sup>47</sup> მძევლად აყვანა,<sup>48</sup> იძულებით გაუჩინარება.<sup>49</sup>

<sup>44</sup> სახმელეთო ჯარებში დაჭრილთა და ავადმყოფთა პირობების გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენციის 49-ე და 50-ე მუხლები; საზღვაო ჯარებში დაჭრილთა და ხომალდის დაღუპვის შედეგად დაზარალებულთა პირობების გაუმჯობესების შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენციის 50-ე და 51-ე მუხლები; სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენციის 129-ე და 130-ე მუხლები; ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენციის 146-ე და 147-ე მუხლები. ჟენევის კონვენციები ხელმისაწვდომია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვებგვერდზე: <http://www.icrc.org/ihl.nsf/CONVPRES?OpenView>

<sup>45</sup> ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსალური იურისდიქცია ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტების კონტექსტში. სწორედ უნივერსალური იურისდიქციის აღიარების შემდეგ გახდა შესაძლებელი აღნიშნული არგუმენტების აღმოცენება (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის II თავი).

<sup>46</sup> იხ. Report on Universal Criminal Jurisdiction with Respect to the Crime of Genocide, Crimes against Humanity and War Crimes, Report of the 17<sup>th</sup> Commission of Institute of International Law (Rapporteur Tomuschat C.), *Annuaire De L'Institut de Droit International*, Vol. 71, Part I, 2005. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან და გენოციდთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებებში არ არსებობს ცალსახა მითითება იმაზე, რომ ამ დანაშაულებზე ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია, თუმცა, გაავრცელებული შეხედულების თანახმად, ეს დანაშაულებრივი ქმედებები უნივერსალურ იურისდიქციას ექვემდებარებიან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის II თავის მე-2 ქვეთავი.

<sup>47</sup> იხ. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ 1984 წლის კონვენციის (შემდგომში – წამების აკრძალვის შესახებ კონვენცია) მე-4 და მე-5 მუხლები. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org>

სწორედ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები განიხილებინა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებად წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების დანაშაულებრივი დარღვევების სპექტრი, რომლებზეც ვრცელდება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, უფრო ფართოა, ვიდრე ზემოთ მითითებული დარღვევები, თუმცა მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის ისინი არ მოიაზრებიან ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებად, ვინაიდან მათ კონტექსტში არც საერთაშორისო და არც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ არგუმენტები წამოყენებული არ ყოფილა.

#### 4. დასკვნა

მოკლე შეჯამების გასაკეთებლად კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, რომ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულ საკვანძო სამართლებრივ კატეგორიებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

1) **იმუნიტეტის პრინციპი.** იმუნიტეტის პრინციპის ქვეშ იგულისხმება მართლმსაჯულების იურისდიქციისგან შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, რომლის ძალითაც იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან ენიჭება მხოლოდ სახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით. თავის მხრივ, სახელისუფლებო ქმედებებში იგულისხმება სახელმწიფოს ისეთი ქმედებები, რომლებიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სახელმწიფომ და არა კერძო პირმა;

2) **ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები.** ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში იგულისხმება ადამიანის უფლებათა ისეთი დარღვევები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ძალით ცხადდება დანაშაულებრივად საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე და რომლებზეც ვრცელდება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია.

---

<sup>48</sup> იხ. მძევლების აყვანის წინააღმდეგ 1979 წლის კონვენციის მე-2 და მე-5 მუხლები. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org>

<sup>49</sup> იხ. ყველა პირთა იძულებით გაუქმებისგან დაცვის 2006 წლის კონვენციის მე-4 და მე-9 მუხლები. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org>

## თავი II. ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები და უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია

### 1. შესავალი

საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: პირველი ეხება ადამიანის უფლებების ისეთ მძიმე დარღვევებს, რომლებიც ერთმა სახელმწიფომ შეიარაღებული კონფლიქტის მეორე სახელმწიფოს (რომლის სასამართლოშიც არის წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი პირველი სახელმწიფოს წინააღმდეგ) ტერიტორიაზე განახორციელა;<sup>50</sup> მეორე – დარღვევებს, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე განახორციელა და რომლებთან დაკავშირებითაც ამ დარღვევების მსხვერპლმა პირებმა წარადგინეს სამოქალაქო სარჩელი უცხო სახელმწიფოს სასამართლოში.<sup>51</sup> ამ უკანასკნელი არგუმენტების კონტექსტში დღის წესრიგში დგება უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის პრობლემა, რომელიც მოცემული ნაშრომის ფარგლებში საგანგებო ყურადღების დათმობას მოითხოვს.

ზოგადად, იმისთვის, რომ სასამართლომ წარმოებაში მიიღოს და გადაწყვიტოს დავა, აუცილებელია, რომ მას საამისოდ ჰქონდეს იურისდიქცია. ამა თუ იმ ქმედებასთან მიმართებით იურისდიქციის გაგრძელების „ტრადიციული საფუძვლებია“: ტერიტორიულობის პრინციპი, მოქალაქეობის პრინციპი და დაცვის პრინციპი.<sup>52</sup> ტერიტორიული იურისდიქცია გულისხმობს, რომ ქმედებას ან ქმედების შედეგს, რომელმაც გამოიწვია სამართლებრივი დავა, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<sup>53</sup> მოქალაქეობის ნიშნით იურისდიქცია გულისხმობს, რომ ქმედება განხორციელდა სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ან მის მიმართ.<sup>54</sup> დაბოლოს, სახელმწიფოს შეუძლია გააგრძელოს საკუთარი იურისდიქცია

<sup>50</sup> მაგ. იხ. *Ferrini v. Federal Republic of Germany*, იხ. სქოლიო 13; *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*, იხ. სქოლიო 13.

<sup>51</sup> მაგ. იხ. *Siderman de Blake v. Republic of Argentina*, US, Court of Appeals, Ninth Circuit, 1992 (103 ILR 454); *Princz v Federal Republic of Germany*, US, District Court, District of Columbia, 1992 (103 ILR 594); *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others*, England, Court of Appeal, 1996 (107 ILR 536); *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, Canada, Ontario Superior Court of Justice, 2002 (124 ILR 427); *Jones v. Ministry of the Interior of the Kingdom of Saudi Arabia and Another (Secretary of State for Constitutional Affairs and Another Intervening)* (შემდგომში – *Jones v. Saudi Arabia*) UK, House of Lords, 2006 (129 ILR 629).

<sup>52</sup> Cryer R., Friman H., Robinson D., Wilmschurst E., *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Second Edition (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 46-53.

<sup>53</sup> იქვე, 46-47.

<sup>54</sup> იქვე, 47-50.



ისეთ ქმედებებზე, რომლებიც არც მის ტერიტორიაზე, არც მისი მოქალაქის მიერ და არც მისი მოქალაქის მიმართ არ განხორციელებულა, მაგრამ რომელიც მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. იურისდიქციის ეს უკანასკნელი სახე წარმოადგენს დაცვის პრინციპის საფუძველზე არსებულ იურისდიქციას.<sup>55</sup>

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისას უცხო სახელმწიფოს, როგორც წესი, ამ დარღვევებთან ტრადიციული იურისდიქციული კავშირი არ გააჩნია. ერთი შეხედვით, ამ ვითარებაში უცხო სახელმწიფოს არ შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს ამ დარღვევებიდან გამომდინარე დაავები, თუმცა ტრადიციული იურისდიქციული სახეების გარდა არსებობს ე.წ. უნივერსალური იურისდიქცია.

უნივერსალური იურისდიქცია გულისხმობს, რომ სახელმწიფო ფლობს გარკვეულ ქმედებასთან მიმართებაში იურისდიქციას ისე, რომ ამ ქმედებასთან მას არც ტერიტორიული და არც მოქალაქეობის ნიშნით კავშირი არ გააჩნია.<sup>56</sup> მეტიც, ეს ქმედება არავითარ უშუალო საფრთხეს არ უქმნის ამ სახელმწიფოს ინტერესებს და არ ღახავს მის პატივს,<sup>57</sup> მაგრამ ამ ქმედების „ბუნებიდან“ გამომდინარე<sup>58</sup> სახელმწიფო ფლობს მასზე იურისდიქციას. კერძოდ, მიიჩნევა, რომ სამართალდარღვევები, რომლებზეც ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია, არის იმდენად მძიმე და სასტიკი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრს აქვს უფლება, მიიღოს ადეკვატური სამართლებრივი ზომები აღნიშნული სამართალდარღვევების აღსაკვეთად.<sup>59</sup>

უნივერსალური იურისდიქცია შეიძლება განიხილებოდეს როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იმის გაცნობიერების შედეგი, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს გარკვეული ბირთვი ღირებულებებისა, რომელთა უზრუნველყოფაც და დაცვაც ნებისმიერი

<sup>55</sup> Cryer R., Friman H., Robinson D., Wilmschurst E., *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, 50-51, იხ. სქოლიო 52.

<sup>56</sup> Reydams L., *Universal Jurisdiction: International and Municipal Law Perspectives* (New York: Oxford University Press, 2004), 5.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> Ryngaert C., *Universal Tort Jurisdiction Over Gross Human Rights Violations*, *Netherlands Yearbook of International Law*, Vol. XXXVIII, 2007, 4 (გადმოტვირთულია Cambridge University Press-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან). გარდა ამისა, იხ. Commentary on Princeton Principles on Universal Jurisdiction, 2001, 42. დოკუმენტის ტექსტი ხელმისაწვდომია პრინსტონის უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [http://lpa.princeton.edu/hosteddocs/unive\\_jur.pdf](http://lpa.princeton.edu/hosteddocs/unive_jur.pdf) (ნანახია: 10/08/2011).

<sup>59</sup> Mann F., *The Doctrine of Jurisdiction*, 95; Higgins R., *Problems and Process: International Law and How We Use It* (Oxford: Clarendon, 1994), 58-59; Watts A., *The Importance of International Law* 5, 7 (იხ. Byers M. (Ed.), *The Role of International Law in International Politics* (Oxford: Oxford University Press, 2000) (იხ. Cryer R., *Prosecuting International Crimes, Selectivity and the International Criminal Law Regime* (Cambridge: Cambridge University Press, 2005), 84)).

სახელმწიფოს ინტერესებში შედის.<sup>60</sup> ამ ღირებულებების საფუძველზე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა გარკვეული კატეგორია ვალდებულებებისა, რომლებსაც, როგორც მიიჩნევა, სახელმწიფოები ფლობენ, ზოგადად, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისა და, კერძოდ, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრის წინაშე. ამ ვალდებულებებზე უთითებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე – *Barcelona Traction, Light and Power Company, Limited*: „მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს იმ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფოს აქვს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, და იმ ვალდებულებებს შორის, რომლებიც კონკრეტულად რომელიმე სახელმწიფოს მიმართ შეიძლება აღმოცენდეს. თავისი არსით, პირველი არის ყველა სახელმწიფოს ინტერესის საგანი. ამ ვალდებულებებით დაცული უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მათი დაცვის სამართლებრივი ინტერესი ყველა სახელმწიფოს აქვს; ესენია *erga omnes* ვალდებულებები.“<sup>61</sup>

ინტერესი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას მთლიანობაში გააჩნია გარკვეული კატეგორიის ნორმების დაცვისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განიხილება უნივერსალური იურისდიქციის თეორიულ ბაზისად.<sup>62</sup> სწორედ აღნიშნული ინტერესით საბუთდება, რომ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარ იურისდიქციას დაუქვემდებაროს ისეთი ქმედებები, რომლებთანაც მას არც ტერიტორიის, არც მოქალაქეობის და არც სხვა რაიმე ნიშნით კავშირი არ გააჩნია.<sup>63</sup>

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ორი სახის უნივერსალური იურისდიქცია – უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია და უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია.

მოცემული ნაშრომის ფოკუსში ექცევა უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია. ის არის ერთადერთი რეალური იურისდიქციული საფუძველი, რაზე დაყრდნობითაც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს შეუძლია, განიხილოს და გადაწყვიტოს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილი ისეთი სამოქალაქო სარჩელები, რომლებიც ეხება ამ უკანასკნელის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს. უნივერსალური იურისდიქციის არსებობის აღიარების გარეშე წარმოუდგენელია ერთმა სახელმწიფომ მეორე

<sup>60</sup> Tams C., *Individual States as Guardians of Community Interests*, 396 (იხ. სტატიათა კრებული Fastenrath U., Simma B., Geiger R., Khan D.E., Paulus A., Von Schorlemer S., Vedder C., *From Bilateralism to Community Interest: Essays in Honor of Judge Bruno Simma* (New York: Oxford University Press, 2011).

<sup>61</sup> *Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited*, ICJ, 1970, Par. 33; გადაწყვეტილების ტექსტი ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვებგვერდზე: <http://www.icj-cij.org/docket/files/50/5387.pdf>

<sup>62</sup> Bassiouni M.C., *Universal Jurisdiction for International Crimes: Historical Perspective and Contemporary Practice*, 42 *Vanderbilt Journal of International Law* 81, 2001-2002, 96-104 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>63</sup> იქვე.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მსგავს დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები წარმოებაში მიიღოს.

სახელმწიფო იმუნიტეტის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს, ეყრდნობა უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქციის არსებობის პრეზუმპციას. ისინი ეჭვგარეშე აყენებენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლით ნებადართულია უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე ტრანსნაციონალური სამოქალაქო დავების წარმოება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად, უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია არ არის ფართოდ აღიარებული ფენომენი და მისი არსებობა, უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისგან განსხვავებით, გარკვეულ ეჭვებს იწვევს.<sup>64</sup>

მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის ირგვლივ არსებული ეჭვების გაქარწყლება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აქვს აზრი ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევების კონტექსტში წამოყენებული არგუმენტების შესწავლას, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე განახორციელა და რომლებთან დაკავშირებითაც უცხო სახელმწიფოს სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი იქნა წარდგენილი. უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის არარსებობის პირობებში აღნიშნული არგუმენტები საფუძველშივე მცდარად უნდა იყოს მიჩნეული და შესაბამისად, მათი შემდგომი შესწავლის აუცილებლობაც აღარ იარსებებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის საკითხს საგანგებო ყურადღება ეთმობა. აღნიშნული საკითხის განხილვით ნაშრომი მიზნად ისახავს იმის დემონსტრირებას, რომ იურისდიქციის ამ სახის მიმართ არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ქმნის ნოყიერ ნიადაგს იმის მტკიცებისთვის, რომ სახელმწიფოებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო დავების განხილვა. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის საფუძველს იმ არგუმენტების წარმოშობისთვის, რომელთა მიხედვითაც ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ერთი სახელმწიფოს სასამართლოში წარადგინონ სამოქალაქო სარჩელები მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოითხოვონ ამ უკანასკნელის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების შედეგად მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

<sup>64</sup> Kamminga M.T., *Universal Civil Jurisdiction: Is It Legal? Is It Desirable?*, 99 *American Society of International Law Proceedings* 123, 2005, 123-124 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან); Donovan D. F. and Roberts A., *The Emerging Recognition of Universal Civil Jurisdiction*, 100 *American Journal of International Law* 142, 2006, 145 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან).

## 2. უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია

უნივერსალური იურისდიქცია თავდაპირველად ჩამოყალიბდა უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის ფორმით.<sup>65</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია ვრცელდება ადამიანის უფლებების ისეთ მძიმე დარღვევებზე, როგორებიცაა: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები, წამება, მონობა, მძევლად აყვანა, იძულებით გაუჩინარება.<sup>66</sup> დღეს იმავე დარღვევებზე მსხვერპლი პირები ითხოვენ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელებასაც.<sup>67</sup> ამ ფონზე

<sup>65</sup> Aceves W.J., 165, *Liberalism and International Legal Scholarship: The Pinochet Case and the Move Toward a Universal System of Transnational Law Litigation*, იხ. სქოლიო 6.

<sup>66</sup> იხ. ნაშრომის I თავის მე-3 ქვეთავი და მითითებული სქოლიოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა ყველა ზემოთ მითითებულ დარღვევებთან დაკავშირებით არსებობს მითითება საერთაშორისო სამართალში იმის შესახებ, რომ მათზე ვრცელდება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია. მაგ., მსგავსი მითითება არ არსებობს გენოციდთან, ომის დანაშაულებთან და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით, თუმცა, გავრცელებული შეხედულების მიხედვით, აღნიშნული დარღვევები ექვემდებარება უნივერსალურ იურისდიქციას (იხ. საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ (Institut de Droit International) 2005 წელს გამოცემული ანგარიში, რომელიც ეხება გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულებთან მიმართებით უნივერსალური იურისდიქციის მოქმედების საკითხებს: Report on Universal Criminal Jurisdiction With Respect to the Crime of Genocide, Crimes Against Humanity and War Crimes, იხ. სქოლიო 46. იმ ფაქტზე, რომ გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულთა გარკვეული კატეგორია (რომლებზეც არ არსებობს საერთაშორისო კონვენციებში პირდაპირი მითითება, ვრცელდება თუ არა მათზე უნივერსალური იურისდიქცია) ექვემდებარება უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციას, მიუთითებს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაც (ასე, მაგ., ბელგიის სასამართლო პრაქტიკის შესახებ იხ. Reydam L., Belgium's First Application of Universal Jurisdiction: the Butare Four Case, 1 *Journal of International Criminal Justice* 428, 2003 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან); აგრეთვე Ongena T., Van Daele I., Universal Jurisdiction for International Core Crimes: Recent Developments in Belgium, 15 *Leiden Journal of International Law* 687, 2002 (გადმოტვირთულია Cambridge University Press-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან); Vandermeersch D., Prosecuting International Crimes in Belgium, 3 *Journal of International Criminal Justice* 400, 2005; გერმანიის სასამართლო პრაქტიკის შესახებ იხ. Hays Butler A, The Growing Support for Universal Jurisdiction in National Legislation (იხ. სტატიათა კრებული: Macedo S. (Ed), *Universal Jurisdiction, National Court and the Prosecution of Serious Crimes under International Law* (Philadelphia: University of Pennsylvania Press 2004); აგრეთვე Ambos K., Wirth S., Genocide and War Crimes in the Former Yugoslavia Before German Criminal Courts (იხ. სტატიათა კრებული: Fischer H., Kress C., Rolf Lüder (Eds.), *International and National Prosecution of Crimes Under International Law, Current Developments*, Second Edition (Berlin: BWV/Berliner Wissenschafts-Verlag, 2004). ესპანეთის სასამართლო პრაქტიკის შესახებ იხ. Bakker C.A.E, Universal Jurisdiction of Spanish Courts over Genocide in Tibet: Can It Work? 4 *Journal of International Criminal Justice* 595, 2006 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან); აგრეთვე Ascensio H., The Spanish Constitutional Tribunal's Decision in Guatemalan Generals, Unconditional Universality Is Back, 4 *Journal of International Criminal Justice* 586, 2006 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან)).

<sup>67</sup> Van Schaack B., In Defence of Civil Redress: The Domestic Enforcement of Human Rights Norms in the Context of the Proposed Hague Judgments Convention, 42 *Harvard International Law Journal* 141, 2001, 146 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

დღის წესრიგში მწვავედ დგება საკითხი – შეუძლია თუ არა სახელმწიფოს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებზე, რომლებიც ექვემდებარება უნივერსალურ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას, გაავრცელოს უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქცია?

დღევანდელი მდგომარეობით არ შეიძლება კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია ნებადართულია ან აკრძალულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლით. ერთადერთი, რაც ცალსახად შეიძლება ითქვას, არის ის, რომ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია არ ატარებს სავალდებულო ხასიათს.<sup>68</sup> ამავრდოულად, არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულება იმ საკითხთან დაკავშირებით, შეუძლიათ თუ არა სახელმწიფოებს, სურვილის შემთხვევაში, უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე დაუქვემდებარონ საკუთარ იურისდიქციას სამოქალაქო სარჩელები, რომლებითაც ფიზიკური პირები ითხოვენ მათი უფლებების მძიმე დარღვევების შედეგად მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

სხვადასხვა სახის შიდაეროვნული და საერთაშორისო აქტების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება ისეთი შთაბეჭდილება, რომ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია თანამედროვე საერთაშორისო სამართლით უფრო მეტად დაშვებულ, ვიდრე აკრძალულ ფენომენს წარმოადგენს. უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებობაზე მიუთითებენ საერთაშორისო ტრიბუნალებისა და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, სხვადასხვა სახის შიდაეროვნული თუ საერთაშორისო აქტები.

საერთაშორისო ტრიბუნალებიდან, რომლებმაც დასაშვებად აღიარეს უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის არსებობა, აღსანიშნავია ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (შემდგომში – ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალი). ტრიბუნალმა საკუთარ გადაწყვეტილებაში საქმეზე – *Prosecutor v. Furundzija* – ცალსახად აღნიშნა, რომ ფიზიკურ პირს უფლება აქვს წარადგინოს უცხო სახელმწიფოს სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომლის საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედების შედეგადაც მას მიადგა ზიანი. სასამართლო დასძენს, რომ მას ამის გაკეთება შეუძლია, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა შესაბამის სახელმწიფოში (რომელსაც წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირი) კანონი, რომლითაც სანქცირებული იყო ეს დანაშაულებრივი ქმედებები.<sup>69</sup>

<sup>68</sup> Roberts A., *The ATS and TVPA in Comparative Perspective*, 10-11 (გამოსვლა დაიწერა მრგვალი მაგიდის შეხვედრისთვის: Public Policy Roundtable: The Alien Tort Statute and U.S. Enforcement of Foreign Judgments, Searle Center of Law, Regulation, and Economic Growth, Northwestern Law School, 2010).  
გამოსვლის ტექსტი ხელმისაწვდომია: [http://www.law.northwestern.edu/searlecenter/papers/Roberts\\_ATS\\_Final.pdf](http://www.law.northwestern.edu/searlecenter/papers/Roberts_ATS_Final.pdf) (ნანახია: 05/07/2011)

<sup>69</sup> *Prosecutor v. Furundzija*, ICTY, Trial Chamber II, 2000 (121 ILR 213, 261).

უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქციისადმი მხარდაჭერას ვხვდებით ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებშიც. მაგალითად, ბელგიის სასამართლომ საქმეზე – *Ntuyahaga Case* – რუანდის სამხედრო მაიორს ბელგიის მშვიდობისმყოფელებისა და რუანდის მოქალაქეების მკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით 540 000 ევროს გადახდა დააკისრა პროცესში სამოქალაქო მხარეების სტატუსით მონაწილე პირების სასარგებლოდ.<sup>70</sup>

უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქციის საფუძველზე დელიქტური დავების განხილვის ყველაზე მდიდარი სასამართლო პრაქტიკა აშშ-ში არსებობს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ აშშ-ში მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის შესახებ.<sup>71</sup> კერძოდ, აშშ-ში მოქმედებს ორი კანონი, რომლებიც აღიარებენ უნივერსალურ სამოქალაქო სამართლებრივ იურისდიქციას. ესენია: 1789 წლის კანონი „უცხოური დელიქტების შესახებ“ (*The Alien Tort Statute*)<sup>72</sup> და 1992 წლის „წამების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ კანონი (*Torture Victim Protection Act*).<sup>73</sup> პირველი აქტის საფუძველზე, აშშ-ის სასამართლოებს ენიჭებათ იურისდიქცია, განიხილონ უცხოელების მიერ უცხოელების წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები, რომლებიც ეხება საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად მოსარჩელებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.<sup>74</sup> მეორე კანონის მიხედვით,

<sup>70</sup> Roberts A., *The ATS and TVPA in Comparative Perspective*, 7, იხ. სქოლიო 68. კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა საერთაშორისო დანაშაულის მსხვერპლ პირებს შესაძლებლობას აძლევს, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში წარადგინონ სამოქალაქო სარჩელები ბრალდებულ პირთა წინააღმდეგ (იხ. Donovan D. F. and Roberts A., *The Emerging Recognition of Universal Civil Jurisdiction*, 154, იხ. სქოლიო 64). სწორედ ამის საფუძველზე იქნა წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი საქმეზე – *Ntuyahaga Case* – რუანდის სამხედრო მაიორის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლი პირების მიერ (იხ. *The Case of the Major*, Cour d'Assises de Bruxelles, 2007 (იხ. Roberts A., *The ATS and TVPA in Comparative Perspective*, 7, იხ. სქოლიო 68)).

<sup>71</sup> მიზეზები, თუ რატომ მოიკიდა მყარად ფეხი უნივერსალურმა სამოქალაქო იურისდიქციამ აშშ-ში, იხ.: Terry J., *Taking Filartiga on the Road: Why Courts Outside the United States Should Accept Jurisdiction Over Actions Involving Torture Committed Abroad*, 110 (იხ. სტატიათა კრებული: Scott G. (Ed), *Torture as Tort, Comparative Perspective of the Development of Transnational Human Rights Litigation* (Oxford-Portland, Oregon: HART Publishing, 2001); აგრეთვე: Stephens B., *Translating Filartiga: A Comparative and International Law Analysis of Domestic Remedies for International Human Rights Violations*, 27 *Yale Journal of International Law* 1, 2002, 10-17 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>72</sup> აქტის ტექსტი ხელმისაწვდომია კორნელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (Cornell University Law School) ვებგვერდზე: [http://www.law.cornell.edu/uscode/html/uscode28/usc\\_sec\\_28\\_00001350----000-.html](http://www.law.cornell.edu/uscode/html/uscode28/usc_sec_28_00001350----000-.html) (ნანახია: 10/07/2011).

<sup>73</sup> აქტის ტექსტი ხელმისაწვდომია კორნელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე: [http://www.law.cornell.edu/uscode/uscode28/usc\\_sec\\_28\\_00001350----000-notes.html](http://www.law.cornell.edu/uscode/uscode28/usc_sec_28_00001350----000-notes.html) (ნანახია: 10/07/2011).

<sup>74</sup> Bachmann S.D., *Civil Responsibility for Gross Human Rights Violations* (Cape Town: Pretoria University Law Press, 2007), 17-18. წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია გამომცემლობის ვებგვერდზე: [http://www.pulp.up.ac.za/pdf/2007\\_13/2007\\_13.pdf](http://www.pulp.up.ac.za/pdf/2007_13/2007_13.pdf) (ნანახია 03/04/2011).



უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია ვრცელდება წამებითა და მკვლელობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებზე.<sup>75</sup>

ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის პარალელურად უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებობაზე მიუთითებს სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე იურისდიქციისა და უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ საერთაშორისო კონვენციის პროექტიც (*Draft Convention on Jurisdiction and Foreign Judgments in Civil and Commercial Matters*), რომელიც ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციამ შეიმუშავა. ამ კონვენციის პროექტის მე-18(3) მუხლი ითვალისწინებს, რომ „არაფერი ამ მუხლში არ უკრძალავს წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში გაავრცელოს საკუთარი იურისდიქცია ისეთ ქმედებაზე, როგორცაა:

### პირველი ვარიანტი:

ა) გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ან ომის დანაშაული იმ მნიშვნელობით, რომლითაც ისინი განსაზღვრულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით;

ბ) ფიზიკური პირის წინააღმდეგ მიმართული სერიოზული საერთაშორისო დანაშაული; ან

გ) ფიზიკური პირის ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, როგორცაა: წამება, მონობა, იძულებითი შრომა და იძულებითი გაუჩინარება და რომლებიდანაც გადახვევა საერთაშორისო სამართლის მიხედვით აკრძალულია.

### მეორე ვარიანტი:

მძიმე საერთაშორისო დანაშაული, იმ პირობით, თუ სახელმწიფომ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის წევრიც თავად არის, გაავრცელა საკუთარი სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია ამ დანაშაულებრივ ქმედებაზე და ამ დანაშაულებრივ ქმედებით გამოწვეული სიკვდილით ან ფიზიკური დასახინრებით დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილია სამოქალაქო სარჩელი.<sup>76</sup>

აღსანიშნავია, რომ დღეს კონვენციის პროექტზე მუშაობა შეჩერებულია. ერთ-ერთი, და არა ერთადერთი მუხლი, რომელზეც საერთაშორისო

<sup>75</sup> Bachmann S.D., *Civil Responsibility for Gross Human Rights Violations*, 18, იხ. სქოლიო 74.

<sup>76</sup> Hague Conference on Private International Law, Preliminary Draft Convention on Jurisdiction and Foreign Judgments in Civil and Commercial Matters, October 30, 1999, Preliminary Document No. 11 (August, 2000) (იხ. Ryngaert C., *Universal Tort Jurisdiction over Gross Human Rights Violations*, 20, იხ. სქოლიო 58).

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ვერ მიაღწიეს კონსენსუსს, იყო სწორედ მე-18(3) მუხლი.<sup>77</sup> თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უარყვეს უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქციის იდეა. პირიქით, ის ფაქტი, რომ კონვენციის პროექტში აისახა უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის შესახებ მუხლი, მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოები და ექსპერტები, რომლებიც კონვენციის ტექსტის პროექტზე მუშაობდნენ, როგორც მინიმუმ, უკვე შემდგარ ფაქტად თუ არა, დასაშვებად მაინც მიიჩნევენ საერთაშორისო დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებით უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელებას – იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო კონვენციებში ხდება უკვე არსებული ან სასურველი ახალი სამართლებრივი ნორმების კოდიფიცირება, სხვაგვარი დასკვნისთვის ადგილი არ რჩება.<sup>78</sup>

მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არავითარი დაბრკოლება არ არსებობს საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებზე უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის პარალელურად გავრცელდეს უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია, იზიარებს ევროპული კომისიაც (შემდგომში – ევროკომისია). აშშ-ის უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმესთან – *Sosa v. Alvarez-Machain* – დაკავშირებით შედგენილ სამართლებრივ დასკვნაში ევროკომისიამ მიუთითა, რომ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელება ნებადართულია იმ ქმედებებთან მიმართებით, რომლებზეც უნივერსალური სისხლის-სამართლებრივი იურისდიქცია ვრცელდება, ვინაიდან, ევროკომისიის აზრით, უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია, უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის მსგავსად, ემსახურება ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევების დაუსჯელობის აღმოფხვრას.<sup>79</sup>

მხარდაჭერა, რომლითაც უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია სარგებლობს ზემოდასახელებულ წყაროებში, ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, პრინციპში, დასაშვებად მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებმა, საკუთარი სურვილის შემთხვევაში, ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებზე გაავრცელონ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია.

ზემოაღნიშნული დასკვნა მყარდება იმითაც, რომ სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებზე უნივერსალური

<sup>77</sup> Ryngaert C., *Universal Tort Jurisdiction over Gross Human Rights Violations*, 21, იხ. სქოლიო 58.

<sup>78</sup> სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე იურისდიქციისა და უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ საერთაშორისო კონვენციის პროექტის შემუშავების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. Van Schaack B., *In Defence of Civil Redress: The Domestic Enforcement of Human Rights Norms in the Context of the Proposed Hague Judgments Convention*, 171-193, იხ. სქოლიო 67.

<sup>79</sup> Brief of Amicus Curiae the European Commission at 17-22, *Sosa*, 542 US 692 (No. 03-339) (იხ. Donovan D. F. and Roberts A., *The Emerging Recognition of Universal Civil Jurisdiction*, 147, იხ. სქოლიო 64).



სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელების ფაქტები საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, მცირე გამონაკლისების გარდა, არსებითად გაპროტესტებული არ არის.<sup>80</sup> პროტესტის არარსებობა კი იმის მიმანიშნებელია, რომ სახელმწიფოები არსებითად წინააღმდეგი არ არიან, რომ ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევები ექვემდებარებოდეს უნივერსალურ სამოქალაქოსამართლებრივ იურისდიქციას. როგორც აკეპარსტი წერს, „საერთაშორისო სამართალში იურისდიქციის არსებობის „სიმუავიანობის ტესტად“ ითვლება დიპლომატიური პროტესტის არსებობა ან არარსებობა.“<sup>81</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან მიმართებით უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებობის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ არ არსებობს არავითარი საფუძვლიანი არგუმენტი, რომელიც დამაჯერებლად დაასაბუთებდა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძალით სახელმწიფოებს ეკრძალებათ, სურვილის შემთხვევაში, გაავრცელონ უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქცია ადამიანის უფლებების ისეთ მიძიმე დარღვევებზე, რომლებზეც საერთაშორისო სამართლის ძალით უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია ვრცელდება.

მთავარი არგუმენტი, რომელსაც უნივერსალური სამოქალაქოსამართლებრივი იურისდიქციის მოწინააღმდეგეები აყენებენ, მდგომარეობს იმაში, რომ არ შეიძლება სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი წესების

---

<sup>80</sup> Ryngaert C., *Universal Tort Jurisdiction over Gross Human Rights Violations*, 32, იხ. სქოლიო 58; Kamminga M.T., *Universal Civil Jurisdiction: Is It Legal? Is It Desirable?* 124, იხ. სქოლიო 64. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის მიერ უნივერსალური იურისდიქციის საფუძველზე სამოქალაქო დაავთა განხილვისა და გადაწყვეტის სულ 3 შემთხვევას მოჰყვა სახელმწიფოთა მხრიდან პროტესტი (იხ. Mora P.D., *The Legality of Civil Jurisdiction over Torture under the Universal Principle*, 52 *German Yearbook of International Law* 367, 2009, 398-400). უფრო მრავალრიცხოვანი სტატისტიკის მოყვანა შეიძლება იმ მტკიცების სასარგებლოდ, რომ აშშ-ის მიერ უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქციის განხორციელება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაპროტესტებული არ არის (იხ. ჰიგინსის, კუიუმანისა და ბურგენტალის მიერ დაფიქსირებული საერთო განსაკუთრებული აზრი საქმეზე – *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, 133, იხ. სქოლიო 13). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ 3 საქმიდან 2 საქმეზე პროტესტი დააფიქსირეს სახელმწიფოებმა, რომელთა ქვეშევრდომების საკითხიც განიხილებოდა შესაბამის სასამართლო პროცესებზე. ამდენად, ამ სახელმწიფოებს ჰქონდათ პირდაპირი ინტერესი, რის გამოც მათი აზრი არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული საკითხის ირგვლივ საერთაშორისო სამართალში არსებული ვითარების შესაფასებლად (იხ. *Universal Criminal Jurisdiction With Respect to the Crime of Genocide, Crimes Against Humanity and War Crimes*, 233, იხ. სქოლიო 46). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ 3 სახელმწიფოდან ერთ-ერთმა, კერძოდ სამხრეთ აფრიკამ, მთავრობის შეცვლის შემდეგ მხარი დაუჭირა მისი ქვეშევრდომების მიმართ აშშ-ის მიერ უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქციის გავრცელებას (იხ. Roberts A., *The ATS and TVPA in Comparative Perspective*, 9, იხ. სქოლიო 67).

<sup>81</sup> Akehurst M., *Jurisdiction in International Law*, 46 *British Yearbook of International Law* 145, 1972-1973, 176 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

ავტომატური გამოყენება სამოქალაქო სამართალში.<sup>82</sup> ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ არ შეიძლება უნივერსალური სისხლის-სამართლებრივი იურისდიქციის წესების მექანიკურად გავრცელება უნივერსალურ სამოქალაქო სამართლებრივ იურისდიქციაზე და რომ, შესაბამისად, სანამ საერთაშორისო თანამეგობრობა პირდაპირ და ცალსახად დასაშვებად არ აღიარებს უნივერსალურ სამოქალაქო-სამართლებრივ იურისდიქციას, მანამდე არასწორია, უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებზე უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებად აღიარება.<sup>83</sup>

ზემოთ მითითებულ არგუმენტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, სწორია შენიშვნა, რომ სისხლის სამართლის ნორმები ავტომატურად არ მოქმედებენ სამოქალაქო სამართლის სფეროში. თუმცა, ამავედროულად, არასწორია უნივერსალური სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქო სამართლებრივ იურისდიქციებს შორის მკაცრი სადემარკაციო ხაზების გავლება. საქმე იმაშია, რომ უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმების გამოყენება უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქციის მიმართ არ გულისხმობს სისხლის სამართალში მოქმედი წესების გამოყენებას სამოქალაქო სამართალში. უნივერსალური სისხლის-სამართლებრივი იურისდიქციის მარეგულირებელი წესები რეალურად განსაზღვრავენ სახელმწიფოს იურისდიქციის, სხვა სიტყვებით, „საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული კომპეტენციის“ ფარგლებს,<sup>84</sup> ხოლო სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალს შორის არსებული განსხვავება რეალურად არავითარ როლს არ თამაშობს ამ კომპეტენციის მოცულობის განსაზღვრაში, ვინაიდან, როგორც ბოუეტი წერს, თავისთავად იარლიყები: „სისხლისსამართლებრივი“ და „სამოქალაქო სამართლებრივი“ არ ასახავს არავითარ განსხვავებას სახელმწიფოს მიერ ქმედების კონტროლის ხარისხში.<sup>85</sup>

ლოგიკურად, თუ სახელმწიფოს აქვს კომპეტენცია, რომ დააკისროს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მას უნდა ჰქონდეს იმის კომპეტენციაც, რომ ამავე პირს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დააკისროს. პასუხისმგებლობა ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს სისხლისსამართლებრივი თუ – სამოქალაქო სამართლებრივი, მიზნად ისახავს, პასუხი აგებინოს პირს მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის და ეს არის სწორედ პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ძირითადი

<sup>82</sup> Mora P.D., *The Legality of Civil Jurisdiction over Torture under the Universal Principle*, 397, იხ. სქოლიო 80.

<sup>83</sup> იქვე, 367, 403.

<sup>84</sup> Brownlie I., *Principles of Public International Law*, 6<sup>th</sup> Edition (New York: Oxford University Press, 2003), 297.

<sup>85</sup> Bowett D., *Jurisdiction: Changing Patterns of Authority over Activities and Resources*, 53 *British Yearbook of International Law* 1, 1983, 2, 4 (იხ. Parlett K., *Universal Civil Jurisdiction for Torture*, 12 *European Human Rights Law Review* 385, 2007, 386).

დანიშნულება.<sup>86</sup> გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მკაცრი ფორმაა პასუხისმგებლობისა, ვიდრე სამოქალაქო პასუხისმგებლობა. შესაბამისად, თუ სახელწმიფო უფლებამოსილია და გარკვეულ შემთხვევაში ვალდებულიცაა<sup>87</sup> დააკისროს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, უნდა ჩაითვალოს, რომ ის უფლებამოსილია დააკისროს პირს პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ფორმაც, ვინაიდან, ზოგადი პრინციპის თანახმად, „მეტის შემძლე ნაკლებსაც შეძლებს (*qui peut les plus, peut les moins*).“<sup>88</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა სავსებით შეესაბამება იმ მიზნებს, რასაც ემსახურება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ზოგადად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა განიხილება როგორც დაზარალებული პირის ინდივიდუალური ინტერესების დაკმაყოფილებისთვის გამიზნული პასუხისმგებლობის ფორმა, თუმცა რეალურად, დაზარალებულის მიერ ფინანსური გამორჩენის მიღება იმ ზიანისთვის, რომელიც მას მიაყენეს, სამოქალაქო პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია და ემსახურება გაცილებით უფრო ფართო, საზოგადო მიზნებს, მათ შორის საერთაშორისო სამართლის მიერ დანაშაულებრივად გამოცხადებულ ქმედებებისთვის პასუხისმგებელი პირების დაუსჯელობის აღმოფხვრას.<sup>89</sup>

ის პოზიტიური წვლილი, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივმა პასუხისმგებლობამ შეიძლება შეიტანოს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ საერთაშორისო სამართალი, სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის პარალელურად, დასაშვებად უნდა სცნობდეს უნივერსალურ სამოქალაქოსამართლებრივ იურისდიქციასაც.

თავის დროზე, უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის შემოღებით საერთაშორისო სამართალი მიზნად ისახავდა გაეზარდა

<sup>86</sup> Stephens B., *Translating Filartiga: A Comparative and International Law Analysis of Domestic Remedies for International Human Rights Violations*, 41-42, იხ. სქოლიო 71.

<sup>87</sup> მაგ. იხ., წამების აკრძალვის შესახებ 1984 კონვენციის მე-4, მე-5 მუხლები და მე-7 მუხლები; მძევლების აყვანის წინააღმდეგ 1979 წლის კონვენციის მე-2, მე-5 და მე-8 მუხლები; ყველა პირთა იძულებით გაუჩინარებისგან დაცვის 2006 წლის კონვენციის მე-4, მე-9 და მე-11 მუხლები. იხ. აგრეთვე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Questions Relating to the Obligation to Prosecute or Extradite (Belgium v. Senegal)*, ICJ, 2012, Par. 92-93. გადაწყვეტილების ტექსტი ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვებგვერდზე: <http://www.icj-cij.org/docket/files/144/17064.pdf>

<sup>88</sup> Ryngaert C., *Universal Tort Jurisdiction over Gross Human Rights Violations*, 26, იხ. სქოლიო 58; განსხვავებული აზრისთვის იხ. Bradley C.A., *Universal Jurisdiction and U.S. Law*, *The University of Chicago Legal Forum* 323, 2001, 341-350 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>89</sup> McGregor L., *Need to Resolve the Paradoxes of the Civil Dimension of Universal Jurisdiction*, 99 *American Society of International Law Proceedings* 125, 2005, 126 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

სახელმწიფოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ეფექტურობა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში და სამართლიანობის აღდგენაში.<sup>90</sup> უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს ამ მიზნის მისაღწევად იმდენად, რამდენადაც ართმევს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების ჩამდენ პირებს „უსაფრთხო ნავსაყუდელს“<sup>91</sup> და უზრუნველყოფს, რომ ისინი არ დარჩნენ დაუსჯელნი.<sup>92</sup>

დღეს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქცია სახელდება.<sup>93</sup> მეტიც, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას აქვს გარკვეული უპირატესობები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით.<sup>94</sup> მსგავსი შეფასებები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ საერთაშორისო სამართალს, წესით, არაფერი არ უნდა ჰქონდეს იმის საწინააღმდეგო, რომ სახელმწიფოებმა იმავე მიზნებისთვის, რისთვისაც, თავის დროზე, აღიარებულ იქნა უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია, გამოიყენონ უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის სამართლებრივი ბერკეტიც, მითუმეტეს, რომ „არ არსებობს პრინციპული განსხვავება იმ პრობლემებს შორის, რომლებიც წარმოიქმნება უცხოელების მიმართ სამოქალაქო- და სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელებისას“<sup>95</sup> და შესაბამისად, უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქცია არ არის „უფრო დიდი საფრთხის შემცველი“, <sup>96</sup> ვიდრე უნივერსალური სისხლისსამართლებრივი იურისდიქციაა.

<sup>90</sup> Inazumi M., *Universal Jurisdiction in Modern International Law: Expansion of National Jurisdiction for Prosecuting Serious Crimes under International Law* (Antwerpen/Oxford: Intersentia, 2005), 1-3.

<sup>91</sup> Orentlicher D.F., *Universal Jurisdiction: A Pragmatic Strategy in Pursuit of a Moralists' Vision*, 145 (იხ. სტატიათა კრებული Sadat L.N., Scharf M.P. (Eds.), *The Theory and Practice of International Criminal Law, Essays in Honor of M. Cherif Bassiouni* (Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2008)); Brown B.S., *Research Handbook on International Criminal Law* (Cheltenham/Northampton: Edward Elgar Publishing Limited, 2011), 368.

<sup>92</sup> Mendes E.P., *Peace and Justice at the International Criminal Court, A Court of Last Resort* (Cheltenham/Northampton: Edward Elgar Publishing Limited, 2010), 154.

<sup>93</sup> Foreword by Robinson M., United Nations High Commissioner for Human Rights, to the Princeton Principles on Universal Jurisdiction, 16-17, იხ. სქოლიო 58. ზოგადად, უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქციის მნიშვნელობის შესახებ იხ. Van Schaack B., *In Defence of Civil Redress: The Domestic Enforcement of Human Rights Norms in the Context of the Proposed Hague Judgments Convention*, 156-165, იხ. სქოლიო 67.

<sup>94</sup> Murphy J.F., *Civil Liability for the Commission of International Crimes as an Alternative to Criminal Prosecution*, 12 *Harvard Human Rights Journal* 1, 1999, 47-53 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>95</sup> Brownlie I., *Principles of Public International Law*, 298, იხ. სქოლიო 84. განსხვავებული მოსაზრება იხ. Bradley C.A., *Universal Jurisdiction and U.S. Law*, იხ. სქოლიო 88.

<sup>96</sup> *Sosa v. Alvarez-Machain*, Separate Opinion of Justice Breyer, US, Supreme Court, 2004 (127 ILR 691, 816).

იმ ფაქტორებიდან, რომლებიც უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებობაზე მიუთითებენ, გამონაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება ან ჩვეულება, რომელიც ცალსახად და არაორაზროვნად უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებობას აღიარებს. ამ გარემოებამ შეიძლება გვიბიძგოს ისეთი დასკვნისკენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ეწინააღმდეგება უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის იდეას და სწორედ ამიტომ არ განამტკიცებს მას საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ ჩვეულებებში. მაგრამ, სინამდვილეში, არსებულ ვითარებას შეიძლება სხვა ახსნაც მოეძებნოს.

საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც განამტკიცებენ უნივერსალურ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას, დამახასიათებელია ერთი სპეციფიკა – ისინი ითვალისწინებენ სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი უნივერსალური იურისდიქციის პრინციპს.<sup>97</sup> ისინი არ აძლევენ თავის წევრ სახელმწიფოებს თავისუფლებას, გადაწყვიტონ, გაავრცელონ, თუ არ გაავრცელონ საკუთარი იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის მიერ დანაშაულებრივად აღიარებულ ქმედებებზე; ისინი უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე მოითხოვენ სახელმწიფოებისგან ამ დანაშაულთა ჩამდენ პირებზე იურისდიქციის გავრცელებას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამ პირთა გადაცემას იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მზადყოფნას გამოთქვამს მათ გასასამართლებლად.<sup>98</sup>

ზემოთქმული ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ უნივერსალური იურისდიქციის შესახებ არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საერთო სტრატეგიაა – დააწესონ უნივერსალური იურისდიქცია მხოლოდ სავალდებულო სახით. როგორც ჩანს, საერთაშორისო თანამეგობრობა დღეს უბრალოდ მზად არ არის საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით იტვირთოს უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის განხორციელების ვალდებულება, და სწორედ აქედან გამომდინარე არ ახდენს უნივერსალური იურისდიქციის ამ სახის კოდიფიცირებას საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

ანალოგიურად, უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის შესახებ საერთაშორისო ჩვეულებების არარსებობაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ სახელმწიფოები არ გამოხატავენ მზაობას, დაუშვან საკუთარ შიდაეროვნულ სამართლებრივ სისტემაში უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო დავების წარმოების შესაძლებლობა. სავარაუდოდ, სწორედ ამას უნდა მივაწეროთ სახელმწიფოებში უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის საფუძველით სამოქალაქო დავების განხილვის პრაქტიკის სიმწირეც,

<sup>97</sup> *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, Joint Separate Opinion of Judges Higgins, Kooijmans and Buergenthal, 130-131, იხ. სქოლიო 13.

<sup>98</sup> იხ. სქოლიო 87.

რაც, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ საერთაშორისო სამართალში დღემდე არ ჩამოყალიბებულა საერთაშორისო ჩვეულება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიგვითითებდა უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის დასაშვებობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ჩვეულებების არარსებობა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჩათვლილიყო უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის არარსებობის სარწმუნო ნიშნად, თუ საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული საერთო ფონი იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიუღებელია უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე ტრანსნაციონალური სამოქალაქო სამართალწარმოება. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელიც უნივერსალური სამოქალაქო-სამართლებრივი იურისდიქციის სასარგებლოდ მეტყველებს, სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ჩვეულებების არარსებობა არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს სახელმწიფოებს ეკრძალებათ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებულ სამოქალაქო სარჩელებზე უნივერსალური სამოქალაქო იურისდიქციის გაერცვლება.<sup>99</sup> უფრო სწორი იქნება, თუ შესაბამისი ხელშეკრულებებისა და ჩვეულებების არარსებობას ავხსნით იმით, რომ სახელმწიფოები, უბრალოდ, მზად არ არიან საიმისოდ, რომ საკუთარი შიდაეროვნული სასამართლო სისტემის მეშვეობით უნივერსალურობის პრინციპის საფუძველზე განიხილონ სამოქალაქო დავები (გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სიტყვებით, სახელმწიფოები მზად არ არიან სრულად ისარგებლონ „იურისდიქციის იმ მოცულობით, რომლებსაც მათ საერთაშორისო სამართალი ანიჭებს“<sup>100</sup>). შესაბამისად, ისინი აქტიურად არ იყენებენ უნივერსალურ სამოქალაქო-სამართლებრივ იურისდიქციას თავის პრაქტიკაში და არ დებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც მათ ამ თვალსაზრისით გარკვეულ ვალდებულებებს დააკისრებდა.

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ძალიან რთულია სარწმუნოდ იმის მტკიცება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი დასაშვებად სცნობს უნივერსალურ სამოქალაქო-სამართლებრივ იურისდიქციას. თუმცა არსებობს ბევრი გარემოება, რომელიც მეტყველებს ამის სასარგებლოდ, და პრაქტიკულად არ არსებობს არგუმენტი, რომელიც დამაჯერებლად

<sup>99</sup> Ryngaert C., *Universal Tort Jurisdiction over Gross Human Rights Violations*, 32, იხ. სქოლიო 58.

<sup>100</sup> *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, Joint Separate Opinion of Judges Higgins, Kooijmans and Buergethal, 132, იხ. სქოლიო 13.

დაასაბუთებდა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლით სახელმწიფოებს ეკრძალებათ უნივერსალურ იურისდიქციაზე დაყრდნობით გადაწყვიტონ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებიდან გამომდინარე სამოქალაქო დავები.

შექმნილი ვითარება ხელსაყრელია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტებისთვის და მათ გააჩნიათ კარგი პოზიცია, რათა ამტკიცონ, რომ უნივერსალური სამოქალაქო სამართლებრივი იურისდიქცია არსებობს და რომ ის არ ქმნის დაბრკოლებას ფიზიკური პირის მიერ ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელების წარსადგენად. ამ ფონზე ერთადერთი საკითხი, რომელიც მსგავსი სარჩელების დასაშვებობასთან დაკავშირებით რჩება გასარკვევი, არის სახელმწიფო იმუნიტეტების საკითხი; კერძოდ, სარგებლობს თუ არა სახელმწიფო მსგავს სარჩელებთან მიმართებით იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან. სწორედ აღნიშნული საკითხის გარკვევას ეძღვნება ნაშრომის მომდევნო თავები, რომლებშიც განხილულია საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები.

### თავი III. სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი. ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ განვითარებული ტენდენციები და იმუნიტეტის პრინციპი.

#### 1. შესავალი

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში განხილული იქნება არგუმენტი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი. არგუმენტის მთელი სიმძიმის წერტილი მოდის სუვერენული ქმედების იმ კონცეფციაზე, რომელსაც ის თავად გვთავაზობს და სწორედ აქედან გამომდინარეობს ნაშრომის ფარგლებში არგუმენტისთვის შერჩეული სახელწოდება. არგუმენტის მიხედვით, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, არ წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები ამ დარღვევებთან მიმართებით არ სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

არგუმენტის წარმოშობა უკავშირდება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომხდარ არსებით ძვრებს, რომლებსაც მძლავრი ბიძგი მისცა მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილმა სასტიკმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა.<sup>101</sup> ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი მსგავსი მძიმე დარღვევების რეციდივის თავიდან აცილების მიზნით<sup>102</sup> ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო თანამეგობრობის ზრუნვის ერთ-ერთ ცენტრალურ ობიექტად იქცა,<sup>103</sup> ამის შედეგად საერთაშორისო სამართალმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სახელმწიფოთა მოქმედების თავისუფლება ადამიანებთან ურთიერთობაში – ადამიანებთან მოპყრობა აღარ განიხილება სახელმწიფოს საშინაო საქმედ<sup>104</sup> და

<sup>101</sup> Fagan A., *Human Rights: Confronting Myths and Misunderstandings* (Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited, 2009), 7.

<sup>102</sup> Freeman M., *Human Rights: An Interdisciplinary Approach*, Second Edition (Cambridge: Polity Press, 2011), 41.

<sup>103</sup> Vienna Declaration and the Program of Action, Adopted by the World Conference on Human Rights, UN Doc. A/Conf.157/23/1993 (იხ. Doebbler C.F., *International Human Rights Law: Cases and Materials*, Vol. I (Washington: CDP Publishing, 2004), 127-131).

<sup>104</sup> Joyner C.C., *International Law in the 21st Century: Rules for Global Governance* (Lanham/Boulder/New York/Toronto/Oxford: Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2005), 70.



საერთაშორისო თანამეგობრობას მიეცა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებზე რეაგირების უფლებამოსილება.<sup>105</sup>

ადამიანებთან ურთიერთობაში სახელმწიფოს შებოჭვისა და საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე ჩნდება მოსაზრება, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტმა განიცადა „ეროზია“<sup>106</sup> და რომ სუვერენიტეტი „ისეთი შეუვალი აღარ არის“, <sup>107</sup> როგორც ადრე. აღნიშნული მოსაზრების გამოძახილად უნდა განვიხილოთ მტკიცება, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ შეიძლება განიხილებოდეს სახელმწიფოს სუვერენული ქმედებებად,<sup>108</sup> რაც მასიურად ატაცებულ იქნა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლი პირების მიერ, რომლებმაც ინტენსიურად დაიწყეს ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელების წარდგენა და მათი უფლებების მძიმე დარღვევებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ისინი ასაბუთებენ, რომ იმდენად, რამდენადაც ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს, სახელმწიფოებს ამ დარღვევებთან მიმართებაში არ უნდა მიენიჭოთ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან,<sup>109</sup> მათ შორის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ეხება ადამიანის უფლებების ისეთ მძიმე დარღვევებს, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული ზემოაღნიშნული არგუმენტი ეფუძნება შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის სამართლებრივ კონსტრუქციას, რომლის ძალითაც იმუნიტეტის თვალსაზრისით განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება სახელმწიფოს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებებზე; კერძოდ, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ობიექტად მხოლოდ სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებები

<sup>105</sup> The Protection of Human Rights and the Principle of Non-Intervention in Internal Affairs of States', *Institut de Droit International Annuaire*, 63, 1989, 338 (იხ. De Schutter O., *International Human Rights Law: Cases, Materials, Commentary* (New York: Cambridge University Press, 2010), 92-93).

<sup>106</sup> Clunan A.L., Redefining Sovereignty: Humanitarianism's Challenge to Sovereign Immunity 21 (იხ. სტატიათა კრებული Shawki N., Cox M., *Negotiating Sovereignty and Human Rights: Actors and Issues in Contemporary Human Politics* (Hampshire: Ashgate, 2009)).

<sup>107</sup> ხუციშვილი ქ., სუვერენული იმუნიტეტის დაცვამ უნდა გადაწონოს თუ არა ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან? *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი* №1, 2008, 50.

<sup>108</sup> Belsky A.C., Merva M. and Roht-Arriaza N., Implied Waiver Under the FSIA: a Proposed Exception to Immunity for Violations of Peremptory Norms of International Law, 77 *California Law Review* 365, 1989 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან); De Wet E., The Prohibition of Torture as an International Norm of Jus Cogens and Its Implications for National and Customary Law, 15 *European Journal of International Law* 97, 2004; Grover S. C., *The European Court of Human Rights as a Pathway to Impunity for International Crimes* (Heidelberg/Dordrecht/London/New York: Springer, 2010), 28-30.

<sup>109</sup> იხ. ნაშრომის III თავის მე-2.2 ქვეთავი.

მოიაზრება.<sup>110</sup> ამ სამართლებრივ კონსტრუქციაზე დაყრდნობით, არგუმენტის მომხრეები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, არ განიხილავს რა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად, არ ავრცელებს სახელმწიფოზე ამ დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებას და, შესაბამისად, დასაშვებად ცნობს, რომ ერთმა სახელმწიფომ განიხილოს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ დარღვევებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები.<sup>111</sup>

არსებითად, არგუმენტი ასაბუთებს, რომ საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე იმუნიტეტის პრინციპმა განიცადა სახეცვლილება და რომ, როგორც თავის დროზე სახელმწიფოს კომერციულ საქმიანობასთან მიმართებით შეიზღუდა იმუნიტეტის პრინციპი, ისე თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მიმართაც მოხდა იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების შეზღუდვა. ასე, მაგალითად, დეივისი აცხადებს, რომ „ისტორიული გადასვლა აბსოლუტური იმუნიტეტის თეორიიდან შეზღუდული იმუნიტეტის თეორიაზე გვაფიქრებინებს, რომ იმუნიტეტმა შესაძლოა განიცადოს სახეცვლილება ეფექტურობის დაკარგვის გარეშე. გამონაკლისი იმუნიტეტიდან ადამიანის უფლებებთან მიმართებით არ იქნება უფრო პრობლემატური, ვიდრე კომერციული საქმიანობის სასარგებლოდ დაშვებული გამონაკლისი, რომელიც დღეს ფართოდაა აღიარებული საერთაშორისო სამართალში.“<sup>112</sup> იგივეს აცხადებს იტალიის საკასაციო სასამართლოც საქმეზე – *Mantelli* – „უაზრობა იქნებოდა, სამოქალაქო იურისდიქცია, რომელიც საერთაშორისო მართლწესრიგში უკვე უცხო სახელმწიფოებზე ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ვრცელდება, გამორიცხული ყოფილიყო ისეთ სერიოზულ დარღვევებთან მიმართებით, როგორცაა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და რომლებიც სუვერენიტეტის განხორციელების დასაშვებ ზღვარს აფიქსირებენ.“<sup>113</sup>

რამდენად სწორია არგუმენტი, რომ საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, არ შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად და რამდენად სწორია ამ დარღვევებთან მიმართებით იმის

<sup>110</sup> იხ. ნაშრომის I თავის მე-2 ქვეთავი.

<sup>111</sup> იხ. სქოლიო 109.

<sup>112</sup> Davis M.P., *Accountability and World Leadership: Impugning Sovereign Immunity*, 99 *University of Illinois Law Review* 1357, 1999, 1372 (იხ. O'Neill K. C., *A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet*, 38 *Stanford Journal of International Law* 289, 2002, 292-293 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან)).

<sup>113</sup> Focarelli C., *Federal Republic of Germany v. Giovanni Mantelli and Others*, Order No. 14201, 103 *American Journal of International Law* 122, 2009, 125 (გადმოტვირთულია JStor-ის მონაცემთა ბაზიდან).

მტკიცება, რომ სახელმწიფოებს შეიძლება არ მიენიჭოთ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან? მოცემული საკითხი წარმოადგენს ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში შესწავლის ძირითად ობიექტს. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში გაკეთებული დასკვნების გასამყარებლად ამავე ნაწილში განიხილება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების საკითხი; აშშ-ის ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტისა და სახელმწიფო იმუნიტეტის ურთიერთმიმართების საკითხი; და ბოლოს, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა და ოფიციალური პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების საკითხი.

## 2. სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი

### 2.1 შესავალი

მოცემული ნაწილის ფარგლებში ხდება სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის სამართლებრივი ანალიზი, მანამდე კი მიმოხილულია სასამართლო პრაქტიკა, სადაც განსახილველმა არგუმენტმა გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა.

### 2.2 სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის ირგვლივ არსებული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი საკმაოდ გავრცელებულია ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში.

ამ არგუმენტზე განსაკუთრებული ინტენსივობით აპელირებენ აშშ-ის სასამართლოებში ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლთა მიერ წარდგენილი სარჩელები. მეტიც, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ეს არგუმენტი გაუზიარებიათ თავად აშშ-ის სასამართლოებსაც. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს საქმე – *Siderman de Blake and Others v. The Republic of Argentina*.

ზემოაღნიშნულ საქმეზე სარჩელი წარადგინა სიდერმანების ოჯახმა. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ 1976 წელს არგენტინაში გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო პირებმა გაიტაცეს და აწამეს ბატონი სიდერმანი, რის შემდეგაც ის და მისი მეუღლე იძულებულები გახდნენ, დაეტოვებინათ არგენტინა და გადასახლებულიყვნენ თავის ქალიშვილთან აშშ-ში.<sup>114</sup>

მოსარჩელეთა განცხადებით, ქვეყნის დატოვების შემდეგ არგენტინის რევოლუციურმა ხელისუფლებამ მოახდინა მოსარჩელეთა ქონების კონფისკაცია, რის საპასუხოდაც სიდერმანების ოჯახმა წარადგინა სამოქალაქო სარჩელი აშშ-ის საოლქო სასამართლოში არგენტინის წინააღმდეგ.<sup>115</sup> გარდა ამისა, მოსარჩელებმა აშშ-ში გაასაჩივრეს ბატონი სიდერმანის წამების ფაქტიც და არგენტინისგან მოითხოვეს წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც.<sup>116</sup>

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის მიზნებისთვის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის არგუმენტაცია, რომელიც მოსარჩელებმა წამების ბრალდებებთან დაკავშირებით მოიყვანეს. კერძოდ, მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ არგენტინამ წამების აკრძალვის პრინციპის სახით დაარღვია საერთაშორისო სამართლის *jus cogens* ნორმა<sup>117</sup> და რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით *jus cogens* ნორმის დარღვევა არ წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებას.<sup>118</sup> ამის საფუძველზე მოსარჩელები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ არგენტინას არ უნდა მინიჭებოდა იმუნიტეტი აშშ-ის იურისდიქციისგან იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც არგენტინის ოფიციალურმა პირებმა მოსარჩელეს წამების შედეგად მიაყენეს.<sup>119</sup>

პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით,<sup>120</sup> აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელის მსგავსად, მიიჩნია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოს *jus cogens* ნორმის დარღვევისას არ ენიჭება იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან. როგორც სასამართლომ განაცხადა, „... ასეთი დარღვევები [იმპერატიული ნორმების დარღვევები] არსობრივად

<sup>114</sup> *Siderman de Blake v. Republic of Argentina*, 455, იხ. სქოლიო 51.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> იქვე, 456.

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> იქვე, 474.

<sup>119</sup> იქვე, 456, 474.

<sup>120</sup> უფრო ზუსტად, თავდაპირველად პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მიერ წამებასთან დაკავშირებით წარდგენილი სამართლებრივი მოთხოვნები, თუმცა მას შემდეგ, რაც არგენტინამ განაცხადა, რომ მოცემულ საქმეზე ის სარგებლობდა იმუნიტეტით და, აქედან გამომდინარე, აშშ-ის არ ჰქონდა იურისდიქცია, განეხილა სარჩელი და გამოეტანა მის წინააღმდეგ გადაწყვეტილება, სასამართლომ გააუქმა თავდაპირველი გადაწყვეტილება და მიანიჭა არგენტინას იმუნიტეტი (*Siderman de Blake v. Republic of Argentina*, 456, იხ. სქოლიო 51).

განსხვავდება *jus dispositivum*-ის დარღვევებისგან.“<sup>121</sup> ამავედროულად, სასამართლომ ე.წ. უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტების შესახებ 1976 წლის აქტის (Foreign Sovereign Immunities Act 1976, შემდგომში – აშშ-ის 1976 წლის აქტი)<sup>122</sup> საფუძველზე მაინც მიანიჭა არგენტინას იმუნიტეტი მოსარჩელისთვის წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.<sup>123</sup>

აშშ-ის 1976 წლის აქტი აშშ-ის სასამართლოებისთვის წარმოადგენს ერთადერთ სახელმძღვანელო დოკუმენტს უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება/არმინიჭების საკითხის გადაწყვეტისას.<sup>124</sup> აქტი აშშ-ის სასამართლოებს არ ანიჭებს იმის უფლებამოსილებას, რომ მათ უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ *jus cogens* ნორმების დარღვევებთან დაკავშირებული სამოქალაქო სარჩელები განიხილონ.<sup>125</sup> ამის გათვალისწინებით, საქმეზე – *Siderman de Blake and Others v. The Republic of Argentina* – სააპელაციო სასამართლომ არგენტინას მიანიჭა იმუნიტეტი წამების ბრალდებით წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით,<sup>126</sup> თუმცა, ამავე დროს, დანაწევრებით აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია საერთაშორისო სამართლით ხელმძღვანელობა არგენტინისთვის იმუნიტეტის მინიჭება/არმინიჭების საკითხის გადაწყვეტისას: „სამწუხაროდ, ჩვენ არ ვწერთ სუფთა დაფაზე. ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან, არამედ კონგრესის მიერ მიღებულ აქტთან [იგულისხმება აშშ-ის 1976 წლის აქტი]“. <sup>127</sup> სასამართლოს მსგავსი დამოკიდებულება ნათელყოფს, რომ სასამართლო იზიარებს მოსარჩელის არგუმენტაციას და მიაჩნია, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფო არ შეიძლება სარგებლობს იმუნიტეტით ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით.

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებათა ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი ცნობილი და ხშირად ციტირებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმეზე – *Princz v Federal Republic of Germany*.

<sup>121</sup> *Siderman de Blake v. Republic of Argentina*, 474-475, იხ. სქოლიო 51.

<sup>122</sup> 28 US Code §§ 1330, 1391 (f), 1441 (d), 1602-1611 (აღნიშნული აქტის ტექსტი და კომენტარები ხელმისაწვდომია კრებულში: Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary* (Oxford University Press: New York, 2004), 217-327).

<sup>123</sup> *Siderman de Blake v. Republic of Argentina*, 469-480, იხ. სქოლიო 51.

<sup>124</sup> *Amerada Hess Shipping Corporation v. Argentine Republic United Carriers Inc v. Argentine Republic, US, Court of Appeals, Second Circuit, 1986* (79 ILR 1).

<sup>125</sup> თუ რა შემთხვევაში ანიჭებს 1976 წლის აქტი აშშ-ის სასამართლოებს უფლებამოსილებას, განიხილონ უცხო სახელმწიფოს წარდგენილი სარჩელები, იხ. აქტის მე-1605 მუხლი. აქტის ტექსტი და კომენტარები ხელმისაწვდომია კრებულში: Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *Immunity, Selected Materials and Commentary*, 246-288, იხ. სქოლიო 122.

<sup>126</sup> *Siderman de Blake v. Republic of Argentina*, 475, იხ. სქოლიო 51.

<sup>127</sup> იქვე, 474.

მოცემულ საქმეზე სამოქალაქო სარჩელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ წარდგენილ იქნა გერმანიის ფაშისტური რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი პატიმრის მიერ.<sup>128</sup> უშუალოდ გერმანიის მთავრობისთვის მიმართვისა და დიპლომატიური ჩარევის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მოსარჩელემ, იმ დროისთვის უკვე აშშ-ის მოქალაქემ, გადაწყვიტა მიემართა აშშ-ის სასამართლოსთვის და მისი მეშვეობით მიეღო კომპენსაცია იმ ზიანისთვის, რომელიც მას მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში არაადამიანური მოპყრობისა და იძულებითი შრომის შედეგად მიაღდა.<sup>129</sup>

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ აღძრა შუამდგომლობა და მოითხოვა იმუნიტეტის მინიჭება მის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით.<sup>130</sup> აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა გერმანიის შუამდგომლობა და უარის დასაბუთებისას განაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოს არ შეუძლია, მოითხოვოს იმუნიტეტის მინიჭება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევებთან მიმართებით. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს, რომელიც მოქმედებდა საერთაშორისო სამართლისა და სხვა სახელმწიფოების ეროვნული სამართლებრივი სისტემების ფუნდამენტური პრინციპების სრული იგნორირებით, არა აქვს უფლება, იმუნიტეტის მოშველიებით პასუხისმგებლობა აირიდოს ისეთი შემზარავი ქმედებებისთვის, როგორებიც განახორციელა გერმანიის ფაშისტურმა რეჟიმმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.<sup>131</sup>

გერმანიამ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ აშშ-ის სააპელაციო სასამართლოში, რომლის სამი მოსამართლიდან ორმა ჩათვალა, რომ ამ საქმეზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ჰქონდა უფლება, მოეთხოვა აშშ-ის სასამართლო იურისდიქციისგან იმუნიტეტის მინიჭება.<sup>132</sup>

განსხვავებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსი პოზიცია გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვალდმა (Wald). მან საკუთარი განსხვავებული აზრი სამართლებრივად დაასაბუთა სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტით, რის გამოც მიიპყრო ჩვენი ყურადღება ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში.

მოსამართლე უალდის არგუმენტის ძირითადი იდეის მიხედვით, როდესაც სახელმწიფო არღვევს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს, მას გაცნობიერებული აქვს, რომ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მყოფ მის

<sup>128</sup> *Princz v Federal Republic of Germany*, 594, იხ. სქოლიო 51.

<sup>129</sup> იქვე, 594-595.

<sup>130</sup> იქვე, 595.

<sup>131</sup> იქვე, 600-602.

<sup>132</sup> იქვე, 605-613.

ქმედებებს არ მიეცემა სუვერენული ქმედებების კვალიფიკაცია და რომ, შესაბამისად, ამ დარღვევებთან მიმართებით მასზე არ გავრცელდება იმუნიტეტი სხვა სახელმწიფოთა სასამართლოებში.<sup>133</sup> მოსამართლის აზრით, „გერმანიამ უარი განაცხადა თავის სუვერენულ იმუნიტეტზე, როცა დაარღვია მონობისა და გენოციდის ამკრძალავი საერთაშორისო *jus cogens* ნორმები. *jus cogens* ნორმა, რომელსაც ასევე უწოდებენ საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას, მიღებულია და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ როგორც ნორმა, რომლიდანაც გადახვევა დაუშვებელია ...“<sup>134</sup> მოსამართლის შეხედულებით, „როდესაც სახელმწიფო ცხვირს ჰყოფს მსგავს *[jus cogens]* ნორმაში“, დაუშვებელია, რომ მისი ქმედებები, რომელთა განხორციელებისას ის „წინააღმდეგობაში მოდის მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის კოლექტიურ ნებასთან“, ჩათვალოს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად და, შესაბამისად, ამ ქმედებებთან მიმართებით სახელმწიფოს მიენიჭოს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან.<sup>135</sup>

აშშ-ის სასამართლოების გარდა, სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებულ არგუმენტზე აპელირებენ სხვა სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილი იქნეს საბერძნეთის სასამართლოების გადაწყვეტილება საქმეზე – *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*.

მოცემულ საქმეზე სარჩელი წარდგენილი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლითაც მოსარჩელები ითხოვდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს საბერძნეთის სოფელ დისტომოში გერმანიის საჯარისო ფორმირებების მიერ მათი ნათესავების სიცოცხლის ხელყოფითა და ქონების განადგურებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.<sup>136</sup>

თავდაპირველად სარჩელი განიხილა საბერძნეთის ლივადიის პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელმაც ჩათვალა, რომ წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით გერმანია არ სარგებლობდა იმუნიტეტით საბერძნეთის სასამართლო იურისდიქციისგან და რომ, შესაბამისად, სასამართლოს ჰქონდა უფლება განეხილა გერმანიის წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი. შედეგად, სასამართლომ დააკისრა გერმანიას მოსარჩელეთა სასარგებლოდ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.<sup>137</sup>

იმუნიტეტის საკითხთან დაკავშირებით ლივადიის სასამართლომ სამართლებრივ დასაბუთებაში აღნიშნა, რომ „როდესაც სახელმწიფო

<sup>133</sup> *Princz v Federal Republic of Germany*, Dissenting Opinion of Judge Wald, 618.

<sup>134</sup> იქვე, 615.

<sup>135</sup> იქვე, 618.

<sup>136</sup> *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*, 514-515, იხ. სქოლიო 13.

<sup>137</sup> იქვე.

არღვევს *jus cogens* ნორმას, მას არ შეუძლია, *bona fide* ჰქონდეს მოლოდინი, რომ ის ისარგებლებს იმუნიტეტის პრივილეგიით,<sup>138</sup> ვინაიდან, როგორც სასამართლომ ჩათვალა, გერმანიამ, ჩაიდინა რა სოფელ დისტომოს მოსახლეობის წინააღმდეგ საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედება, ამით ირიბად უარი თქვა იმუნიტეტზე, რადგან, სასამართლოს აზრით, „სახელმწიფოს ქმედებები, რომლებიც არღვევენ *jus cogens* ნორმას, არ ატარებს სუვერენული ქმედებების ხასიათს.“<sup>139</sup>

ლევადიის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გერმანიამ გაასაჩივრა საბერძნეთის საკასაციო სასამართლოში. საკუთარ საკასაციო საჩივარში გერმანიამ მიუთითა, რომ სოფელ დისტომოს მოსახლეობის მიერ წარდგენილ სარჩელთან მიმართებით ის სარგებლობდა იმუნიტეტით საბერძნეთის იურისდიქციისგან და რომ, შესაბამისად, საბერძნეთის სასამართლოს არ ჰქონდა მის წინააღმდეგ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის უფლება.<sup>140</sup>

საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გერმანიის საჩივარი. ეს სასამართლოც, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, დაეყრდნო სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებულ არგუმენტს და განაცხადა, რომ გერმანიის მიერ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტები ვერ შეფასდებოდა როგორც სახელმწიფოს სუვერენული ქმედებები და რომ, შესაბამისად, გერმანიას ვერ მიენიჭებოდა იმუნიტეტი საბერძნეთის იურისდიქციისგან.<sup>141</sup>

ეროვნული სასამართლოების ზემოთმოყვანილი გადაწყვეტილებები ქმნიან სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული

<sup>138</sup> Bantekas I., Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany. Case No. 137/1997, Court of First Instance of Leivadia, Greece, October 30, 1997, 92 *American Journal of International Law* 765, 1998, 766 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*, 514, იხ. სქოლიო 13.

<sup>141</sup> იქვე, 521. იქვე. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ საქმეზე – *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)* – მიიღო გადაწყვეტილება გერმანიისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, მოგვიანებით, როდესაც მოსარჩელეებმა მოსთხოვეს საბერძნეთის ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება, საბერძნეთმა, კერძოდ, მისმა იუსტიციის მინისტრმა, რომლის წინასწარი თანხმობა, საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელი წინაპირობაა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, თანხმობა იძულებით აღსრულებაზე არ გასცა. იუსტიციის მინისტრისგან თანხმობის მიუღებლობის მიუხედავად, მოსარჩელეებმა წარადგინეს შუამდგომლობა საბერძნეთის სასამართლოში საბერძნეთში მდებარე გერმანიის ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნით. სასამართლოს რამდენიმე ინსტანციაში ამ შუამდგომლობის განხილვის შემდეგ შუამდგომლობამ მიაღწია საბერძნეთის საკასაციო სასამართლომდე, რომელმაც, თუმცა დღის წესრიგში იდგა მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების საკითხი, ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარებოდა (ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დეტალური აღწერა და საბერძნეთის სასამართლოების მიერ საბერძნეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე უარის სამართლებრივი დასაბუთება იხ. *Kalogeropoulou and Others v Greece and Germany*, ECHR, 2002 (129 ILR 537)).



არგუმენტის ირგვლივ არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა ბირთვს. ამ გადაწყვეტილებებმა დიდი ვნებათა დელვა გამოიწვია, რომელიც უკვე წლებია არ ცხრება. ეს დიდი ინტერესი მეტყველებს იმაზე, რომ არგუმენტი საკმაოდ სადაოა და ანალიზს საჭიროებს, რასაც ნაშრომის მომდევნო ნაწილი ეთმობა.

## 2.3 სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის სამართლებრივი შეფასება

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის განვითარება შესაძლებელი გახდა იმის ხარჯზე, რომ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი ერთმანეთისგან განასხვავებს სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებებს და იმუნიტეტს სახელმწიფოს მხოლოდ სახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით ანიჭებს. იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ არასახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტი არ ენიჭება, არგუმენტი ასაბუთებს, რომ ადამიანის უფლებების მიძიე დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფო არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან. კერძოდ, არგუმენტი ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების დარღვევები არ წარმოადგენს სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ამ დარღვევებთან მიმართებით არ ექცევა იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ.

სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის შეფასება შეიძლება ორი მიდგომით: ერთი – *jus cogens* ნორმების იმ კონცეფციიდან გამომდინარე, რომელსაც იყენებს არგუმენტი და მეორე – სუვერენული ქმედებების იმ განმარტების საფუძველზე, რომელსაც ის ეყრდნობა.

პირველ მიდგომასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტი ოპერირებს *jus cogens* ნორმების კონცეფციით სადავო კონტექსტში. დღევანდელი სახით *jus cogens* ნორმები წარმოადგენს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის (შემდგომში – ვენის 1969 წლის კონვენცია) პირმშოს. კონვენციის მიხედვით, *jus cogens* ნორმებს ფუნქციური დატვირთვა გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების კონტექსტში. მათი ერთადერთი დანიშნულებაა, არ დაუშვან სახელმწიფოებს შორის

ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომლებიც შინაარსობრივად წარმოადგენს „გადახვევას“ აღნიშნული ნორმების მოთხოვნებიდან.<sup>142</sup>

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განსახილველ არგუმენტს გამოჰყავს *jus cogens* ნორმების კონცეფცია სახელმწიფოთა სახელშეკრულებო სამართლის სფეროდან და განმარტავს, რომ *jus cogens* ნორმებით სახელმწიფოებს ეკრძალებათ არა მხოლოდ ერთმანეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით *jus cogens* ნორმებიდან გადახვევა, არამედ ცალმხრივად ამ ნორმათა დარღვევა.

ვენის 1969 წლის კონვენციიდან გამომდინარე, *jus cogens* ნორმების ზემოაღნიშნულ კონტექსტში გამოყენება სადავოა. შესაბამისად, სადავოა არგუმენტის მტკიცება, რომ სახელმწიფოს ქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან *jus cogens* ნორმებთან, არ წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ, შესაბამისად, ამ ქმედებებთან მიმართებით სახელმწიფოები არ სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს მოსაზრება, რომ ვენის 1969 წლის კონვენციის მიღების დროიდან მოყოლებული *jus cogens* ნორმების კონცეფცია გაფართოვდა<sup>143</sup> და დღეს მისი მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ საერთაშორისო სახელშეკრულებო, არამედ საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებზეც.<sup>144</sup> ამის შედეგად საერთაშორისო სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყალიბდება *jus cogens* ნორმების წინააღმდეგობრივი კონცეფციები, რაც წარმოუდგენელს ხდის *jus cogens* ნორმების ცნებიდან გამომდინარე სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის შეფასებას და რის გამოც აუცილებელი ხდება არგუმენტის ანალიზისთვის ალტერნატიული მიდგომის მოძიება. ასეთ ალტერნატიულ მიდგომას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორია სუვერენული ქმედებების ის კონცეფცია, რომელსაც განსახილველი არგუმენტი ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ იმუნიტეტით დაცული ქმედებები სხვადასხვაგვარად არიან მოხსენიებულნი ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებები უწოდებენ მათ *acta jure imperii*, სამთავრობო, სახელისუფლებო, სუვერენულ, საჯარო, ოფიციალურ ქმედებებს.

<sup>142</sup> იხ. ვენის 1969 წლის კონვენციის 53-ე მუხლი. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org>

<sup>143</sup> Zemanek K., *The Metamorphosis of Jus Cogens: From an Institution of Treaty Law to the Bedrock of the International Legal Order?* 391-398 (იხ. სტატიათა კრებული Cannizzaro E. (Ed.), *The Law of Treaties: Beyond the Vienna Convention* (New York: Oxford University Press, 2011)).

<sup>144</sup> მაგ., საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტი ითვალისწინებს იმპერატიულ ნორმების დარღვევის შესაძლებლობას (იხ. Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries* (Cambridge: Cambridge University Press, 2002), 245-253).

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის ფარგლებში ყველა შემთხვევაში ფორმულირებას აქვს ურთიერთთანაცვლებადი მნიშვნელობა, განსახილველი არგუმენტი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე – სუვერენულ ქმედებაზე და ყველა სხვა ფორმულირებას მის რაკურსში განმარტავს. ეს მიდგომა პრობლემებს ქმნის თავად ცნების – სუვერენიტეტის – არაერთგვაროვანი განმარტების გამო. როგორც კროუფორდი წერს, „ცნებას „სუვერენიტეტი“ აქვს გრძელი და პრობლემური ისტორია და მრავალფეროვანი მნიშვნელობები.“<sup>145</sup> სუვერენიტეტის განმარტებების მრავალფეროვნება მათი აღრევის რისკს შეიცავს, რის ნათელ მაგალითსაც განსახილველი არგუმენტი წარმოადგენს.

ნაშრომი არ გადმოსცემს იმ აზრთა მრავალფეროვნებას, რაც საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციასთან დაკავშირებით არსებობს. პირიქით, ნაშრომი ცდილობს სუვერენიტეტის ძალიან მარტივი და ფართოდ გავრცელებული განმარტების საფუძველზე გადმოსცეს იმუნიტეტის პრინციპის არსი და მისი მეშვეობით ახსნას ამ პრინციპის მიმართება ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, სახელმწიფო სუვერენიტეტს აქვს ორი ასპექტი: შიდა და გარე.<sup>146</sup> სუვერენიტეტის შიდა ასპექტის მიხედვით, სახელმწიფო არის უზენაესი სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი საკუთარ ტერიტორიაზე;<sup>147</sup> ხოლო სუვერენიტეტის გარე ასპექტი გულისხმობს, რომ სახელმწიფო თავისუფალია ყოველგვარი თავსმოსხვეული „უცხოური ... ბოჭვისგან.“<sup>148</sup>

აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ სუვერენიტეტის გარე ასპექტი, თავის მხრივ, იყოფა ორ ასპექტად: ერთი ასპექტი ასახავს თავად სახელმწიფოების ურთიერთმიმართებას საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო მეორე – სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის.<sup>149</sup> ნაშრომის ფარგლებში გარე სუვერენიტეტის ამ ასპექტებს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ გარე სუვერენიტეტის პირველი და მეორე ასპექტები.

იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი „მრავალწახნაგოვანი“<sup>150</sup> სამართლებრივი კატეგორიაა უნდა მიექცეს

<sup>145</sup> Crawford J., *The Creation of States in International Law*, Second Edition (Oxford: Clarendon Press, 2007), 32.

<sup>146</sup> Clunan A.L., *Redefining Sovereignty: Humanitarianism's Challenge to Sovereign Immunity*, 7, იხ. სქოლიო 106.

<sup>147</sup> Jackson R., *Sovereignty: Evolution of an Idea* (Cambridge: Polity Press, 2007), 10.

<sup>148</sup> Holland T.E., *The Elements of Jurisprudence* (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 2006), 42.

<sup>149</sup> Anand R.P., *Sovereign Equality of States in International Law*, *Academie de Droit International, Recueil de Cours*, Vol. II, 1986, 28.

<sup>150</sup> Friedman E. J., Hochstetler K., Clark A. M., *Sovereignty, Democracy and Global Civil Society: State-Society Relations at UN World Conferences* (Albany: State University of New York Press, 2005), 23.

სათანადო ყურადღება სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის შეფასებისას. კერძოდ, უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ სუვერენიტეტის ამ სხვადასხვა ასპექტებს არა აქვთ ეკვივალენტური მნიშვნელობა იმუნიტეტის პრინციპისთვის და რომ ამ ასპექტების ერთმანეთში აღრევის შედეგად შეიძლება გაკეთდეს არასწორი დასკვნები იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებასთან დაკავშირებით.

სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის მთავარი შეცდომა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ის არასწორ აქცენტებს სვამს სუვერენიტეტის კონცეფციაში. კერძოდ, როდესაც არგუმენტი აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების მიძიე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს, ის ეყრდნობა გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტს, რომელიც ასახავს სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებას. საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე სუვერენიტეტის სწორედ ამ ასპექტის შეზღუდვა მოხდა და სწორედ ამ ასპექტის თვალსაზრისით ადამიანის უფლებების მიძიე დარღვევები შეიძლება არ იქნეს განხილული სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად. თუმცა სუვერენიტეტის ამ ასპექტს არაფერი აქვს საერთო სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შინაარსთან და, შესაბამისად, არასწორია ამ ასპექტიდან გამომდინარე იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სახელმწიფოს ქმედების სუვერენულად ან არასუვერენულად კვალიფიკაცია.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი იმ სახით, როგორცაც ის არსებობს დღეს, გამომდინარეობს სუვერენიტეტის შიდა ასპექტიდან და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტიდან.<sup>151</sup> საქმე იმაშია, რომ სუვერენიტეტის ეს ასპექტები განსაზღვრავენ სახელმწიფოების სტატუსს ერთმანეთთან ურთიერთობაში. შესაბამისად, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შინაარსის დადგენისას ყურადღება სუვერენიტეტის სწორედ ამ ასპექტებზე უნდა გამახვილდეს, ვინაიდან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს ფუნქციური დატვირთვა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთმიმართების კონტექსტში გააჩნია. სუვერენიტეტის ამ ორი ასპექტის გაგებით კი ადამიანის უფლებების მიძიე დარღვევები წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და, შესაბამისად, ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოზე ვრცელდება იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად მიზანშეწონილია თანმიმდევრულად მიმოვიხილოთ სახელმწიფო სუვერენიტეტის თითოეული ასპექტი და მათი მიმართება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან. ამის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იმის წარმოჩენა, თუ რა ქმედებები მოიაზრება სუვერენულ ქმედებებად სუვერენიტეტის თითოეული მითითებული ასპექტის თვალსაზრისით და რომელი მათგანი ექცევა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ. ყოველივე ეს, თავის

<sup>151</sup> Friedman E. J., Hochstetler K., Clark A. M., *Sovereignty, Democracy and Global Civil Society: State-Society Relations at UN World Conferences*, 23, იხ. სქოლიო 150.

მხრივ, დაგვეხმარება განსახილველ არგუმენტთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთებაში.

როგორც აღინიშნა, იმუნიტეტის პრინციპი წარმოადგენს სუვერენიტეტის ორი ასპექტის: შიდა ასპექტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის ერთ-ერთ გამოვლინებას. სუვერენიტეტის აღნიშნული ასპექტების ძალით სახელმწიფოები, ერთის მხრივ, „საკუთარი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში არიან უზენაესი ხელისუფლების მატარებელი სუბიექტები და არ სცნობენ ზემდგომ ხელისუფლებას. [ხოლო, მეორეს მხრივ,] სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ... არ გააჩნიათ ზემდგომი ხელისუფალი ამ ურთიერთობების დასარეგულირებლად.“<sup>152</sup> ერთი სიტყვით, სუვერენიტეტის აღნიშნული ასპექტების ძალით სახელმწიფოები არიან ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი სუბიექტები.<sup>153</sup>

სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა სხვა ზემდგომი ხელისუფლებისგან ასახვას ჰპოვებს, მათ შორის, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპში.<sup>154</sup> კერძოდ, სწორედ იმის ხარჯზე, რომ სახელმწიფოები საკუთარ ტერიტორიაზე სახელისუფლებო უფლებამოსილებების განხორციელებისას და საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობების დამყარებისას გვევლინებიან როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები, ისინი სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან, მათ შორის მართლმსაჯულების იურისდიქციისგან, ვინაიდან, თუ უცხო სახელმწიფოებს საკუთარი სასამართლოების მეშვეობით მიეცემოდათ უფლება შეეფასებინათ სახელმწიფოთა სახელისუფლებო ქმედებები და ამ ქმედებებთან დაკავშირებით მიეღოთ სახელმწიფოების წინააღმდეგ გადაწყვეტილებები, „სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა იქნებოდა ილუზორული“.<sup>155</sup>

<sup>152</sup> Snow D. M., Drew D. M., *From Lexington to Baghdad and Beyond: War and Politics in the American Experience* (New York: M.E. Sharpe, 2009), 4.

<sup>153</sup> სუვერენიტეტის შიდა ასპექტს არბიტრაჟის მუდმივი პალატის მოსამართლე ჰუბერი საქმეზე – *Island of Palmas* – განმარტავს როგორც „დედამიწის განსაზღვრულ მონაკვეთში [საკუთარ ტერიტორიაზე] სახელმწიფოს უფლებას, სხვა სახელმწიფოებისგან დამოუკიდებლად, შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქციები“ *Island of Palmas Case, PCA, 1928* (იხ. Anand R.P., *Sovereign Equality of States in International Law*, 27, იხ. სქოლიო 149)). რაც შეეხება გარე სუვერენიტეტის პირველ ასპექტს, ის გულისხმობს, რომ „საერთაშორისო სფეროში ყველა სახელმწიფო განიხილება როგორც დამოუკიდებელი სუვერენი, ყველა სხვა სახელმწიფოსთან მიმართებით თანაბარი სუვერენიტეტის მფლობელი“ (იხ. *International Association of Machinists and Aerospace Workers v. Organization of Petroleum Exporting Countries et al.*, US, Court of Appeals, Ninth Circuit, 1981 (66 ILR 413, 416)).

<sup>154</sup> როგორც ინგლისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ეშერმა (Esher LJ) საქმეზე – *Parlement Belge* – განაცხადა: „სუვერენების ამოღება [უცხო სახელმწიფოს] სასამართლო იურისდიქციიდან აიხსნება იმით, რომ ამ იურისდიქციის განხორციელება შეუთავსებელი იქნებოდა ... მის სრულ დამოუკიდებლობასთან ყველა სხვა ზემდგომი ხელისუფლებისგან“ (იხ. (1880) LR 5 PD 197, 207 (მოსამართლის ციტირებას ახდენს ინდოეთის უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებაში საქმეზე – *Harbhajan Singh Dhalla v. Union of India*, India, Supreme Court, 1986 (92 ILR 530, 534)).

<sup>155</sup> Van Alebeek R., *The Immunity of States and Their Officials in International Criminal Law and International Human Rights Law* (New York: Oxford University Press, 2008), 67.

იმდენად, რამდენადაც იმუნიტეტის პრინციპი წარმოადგენს სუვერენიტეტის შიდა ასპექტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის უშუალო გამოვლინებას, იმუნიტეტის პრინციპის ფარგლებში დაცულ სუვერენულ ქმედებებშიც უნდა მოვიაროთ სხვა არაფერი თუ არა სუვერენული ქმედებები სუვერენიტეტის ამ ორი ასპექტის გაგებით.

საყურადღებოა, რომ სუვერენიტეტის შიდა ასპექტი არ არის სამართლებრივი კატეგორია, არამედ „პოლიტიკური ძალაუფლების დეფინიცია“. <sup>156</sup> როგორც ოპენჰაიმი განმარტავს, სუვერენიტეტი არ წარმოადგენს „უფლებას, არამედ სახელმწიფოს აღიარებულ ... თვისებას“, <sup>157</sup> რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეფექტური და უზენაესი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას გულისხმობს. <sup>158</sup>

სუვერენიტეტის ამ ასპექტის თვალსაზრისით სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებაში უნდა მოვიაროთ სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს როგორც საჯარო სახელისუფლებო ძალაუფლების მფლობელი პირი, <sup>159</sup> კელზენის სიტყვებით, ისეთი ტრადიციული სახელმწიფოებრივი ატრიბუტების გამოყენებით, როგორებიცაა „ციხეები და ელექტრო სკამები, სამხედრო იარაღები და არტილერია.“ <sup>160</sup> სუვერენიტეტის შიდა ასპექტის გაგებით სახელმწიფოს ქმედების სუვერენულად კვალიფიკაციისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, მართლზომიერია თუ არა აღნიშნული ქმედებები სამართლებრივი, მათ შორის, საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით. <sup>161</sup> შესაბამისად, იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშაც ექცევა სახელმწიფოს ისეთი ქმედებები, რომელსაც ის ახორციელებს საკუთარ ტერიტორიაზე როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი და რომლებიც

<sup>156</sup> Jackson R., *Sovereignty: Evolution of an Idea*, 104, იხ. სქოლიო 147.

<sup>157</sup> Oppenheim L.F.L. (Author), Roxburgh R. (Ed.), *International Law: A Treatise*, Vol. 1, Third Edition (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 2006), 207.

<sup>158</sup> Krasner S.D., *Power, the State, and the Sovereignty: Essays on International Relations* (New York: Routledge, 2009), 179-180.

<sup>159</sup> Bankas E. K., *The State Immunity Controversy in International Law, Private Suits Against Foreign States in Domestic Courts*, 33, იხ. სქოლიო 11.

<sup>160</sup> Kelsen H., *Principles of International Law* (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 2003), 106.

<sup>161</sup> როგორც არანჯო-რუისი წერს: „იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოები არ წარმოაგენენ საერთაშორისო სამართლის ქმნილებებს, მათ სუვერენიტეტი არ ენიჭებათ საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე.“ (იხ. Arangio-Ruiz G., *The UN Declaration on Friendly Relations and the System of Sources of International Law* (Alphen aan den Rijn: Sijthoff & Noordhoff, 1979), 271). შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის კონტექსტში გაკეთებული ეს რემარკა ნათელყოფს, რომ სუვერენიტეტის მოცულობა არ განისაზღვრება საერთაშორისო სამართლით და შესაბამისად, სახელმწიფოს ქმედების სუვერენულად ან არასუვერენულად კვალიფიცირება არ არის დამოკიდებული საერთაშორისო სამართალზე.

უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი აპარატი, <sup>162</sup> განურჩევლად იმისა, კანონიერია თუ არა აღნიშნული ქმედებები.<sup>163</sup>

გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის თვალსაზრისითაც, სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებში უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფოს ნებისმიერი საერთაშორისო აქტივობა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან ურთიერთობაში, მნიშვნელობა არა აქვს კანონიერია ეს ქმედება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, თუ არა.<sup>164</sup> თავის მხრივ, ეს გულისხმობს იმას, რომ იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ სახელმწიფო ექცევა ნებისმიერ იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელსაც ის მართლზომიერად თუ არამართლზომიერად ახორციელებს საერთაშორისო ასპარეზზე.<sup>165</sup>

<sup>162</sup> Badr G.M., *State Immunity: An Analytical and Prognostic View Rights* (Hague/Boston/Lancaster: Martinus Nijhoff Publishers, 1984), 65.

<sup>163</sup> ამის სადემონსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Saudi Arabia and Others v. Nelson* – რომელზეც განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენენ თუ არა საუდის არაბეთის საპოლიციო ძალების მიერ საკუთარ ტერიტორიაზე განხორციელებული წამებისა და უკანონო დაკავების ფაქტები სუვერენულ ქმედებებს და სარგებლობს თუ არა ამ ქმედებებთან მიმართებით საუდის არაბეთი იმუნიტეტით აშშ-ის იურისდიქციისგან. აშშ-ის სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რამდენად ბოროტადაც არ უნდა იყოს გამოყენებული „უცხო სახელმწიფოს საპოლიციო ძალების მიერ ძალაუფლება, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინის თვალსაზრისით, ეს ყოველთვის იქნება სუვერენული ქმედება.“ (იხ. *Saudi Arabia and Others v. Nelson*, US, Supreme Court, 1993 (100 ILR 544, 545, 553)). სხვა სიტყვებით, სახელისუფლებო უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება „თავისთავად არ აქცევს სუვერენულ ქმედებებს“ არასუვერენულ ქმედებებად (იხ. Giegerich T., *Do Damages Claims Arising from Jus Cogens Violations Override State Immunity from the Jurisdiction of Foreign Courts*, 224 (იხ. სტატიათა კრებული: Tomuschat C., Thouvenin J.M. (Eds.), *The Fundamental Rules of International Legal Order, Jus Cogens and Obligations Erga Omnes*, (Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2006)).

<sup>164</sup> იხ. სქოლიო 161.

<sup>165</sup> ასე, მაგ., მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეზე, რომელზეც განიხილებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით იტალიის მიერ გერმანიისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერების საკითხი, განაცხადა, რომ სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებში არ იგულისხმება მხოლოდ კანონიერი ქმედებები (იხ. *Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)*, Par.60, იხ. სქოლიო 21). მეტიც, სასამართლომ მიუთითა, რომ იმუნიტეტის მინიჭება დამოკიდებული რომ ყოფილიყო ქმედების კანონიერებასა და სიმძიმეზე, მაშინ შეიქმნებოდა „ლოგიკური პრობლემა“ (იქვე, Par. 82). როგორც სასამართლომ ახსნა, „იმუნიტეტი იურისდიქციისგან ეს არის არა მხოლოდ გადაწყვეტილებისგან, არამედ სასამართლო პროცესისგან დამცავი იმუნიტეტი ... შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოს საკითხი, სარგებლობს თუ არა უცხო სახელმწიფო ... იმუნიტეტით, უნდა შეეძლოს გადაწყვიტოს უშუალოდ საქმის გარემოებების მოსმენამდე და ფაქტების დადგენამდე. თუ იმუნიტეტის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, ჩაიდინა თუ არა სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თუ სამხედრო კონფლიქტების სამართლის სერიოზული დარღვევები, მაშინ ეროვნულ სასამართლოს მოუხდებოდა გამოძიებინა საქმის გარემოებები იმის დასადგენად, გააჩნია თუ არა მას იურისდიქცია. თუ ... უბრალო ბრალდება იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რათა

იმ ფაქტზე, რომ იმუნიტეტის პრინციპით დაცულ სუვერენულ ქმედებებს არ გააჩნიათ არავითარი სამართლებრივი სარჩული, მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტორი. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოები მოქმედებენ როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტები, განურჩევლად იმისა, მოქმედებენ ისინი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით თუ უგულვებელყოფით, ისინი „უდავოდ, არიან ერთმანეთის თანასწორნი.“<sup>166</sup> სახელმწიფოთა თანასწორობა კი, თავის მხრივ, გულისხმობს მათ დაცულობას, სხვა სიტყვებით, მათ იმუნიტეტს ერთმანეთის იურისდიქციისგან, ვინაიდან სამართლის ზოგადი პრინციპის თანახმად, თანასწორი თანასწორზე იურისდიქციას არ ფლობს – *par in parem non habet imperium*.<sup>167</sup> შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო, როგორც საჯარო პირი, უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართალს, მისი ქმედებები მაინც უნდა ჩაითვალოს იმუნიტეტის პრინციპის თვალსაზრისით სუვერენულ ქმედებად და თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ ქმედებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს უნდა მიენიჭოს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან. სწორედ ამის გათვალისწინებით წერს გამალ ბადრი, რომ ტესტი, რომელიც გამოიყენება იმუნიტეტის მიზნებისთვის სახელმწიფოს სუვერენული და არასუვერენული ქმედებების გასამიჯნად, არის „ფაქტობრივი და არა იურიდიული ტესტი“,<sup>168</sup> რაც მიუთითებს იმაზე, რომ იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სახელმწიფოს

---

სახელმწიფოს ჩამორთმეოდა იმუნიტეტის მოთხოვნის უფლება, მაშინ იმუნიტეტი პრაქტიკულად იქნებოდა უარყოფილი ...“ (იქვე, Par. 82).

<sup>166</sup> Badr G.M., 89, იხ. სქოლიო 162.

<sup>167</sup> სხვა საქმეა, როდესაც სახელმწიფო კონკრეტულ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს არა როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი, არამედ როგორც კერძო პირი. სახელმწიფოს ამ ორგვაროვან ბუნებასა (როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტისა და კერძო პირის) და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს კარგად განმარტავს იტალიის საკასაციო სასამართლო საქმეზე – *Government of Bolivia v. Italian Association for Aeronautical Exports*. კერძოდ, სასამართლო აცხადებს: „სახელმწიფოს აქვს ერთი სამართალსუბიექტობა, მაგრამ ორი იპოსტასი: ერთი უკავშირდება საჯარო სამართალს, ხოლო მეორე – კერძო სამართალს. სხვადასხვა შედეგი დგება, გამომდინარე იქიდან, თუ რომელი მათგანის მიხედვით მოქმედებს სახელმწიფო – კერძო თუ საჯარო სამართლის მიხედვით. თუ სახელმწიფო მოქმედებს სუვერენული უფლებამოსილების ფარგლებში და მოქმედებს თავისი ამოცანების რეალიზებისა და სოციალური ფუნქციების შესრულების მიზნით, ის არ ექვემდებარება ჩვეულებრივი სასამართლოს იურისდიქციას, მაგრამ, თუ სახელმწიფო მოქმედებს ქონებრივი ურთიერთობების სფეროში და შედის ეკონომიკურ გარიგებებში სხვა პირებთან, როგორც კერძო პირი, მაშინ ის ... ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე ხელშეკრულების მეორე მხარის თანასწორია ...; თუ სახელმწიფო მოქმედებს საჯარო სამართლის სფეროში და ახორციელებს სუვერენულ უფლებამოსილებას, მაშინ იტალიის სასამართლო იურისდიქციის გავრცელება შელახავდა მის სუვერენულ უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, მოქმედებს პრინციპი: *par in parem non habet imperium*; და პირიქით, – თუ სახელმწიფო დაამყარებს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, მან შეიძლება, წარადგინოს, ან მის წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი და მის მიმართ იქნება ისეთივე დამოკიდებულება, როგორც უცხოელი მოქალაქის მიმართ.“ (იხ. *Government of Bolivia v. Italian Association for Aeronautical Exports, Italy, Court of Cassation (United Sections), 1948 (15 ILR 133, 136)*).

<sup>168</sup> Badr G.M., 64, იხ. სქოლიო 162.



ქმედების სუვერენულად კვალიფიკაციისთვის არავითარი ყურადღება არ ექცევა ამ ქმედების მართლზომიერებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის თვალსაზრისით ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებსაც სახელმწიფო სჩადის საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სახელმწიფოს სუვერენული ქმედებებია და, აქედან გამომდინარე, ამ ქმედებებთან მიმართებით სახელმწიფო სარგებლობს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

არგუმენტის მიერ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების არასუვერენულ ქმედებებად განხილვა განპირობებულია გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტით, რომელიც არავითარ კავშირში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან არ არის. შესაბამისად, არასწორია სუვერენიტეტის ამ ასპექტიდან გამომდინარე სახელმწიფო იმუნიტეტის მიზნებისთვის სახელმწიფოს ქმედების სუვერენულად ან არასუვერენულად კვალიფიკირება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტი ასახავს სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებას.<sup>169</sup> სუვერენიტეტის ამ ასპექტის თვალსაზრისით, სახელმწიფოები დამოუკიდებელი არიან საერთაშორისო სამართლისგან იმ გაგებით, რომ ისინი თვითონ წყვეტენ, საერთაშორისო სამართლის რომელ ნორმებს და რა შინაარსით აქვთ მათთვის სავალდებულო ძალა.<sup>170</sup>

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში ჩნდება მოსაზრება, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა ნორმათა გარკვეული კატეგორია – საერთაშორისო სამართლის *jus cogens* ნორმები, რომლებმაც შეზღუდეს გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტი. შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ ამ ნორმებს სახელმწიფოებისათვის მხოლოდ ძალა აქვთ, მიუხედავად იმისა, თავისთვის სავალდებულოდ აღიარებენ თუ არა მათ სახელმწიფოები;<sup>171</sup> მეტიც, ეს ნორმები მათთვის სავალდებულოა იმ სახით, რა სახითაც არიან ისინი დადგენილი: როგორც აღინიშნა, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით

<sup>169</sup> იხ. სქოლიო 149.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მაგ., იხ. Alexidze L., *Legal Nature of Jus Cogens in Contemporary International Law, Recueil des Cours, Volume 172, 1981, 243-258*; Turpel M.E., Sands P., *Peremptory International Law and Sovereignty: Some Questions, 3 Connecticut Journal International Law 364, 1988, 365*. Danilenko G., *Law-Making in the International Community* (Dordrecht: Martinus Nijhoff Publishers, 1993), 223; Nieto-Navia R., *International Peremptory Norms (Jus Cogens) and International Humanitarian Law, 613* (იხ. სტატიათა კრებული Vohrah L.C., Pocar F., Featherstone Y., Fourmy O., Graham C., Hocking J. and Robson N., *Man's Inhumanity to Men, Essays on International Law in Honor of Antonio Cassese* (Hague: Kluwer Law International, 2003)).

გადაუხვიონ ამ ნორმების შინაარსს.<sup>172</sup> აღნიშნულ ნორმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხვედრითი წილი იმ საერთაშორისო ნორმებზე მოდის, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს განამტკიცებენ.<sup>173</sup>

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის მბოჭავი ნორმების, წარმოჩენამ გამოიწვია ნაშრომის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილი არგუმენტის აღმოცენების პროვოცირება. სწორედ იმ მოსაზრების ფონზე, რომ *jus cogens* ნორმებმა გამოიწვიეს სახელმწიფო გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტის შეზღუდვა, ჩნდება შეხედულება, რომ სახელმწიფოს ქმედებები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს არღვევენ, არ შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად. შესაბამისად, ამ ქმედებებთან მიმართებით სახელმწიფო არ შეიძლება სარგებლობდეს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან.

სუვერენული ქმედების დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის შეფასება კიდევ ერთხელ მოითხოვს იმის ხაზგასმას, რომ იმპერატიული ნორმებით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვაში უნდა ვიგულისხმოთ გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტის შეზღუდვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სუვერენიტეტის ამ ასპექტის ძალით, სახელმწიფოებს ენიჭებათ თავისუფლება, თავად გადაწყვიტონ საერთაშორისო სამართლის რომელი ნორმები და რა შინაარსით გამოაცხადონ თავისთვის მბოჭავად<sup>174</sup> და, შესაბამისად, სუვერენიტეტის სწორედ ეს ასპექტი იზღუდება საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების განვითარების შედეგად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარე სუვერენიტეტის ამ ასპექტს არაფერი აქვს საერთო სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებასთან. ის ასახავს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებას მაშინ, როდესაც სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთმიმართების კონტექსტში აქვს დატვირთვა. მისი დანიშნულებაა, არ დაუშვას ერთ სახელმწიფოზე, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტზე, უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება და ამგვარად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ის წარმოადგენს შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის გამოვლინებას.

რაც შეეხება გარე სუვერენიტეტს მეორე ასპექტს, ის არ განსაზღვრავს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შინაარსს, ვინაიდან სახელმწიფოსა და

<sup>172</sup> იხ. ვენის 1969 წლის კონვენციის 53-ე მუხლი. იხ. სქოლიო 142.

<sup>173</sup> Parlett K., *The Individual in the International Legal System: Continuity and Change in International Law*, 326, იხ. სქოლიო 85.

<sup>174</sup> იხ. სქოლიო 149.

საერთაშორისო სამართლის „მუდმივად ცვალებადი“<sup>175</sup> ურთიერთმიმართება ასახვას არ პოულობს სახელმწიფოების ურთიერთმიმართებაში. შესაბამისად, როგორც არ უნდა ექვემდებარებოდეს და იზღუდებოდეს სახელმწიფო საერთაშორისო სამართლით, ეს მაინც გავლენას ვერ მოახდენს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობაზე ერთმანეთთან ურთიერთობაში. ეს გარემოება კარგად არის ასახული საერთაშორისო სამართლის დეფინიციაში, რომელიც მოცემულია საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე – *The Case of the S.S. Lotus, France v. Turkey*, რომელშიც საერთაშორისო სამართალი განმარტებულია როგორც „სახელმწიფოების მხოლოდ ვესები ... რომლებიც არეგულირებენ ... დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს ...“<sup>176</sup> საერთაშორისო სამართლის ეს განმარტება ნათელყოფს, რომ სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება და თავად სახელმწიფოების ურთიერთმიმართება სულ სხვადასხვა საკითხებია და რომ სახელმწიფოთა ბოჭვა საერთაშორისო სამართლით, არ გულისხმობს სახელმწიფოთა დაქვემდებარებას ერთმანეთისადმი, მათ შორის, ერთმანეთის იურისდიქციისადმი.

იმის გათვალისწინებით, რომ გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტს არავითარი შეხება იმუნიტეტის პრინციპის შინაარსთან არა აქვს, არასწორია სუვერენიტეტის ამ ასპექტიდან გამომდინარე, იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სახელმწიფოს ქმედებების არასუვერენულად კვალიფიკაცია. ნაშრომის წინამდებარე თავში განსახილველი არგუმენტის მთავარი შეცდომაა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების არასუვერენულ ქმედებებად კვალიფიკაციისას ხელმძღვანელობს გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტით, რომელსაც, როგორც აღინიშნა, არავითარი კავშირი სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან არა აქვს. ამის საფუძველზე, არგუმენტი არასწორ შინაარს დებს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ფარგლებში დაცულ სუვერენულ ქმედებებში და აკეთებს არასწორ დასკვნებს იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებასთან დაკავშირებით.

არგუმენტის შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ ის სათანადო ყურადღებას არ უთმობს იმ ფაქტს, რომ სუვერენიტეტი რამდენიმე ასპექტს მოიცავს და რომ ის, რაც სუვერენიტეტის ერთი ასპექტის თვალსაზრისით მიიჩნევა სახელმწიფოს არასუვერენულ ქმედებად, ასეთად არ მიიჩნევა სხვა ასპექტების მიხედვით. შესაბამისად, ის, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს არასუვერენულ ქმედებებად, არ გულისხმობს იმას, რომ ეს დარღვევები არასუვერენულ ქმედებებს წარმოადგენენ შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის მეორე

<sup>175</sup> Slomanson W. R., *Fundamental Perspectives on International Law*, Sixth Edition (Boston: Wadsworth, 2010), 46.

<sup>176</sup> *The Case of the S.S. Lotus (France v. Turkey)*, PCIJ, 1927, Para. 44. გადაწყვეტილების ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: [http://www.worldcourts.com/pcij/eng/decisions/1927.09.07\\_lotus.htm](http://www.worldcourts.com/pcij/eng/decisions/1927.09.07_lotus.htm) (ნანახია: 30/03/2011).

ასპექტის თვალსაზრისითაც; სხვა სიტყვებით, სუვერენიტეტის იმ ასპექტების თვალსაზრისით, რომლებიც განსაზღვრავენ იმუნიტეტის პრინციპის შინაარსს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს არ გამოუწვევია სუვერენიტეტის იმ ასპექტების შეზღუდვა, რომლებიც უშუალო კავშირში არიან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან. ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, სუვერენიტეტის ამ ასპექტების თვალსაზრისით, დღესაც განიხილებიან სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად და, შესაბამისად, ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოები კვლავაც უნდა სარგებლობდნენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

## 2.4 დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის ზემოთმოყვანილი ნაწილში განხილული არგუმენტი იყენებს სუვერენულ ქმედებების არასწორ განმარტებას. კერძოდ, ის არასწორად მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და, აქედან გამომდინარე, შეცდომით აკეთებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოებს არ ენიჭებათ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

არგუმენტის შეცდომა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფცია რამდენიმე ასპექტს მოიცავს და ყველა ასპექტი არ არის რელევანტური იმუნიტეტის პრინციპის კონტექსტში.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი ეყრდნობა სახელმწიფო სუვერენიტეტის იმ ასპექტებს, რომელთა ძალითაც სახელმწიფო, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი, მოიაზრება სხვა სახელმწიფოებისგან დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელიც, შესაბამისად, არ ექვემდებარება უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციას. სუვერენიტეტის ეს ასპექტებია: შიდა სუვერენიტეტი და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტი.

სუვერენიტეტის შიდა ასპექტის ძალით სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე მოიაზრება უზენაესი სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტად. რაც შეეხება გარე სუვერენიტეტის პირველ ასპექტს, მის მიხედვით სახელმწიფო საერთაშორისო სამთავრობათაშორის ურთიერთობებში წარმოადგენს ყველა სხვა სახელმწიფოს თანასწორ სუბიექტს.

სწორედ იმის ხარჯზე, რომ სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე წარმოადგენს უზენაეს ხელისუფალს და საერთაშორისო ასპარეზზე ყველა სახელმწიფოს თანასწორ სუბიექტს, ის საკუთარ სახელისუფლებო ქმედებებთან დაკავშირებით სარგებლობს დამოუკიდებლობით, ანუ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის თვალსაზრისით, სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებში მოიაზრება სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს საკუთარ ტერიტორიაზე ან საერთაშორისო ასპარეზზე როგორც საჯარო პირი. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება სახელმწიფოს ქმედებების მართლზომიერების საკითხს. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი, მოქმედებს, მათ შორის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების დარღვევით, ის სუვერენიტეტის ამ ორი ასპექტის ძალით ითვლება სუვერენულ სტატუსში მოქმედ სუბიექტად და, აქედან გამომდინარე, მისი ქმედებები სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სუვერენულ ქმედებებს წარმოადგენენ.

ნაშრომის წინამდებარე თავში განხილული არგუმენტი აცხადებს რა, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სუვერენულ ქმედებებს, ეყრდნობა გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტს.

გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტის მიხედვით, სახელმწიფო დამოუკიდებელია საერთაშორისო სამართლისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო სამართალს არ აქვს სახელმწიფოსთვის სავალდებულო ძალა, სანამ თავად სახელმწიფო არ აღიარებს საერთაშორისო სამართალს თავისთვის სავალდებულოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო სამართალში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ჩამოყალიბდა ნორმათა გარკვეული კატეგორია, რომელიც ცხადდება სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ, განურჩევლად იმისა, აღიარებს თუ არა მათ სავალდებულოებას თავად სახელმწიფო. ეს ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს. იმის გათვალისწინებით, რომ იმპერატიული ნორმები, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმები, სამართლებრივად მხოლავია სახელმწიფოებისთვის მათი ნება-სურვილის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართალში მათი ჩამოყალიბების შედეგად მოხდა გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტის შეზღუდვა.

აღსანიშნავია, რომ გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტის შეზღუდვას უკავშირებენ სხვადასხვა იურიდიულ შედეგებს,<sup>177</sup> მათ შორის, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვასაც. კერძოდ, სწორედ სუვერენიტეტის ამ

<sup>177</sup> მაგ., სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვიდან გამომდინარე ხდება ჰუმანიტარული ინტერვენციის დასაშვებობის დასაბუთება (Pattison J., *Humanitarian Intervention and Responsibility to Protect, Who Should Intervene?* (New York: Oxford University Press, 2010), 2-4).

ასპექტის შეზღუდვის ფონზე ჩნდება ნაშრომის მოცემულ ნაწილში განხილული არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ, შესაბამისად, ამ ქმედებებთან მიმართებით სახელმწიფოს არ შეიძლება მიენიჭოს იმუნიტეტის უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

არგუმენტი, გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების სახელმწიფოს არასუვერენულ ქმედებად კვალიფიკაციისას, ეყრდნობა სუვერენიტეტის არარელევანტურ ასპექტს. სუვერენიტეტის ეს ასპექტი არავითარ როლს არ თამაშობს იმუნიტეტის პრინციპის შინაარსის განსაზღვრაში. შესაბამისად, სუვერენიტეტის ამ ასპექტიდან გამომდინარე არასწორია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების არასუვერენულ ქმედებად კვალიფიკაცია და იმის მტკიცება, რომ ამ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი გამომდინარეობს შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტიდან. იმის გათვალისწინებით, რომ დღესაც, სუვერენიტეტის ამ ასპექტების თვალსაზრისით, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს, სახელმწიფოები ამ დარღვევებთან დაკავშირებით კვლავაც დაცულნი არიან იმუნიტეტით.

ამგვარად ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში წარმოდგენილი არგუმენტი, სვამს რა არასწორ აქცენტებს სუვერენიტეტის კონცეფციაში, შეცდომით მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფო არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

ამ დასკვნის გასამყარებლად ნაშრომის მომდევნო ნაწილში მოხდება იმ ტენდენციების მიმოხილვა, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადამიანის უფლებების სასარგებლოდ და იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ შეინიშნება. ამ ტენდენციების განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი ქმნიან საფუძველს ვარაუდისათვის, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მოხდა სუვერენული ქმედების კონცეფციის ცვლილება და რომ ამის შედეგად, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, მათ შორის, დარღვევები, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, აღარ განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად.

### 3. ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ განვითარებული ტენდენციები და იმუნიტეტის პრინციპი

#### 3.1 შესავალი

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში იმუნიტეტის პრინციპის საწინააღმდეგოდ და ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ გარკვეული ტენდენციები ვითარდება.

ამ ტენდენციებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში განვითარდა პრაქტიკა, რომლის ძალითაც ეროვნული სასამართლოები არ ანიჭებენ უცხო სახელმწიფოებს იმუნიტეტს ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უცხო სახელმწიფოებმა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელეს. იმ სახელმწიფოებს შორის, სადაც გავრცელებულია მსგავსი პრაქტიკა, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს აშშ. ამ თვალსაზრისით, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე ცნობილ გადაწყვეტილებას წარმოადგენს გადაწყვეტილება საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile*. აქვე უნდა ვახსენოთ, რომ აშშ უფრო შორსაც წავიდა და 1996 წელს მიიღო, ე.წ. ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტი (*Anti-Terrorism and Effective Death Penalty Act*, შემდგომში – ანტიტერორისტული აქტი), რომლის საფუძველზეც აშშ-ის სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება განიხილონ აშშ-ის მოქალაქეების მიერ უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები, რომლებიც ეხება ამ უკანასკნელთა მიერ აშშ-ის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩადენილ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს. და ბოლოს, უნდა ვახსენოთ, რომ სახელმწიფოები უარს ამბობენ უცხო სახელმწიფოს ოფიციალური პირებისთვის ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით ფუნქციური იმუნიტეტის მინიჭებაზე.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში ხდება ადამიანის უფლებების სასარგებლოდ და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ განვითარებულ ზემოხსენებულ ტენდენციებზე ყურადღების შეჩერება, ვინაიდან ისინი, ერთი შეხედვით, შეიძლება ტოვებდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპმა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით განიცადა კონცეპტუალური ცვლილება. იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალურ ცვლილებაში ვგულისხმობთ იმ სახელისუფლებო ქმედებების კონცეფციის ცვლილებას, რომლებთან მიმართებითაც სახელმწიფოებს იცავს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან. მსგავსი ინტერპრეტაციის შედეგად, მითითებული ტენდენციები შეიძლება გამოყენებულ იქნენ იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის

ფარგლებში ადამიანის უფლებების მიმე დარღვევები არ განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად და რომ, შესაბამისად, შესაძლებელი ხდება ამ დარღვევებთან დაკავშირებით ერთ სახელმწიფოზე მეორე სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება, მაშინაც კი, თუ ეს დარღვევები სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

ამ შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის თითოეული ზემოხსენებული შემთხვევა. კერძოდ, ნაშრომის მე-3.2 ქვეთავში გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფოები უარს ეუბნებიან უცხო სახელმწიფოებს იმუნიტეტის მინიჭებაზე ადამიანის უფლებების იმ მიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელეს. ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აშშ-ის სასამართლოს მიერ საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც ჩილეს უარი ეთქვა იმუნიტეტის მინიჭებაზე და დაეკისრა სამოქალაქო პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების მიმე დარღვევების იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ამ უკანასკნელმა აშშ-ის ტერიტორიაზე განახორციელა. ნაშრომის მე-3.3 ქვეთავი ეთმობა აშშ-ს მიერ მიღებულ ანტიტერორისტულ აქტს. დაბოლოს, ნაშრომის მე-3.4 ქვეთავში განხილულია სახელმწიფოთა ოფიციალური პირებისთვის ადამიანის უფლებების სასარგებლოდ ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვის საკითხი.

ამ საკითხების მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მოქმედებს იმუნიტეტის სპეციფიკური წესები, რომლებიც იძლევიან ადამიანის უფლებების სასარგებლოდ მათი შეზღუდვის შესაძლებლობას და რომ ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის ამ წესების მოქმედების ფარგლების შეზღუდვის შედეგად სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს არ განუცდია კონცეპტუალური ცვლილება, რაც საშუალებას მოგვცემდა გვემტკიცებინა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ადამიანის უფლებების მიმე დარღვევები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ, შესაბამისად, ამ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოები არ სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.



### 3.2 ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი დელიქტური ვალდებულებები და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი

არგუმენტი, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ არის სუვერენული ქმედებები და, აქედან გამომდინარე, ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოები არ უნდა სარგებლობდნენ იმუნიტეტით სხვა სახელმწიფოთა იურისდიქციისგან, „გალვიდა“ აშშ-ის სასამართლოს მიერ საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – მიღებული გადაწყვეტილებებით.

ზემოაღნიშნულ საქმეზე სარჩელი წარადგინეს აშშ-ის ტერიტორიაზე მოკლული ჩილეს ყოფილი ელჩის, ორლანდო ლეტელიერისა და მასთან ერთად დაღუპული პირის, რონი მოფიტის, ნათესავებმა.<sup>178</sup> გამოძიებამ დაადგინა, რომ ყოფილი ელჩის მკვლელობა განხორციელდა ჩილეს სადაზვერვო სამსახურის დაკვეთითა და ორგანიზებით.<sup>179</sup> აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ყოფილი ელჩისა და მოფიტის ნათესავებმა აშშ-ის სასამართლოში ჩილეს წინააღმდეგ შეიტანეს სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.<sup>180</sup>

მართალია, ჩილე უარყოფდა თავისი სადაზვერვო სამსახურის მონაწილეობას ყოფილი ელჩისა და რონი მოფიტის მკვლელობაში, მაგრამ, ამავე დროს, ის აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, მისი სადაზვერვო სამსახურის დაკვეთითა და ორგანიზებით რომ მომხდარიყო მკვლელობა, ამ საქმესთან დაკავშირებით ჩილეს მაინც დაიცავდა იმუნიტეტი, ვინაიდან სადაზვერვო სამსახური ჩილეს სამთავრობო სტრუქტურაა და, შესაბამისად, ჩილეს მტკიცებით, მის ქმედებებზე აშშ-ის სასამართლოს იურისდიქცია ვერ გავრცელდებოდა.<sup>181</sup>

აშშ-ის სასამართლომ არ გაიზიარა ჩილეს პოზიცია და 1976 წლის აქტის 1605(a)(5) მუხლის საფუძველზე<sup>182</sup> უარი უთხრა მას იმუნიტეტის

<sup>178</sup> *Letelier v. Republic of Chile*, US, District Court, District of Columbia, 1980 (63 ILR 378).

<sup>179</sup> იქვე, 379.

<sup>180</sup> იქვე.

<sup>181</sup> იქვე.

<sup>182</sup> აღნიშნული მუხლის მიხედვით, უცხო სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით აშშ-ის სასამართლო იურისდიქციისგან იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი შეეხება ზიანს, რომელიც დადგა აშშ-ის ტერიტორიაზე და რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს, მისი ოფიციალური პირის ან სახელმწიფოს მიერ დაქირავებული პირის მოქმედებით ან უმოქმედობით. ეს მუხლი ითვალისწინებს ორ გამონაკლისს: სახელმწიფო იმუნიტეტი ვრცელდება უცხო სახელმწიფოს მიერ აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელებულ იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც: 1) შესრულებულია ამ სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დისკრეციული უფლებამოსილება ბოროტად იქნა გამოყენებული უცხო სახელმწიფოს მიერ; ან 2) გამოწვეულია უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის, პროცესუალური დარღვევების, ცრუ ინფორმაციის გავრცელების, მოტყუების ან სახელშეკრულებო უფლებებში ჩარევის

მინიჭებაზე.<sup>183</sup> საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებაში სასამართლომ მიუთითა: „ნათელია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული პირის ან პირებისთვის ზიანის მიყენებას ან მათ სიკვდილს, ... როგორც წესი, პოლიტიკური მსჯელობის ან გადაწყვეტილების საგანია და აქედან გამომდინარე, ამოღებულია [აშშ-ის სასამართლო იურისდიქციიდან], თუმცა ასეთი გამონაკლისი არ გამოდგება ამ სარჩელის დასაბლოკად. აღიარებულია, რომ [სახელმწიფოს] არ გააჩნია დისკრეცია, თვითონ ჩაიდინოს ან დაავალოს ოფიციალურ პირებს, ... ჩაიდინონ არაკანონიერი აქტი. როგორც პოლიტიკური მოტივებიც არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, მას არა აქვს დისკრეცია განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს პირის ან პირთა სიკვდილს და აშკარად ეწინააღმდეგება კაცობრიობის იმ ღირებულებებს, რომლებიც აღიარებულია როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო სამართალში.“<sup>184</sup>

საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში აშშ-ის სასამართლოს მიერ საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – მიღებული გადაწყვეტილება ავტორთა გარკვეული ჯგუფის მიერ განიმარტება როგორც იმის დასტური, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები აღარ განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად და რომ ამ დარღვევებთან მიმართებით მოხდა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვა.<sup>185</sup>

მსგავსი შეხედულება შეიძლება ტოვებდეს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებიც ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, ერთ დროს განიხილებოდა სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად, მაგრამ ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის შედეგად საერთაშორისო სამართალი აღარ განიხილავს მათ ასეთად და, შესაბამისად, აღარ ანიჭებს სახელმწიფოებს ამ დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან. ამის ფონზე შეიძლება განჩნდეს შეკითხვა: თუ საერთაშორისო სამართალმა დასაშვებად აღიარა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვა ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ არასაომარ ვითარებაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი იმავეს გაკეთება ანალოგიურ დარღვევებთან მიმართებით, რომლებსაც სახელმწიფო შეიარაღებული

---

შედგად (Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary*, 264-265, იხ. სქოლიო 122).

<sup>183</sup> *Letelier v. Republic of Chile*, 388, იხ. სქოლიო 178.

<sup>184</sup> იქვე.

<sup>185</sup> მაგ., იხ. Stern B., Can a State or A Head of State Claim The Benefit of Immunities in Case an International Crime Has Been Committed? 14 *ILSA Journal of International & Comparative Law* 441, 2008, 447 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან); Humes-Schulz S., Limiting Sovereign Immunity in the Age of Human Rights, 21 *Harvard Human Rights Journal* 105, 2008, 120 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან).

კონფლიქტის კონტექსტში უცხო სახელმწიფოს ან საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კონვენციებში, აშშ-ის 1976 წლის აქტის მსგავსად, არაა გათვალისწინებული იმუნიტეტი იმ სარჩელებთან მიმართებით, რომლებიც ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედების შედეგად პირისთვის ან მისი ქონებისთვის მიყენებულ ზიანს ეხება.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ 1972 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში – 1972 წლის ევროპული კონვენცია) მე-11 მუხლი, რომელიც მიუთითებს: „კონვენციის წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია მოითხოვოს იმუნიტეტის მინიჭება მეორე წევრი სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქციისგან იმ პროცესზე, რომელიც ეხება პირისთვის ან მისი ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუ ის ფაქტები, რომლებმაც გამოიწვიეს ზიანი, მოხდა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და თუ ის პირი, რომლის ქმედების შედეგადაც დადგა ზიანი, იმყოფებოდა ამ ტერიტორიაზე ზიანის მიყენების მომენტში.“<sup>186</sup>

ანალოგიურად, სახელმწიფოსა და მისი ქონების იმუნიტეტების შესახებ გაეროს 2004 წლის კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფოებს შორის სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს არ შეუძლია, ისარგებლოს იმუნიტეტით სხვა სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს საქმე, რომელიც ეხება პირის გარდაცვალების, მისი დასახიჩრების, ან მისი ქონების დაზიანების ან დაკარგვის შედეგად მიყენებული ისეთი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოსთვის შერაცხული მოქმედებით ან უმოქმედობით, თუ ეს მოქმედება ან უმოქმედობა მთლიანად ან ნაწილობრივ წარიმართა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და თუ პირი, რომლის მოქმედების ან უმოქმედობის შედეგადაც დადგა ზიანი, მოქმედების ან უმოქმედობის მომენტში იმყოფებოდა ამ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.“<sup>187</sup>

<sup>186</sup> 1972 წლის ევროპული კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე: <http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?CL=ENG&NT=074>

<sup>187</sup> კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს დებულებებს შეიცავს სხვადასხვა სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტებიც. მაგ., გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ 1978 წლის აქტის (შემდგომში – გაერთიანებული სამეფოს 1978 წლის აქტი) მე-5 მუხლი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება პირის გარდაცვალების ან დასახიჩრების ან მისი ქონების დაზიანების თუ დაკარგვის შედეგად მიყენებულ ზიანს, თუ ქმედება, რომელმაც გამოიწვია ეს ზიანი, განხორციელდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე (იხ. Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary*, 367, იხ. სქოლიო 122). იხ. აგრეთვე: ავსტრალიის 1985 წლის უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტების შესახებ აქტის მე-13 მუხლი; კანადის 1980 წლის

როგორც ზემოთ დასახელებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ციტირებული დებულებებიდან იკვეთება, შესაბამისი აქტები ყურადღებას არ ამახვილებენ იმ გარემოებაზე, თუ რა სტატუსით მოქმედებდა სახელმწიფო ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფიზიკური პირისთვის ან მისი ქონებისთვის ზიანის მიყენების მომენტში – სახელისუფლებო თუ კერძო პირის სტატუსით. ამ გარემოების დაფიქსირება ძალიან მნიშვნელოვანია იმ განსხვავების ასახსნელად, რომელიც არსებობს იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებაში, ერთის მხრივ, ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე განახორციელა და, მეორეს მხრივ, იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფო უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახორციელებს.

ერთი შეხედვით, იმ ფაქტის საფუძველზე, რომ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტებში არაა გამიჯნული უცხო სახელმწიფოს მიერ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებებში სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ქმედებები, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის მიზნებისთვის ასეთ გამიჯვნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც უცხო სახელმწიფო ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირს ან მის ქონებას მიაყენებს ზიანს, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ენიჭება უფლება გაავრცელოს უცხო სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქცია. სინამდვილეში ასეთი გამიჯვნის გაკეთება მნიშვნელოვანია, უბრალოდ, თუ უცხო სახელმწიფოს მიერ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული რომელი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს სახელისუფლებო ქმედებებად და შესაბამისად, რომელ ქმედებებთან მიმართებით შეიძლება გავრცელდეს იმუნიტეტი სახელმწიფოზე ადგილსამყოფელი სასამართლოს იურისდიქციისგან, ამას არეგულირებს არა საერთაშორისო სამართალი, არამედ თვითონ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართალი.

საყურადღებოა, რომ ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელება, თუ ამ უკანასკნელისგან არ ექნება შესაბამისი თანხმობა მიღებული.<sup>188</sup> შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მიერ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, ისეთიც კი, რომელიც, ერთი შეხედვით, წარმოადგენს სახელისუფლებო სტატუსში განხორციელებულ ქმედებას, არ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს, თუ ამ ქმედების განხორციელებაზე არ იარსებებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობა. სწორედ ამაზე მიუთითებს საერთაშორისო

---

სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტის მე-6 მუხლი; სამხრეთ აფრიკის 1981 წლის უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტების შესახებ აქტის მე-6 მუხლი და სინგაპურის 1979 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტის მე-7 მუხლი (მითითებული კანონების ტექსტები იხ. Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary*, იხ. სქოლიო 122).

<sup>188</sup> Cassese A., *International Law*, Second Edition (New York: Oxford University Press, 2005), 51-52.

მართლმსაჯულების მუდმივი პალატა საქმეზე – *Lotus Case*: „საერთაშორისო სამართლის პირველი და ყველაზე მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ სახელმწიფოს არანაირი ფორმით არ შეუძლია განახორციელოს სახელისუფლებო უფლებამოსილებანი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საპირისპირო წესი.“<sup>189</sup> შედეგად, ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელებულია უცხო სახელმწიფოს მიერ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, არ არის დაცული იმუნიტეტით და მასზე ვრცელდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქცია.<sup>190</sup>

ის გარემოება, რომ ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელისუფლებო სტატუსით მოქმედება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, გამომდინარეობს სუვერენიტეტის შიდა ასპექტიდან. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სახელმწიფო სუვერენიტეტის შიდა ასპექტში იგულისხმება, რომ სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე ფლობს უზენაეს ხელისუფლებას – *suprema potestas*,<sup>191</sup> და შეუძლია, სხვა სახელმწიფოებისგან დამოუკიდებლად განახორციელოს სახელისუფლებო ფუნქციები.<sup>192</sup> საკუთარ ტერიტორიაზე სახელისუფლებო უფლებამოსილებების უზენაესობა, თავისთავად, გამორიცხავს სხვა სახელმწიფოს მიერ ამავე ტერიტორიაზე ანალოგიური სტატუსით მოქმედებასა და ანალოგიური ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას. როგორც კანადის სასამართლო საქმეზე – *Venne v. Democratic Republic of the Congo* – განაცხადა: სახელმწიფოს „სუვერენიტეტი ... იქნებოდა ხელყოფილი, თუ უცხო სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ძალით ექნებოდა უფლება, მოეთხოვა იმ სახელმწიფოს კანონებზე მაღლა დადგომა, რომლის ტერიტორიაზეც მან გარიგებები დადო ან ისეთი ქმედებები განახორციელა, რომლებსაც ამ სახელმწიფოს კანონების მიხედვით სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.“<sup>193</sup>

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შესაძლებელია იმის ახსნა, თუ როგორ მისცა აშშ-ის სასამართლოს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპმა იმის შესაძლებლობა, რომ იმუნიტეტი არ გავრცელდებულყო ჩილეზე საქმეში – *Letelier v. Republic of Chile*. მოცემულ საქმეზე მოპასუხე სახელმწიფო მოქმედებდა აშშ-ის ტერიტორიაზე და შესაბამისად, მისი ქმედებების სუვერენულად ან არასუვერენულად კვალიფიკაცია და ამის მიხედვით მისთვის იმუნიტეტის მინიჭება/არმინიჭების საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებული იყო აშშ-ზე. აშშ-ის 1976 წლის აქტის 1605(a)(5) მუხლის საფუძველზე სუვერენულად არ ითვლება უცხო სახელმწიფოს მიერ აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელებული ისეთი ქმედებები,

<sup>189</sup> *The Case of the S.S. Lotus (France v. Turkey)*, Par. 45. იხ. სქოლიო 176.

<sup>190</sup> *Van Alebeek R.*, 70-71, იხ. სქოლიო 155.

<sup>191</sup> *Bankas E. K.*, 33, 38, იხ. სქოლიო 11.

<sup>192</sup> იხ. ნაშრომის გვ. 49-51 და მითითებული სქოლიოები.

<sup>193</sup> *Venne v. Democratic Republic of the Congo*, Canada, Quebec Court of Queen's Bench, Appeal Side, 1968 (64 ILR 1, 7).

რომლებიც *per se* მართლსაწინააღმდეგო ქმედებებად არის მიჩნეული.<sup>194</sup> ასეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს მიეკუთვნება, მაგალითად, პოლიტიკური მკვლელობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მითითებულ საქმეზე.<sup>195</sup> ამის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში ჩილე ვერ ჩაითვლებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტად და მასზე ვერ გავრცელდებოდა იმუნიტეტი აშშ-ის იურისდიქციისგან.<sup>196</sup>

სულ სხვა ვითარებაა, როდესაც სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე არღვევს ადამიანის უფლებებს. სახელმწიფო ამ დარღვევებთან მიმართებით, რა სიმძიმისაც არ უნდა იყოს ისინი, დაცულია უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედებს როგორც უზენაესი და დამოუკიდებელი სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი და შესაბამისად, სუვერენიტეტის შიდა ასპექტიდან

<sup>194</sup> Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary*, 267, იხ. სქოლიო 122.

<sup>195</sup> როგორც აშშ-ის სასამართლო საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – აღნიშნა, სახელმწიფოს „არა აქვს დისკრეცია, განხორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც გამიზნულია ფიზიკური პირის ან პირების მოსაკლავად და რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპებს ...“ (იხ. *Letelier v. Republic of Chile*, 388, იხ. სქოლიო 178).

<sup>196</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში არსებობს აშშ-გან განსხვავებული მიდგომა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ უცხო სახელმწიფოს მიერ მათ ტერიტორიაზე განხორციელებული რომელი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს სახელისუფლებო სტატუსში განხორციელებულ ქმედებებად. აქ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად ითვლება სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება, რომელსაც უცხო სახელმწიფო ახორციელებს მათ ტერიტორიაზე და რომლებიც წარმოადგენენ საჯარო ფუნქციების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებს. ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, ჰქონდა თუ არა უცხო სახელმწიფოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოსგან წინასწარი ნებართვა მოპოვებული შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე. ამის სადემონსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს ჰარლემის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *LF and HMK v. Federal Republic of Germany*. ამ საქმის მიხედვით, სარჩელი წარდგინდა იქნა 1983 წელს ჰოლანდიის მოქალაქის მიერ. მან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის საიდუმლო აგენტთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ნიდერლანდის მოქალაქეს უნდა მიეწოდებინა საიდუმლო აგენტისთვის ნარკოტიკების პარტია გერმანიაში. გერმანიაში ჩასვლისას ნიდერლანდის მოქალაქე დააკავს და შემდგომში გაასამართლეს ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით. მან და მისმა მეუღლემ ნიდერლანდის სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომლითაც ისინი გერმანიისგან ითხოვდნენ უკანონოდ ჩატარებული გამოძიებისა და შემდგომში უკანონო გასამართლების შედეგად მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ მის მიერ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, რომ გერმანიამ ნიდერლანდის ტერიტორიაზე განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებებით „შეაღწა ნიდერლანდის სუვერენიტეტი“ (*LF and HMK v. Federal Republic of Germany*, The Netherlands, District Court of Haarlem, 1986 (94 ILR 342, 348)), ჩათვალა, რომ გერმანიის ქმედებები იყო „საჯაროსამართლებრივი ფუნქციების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები“ (იქვე, 347), ვინაიდან სასამართლოს შეფასებით, მსგავს ქმედებებს ვერ განხორციელებენ კერძო პირები „მსგავსი სახითა და მსგავსი შედეგებით“ (იქვე, 348).

გამომდინარე, ის არ ექვემდებარება უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციას.<sup>197</sup>

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით მოქმედი იმუნიტეტის წესები უნდა განვასხვავოთ აგრეთვე იმუნიტეტის იმ წესებისგან, რომლებიც მოქმედებს ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხო სახელმწიფომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტების დროს განახორციელა. ამ განსხვავების წარმოსაჩენად მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ საბერძნეთის საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე – *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany* – მიღებულ გადაწყვეტილებას და დამატებით განვიხილოთ კიდევ ერთი, კერძოდ, იტალიის საკასაციო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Ferrini v. Federal Republic of Germany*.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ საქმეზე – *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany* – განიხილა საკითხი, სარგებლობდა თუ არა გერმანია იმუნიტეტით საბერძნეთის იურისდიქციისგან ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბერძნეთის ტერიტორიაზე განახორციელა.<sup>198</sup> ანალოგიურად, იტალიის საკასაციო სასამართლოს საქმეზე – *Ferrini v. Federal Republic of Germany* – უნდა გადაეწყვიტა, უნდა გაეგრძელებინა თუ არა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე იმუნიტეტი იმ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ იტალიის ტერიტორიაზე მოსარჩელის უკანონო დაპატიმრების, დეპორტაციისა და იძულებითი შრომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.<sup>199</sup> გერმანია აცხადებდა, რომ მოცემულ სარჩელთან დაკავშირებით ის სარგებლობდა იმუნიტეტით იტალიის სასამართლო იურისდიქციისგან, რასაც დაეთანხმა იტალიის ორი ინსტანციის სასამართლო.<sup>200</sup> ამის შემდეგ მოსარჩელემ საჩივარი შეიტანა იტალიის საკასაციო სასამართლოში, რომელმაც, პირველი ორი ინსტანციისგან განსხვავებით, დააკმაყოფილა სარჩელი და უარი უთხრა გერმანიას იმუნიტეტის მინიჭებაზე. საკუთარი გადაწყვეტილების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან გერმანიამ შესაბამისი სამართალდარღვევები განახორციელა იტალიის ტერიტორიაზე, ის ამ დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტით ვერ ისარგებლებდა.<sup>201</sup>

იმ ფონზე, რომ სახელმწიფოებს მათ ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისთვის ან მათი ქონებისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით

<sup>197</sup> იხ. გვ. 49-52 და მითითებული სქოლიოები.  
<sup>198</sup> იხ. სქოლიო 136.  
<sup>199</sup> *Ferrini v. Federal Republic of Germany*, 659, იხ. სქოლიო 13.  
<sup>200</sup> იქვე.  
<sup>201</sup> იქვე, 670-671.

აქვთ უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელების განხილვის უფლება, შეიძლება შექმნილიყო ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საბერძნეთისა და იტალიის საკასაციო სასამართლოებს ზემოაღნიშნულ საქმეებზე ჰქონდათ უფლება არ გაეგრძელებინათ გერმანიაზე იმუნიტეტი ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა II მსოფლიო ომის დროს საბერძნეთისა და იტალიის ტერიტორიებზე განახორციელა. როგორც აღინიშნა, ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელისუფლებო სტატუსით მოქმედება შეუძლია მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში. ასეთი თანხმობის არარსებობის პირობებში კი სახელმწიფო ვერ ჩაითვლება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტად და შესაბამისად, მის ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით მას იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან ვერ მიენიჭება. ამის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, თითქოს იტალიისა და საბერძნეთის საკასაციო სასამართლოებს ჰქონდათ უფლება, უარი ეთქვათ გერმანიისთვის მათ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტის მინიჭებაზე. თუმცა მსგავსი დასკვნა მცდარია.

საქმე იმაშია, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში გერმანიის ქმედებები ითვლება არა საბერძნეთისა და იტალიის ტერიტორიაზე, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელებულ ქმედებად. შესაბამისად, გერმანია ამ ქმედებების განხორციელებისას გვევლინება სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტად და ამ ქმედებებთან დაკავშირებითა ის სარგებლობს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან. როგორც იტალიის საკასაციო სასამართლომ საქმეზე – *Campione v. Peti-Nitrogenmuvek NV and Hungarian Republic* – განაცხადა, სახელმწიფოები სახელისუფლებო სტატუსით მოქმედებენ ორ შემთხვევაში: კერძოდ, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც „საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, ან ... როგორც საკუთარი სამართლებრივი სისტემისა და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტები“<sup>202</sup> (ხაზგასმა ავტორისა).

სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მოქმედებს, მაგალითად, საომარი მოქმედებების წარმოებისას და, შესაბამისად, მისი ქმედებები ამ შემთხვევაში სახელისუფლებო ქმედებებია, რომლებთან მიმართებითაც სახელმწიფო სარგებლობს იმუნიტეტით.<sup>203</sup> ამის

<sup>202</sup> *Campione v. Peti-Nitrogenmuvek NV and Hungarian Republic*, Italy, Court of Cassation, 1972 (65 ILR 287, 292).

<sup>203</sup> *Arab Republic of Syria v. Arab Republic of Egypt*, Brazil, Supreme Court, 1982 (91 ILR 288, 298); ამავე საკითხზე დამატებით იხ. *In re Savini and Others*, Italy, Court of Appeal of Rome, 1927 (4 ILR 166, 167); *Société Anonyme 'Eau, Gaz, Électricité et Applications' v. Office d'Aide Mutuelle*, Belgium, Court of Appeal of Brussels, 1956 (23 ILR 205, 206-207); *Carrato v. United States of America*, Canada, Ontario High Court, 1982 (90 ILR 229, 231).



გათვალისწინებით, სამხედრო კონფლიქტების დროს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კერძო პირებისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სახელმწიფოებისთვის იმუნიტეტის მინიჭება საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკაა. ამ პრაქტიკას მისდევენ როგორც ეროვნული სამართლებრივი სისტემები,<sup>204</sup> ისე საერთაშორისო სამართალი. ასე, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს 1978 წლის აქტი, მე-5 მუხლთან ერთად (რომლის მიხედვითაც იმუნიტეტი არ ენიჭება უცხო სახელმწიფოს, გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე ფიზიკური პირისთვის ან მისი ქონებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე წარდგენილ სამოქალაქო სარჩელებთან დაკავშირებით), მე-16(2) მუხლში ითვალისწინებს, რომ ყველა შემთხვევაში იმუნიტეტი იცავს უცხო სახელმწიფოს იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეს უკანასკნელი განახორციელებს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დროს.<sup>205</sup> ანალოგიურად, 1972 წლის ევროპული კონვენციის მე-31 მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული: „იმუნიტეტი იცავს უცხო სახელმწიფოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დროს მიყენებული ზიანიდან გამომდინარე წარდგენილ სარჩელებთან მიმართებით.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, 2004 წლის გაეროს კონვენციაში არ არსებობს ცალსახა მითითება, მაგრამ გავრცელებული შეხედულების თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფიზიკური პირისთვის ან მისი ქონებისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოს ენიჭება იმუნიტეტი.<sup>206</sup>

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საბერძნეთისა და იტალიის საკასაციო სასამართლოების მიერ ზემოაღნიშნულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს იმუნიტეტის პრინციპის დარღვევას და არ ჯდება სახელმწიფო იმუნიტეტიდან იმ გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც, ზოგადად, მოქმედებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილ დელიქტურ ვალდებულებებთან მიმართებით.<sup>207</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას, რატომ არ შეიძლება აშშ-ის სასამართლოს მიერ საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – მიღებული გადაწყვეტილების განვრცობა და მის საფუძველზე იმის მტკიცება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დასაშვებია, რომ ერთმა სახელმწიფომ არ მიანიჭოს მეორე სახელმწიფოს იმუნიტეტი ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა საკუთარ ტერიტორიაზე განახორციელა.

<sup>204</sup> *Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)*, Par. 70-75, იხ. სქოლიო 21.

<sup>205</sup> Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary*, 367, 414, იხ. სქოლიო 122.

<sup>206</sup> *Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)*, Par. 69, იხ. სქოლიო 21.

<sup>207</sup> იქვე, Par. 78.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი იცავს სახელმწიფოს, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტს, მეორე სახელმწიფოს იურისდიქციისგან. ასეთად სახელმწიფო გვევლინება ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევების კონტექსტში, რომლებსაც ის საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების დროს ახორციელებს. შესაბამისად, ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის ძალით დაცულია იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

ამის საპირისპიროდ, სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებისას არ გააჩნია სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტის სტატუსი, თუ თავად ადგილსამყოფელი სახელმწიფო არ მიაჩნებს მას საკუთარ ტერიტორიაზე ამ სტატუსით მოქმედების უფლებამოსილებას. შესაბამისად, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე განხორციელებული ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებად და ამ ქმედებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, არ ენიჭება იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან, თუ თავად ადგილსამყოფელი სახელმწიფო ნებაყოფლობით არ მიაჩნებს მას იმუნიტეტს.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება განსხვავდება სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიასა და უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებით, არ შეიძლება ამ სხვადასხვა კონტექსტში მოქმედი იმუნიტეტის წესების ერთმანეთით ჩანაცვლება და ერთ კონტექსტში მოქმედი იმუნიტეტის პრინციპის მექანიკურად გამოყენება მეორეში. შესაბამისად, არ შეიძლება აშშ-ის სასამართლოს მიერ საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – მიღებული გადაწყვეტილება გამოყენებულ იქნეს იმის დასასაბუთებლად, რომ საერთაშორისო სამართალი დასაშვებად სცნობს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმას ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, ვინაიდან ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია იმუნიტეტის იმ წესების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს სპეციფიკურად იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც უცხო სახელმწიფო ახორციელებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არასაომარ ვითარებაში.

### 3.3 აშშ-ის ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტი (Anti-Terrorism and Effective Death Penalty Act)

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვის დაშვების შესაძლებლობის სასარგებლოდ მეტყველებენ, უნდა აღინიშნოს აშშ-ის მიერ 1996 წელს ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტის მიღება (Anti-Terrorism and Effective Death Penalty Act, შემდგომში – ანტიტერორისტული აქტი).

ანტიტერორისტული აქტი აშშ-ის კონგრესმა მას შემდეგ მიიღო, რაც 1988 წელს ლოკერბიში (შოტლანდია) აშშ-ის ავიაკომპანია Pan Am-ის თვითმფრინავზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპულ პირთა ნათესავებსა და ავიაკომპანიის თანამშრომლებს უარი ეთქვათ აშშ-ის სასამართლოში ლიბიის წინააღმდეგ (რომელსაც ბრალი ედებოდა ტერიტორისტული აქტის ორგანიზებაში) წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის განხილვაზე.<sup>208</sup> უარი დასაბუთებული იყო მოცემულ საქმეზე ლიბიის იმუნიტეტით აშშ-ის იურისდიქციისგან.<sup>209</sup>

სწორედ ზემოაღნიშნული საქმის საპასუხოდ, 1996 წელს აშშ-ის კონგრესმა 1976 წლის აქტში შეიტანა ცვლილებები, რითაც უფლება მიანიჭა აშშ-ის სასამართლოებს, განიხილონ უცხო სახელმწიფოთა წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები, რომლებითაც აშშ-ის მოქალაქეები მოითხოვენ აშშ-ის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მათი ან მათი ნათესავების წინააღმდეგ ჩადენილი ისეთ დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, როგორებიცაა: წამება, მკვლელობა, საჰაერო საბოტაჟი და მძევლების აყვანა.<sup>210</sup>

ეს ცვლილებები ცნობილია აშშ-ის ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტის (Anti-Terrorism and Effective Death Penalty Act) (შემდგომში – ანტიტერორისტული აქტი) სახელწოდებით. ამ აქტის 1605(a)7 მუხლის ძალით, აშშ-ის სასამართლოში იმუნიტეტი არ ენიჭება იმ სახელმწიფოებს, რომელთა ოფიციალური პირების ან რომელთა მატერიალური დახმარებითაც განხორციელებული ქმედებები გამოიწვევს აშშ-ის მოქალაქეთა სიკვდილს ან მათი ჯანმრთელობის დაზიანებას.<sup>211</sup>

<sup>208</sup> McKay L., A New Take On Antiterrorism: Smith v. Socialist People's Libyan Arab Jamahiriya, 13 *The American University International Law Review* 439, 1997, 442-443 (გადმოტვირთულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>209</sup> *Smith v. Socialist People's Libyan Arab Jamahiriya*, US, Court of Appeals, Second Circuit, 1997 (113 ILR 534).

<sup>210</sup> აშშ-ის ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტისა და მის დარღვევის შედეგად სხვადასხვა სახის კომპენსაციის ჩამონათვალის შემცველი აქტის (*Flatow Amendment*) ტექსტები და მათი კომენტარები (იხ. Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary*, 270-275, იხ. სქოლიო 122).

<sup>211</sup> იქვე.

ამასთან, აქტი იმუნიტეტს უხსნის არა ყველა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებს, რომლებიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ განიხილებიან ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებად (დღეისთვის ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება: კუბა, ირანი, სუდანი და სირია<sup>212</sup>).

მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის ანტიტერორისტული აქტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ აქტს იმოწმებენ იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე იკვეთება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალური შეზღუდვის ტენდენცია. ასე, მაგალითად, იტალიამ გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქმეზე – *Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)* – მოიყვანა აშშ-ის ანტიტერორისტული აქტის მაგალითი იმის სადემონსტრაციოდ, რომ სახელმწიფოებში იწყებს დამკვიდრებას პრაქტიკა, რომლის ძალითაც სახელმწიფოებს ენიჭებათ უფლება, არ გაავრცელონ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით და დაუქვემდებარონ ეს უკანასკნელი საკუთარ იურისდიქციას.<sup>213</sup>

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის მიზანია, წარმოაჩინოს, რომ ანტიტერორისტული აქტი კონცეპტუალურად არ ცვლის იმუნიტეტის პრინციპს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით და რომ, შესაბამისად, არ შეიძლება ანტიტერორისტული აქტის მოყვანა იმ ტენდენციის დასადასტურებლად, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების სასარგებლოდ ხდება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვა.

ერთი შეხედვით, ანტიტერორისტული აქტი წარმოადგენს „ერთი სახელმწიფოს უკანონო მცდელობას, ცალმხრივად გააუქმოს მეორე სუვერენული სახელმწიფოს იმუნიტეტი, ამ უკანასკნელის პირდაპირი ან არაპირდაპირი თანხმობის გარეშე.“<sup>214</sup> ამ შთაბეჭდილებას ამყარებს სახელმწიფო იმუნიტეტის ის კონცეფცია, რომელსაც იზიარებს აშშ. კერძოდ, აშშ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს განიხილავს როგორც უცხო სახელმწიფოს მიმართ გამოვლენილ კეთილმეგობრულ უესტს, და არა როგორც ვალდებულებას, რომელიც მას საერთაშორისო სამართლის ძალით ეკისრება.<sup>215</sup> როგორც აშშ-ის სასამართლო საქმეზე – *Flatow v. Islamic Republic*

<sup>212</sup> იხ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდი: <http://www.state.gov/j/ct/c14151.htm> (ნანახია: 20/05/2012).

<sup>213</sup> *Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)*, Par. 88, იხ. სქოლიო 21.

<sup>214</sup> Hoye W.P., *Fighting Fire With . . . Mire? Civil Remedies and the New War On State-Sponsored Terrorism*, 12 *Duke Journal of Comparative and International Law* 105, 2002, 139 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>215</sup> იმუნიტეტის განმარტება როგორც უცხო სახელმწიფოსადმი გამოვლენილი კეთილმეგობრული უესტისა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე – *The Schooner Exchange v M'Faddon* – გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა. ამ

*of Iran and Others* – განაცხადა: „სუვერენული იმუნიტეტი არის ... უფრო კეთილგანწყობისა და თავაზიანობის საკითხი, ვიდრე უფლების საკითხი.“<sup>216</sup> სახელმწიფო იმუნიტეტის ამ კონცეფციიდან გამომდინარე, აშშ თავს უფლებამოსილად თვლის საკუთარი შეხედულებისამებრ დაარეგულიროს უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება/არმინიჭების საკითხი. როგორც განაცხადა აშშ-ის სასამართლომ საქმეზე – *Smith v. Socialist People's Libyan Arab Jamahiriya* – აშშ-ის კონგრესი უფლებამოსილია საერთაშორისო სამართლის ნემისმიერ დარღვევასთან დაკავშირებით, რა სიმძიმისაც არ უნდა იყოს იგი, „შეუნარჩუნოს სუვერენული იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს ... ან, თუ ჩათვლის საჭიროდ, მოუხსნას ის.“<sup>217</sup>

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით, ზემოაღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, გასაკვირი არ იქნებოდა აშშ-ს ანტი-ტერორისტული აქტის საფუძველზე ცალმხრივად შეეზღუდა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება. თუმცა, აქტის ტექსტი და მის საფუძველზე განვითარებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აქტი არ ზღუდავს ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპს, უფრო ზუსტად, არ ზღუდავს იმ მოცულობით, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოების პრაქტიკაში იკვეთება ტენდენცია, რომლის ძალითაც, ერთ სახელმწიფოს შეუძლია უარი უთხრას მეორე სახელმწიფოს იმუნიტეტის მინიჭებაზე ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა საკუთარ ტერიტორიაზე ან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აქტი არ ზღუდავს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხო სახელმწიფომ სამხედრო კონფლიქტის დროს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა. აქტის ტექსტი ცალსახად მიუთითებს, რომ იმუნიტეტი არ

---

გადაწყვეტილების ასეთი სახის ინტერპრეტაცია არაერთხელ დაუდასტურებიათ აშშ-ის სასამართლოებს (*Verlinden BV v Central Bank of Nigeria*, US, Supreme Court, 1983 (79 ILR 548, 552-554)). იმუნიტეტის საკითხისადმი აშშ-ის მიდგომას კარგად ასახავს აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Republic of Austria v. Altmann*: „უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭების მიზანი არასდროს არ ყოფილა სახელმწიფოსთვის ... იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ მას „შეეფუთა“ თავისი ქმედება აშშ-ის იურისდიქციისგან იმუნიტეტის მიღების იმედით. იმუნიტეტი ასახავს არსებულ პოლიტიკურ რეალობასა და ურთიერთობებს და, როგორც კეთილი ნების ჟესტი, მიზნად ისახავს, დაიცვას სახელმწიფო ... სასამართლო პროცესის სირთულეებისაგან“ (იხ. *Republic of Austria v. Altmann*, US, Supreme Court, 2004, HN 6; გადაწყვეტილების ტექსტი ხელმისაწვდომია LexisNexis მონაცემთა ბაზაში).

<sup>216</sup> *Flatow v. Islamic Republic of Iran and Others*, US, District Court, District of Columbia, 1998 (121 ILR 618, 642).

<sup>217</sup> *Smith v. Socialist People's Libyan Arab Jamahiriya*, 537, იხ. სქოლიო 209.

ვრცელდება მხოლოდ ისეთ დარღვევებზე, რომლებიც ტერიტორისტული აქტის კონტექსტში არის ჩადენილი.<sup>218</sup>

რაც შეეხება ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებს, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე განახორციელა, ამ შემთხვევაშიც აშშ-ის ანტიტერორისტული აქტი არ აწესებს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპიდან გამონაკლისს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანტიტერორისტული აქტი წინააღმდეგობაში მოვიდოდა საერთო სამართლის ქვეყნებში მოქმედ სახელმწიფო ქმედების დოქტრინასთან (Act of State Doctrine), რომლის ძალითაც, ერთი „სახელმწიფოს სასამართლოები არ აფასებენ მეორე სუვერენის მიერ საკუთარ საზღვრებში განხორციელებული საჯარო ქმედებების (*acta jure imperii*) კანონიერებას.“<sup>219</sup> როგორც ჩანს, სწორედ აღნიშნული დოქტრინის საფუძველზე უთითებს აშშ-ის ანტიტერორისტული აქტი, რომ აშშ-ის სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს ისეთი სამოქალაქო სარჩელები, რომლებიც წარდგენილია უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების იმ მიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა საკუთარ ტერიტორიაზე განახორციელა.<sup>220</sup>

ერთადერთი სახის დარღვევები, რომელთა მიმართაც აშშ-ის ანტიტერორისტულმა აქტმა შეზღუდა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლები, არის ადამიანის უფლებების ისეთი მიმე დარღვევები, რომლებსაც ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სჩადის.<sup>221</sup> თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი არ შეიძლება ცალსახად იმის მტკიცება, რომ ანტიტერორისტულმა აქტმა კონცეპტუალურად შეზღუდა სახელმწიფოთა იმუნიტეტი.

ზოგადად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოსთვის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით იმუნიტეტის მინიჭება-არმინიჭების საკითხის გადაწყვეტა დიდწილად დამოკიდებულია ადგილობრივ სახელმწიფოზე.<sup>222</sup> თუ ეს უკანასკნელი საკუთარ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს მიანიჭებს სახელისუფლებო სტატუსით მოქმედების უფლებამოსილებას, მაშინ უცხო სახელმწიფოს ქმედებებს მიეცემა სახელისუფლებო ქმედებების კვალიფიკაცია და შესაბამისად, სახელმწიფოს ამ ქმედებებთან დაკავშირებით დაიცავს იმუნიტეტი როგორც ადგილსამყოფელი, ისე უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.<sup>223</sup> სხვა შემთხვევაში, უცხო სახელმწიფო ვერ მოექცევა იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ.

<sup>218</sup> საომარ მოქმედებებსა და ტერორისტულ აქტებს შორის განსხვავებაზე იხ. Cooper-Hill J., *The Law of Sovereign Immunity and Terrorism* (New York: Oxford University Press, 2006), 155-166.

<sup>219</sup> *Republic of Austria v. Altmann*, HN 16, იხ. სქოლიო 215.

<sup>220</sup> იხ. აშშ-ის ანტიტერორისტული აქტის 1605(7)(B)(i) მუხლი (იხ. Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), 271, *State Immunity, Selected Materials and Commentary*, იხ. სქოლიო 122).

<sup>221</sup> იხ. Hoye W.P., *Fighting Fire With . . . Mire? Civil Remedies and the New War On State-Sponsored Terrorism*, 121-136, იხ. სქოლიო 214.

<sup>222</sup> იხ. გვ. 65 და მითითებული სქოლიოები.

<sup>223</sup> იქვე.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკიდან გამომდინარე, ძალიან რთულია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება იმ საკითხზე, განიხილავენ თუ არა სახელმწიფოები სახელისუფლებო ქმედებებად მათ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებებს, რომლებსაც შედეგად ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები მოჰყვება. ამის გამო ძნელდება იმის დადგენა, სარგებლობენ თუ არა ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოები მსგავს შემთხვევებში იმუნიტეტით როგორც ადგილსამყოფელი, ისე უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების სულ უფრო მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სახელმწიფოებმა მათ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს სახელისუფლებო ქმედებების კვალიფიკაცია მიანიჭონ. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი რეალიები იძლევა საფუძველს დამაჯერებელი მტკიცებისთვის, რომ მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოები, რომელთა ქმედებებმაც უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები შეიძლება გამოიწვიონ, არ ისარგებლებენ იმუნიტეტით როგორც ადგილობრივ, ისე უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ანტიტერორისტულ აქტს არ გამოუწვევია ადამიანის უფლებებთან მიმართებით იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალური ცვლილება. აქტი არსებითად არ ზღუდავს იმუნიტეტის პრინციპს იმ სახით, როგორცაც მას საერთაშორისო სამართალი განამტკიცებს. ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებს კვლავაც იცავს იმუნიტეტი აშშ-ის იურისდიქციისგან ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ სახელმწიფოებმა ან საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება განახორციელონ. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით კვლავაც უცვლელი რჩება.

რაც შეეხება ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს, რომლებიც ტერორიზმის მხარდამჭერმა სახელმწიფომ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება განახორციელოს, ანტიტერორისტული აქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევდა იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალურ ცვლილებას, თუ ადგილობრივი სახელმწიფო მიანიჭებდა ამ ქმედებებს სახელისუფლებო ქმედებების კვალიფიკაციას. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო გარემოს გათვალისწინებით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოებმა მათ ტერიტორიაზე ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები, რომლებიც *per se* მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს წარმოადგენენ, განიხილონ ამ უკანასკნელის სუვერენულ ქმედებებად. ამის გამო, ანტიტერორისტული აქტის საფუძველზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით

ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოთა იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვაც სათუთა.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, არადამაჯერებელია მტკიცება, რომ აშშ-ის ანტიტერორისტული აქტი ასახავს სახელმწიფოების პრაქტიკაში განვითარებულ იმ ახალ ტენდენციებს, რომლის ძალითაც იზღუდება იმუნიტეტის პრინციპი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებაში; შესაბამისად, არასწორია ანტიტერორისტული აქტის იმის მაგალითად მოყვანა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დასაშვები ხდება უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ სამოქალაქო სამართალწარმოება ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა საკუთარ ტერიტორიაზე ან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების დროს განახორციელა.

### 3.4 სახელმწიფოს იმუნიტეტი v. ოფიციალური პირის ფუნქციური იმუნიტეტი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით

ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფოს მოქმედ და ყოფილ ოფიციალურ პირებს ფუნქციური იმუნიტეტი ენიჭებათ ყველა ქმედებასთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებენ.<sup>224</sup>

სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის სახელმწიფოს ოფიციალური პირებისთვის ფუნქციური იმუნიტეტის მინიჭება აიხსნება იმით, რომ ამ ქმედებების განხორციელებისას ოფიციალური პირები განასახიერებენ თავად სახელმწიფოს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. როგორც ონტარიოს სააპელაციო სასამართლომ საქმეზე – *Jaffe v. Miller and Others* – განაცხადა: „როდესაც ფუნქციონერები მოქმედებენ საკუთარი ოფიციალური მოვალეობების ფარგლებში, ისინი ცნების – „უცხო სახელმწიფო“ – ქვეშ მოიაზრებიან.“<sup>225</sup> შესაბამისად, ამ ქმედებებთან მიმართებით, სახელმწიფოს ოფიციალურ პირზე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება რეალურად იქნებოდა არაპირდაპირი გზით იურისდიქციის გავრცელება საკუთრივ სახელმწიფოზე, რომლის სახელითაც ეს ოფიციალური პირი

<sup>224</sup> Preliminary Report of ILC on Immunity of State Officials from Foreign Criminal Jurisdiction (Special Rapporteur Kolodkin R.), UN Doc. A/CN.4/601, 2008, Par. 80; ანგარიშის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://untreaty.un.org/ilc/documentation/english/a\\_cn4\\_601.pdf](http://untreaty.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_601.pdf) (ნანახია: 03/09/2011).

<sup>225</sup> *Jaffe v. Miller and Others*, Canada, Ontario Court of Appeal, 1993 (95 ILR 446, 459).



მოქმედებს. <sup>226</sup> ამის თავიდან ასაცილებლად, ოფიციალურ პირს იცავს ფუნქციური იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო და ეროვნულ სასამართლოებში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის ძალითაც ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევების გარკვეულ კატეგორიასთან მიმართებაში სახელმწიფოს ოფიციალურ პირებზე არ ვრცელდება ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება. <sup>227</sup> მეტიც, როგორც ლორდთა პალატის მიერ საქმეზე – *Regina v. Bow Street Metropolitan Stipendiary Magistrate, ex parte Pinochet Ugarte (No 3)* (შემდგომში – *Pinochet Case*) – მიღებული გადაწყვეტილება ადასტურებს, მითითებულ დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტი არ ენიჭება სახელმწიფოს ყოფილ მეთაურსაც კი, სხვა სიტყვებით, პირს, რომელიც ოდითგანვე ყველაზე მეტად იყო „პერსონიფიცირებული“ სახელმწიფოსთან.<sup>228</sup>

ზემოაღნიშნული პრაქტიკის ფონზე შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფუნქციური იმუნიტეტის მიზნებისთვის ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევები აღარ განიხილება სახელისუფლებო ქმედებებად და რომ სწორედ ამის ხარჯზე შესაძლებელი ხდება ამ დარღვევებთან მიმართებით ოფიციალური პირისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმა.

იმის გათვალისწინებით, რომ ფუნქციური იმუნიტეტი სახელმწიფო იმუნიტეტიდან ნაწარმოები პრინციპია, <sup>229</sup> შეიძლება გაკეთდეს, ერთი

<sup>226</sup> Akande D., Shah S., *Immunities of State Officials, International Crimes and Foreign Domestic Courts*, 41 *European Journal of International Law* 815, 2011, 827. დამატებით იხ. ავტორთა მიერ 56-ე სქოლიოში მითითებული ნაშრომები.

<sup>227</sup> ამასთან დაკავშირებით, გარკვეულ დავას შეიძლება იწვევდეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლის მიერ საქმეზე – *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium) obiter dictum* – გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ოფიციალური პირი არ სარგებლობს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქციისგან მხოლოდ იმ ქმედებებთან მიმართებით, რომლებიც სახელმწიფოს ოფიციალურმა პირმა თანამდებობის დაკავებამდე ან დატოვების შემდეგ განახორციელა, ან რომლებიც მან, მართალია, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში განახორციელა, მაგრამ როგორც „კერძო სტატუსით“ მოქმედმა პირმა (იხ. *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, 81, იხ. სქოლიო 13). მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ამ განცხადებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სასამართლო მიიხნევს, რომ სახელმწიფოს ოფიციალურ პირს საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც მან განახორციელა ოფიციალური სტატუსით მოქმედებისას, პასუხისმგებლობისგან იცავს იმუნიტეტი. თუმცა სასამართლოს ეს განცხადება სერიოზულად გააკრიტიკეს საერთაშორისო სამართლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში (მაგ. იხ. Spinedi M., *State Responsibility v. Individual Responsibility for International Crimes: Tertium Non Datur?* 13 *European Journal of International Law* 895, 2002, 896) და იგი რეალურად არც საერთაშორისო და არც შიდაეროვნულ სასამართლო დონეზე გაზიარებული არ არის.

<sup>228</sup> Lewis C.J., *State and Diplomatic Immunity* (1990), 15 (იხ. სუციშვილი ქ., სუვერენული იმუნიტეტის დაცვამ უნდა გადაწონოს თუ არა ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან? 50, იხ. სქოლიო 107).

<sup>229</sup> როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეზე – *Certain Questions of Mutual Assistance in Criminal Matters (Djibouti v. France)* – აღნიშნა: ჯიბუტის მიერ მისი ორი

შეხედვით, ძალიან ლოგიკური დასკვნა, რომ ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან მიმართებით ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება ვერ შეიცვლებოდა, იდენტურ ცვლილებას რომ არ ჰქონოდა ადგილი სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტშიც. შესაბამისად, ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან მიმართებით ფუნქციური იმუნიტეტის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის ფაქტი შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ნიშანი იმისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დასაშვები ხდება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვაც ადამიანის უფლებების იმ მიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში განხილულია, თუ რატომ არ სარგებლობენ სახელმწიფოს მოქმედი და ყოფილი ოფიციალური პირები ფუნქციური იმუნიტეტით ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ანალოგიურ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფო ექცევა იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ.

ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის საშუალებას მოგვცემს ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სახელმწიფო და ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპები; ამასთან ავსნათ, რატომ არ შეიძლება ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან მიმართებით, ფუნქციური იმუნიტეტის მოქმედების შეზღუდვის საფუძველზე, ვამტკიცოთ, რომ ანალოგიურ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დასაშვებად უნდა იქნეს აღიარებული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვაც.

ერთი შეხედვით, ის ფაქტი, რომ ფუნქციური სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ლოგიკური გაგრძელებაა, გულისხმობს, რომ ამ პრინციპების დაცვის სფეროებიც იდენტური უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ამაზე სწორად უთითებს აშშ-ის მთავრობა საქმეზე – *Samantar v. Yousuf – amicus curiae*-ს სტატუსით წარდგენილ დასკვნაში, „უცხო სახელმწიფოს ოფიციალურ პირთა იმუნიტეტის მოცულობა ყოველთვის როდი ემთხვევა უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტის მოცულობას –

---

თანამდებობის პირისთვის ფუნქციური იმუნიტეტის მინიჭების მოთხოვნა, „პრაქტიკულად, ჯიბუტის სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭების მოთხოვნას წარმოადგენს ...“ (*Certain Questions of Mutual Assistance in Criminal Matters (Djibouti v. France)*, ICJ, 2008, Par. 188. გადაწყვეტილების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვებგვერდზე: <http://www.ici-cij.org/docket/files/136/14550.pdf> (ნანახია: 20/08/2011).

ის ორივე მიმართულებით [მეტობით ან ნაკლებობით] შეიძლება განსხვავდებოდეს.“<sup>230</sup>

ფუნქციური იმუნიტეტი სახელმწიფოს ოფიციალურ პირს იცავს ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა „სახელმწიფოს სახელით“ განახორციელა.<sup>231</sup> საქმე იმაშია, რომ ქმედებები, რომლებსაც ოფიციალური პირი „სახელმწიფოს სახელით“ ახორციელებს, შეეცდებოდა არა თვითონ ოფიციალურ პირს, არამედ სახელმწიფოს, რომელსაც ეს ოფიციალური პირი წარმოადგენს.<sup>232</sup> ოფიციალური პირი ამ შემთხვევაში ითვლება იმ სახელმწიფოს „alter ego-დ“, რომლის სახელითაც ის მოქმედებს.<sup>233</sup> შესაბამისად, პასუხისმგებლობაც ამ ქმედებებისთვის ეკისრება უშუალოდ სახელმწიფოს, ხოლო ოფიციალურ პირს პირადი პასუხისმგებლობის არარსებობის გამო ენიჭება ფუნქციური იმუნიტეტი. როგორც ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა (შემდგომში – ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალი) საქმეზე – *Prosecutor v. Blaskic* – განაცხადა: „სახელმწიფოს ოფიციალური პირები არ უნდა ზარალდებოდნენ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგებით, რომლებიც მათ პირადად არ შეეცდებოდათ ... ისინი უნდა სარგებლობდნენ ფუნქციური იმუნიტეტით.“<sup>234</sup> ამ გაგებით ფუნქციური იმუნიტეტი გულისხმობს არა იმუნიტეტს პასუხისმგებლობისგან, არამედ პასუხისმგებლობის არარსებობას.<sup>235</sup>

ფუნქციური იმუნიტეტის, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების, დახასიათების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით ოფიციალური პირი ფუნქციური იმუნიტეტის ფარგლებში არ იყოს დაცული უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან, მაშინ როდესაც ანალოგიურ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოზე ვრცელდება იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება.

<sup>230</sup> Brief for the US as Amicus Curiae Supporting Affirmance, 2010, 13. დასკვნის ტექსტი ხელმისაწვდომია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე: <http://www.justice.gov/osg/briefs/2009/3mer/1ami/2008-1555.mer.ami.pdf> (ნანახია: 09/08/2011).

<sup>231</sup> Cryer R., Friman H., Robinson D., Wilmschurst E., 533, იხ. სქოლიო 52.

<sup>232</sup> Van Alebeek R., 144-147, იხ. სქოლიო 155.

<sup>233</sup> *Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, England, High Court, Queen's Bench Division, 1976 (64 ILR 111, 133-134). იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პირი ოფიციალური სტატუსით მოქმედებისას არ სარგებლობს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობით, მეტყველებს ისიც, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს იმუნიტეტის შესახებ სამართლებრივ აქტებში სახელმწიფოს ოფიციალური პირები მოიხსენიებიან როგორც სახელმწიფო ორგანოები (იხ. Bradley C.A. & Goldsmith J. L., *Foreign Sovereign Immunity, Individual Officials, and Human Rights Litigation*, 13 *The Green Bag An Entertaining Journal of Law* 9, 2009 (გადმოცემულია LexisNexis-ის მონაცემთა ბაზიდან)).

<sup>234</sup> *Prosecutor v. Blaskic*, ICTY, Trial Chamber II, 1997 (110 ILR 607, 707).

<sup>235</sup> Van Alebeek R., 106-139, იხ. სქოლიო 155.

უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ფუნქციური იმუნიტეტი სახელმწიფოს ოფიციალურ პირს ენიჭება მხოლოდ ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებზეც ის არ ითვლება პერსონალურად პასუხისმგებელ პირად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ „ფუნქციური იმუნიტეტი მთავრდება იქ, სადაც იწყება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.“<sup>236</sup> სხვა სიტყვებით, ოფიციალურ პირზე არ ვრცელდება ფუნქციური იმუნიტეტის მოქმედება, თუ შესაბამისი ქმედებისთვის მას პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება.

პერსონალური პასუხისმგებლობა ოფიციალურ პირს შეიძლება დაეკისროს ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც განხორციელდა ამ ოფიციალური პირის მიერ საკუთარი სახელით მოქმედებისას და რომლებიც არ შეერაცხება სახელმწიფოს, აგრეთვე საერთაშორისო სამართალ-დარღვევებისთვის, რომლებიც, მართალია, შეერაცხება სახელმწიფოს,<sup>237</sup> მაგრამ რომლებზეც ეს პირი ინდივიდუალურადაც აგებს პასუხს.<sup>238</sup> ასეთ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებები<sup>239</sup> და ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების გარკვეული კატეგორია, მაგალითად, წამების აკრძალვის პრინციპის დარღვევა.<sup>240</sup>

საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა, რომ მითითებული დარღვევები იმდენად მძიმე საერთაშორისო სამართალდარღვევებს წარმოადგენენ, რომ მათი ჩამდენი ოფიციალური პირები ვერ ამოუფარებიათ სახელმწიფოს<sup>241</sup> და რომ მათ ეკისრებათ ინდივიდუალური

<sup>236</sup> Van Alebeek R., 241, იხ. სქოლიო 155.

<sup>237</sup> ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფოს ოფიციალური პირი როგორც სახელისუფლებო ქმედებას, მაშინაც კი, როდესაც ეს პირი თავისი უფლებამოსილების გადაჭარბებით მოქმედებს, შეერაცხება სახელმწიფოს და სახელმწიფო ეკისრება ამ ქმედებისთვის პასუხისმგებლობა (იხ. საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის მე-4, მე-5 და მე-7 მუხლები და ამ მუხლების კომენტარები (იხ. Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries*, 94-102, 106-109, იხ. სქოლიო 144).

<sup>238</sup> იქვე, 312-313.

<sup>239</sup> *Bonafé B.I., The Relationship Between State and Individual Responsibility for International Crimes*, (Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2009), 13-14.

<sup>240</sup> იხ. წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის 1-ლი და მე-5 მუხლები. გაგრძელებული განმარტებით, აღნიშნული მუხლები აკისრებენ ოფიციალურ პირებს სახელისუფლებო ქმედებისთვის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. როგორც ლორდმა ბინგჰემმა საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia* – განაცხადა: „ეფიქრობ, რთულია დაეთანხმო, რომ წამება არ შეიძლება იყოს სახელისუფლებო ან ოფიციალური ქმედება, ვინაიდან წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით, ქმედება წამებად რომ ჩაითვალოს, ჩადენილი უნდა იყოს ოფიციალური პირის ან ოფიციალური პირის სტატუსით მოქმედი პირის მიერ, ან მისი თანხმობით.“ (იხ. *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Bingham of Cornhill, 724, იხ. სქოლიო 51).

<sup>241</sup> როგორც ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „დანაშაული საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ ჩადენილია ადამიანების და არა აბსტრაქტული ერთეულების მიერ, და მხოლოდ იმ პირთა დასჯით, რომლებმაც ეს დანაშაულები ჩაიდინეს, შეიძლება საერთაშორისო სამართლის დებულებების შესრულების უზრუნველყოფა.“ (ციტატა მოყვანილია ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებიდან (*Judgement of International*

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისთვის.

სახელმწიფოს ოფიციალურ პირთა ინდივიდუალური სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღიარებით მოხდა სახელმწიფოსა და მისი სახელით მოქმედ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა და სწორედ ამ მომენტიდან მოყოლებული, ეს უკანასკნელები არ ექცევიან ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების ზემოაღნიშნულ კატეგორიასთან მიმართებით ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ.

საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა და მათ ოფიციალურ პირთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იწყება.<sup>242</sup> ასე, მაგალითად, ვერსალის საერთაშორისო საზავო ხელშეკრულების 227-ე მუხლი ითვალისწინებდა გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-ის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე იმ სამართალ-დარღვევებისთვის, რომლებიც მან „საერთაშორისო ზნეობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა სიწმინდის წინააღმდეგ“ ჩაიდინა.<sup>243</sup> გარდა ამისა, ამავე საერთაშორისო ხელშეკრულების 228-ე მუხლში დაფიქსირდა, რომ გერმანიის მთავრობა აღიარებდა მოკავშირე ძალთა უფლებას, წარედგინათ სამხედრო ტრიბუნალების წინაშე სამხედრო დამნაშავეები. მეტიც, ამ მუხლის ძალით, გერმანიის მთავრობა თავის თავზე იღებდა ვალდებულებას, გადაეცა მოკავშირე ძალებისთვის ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი ედებოდა ომის საერთაშორისო კანონებისა და ჩვეულებების დარღვევაში.<sup>244</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა ომის გამჩაღებელთა პასუხისმგებლობისა და ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევებისთვის სასჯელთა აღსრულების კომისია (*The Commission on Responsibilities of the Authors of War and Enforcement of Penalties for Violations of the Laws and Customs of War*). კომისიამ 1919 წელს გამოცემულ ანგარიშში აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამხედრო დანაშაულებისათვის უნდა დაქვემდებარებოდა ყველა,

---

*Military Tribunal*, 1946). გადაწვეტილებების ტექსტი ხელმისაწვდომია იელის სამართლის სკოლის ვებგვერდზე: <http://avalon.law.yale.edu/imt/judlawch.asp> (ნანახია: 02/09/2011).

<sup>242</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომლის მიხედვით, ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობაზე შეიძლება საუბარი ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზაციებში (მაგ. იხ. Damgaard C., *Individual Criminal Responsibility for Core International Crimes, Selected Pertinent Issues* (Berlin/Heidelberg: Springer, 2008), 87-92).

<sup>243</sup> 1919 წლის ვერსალის საერთაშორისო საზავო ხელშეკრულების ტექსტი ხელმისაწვდომია პირველი მსოფლიო ომის დოკუმენტების ინტერნეტარქივში მისამართზე: <http://net.lib.byu.edu/~rdh7/www/versa/versa6.html> (ნანახია: 10/08/2011).

<sup>244</sup> იქვე.

განურჩევლად იმისა, თუ რა რანგის თანამდებობის პირი იყო ის, თვით უმაღლესი რანგის პირებიც კი.<sup>245</sup>

საყურადღებოა, რომ სევრის სამშვიდობო ხელშეკრულებაც (*Peace Treaty of Sévres*), რომელიც დაიდო ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტის პოლიტიკურ ბლოკს შორის, ვერსალის საერთაშორისო საზავო ხელშეკრულების მსგავსად, ითვალისწინებდა თურქეთის მთავრობის ვალდებულებას ელიარებიანა მოკავშირეთა უფლება, გაესამართლებინათ თურქეთის სამხედრო დამნაშავეები, რომლებიც მოქმედებდნენ ომის საერთაშორისო კანონებისა და ჩვეულებების დარღვევით. ამ შემთხვევაშიც, თურქეთის მთავრობა საკუთარ თავზე იღებდა ვალდებულებას გასასამართლებლად გადაეცა მოკავშირეებისათვის ნებისმიერი პირი ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის.<sup>246</sup>

მართალია, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებშიც იყო მსჯელობა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ, ვინაიდან პრაქტიკულად მათი სისრულეში მოყვანა არ მომხდარა,<sup>247</sup> ითვლება, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რეალურად მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაინერგა. კერძოდ, ეს განხორციელდა ევროპის დერძის სახელმწიფოების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებისა და დასჯის შესახებ შეთანხმებისა და საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებითა (შემდგომში – ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება) და შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით (შემდგომში – ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება), რომლებსაც უწოდებენ „რევოლუციურ“ მოვლენას ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განვითარების ისტორიაში.<sup>248</sup>

საყურადღებოა, რომ ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებებით მოხდა იმ დანაშაულთა წრის გაფართოება, რომლებისთვისაც სახელმწიფოს ოფიციალურ პირებს ეკისრებათ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდნენ

<sup>245</sup> Report on Responsibilities of the Authors of War and Enforcement of Penalties to the Preliminary Peace Conference, 14 *American Journal of International Law* 95, 1920 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>246</sup> იხ. 1920 წლის სევრის საერთაშორისო ხელშეკრულების 226-ე მუხლი. ხელშეკრულების ტექსტი ხელმისაწვდომია პირველი მსოფლიო ომის დოკუმენტების ინტერნეტარქივში მისამართზე: [http://wwi.lib.byu.edu/index.php/Section\\_I,Articles\\_1-260](http://wwi.lib.byu.edu/index.php/Section_I,Articles_1-260) (ნანახია: 10/08/2011).

<sup>247</sup> Damgaard C., *Individual Criminal Responsibility for Core International Crimes, Selected Pertinent Issues* 95-97, იხ. სქოლიო 242.

<sup>248</sup> Bonafè B.I., *The Relationship Between State and Individual Responsibility for International Crimes*, 37, იხ. სქოლიო 239.



მხოლოდ ომის დანაშაულებისათვის, ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებებმა მოიცვეს დანაშაულები ჩადენილი მშვიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგაც.<sup>249</sup> ამავე დროს, ისინი საგანგებოდ ითვალისწინებენ იმას, რომ ნებისმიერი სახელმწიფო რანგი და თანამდებობა, თვით – სახელმწიფოს მეთაურისაც კი, არ ათავისუფლებდა დამნაშავე პირებს პასუხისმგებლობისაგან.<sup>250</sup> ამრიგად, ამ ტრიბუნალთა წესდებები გამორიცხავენ შესაბამის საერთაშორისო დანაშაულებზე პასუხისმგებელ პირებზე ფუნქციური იმუნიტეტის გავრცელებას.

ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალების შემდეგ ოფიციალურ პირთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა აღიარებულ იქნა ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალისა და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის (შემდგომში – რუანდის ტრიბუნალი) წესდებებშიც. აღნიშნული წესდებები ითვალისწინებენ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ისეთი საერთაშორისო დანაშაულებისთვის, როგორებიცაა გენოციდი და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.<sup>251</sup> აღნიშნული წესდებები გამორიცხავენ მითითებულ დანაშაულების ჩამდენი პირებისთვის იმუნიტეტის მინიჭების შესაძლებლობას. ასე. მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების მე-7(2) მუხლი ადგენს, რომ „ბრალდებული პირის ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობა, იქნება ეს სახელმწიფოსა თუ მთავრობის მეთაური, ან მთავრობის ოფიციალური პასუხისმგებელი პირი, ვერც გაათავისუფლებს ასეთ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და ვერც შეუმსუბუქებს მას სასჯელს.“ ანალოგიურ დებულებას შეიცავს რუანდის ტრიბუნალის წესდებაც.<sup>252</sup>

საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებებისთვის ოფიციალურ პირთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას განამტკიცებს სისხლის სამართლის

<sup>249</sup> იხ. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლი. წესდების ხელმისაწვდომია ტექსტი ხელმისაწვდომია იელის სამართლის სკოლის ვებგვერდზე: <http://avalon.law.yale.edu/imt/imtconst.asp> (ნანახია: 14/08/2011). იხ. ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლი. ტექსტი ხელმისაწვდომია ოსლოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე: <http://www.jus.uio.no/english/services/library/treaties/04/4-06/military-tribunal-far-east.xml> (ნანახია: 14/08/2011).

<sup>250</sup> იხ. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-7 მუხლი, აგრეთვე ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლი, იხ. სქოლიო 249.

<sup>251</sup> იხ. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალისა და რუანდის ტრიბუნალის წესდებების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები, აგრეთვე ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების მე-5 და მე-7(1) მუხლები და რუანდის ტრიბუნალის წესდების მე-6(1) მუხლი. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდების ტექსტი ხელმისაწვდომია ტრიბუნალის ვებგვერდზე: [http://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute\\_sept09\\_en.pdf](http://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_sept09_en.pdf) (ნანახია: 14/08/2011). რუანდის ტრიბუნალის წესდების ტექსტი ხელმისაწვდომია ტრიბუნალის ვებგვერდზე: <http://www.unictr.org/Portals/0/English%5CLegal%5CStatute%5C2010.pdf> (ნანახია: 14/08/2011).

<sup>252</sup> იხ. რუანდის ტრიბუნალის წესდების მე-6(2) მუხლი, იხ. სქოლიო 251.

საერთაშორისო სასამართლოს წესდებაც (შემდგომში – რომის სტატუტი).<sup>253</sup> რომის სტატუტმა უარყო ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება ისეთ საერთაშორისო დანაშაულებრივ ქმედებებზე, როგორებიცაა: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები და აგრესია.<sup>254</sup> სტატუტის 27(2)-ე მუხლის მიხედვით „საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განმტკიცებული იმუნიტეტები ან სპეციალური პროცედურული წესები, რომლებიც უკავშირდება პირის ოფიციალურ სტატუსს, სასამართლოს მიერ ასეთ პირზე იურისდიქციის გაგრძელებისთვის დაბრკოლებას არ ქმნის.“

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ტრიბუნალების პარალელურად, საერთაშორისო დამნაშავეთა, განურჩევლად მათი სტატუსისა (თუ, რასაკვირველია, მათზე არ ვრცელდება აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება), გასამართლება ეროვნულ დონეზეც ხდება. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დამნაშავეთა გასამართლება, ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების გარდა, მოხდა ეროვნულ სასამართლოებშიც.<sup>255</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ სასამართლოებში აქტიურდება ბრალდებულ პირთა გასამართლების ტენდენცია ისეთ საერთაშორისო დანაშაულებათა გამო, რომლებიც მეორე მსოფლიო ომს არ უკავშირდება. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბელგიის, გერმანიისა და ესპანეთისა სასამართლოების პრაქტიკა.<sup>256</sup> აღსანიშნავია აგრეთვე ჩილეს ყოფილი პრეზიდენტის საქმე გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში, რომელსაც ბრალი ედებოდა წამების აკრძალვის პრინციპის დარღვევაში,<sup>257</sup> აგრეთვე ჩადის ყოფილ პრეზიდენტ ისენ აბრეს (Hissène Habré) წინააღმდეგ სენეგალის სასამართლოში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა ბრალდებით წარმოებული საქმე.<sup>258</sup> ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დანაშაულებათა ჩადენაში ბრალდებულ ოფიციალურ პირთა გასამართლების თვალსაზრისით ეროვნული სასამართლოები საერთაშორისო სასამართლოების სრულფასოვან ალტერნატივად გვევლინებიან.

საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების ზემოაღნიშნული პრაქტიკის საფუძველზე, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ადამიანის

<sup>253</sup> იხ. რომის სტატუტის 25-ე მუხლი. რომის სტატუტის ტექსტი ხელმისაწვდომია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ვებგვერდზე: <http://untreaty.un.org/cod/icc/statute/rome.htm> (ნანახია: 14/08/2011).

<sup>254</sup> იხ. რომის სტატუტის მე-5(1) მუხლი, იხ. სქოლიო 253.

<sup>255</sup> Damgaard C., *Individual Criminal Responsibility for Core International Crimes, Selected Pertinent Issues*, 106-109, იხ. სქოლიო 242.

<sup>256</sup> იხ. სქოლიო 66.

<sup>257</sup> *Pinochet Case*, UK House of Lords, 1999 (119 ILR 135).

<sup>258</sup> *Habré, Senegal, Court of Cassation*, 2001 (125 ILR 569). ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებებისთვის უცხო სახელმწიფოთა ოფიციალური პირების გასამართლების სხვა მაგალითები იხ. Kamminga M.T., *Lessons Learned from the Exercise of Universal Jurisdiction in Respect of Gross Human Rights Offences*, 23 *Human Rights Quarterly* 940, 2001, 965-974.



უფლებების მძიმე დარღვევებზე ოფიციალურ პირთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ფართოდაა აღიარებული და, შესაბამისად, დავას არ იწვევს ის გარემოებაც, რომ ამ დარღვევებთან დაკავშირებით ოფიციალურ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ იცავს ფუნქციური იმუნიტეტი.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საყოველთაო აღიარების ფონზე გაუგებარია პოზიცია ეროვნული სასამართლოებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ფუნქციური იმუნიტეტი კვლავაც იცავს ოფიციალურ პირებს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან. ასე, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ლორდათა პალატამ საქმეებზე – *Pinochet Case* და *Jones v. Saudi Arabia* – ჩათვალა, რომ მოპასუხე პირებს, მართალია, არ იცავდა ფუნქციური იმუნიტეტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ იმავე დარღვევებთან დაკავშირებით, ისინი, დაცულნი იყვნენ სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან.<sup>259</sup>

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამიჯვნის პრაქტიკასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი სისწორე სერიოზულ ეჭვებს ბადებს. როგორც გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ლორდი მენსი საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia* – მიუთითებს: რაღაც „ანომალიური იქნებოდა იმაში, რომ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის პარალელურ რეჟიმში ... არ ეარსება სამოქალაქო სარჩელების სასამართლო წესით გადაწყვეტის უფლებამოსილება.“<sup>260</sup>

სისხლის- და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის აუცილებლობის დასასაბუთებლად მოსამართლეები აცხადებენ, რომ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განსხვავებით, ოფიციალური პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისას ირიბად ხდება თავად სახელმწიფოსთვის, რომელსაც წარმოადგენს ეს ოფიციალური პირი, პასუხისმგებლობის დაკისრება და რომ სწორედ ამის საფუძველზე იკრძალება ოფიციალური პირისთვის სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსამართლეთა მოსაზრებების წარმოსაჩენად შეიძლება მოყვანილ იქნეს ლორდ ჰატონის გადაწყვეტილების ფრაგმენტი საქმეზე – *Pinochet Case*. გადაწყვეტილების ამ ფრაგმენტში მოსამართლე საუბრობს პინოჩეტის სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადაც აშკარად იკვეთება, რომ ლორდი ჰატონი ერთმანეთისგან არ განასხვავებს სახელმწიფოსა და სახელმწიფოს ოფიციალური პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობას. საკუთარი

<sup>259</sup> *Pinochet Case*, Opinion of Lord Hutton, 207, Opinion of Lord Millet, 226, Opinion of Lord Phillips, 234, იხ. სქოლიო 257. *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Bingham, 729, იხ. სქოლიო 51.

<sup>260</sup> *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Mance, UK, Court of Appeal, 2004 (129 ILR 631, 692).

შეხედულების გასამყარებლად ის ახდენს ონტარიოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ფინლეისონის (*Finlayson*) მიერ საქმეზე – *Jaffe v. Miller and Others* – მიღებული გადაწყვეტილების ციტირებას: „მე ასევე ვეთანხმები აღნიშნული საკითხის დასაბუთებას, რომელიც წამოაყენა მოპასუხის ადვოკატმა. ადვოკატმა განაცხადა, რომ იმუნიტეტის მინიჭება უცხო სახელმწიფოს სამთავრობო დეპარტამენტისთვის, მაგრამ [ამავდროულად] ფუნქციონერებისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმა იმ ქმედებებისთვის, რომლებიც მათ განახორციელებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტს [იგულისხმება კანადის 1985 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტი] არაეფექტურს გახდიდა. სახელმწიფო იმუნიტეტის საბაბით სარჩელის განხილვის გარეშე დატოვების საშიშროებისთვის თავის ასარიდებლად, მოსარჩელეს მხოლოდ სარჩელის შეტანა და დასჯირდებოდა იმ ფუნქციონერების წინააღმდეგ, რომლებმაც შესაბამისი ქმედება განახორციელეს. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასამართლო გადაწყვეტილებით მიაღწევდა კომპენსაციის მიღებას, უცხო სახელმწიფო იძულებული გახდებოდა, საკუთარი ფუნქციონერების ნაცვლად, საკუთარ თავზე აეღო ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, ამ ირიბი გზით სახელმწიფო დაკარგავდა იმ იმუნიტეტს, რომელსაც ის აქტიდან გამომდინარე ფლობს.“<sup>261</sup> ამ გადაწყვეტილების მოშველიებით, ლორდი პატონი ასაბუთებს, რომ თუმცა პინოჩეტი არ სარგებლობდა იმუნიტეტით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ის ინარჩუნებდა იმუნიტეტს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან და ამაში ის ვერავითარ „შეუსაბამობას“ ვერ ხედავს.<sup>262</sup> ოფიციალურ პირთა სისხლის- და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობებს შორის განსხვავებაზე მიუთითებენ აგრეთვე ლორდი მილე და ლორდი ფილიპსი.<sup>263</sup> თუმცა, არც ერთი მათგანი არ ხსნის, თუ რა განასხვავებს პასუხისმგებლობის ამ ორ სახეს ერთმანეთისგან და რატომ შეიძლება, რომ ერთი და იგივე სახის დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოს ოფიციალურ პირს არ იცავდეს იმუნიტეტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ იცავდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან.

ფუნქციური იმუნიტეტის მიზნებისთვის სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოიჯვნის აუცილებლობაზე საუბრობს ლორდი ბინგჰემი საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia*. ის აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო არ არის სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისმგებელი საერთაშორისო ან ინგლისის სამართლის მიხედვით, და, შესაბამისად, [მისი ოფიციალური პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას] არ ხორციელდება მისი სისხლისსამართლებრივი დევნა ..., თუმცა ნათელია, რომ წამების ოფიციალურ ფაქტებთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმისწარმოება წამების აკრძალვის დამრღვევ ცალკეულ პირთა წინააღმდეგ გულისხმობს

<sup>261</sup> *Pinochet Case*, Opinion of Lord Hutton, 207, იხ. სქოლიო 257.  
<sup>262</sup> იქვე 217.  
<sup>263</sup> იქვე, Opinion of Lord Millet, 226; Opinion of Lord Phillips, 234.

თვითონ სახელმწიფოს წინააღმდეგ ირიბად საქმისწარმოებასაც, ვინაიდან ეს ქმედებები შეერაცხება თვითონ სახელმწიფოს.<sup>264</sup>

ზემოაღნიშნულ არგუმენტებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი დამაჯერებლად ვერ ასაბუთებენ, თუ რატომ არ შეიძლება ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით ოფიციალურ პირებს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პარალელურად დაეკისროთ ინდივიდუალური სამოქალაქო პასუხისმგებლობაც.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ლორდ ჰატონს არასწორად მოჰყავს ონტარიოს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე – *Jaffe v. Miller and Others* – მიღებული გადაწყვეტილების მაგალითი იმის სადემონსტრაციოდ, რომ არ შეიძლება ოფიციალური პირებისთვის სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის ინდივიდუალური სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება. მოცემულ საქმეში სახელმწიფოს ოფიციალურ პირებს საერთოდ არ ეკისრებოდათ პერსონალური პასუხისმგებლობა სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის და შესაბამისად, მათ არა მხოლოდ ინდივიდუალური სამოქალაქო, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი ვერ დაეკისრებოდათ.

რაც შეეხება ლორდ ბინგჰემის მტკიცებას, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პირის ქმედებები შეერაცხება სახელმწიფოს და რომ, აქედან გამომდინარე, ოფიციალური პირის წინააღმდეგ სამოქალაქო საქმისწარმოება რეალურად გულისხმობს თვითონ სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმისწარმოებას, ამ მტკიცებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლორდ ბინგჰემს არასწორად აქვს გააზრებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის არსი. უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს, რომ ოფიციალური პირის ქმედება სახელმწიფოს შეერაცხება, განურჩევლად იმისა, თუ რა სახის პასუხისმგებლობა დაეკისრება მის ოფიციალურ პირს – სამოქალაქო- თუ სისხლისსამართლებრივი.<sup>265</sup> შესაბამისად, ლორდ ბინგჰემის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ოფიციალურ პირს არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც მისი არამართლზომიერი ქმედებები შეერაცხება სახელმწიფოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პირის მიერ განხორციელებული ქმედებები შეერაცხება სახელმწიფოს, სახელმწიფოსა და მისი სახელით მოქმედ ოფიციალურ პირთა პასუხისმგებლობა გამიჯნულია ერთმანეთისგან. საერთაშორისო

<sup>264</sup> *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Bingham, 729, იხ. სქოლიო 51.

<sup>265</sup> სახელმწიფოს ოფიციალური პირის ქმედებების სახელმწიფოსთვის შერაცხვასთან დაკავშირებით იხ. საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის მე-4-11 მუხლები და ამ მუხლების კომენტარები (იხ. Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries*, 77-123, იხ. სქოლიო 144).

თანამეგობრობამ აღიარა რა, რომ ადამიანის უფლებების დანაშაულებრივი დარღვევებისთვის ოფიციალურ პირს ეკისრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, გამიჯნა ერთმანეთისგან სახელმწიფოსა და ოფიციალური პირის პასუხისმგებლობა. ოფიციალური პირის პერსონალური პასუხისმგებლობა გულისხმობს იმას, რომ ოფიციალური პირი თავისი პირადი ბრალისთვის აგებს პასუხს და რა ფორმით, – სამოქალაქო- თუ სისხლისსამართლებრივი წესით, ეს უკვე ფორმალური საკითხია და იგი არავითარ გავლენას სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე არ ახდენს.<sup>266</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლორდი ბინგჰემის მოსაზრება, რომ, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებისგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალწარმოება გულისხმობს უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმისწარმოებას, ვერ იქნება გაზიარებული. ისევე როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ოფიციალური პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება არავითარ კავშირში სახელმწიფოსთან პასუხისმგებლობასთან არ არის. მეტიც, ოფიციალური პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება გაცილებით ნაკლები საფრთხის შემცველია სახელმწიფოსთვის, რომელსაც ეს ოფიციალური პირი წარმოადგენს, ვიდრე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ამის შესახებ მიუთითებს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პირის მიმართ „სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებისას სუვერენულ ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სამოქალაქო იურისდიქციის განხორციელებისას.“<sup>267</sup> ასე რომ, უცხო სახელმწიფოსთვის მისი ოფიციალური პირის არამართლზომიერი ქმედების შერაცხვის ფაქტი არაფერს არ ცვლის, კერძოდ, სახელმწიფოს ამის საფუძველზე არავითარი ვალდებულებები არ წარმოეშობა და, არსებითად, მის ინტერესებს არაფერი ემუქრება.

ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პარალელურად დასაშვებად უნდა იქნეს აღიარებული ოფიციალური პირისთვის ინდივიდუალური სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებაც. ეს დასკვნა დასტურდება სახელმწიფოთა გარკვეულ ჯგუფში უცხო სახელმწიფოს ოფიციალური პირებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკითაც. მართალია, ეს ჯგუფი ძალიან მცირერიცხოვანია და შესაბამისად, ოფიციალური პირებისთვის სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის ინდივიდუალური სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების მდიდარი პრაქტიკა არც

<sup>266</sup> Jones O., Jones v. Ministry of Interior of Kingdom of Saudi Arabia: An Exercise of Interpretation, 11 *Singapore Yearbook of International Law* 163, 2007, 172 (გადმოტვირთულია HeinOnline-ის მონაცემთა ბაზიდან); იხ. აგრეთვე Wright J., Retribution but No Recompense: A Critique of the Torturer's Immunity from Civil Suit, 30 *Oxford Journal of Legal Studies* 143, 2010, 173-177.

<sup>267</sup> Preliminary Report of ILC on Immunity of State Officials from Foreign Criminal Jurisdiction, Par. 53, იხ. სქოლიო 224.

არსებობს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ეს პრაქტიკა არსებითად გაპროტესტებული არ არის, <sup>268</sup> შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ის მისაღებია სახელმწიფოებისთვის. სახელმწიფოთა ამ ვიწრო წრეში განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს აშშ.<sup>269</sup> მიუხედავად იმისა, რომ აშშ არ გამოირჩევა დიდი ენთუზიაზმით, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დააკისროს უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ პირებს საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, მისი საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ ყველაზე მდიდარია.<sup>270</sup>

<sup>268</sup> იხ. ნაშრომის გვ. 30 და მითითებული სქოლიოები.

<sup>269</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში არ არის ფართოდ გავრცელებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის საფუძველზე უცხო სახელმწიფოს ოფიციალური პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკა (იხ. White J.G., *Nowhere To Run, Nowhere to Hide: Augusto Pinochet, Universal Jurisdiction, The ICC, and a Wake-Up Call for Former Heads of State*, 50 *Case Western Reserve Law Review* 127, 1999, 140-141 (გადმოტვირთულია LexisNeixs-ის მონაცემთა ბაზიდან).

<sup>270</sup> Murphy J.F., *Civil Liability for the Commission of International Crimes as an Alternative to Criminal Prosecution*, 28, იხ. სქოლიო 94. საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით, აღსანიშნავია უცხოელთა დელიქტური სასარჩელო მოთხოვნების შესახებ აქტი (The Alien Tort Claims Act) და წამების მსხვერპლის დაცვის შესახებ აქტი (Torture Victim Protection Act). პირველი მათგანი განამტკიცებს, რომ აშშ-ის სასამართლოებს აქვთ იურისდიქცია ისეთ სამოქალაქო სარჩელებთან მიმართებით, რომლებითაც უცხოელები მათთვის საერთაშორისო სამართლის ან აშშ-ის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ (იხ. The Alien Tort Claims Act, 1789). აღნიშნული აქტის ტექსტი ხელმისაწვდომია კორნელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (Cornell University Law School) ვებგვერდზე:

[http://www.law.cornell.edu/uscode/html/uscode28/usc\\_sec\\_28\\_00001350----000-.html](http://www.law.cornell.edu/uscode/html/uscode28/usc_sec_28_00001350----000-.html) (ნანახია: 10/07/2011).

ამ აქტის საფუძველზე აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გახმაურებული გადაწყვეტილება საქმეზე – *Filartiga v. Pena-Irala*, რომელზეც სარჩელი წარდგენილი იყო პარაგვაის პოლიციის ყოფილი ოფიცრის წინააღმდეგ პარაგვაის ტერიტორიაზე მოსარჩელის ვაჟიშვილის წამებით მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით. სასამართლომ განაცხადა, რომ „წამების საყოველთაო დაგმობისა და მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ერის მიერ წამების, როგორც ოფიციალური პოლიტიკის ინსტრუმენტის, უარყოფის ფონზე“ სახელმწიფოს პოლიციის ყოფილი ოფიცრის ქმედებები ვერ ჩაითვლებოდა ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ობიექტად (იხ. *Filartiga v. Pena-Irala*, US, Court of Appeals, Second Circuit, 1980 (77 ILR 169, 174)). ამ მსჯელობის შედეგად და უცხოელთა დელიქტური სასარჩელო მოთხოვნების შესახებ აქტის საფუძველზე სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი პარაგვაის პოლიციის ყოფილი ოფიცრის წინააღმდეგ. რაც შეეხება წამების მსხვერპლის დაცვის შესახებ აქტს, მისი მე-2(a)(1) მუხლის მიხედვით: „პირს, რომელიც ნამდვილი ან მოჩვენებითი სახელისუფლებო უფლებამოსილებით ახორციელებს სხვა პირის წამებას, მისთვის მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო წესით ეკისრება პასუხისმგებლობა.“ ამავე აქტის მე-2(a)(2) მუხლი განამტკიცებს, რომ „პირს, რომელიც ნამდვილი ან მოჩვენებითი სახელისუფლებო უფლებამოსილებით სასამართლო განაჩენის გარეშე ჩადის მკვლელობას, მსხვერპლის წარმომადგენლებისთვის მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო წესით ეკისრება პასუხისმგებლობა“ (იხ. Torture Victim Protection Act, 1992; ამ აქტის ტექსტი ხელმისაწვდომია კორნელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვებგვერდზე: [http://www.law.cornell.edu/uscode/uscode28/usc\\_sec\\_28\\_00001350----000-notes.html](http://www.law.cornell.edu/uscode/uscode28/usc_sec_28_00001350----000-notes.html) (ნანახია: 10/07/2011)).

ამ აქტის საფუძველზე აშშ-ის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეებზე – *Xuncax and Others v. Gramajo*; *Ortiz v. Gramajo*, რომელშიც სასამართლომ დააკმაყოფილა წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი

იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის საფუძველზე ფუნქციური იმუნიტეტი არ ვრცელდება ოფიციალურ პირზე ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ პირმა თავისი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განახორციელა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ იმუნიტეტის ეს სახე წარმოადგენს იმუნიტეტს *ratione materiae*.

იმუნიტეტი *ratione materiae* გულისხმობს, რომ იგი ოფიციალური პირს ენიჭება არა მისი სტატუსიდან გამომდინარე, არამედ იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ეს პირი ახორციელებს თავისი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში და რომლებზეც ის პირადად პასუხისმგებელი არ არის.<sup>271</sup>

იმუნიტეტისგან *ratione materiae* უნდა განვასხვავოთ იმუნიტეტი *ratione personae*, რომელიც წარმოადგენს „სტატუსის იმუნიტეტს“<sup>272</sup> და რომელიც, შესაბამისად, პირს ენიჭება არა კონკრეტულ ქმედებასთან დაკავშირებით, არამედ მისი სტატუსიდან, პოზიციიდან გამომდინარე. იმუნიტეტის ამ სახეს განეკუთვნება სახელმწიფო იმუნიტეტი და აბსოლუტური იმუნიტეტი, რომელიც იცავს განსაზღვრული კატეგორიის ოფიციალურ პირებს.<sup>273</sup>

ფუნქციური იმუნიტეტის, როგორც იმუნიტეტის *ratione materiae*, და სახელმწიფო იმუნიტეტის, როგორც იმუნიტეტის *ratione personae*, დახასიათებიდან გამომდინარე შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არ იცავს სახელმწიფოს ოფიციალურ პირს იმუნიტეტი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით, მაშინ როდესაც იგივე დარღვევები ექცევა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ.

საქმე იმაშია, რომ ფუნქციური იმუნიტეტი, როგორც იმუნიტეტი *ratione materiae* და არა სტატუსის იმუნიტეტი, არ გამოირიცხავს მისი დაცვის ქვეშ მყოფ ოფიციალურ პირზე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელების შესაძლებლობას. ამ ოფიციალურ პირს არ გააჩნია ისეთი სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მიუწვდომელს გახდიდა მას უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისთვის.

რაც შეეხება სახელმწიფო იმუნიტეტს, ის, როგორც იმუნიტეტი *ratione personae*, სახელმწიფოს ენიჭება მისი, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტის, სტატუსიდან გამომდინარე.

---

გვატემალის ყოფილი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ (იხ. *Xuncax and Others v. Gramajo; Ortiz and Others v. Gramajo*, US, District Court, District of Massachusetts, 1995 (104 ILR 165)).

<sup>271</sup> Trapp K. N., *State Responsibility for International Terrorism* (New York: Oxford University Press, 2011), 94-96.

<sup>272</sup> *Fang and Others v. Jiang Zemin and Others*, New Zealand, High Court, 2006 (141 ILR 702, 706).

<sup>273</sup> გავრცელებული შეხედულების თანახმად აბსოლუტური იმუნიტეტით დაცულები არიან სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები და დიპლომატიური აგენტები (იხ. *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, 76-78, იხ. სქოლიო 13).

სახელმწიფო, სახელისუფლებო სტატუსით მოქმედებებისას, სხვა სახელმწიფოების თანასწორია და, შესაბამისად, მასზე, როგორც თანასწორზე, სხვა სახელმწიფოები იურისდიქციას არ ფლობენ – *par in parem non habet imperium*.

სახელმწიფოს ოფიციალური პირი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისას არ სარგებლობს არავითარი სამართლებრივი სტატუსით, რომლის საფუძველზე უცხო სახელმწიფოს აეკრძალებოდა ამ პირზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელება მაშინ, როდესაც იმავე დარღვევებისთვის სახელმწიფო, საკუთარი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, დაცულია უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებების ერთსა და იმავე სახის მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, სახელმწიფოსა და მის ოფიციალურ პირებზე ვრცელდება იმუნიტეტის განსხვავებული წესები და რომ სახელმწიფოები ამ დარღვევებთან დაკავშირებით, სარგებლობენ იმუნიტეტით, ხოლო ოფიციალური პირები – არა.

იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო იმუნიტეტი და ოფიციალურ პირთა იმუნიტეტი არ არიან ერთმანეთის იდენტური პრინციპები, ისინი სინქრონულად არ ვითარდებიან და რაღაც ეტაპზე ერთის მიმართ მოქმედი წესები შეიძლება შეიზღუდოს ისე, რომ მეორე უცვლელი დარჩეს. ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია ყველა შემთხვევაში ამ პრინციპებს შორის პარალელულობის გავლება და ერთ-ერთი პრინციპის ცვლილებებიდან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ მეორე პრინციპმაც განიცადა სახეცვლილება. ასე, მაგალითად, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით მოხდა ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვა, თუმცა ამან ასახვა არ ჰპოვა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შინაარსში. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვის ფაქტი ვერ იქნება გამოყენებული როგორც არგუმენტი იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ განიხილებიან სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად და რომ, შესაბამისად, ამ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოები არ სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

### 3.5 დასკვნა

ნაშრომის მოცემულ ნაწილში განიხილება უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის ტენდენციები. ამ ტენდენციებს მიეკუთვნება: იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვა ადამიანის უფლებების ისეთ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთმა

სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა; აშშ-ის მიერ ანტიტერორისტული აქტის მიღება და, ბოლოს, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ოფიციალურ პირთა ფუნქციური იმუნიტეტის შეზღუდვა.

მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის აღნიშნული ტენდენციების განხილვა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მათ საფუძველზე შეიძლება განხილეს ეჭვი, რომ ამ ტენდენციებმა გამოძახილი ჰპოვეს იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებაში ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევების კონტექსტში, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საომარი კონფლიქტის დროს განახორციელა, და რომ შედეგად, ასეთ დარღვევებთან მიმართებით შესაძლებელი გახდა, რომ ერთმა სახელმწიფომ არ მიანიჭოს მეორე სახელმწიფოს იმუნიტეტი.

ამ ეჭვების გასაფანტად ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის თითოეული ზემოთ მითითებული შემთხვევა. ამის საფუძველზე ნაშრომში კეთდება იმის წარმოჩენის მცდელობა, რომ აღნიშნულ შემთხვევებში მოქმედებს იმუნიტეტის სპეციფიკური წესები და რომ ეს წესები იძლევიან ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპის შეზღუდვის შესაძლებლობას, რასაც ვერ ვიტყვით იმუნიტეტის პრინციპზე, რომელიც მოქმედებს ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევების კონტექსტში, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საომარი კონფლიქტის დროს განახორციელა.

საკუთარ ტერიტორიაზე ან სამხედრო კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისას სახელმწიფო წარმოადგენს სახელისუფლებო სტატუსით მოქმედ პირს და, აქედან გამომდინარე, ის სარგებლობს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისაგან, ვინაიდან როგორც სახელისუფლებო სტატუსით მოქმედი პირი, ის ყველა სხვა სახელმწიფოს თანასწორი სუბიექტია და შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპის ძალით, როგორცაა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, უცხო სახელმწიფოები არ ფლობენ მასზე იურისდიქციას – *par in parem non habet imperium*.

სხვა ვითარებაა, როდესაც სახელმწიფო ანალოგიურ სამართალ-დარღვევებს ახორციელებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქმე ისაა, რომ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ვერ მოქმედებს, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტი, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს არ ანიჭებს მას ამ სტატუსით მოქმედების უფლებას.<sup>274</sup> შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს ნებართვის გარეშე მის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებებისთვის სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე არ ენიჭება იმუნიტეტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან.

<sup>274</sup> იხ. ნაშრომის გვ. 65-66 და მითითებული სქოლიოები.



ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებობს დიდი სხვაობა იმ შემთხვევებს შორის, როდესაც სახელმწიფო ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს სწადის საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო კონფლიქტების დროს და როდესაც სახელმწიფო ადამიანის უფლებებს არღვევს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე არასაომარ ვითარებაში.

პირველ შემთხვევაში, იმუნიტეტი სახელმწიფოს ენიჭება საერთაშორისო სამართლის ძალით და ერთადერთი, რაც დარჩენია ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ამ ვითარებაში, არის დაემორჩილოს ამ წესს და მიანიჭოს უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტი. რაც შეეხება ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს, რომლებსაც სახელმწიფო ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახორციელებს, ამ შემთხვევაში სახელმწიფოზე იმუნიტეტი გავრცელდება მხოლოდ იმ პირობით, თუ მის ქმედებებს ადგილსამყოფელი სახელმწიფო მიანიჭებს სახელისუფლებო ქმედებების კვალიფიკაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით იმუნიტეტით ვერ ისარგებლებს. ამის სადემონსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს აშშ-ის სასამართლოს მიერ საქმეზე – *Letelier v. Republic of Chile* – ჩილეს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც აშშ-იმ უარი უთხრა ჩილეს იმუნიტეტის მინიჭებაზე იმ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე ჩილეს სადაზვერვო სამსახურის მიერ ჩილეს ყოფილი ელჩის მკვლელობის ფაქტს. მოცემულ საქმეზე აშშ-ს, უარი უთხრა რა ჩილეს იმუნიტეტის მინიჭებაზე, არ დაურღვევია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, ვინაიდან აშშ-ის 1976 წლის აქტის 1605(a)(5) მუხლის მიხედვით, აშშ მის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც *per se* მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს წარმოადგენენ,<sup>275</sup> არ განიხილავს სახელისუფლებო ქმედებად, რის საფუძველზეც უცხო სახელმწიფოებს ამ ქმედებების განხორციელებისას არ ენიჭებათ იმუნიტეტი აშშ-ის იურისდიქციისგან.

მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე აშშ-ის ანტიტერორისტული აქტის კონტექსტში. ანტიტერორისტულმა აქტმა დასაშვებად სცნო აშშ-ის სასამართლოებში ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოების წინააღმდეგ ისეთი სამოქალაქო სარჩელების წარდგენა, რომლებიც ამ უკანასკნელებმა არა საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტის ფარგლებში განახორციელეს. პირველი ორი შემთხვევისგან განსხვავებით, უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო იმუნიტეტით ისარგებლებს მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილობრივი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე მოქმედებდა სახელისუფლებო სტატუსით და რომ შესაბამისად, ქმედებები, რომლებმაც გამოიწვიეს მის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, წარმოადგენენ სახელმწიფოს

<sup>275</sup> იხ. სქოლიო 194.

სახელისუფლებო ქმედებებს. თუ ადგილობრივი სახელმწიფო ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს არ მიანიჭებს სახელისუფლებო ქმედებების კვალიფიკაციას, სახელმწიფოზე საერთაშორისო სამართლის ძალით არ გაგრძელდება იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოებმა მიანიჭონ სახელისუფლებო ქმედებების კვალიფიკაცია მათ ტერიტორიაზე ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ ქმედებებს, რომლებსაც შედეგად ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები მოჰყვება. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოებისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმა და მათი აშშ-ის იურისდიქციისადმი დაქვემდებარება, საერთაშორისო სამართლით აკრძალულად არ ჩაითვლება.

დაბოლოს, სახელმწიფოს იმუნიტეტის პრინციპი, რომელიც იცავს სახელმწიფოს საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოს ოფიციალურ პირთა ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპისგან.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს იმუნიტეტს *ratione personae*, ფუნქციური იმუნიტეტი წარმოადგენს იმუნიტეტს *ratione materiae*, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ოფიციალურ პირს იმუნიტეტი ენიჭება არა საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე, როგორც სახელმწიფოს, არამედ იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ის საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს. ამ ქმედებებისთვის სახელმწიფოს ოფიციალურ პირს არ ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა და სწორედ ამის ხარჯზე ის დაცულია იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

იმის გათვალისწინებით, რომ ფუნქციური იმუნიტეტი ოფიციალურ პირს ენიჭება მხოლოდ იმ ნიშნით, რომ მას არ ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ამა თუ იმ კონკრეტული ქმედებისთვის, გასაგებია, რომ ის არ მოექცევა იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ ადამიანის უფლებების იმ დარღვევებისთვის, რომლებზეც ის ინდივიდუალურად პასუხისმგებელ პირად ითვლება. ასეთ დარღვევებთან დაკავშირებით, ოფიციალური პირის უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით დაბკოლებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მას არ გააჩნია ისეთი სამართლებრივი სტატუსი, რომელიც გამორიცხავდა მასზე უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის გაგრძელების შესაძლებლობას. ამით ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ მყოფი ოფიციალური პირი განსხვავდება სახელმწიფოსგან, რომელსაც, მართალია ეკისრება პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისთვის, მაგრამ, იგი მაინც დაცულია იმუნიტეტით, ვინაიდან სახელმწიფო, საკუთარი

სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტის სტატუსიდან გამომდინარე, არ ექვემდებარება უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციას.

როგორც იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების ადამიანის უფლებების სასარგებლოდ შეზღუდვის ზემოთ განხილული შემთხვევები მოწმობენ, ამ შეზღუდვების დაწესება შესაძლებელი გახდა იმუნიტეტის იმ სპეციფიკური წესების ხარჯზე, რომლებიც გამოიყენება ადგილსამყოფელი ან უცხო სახელმწიფოების ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებებთან და აგრეთვე ოფიციალურ პირებთან დაკავშირებით. ეს წესები იძლეოდნენ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის საშუალებას ისე, რომ ამისთვის იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალური ცვლილება არ გამხდარა საჭირო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არასწორია ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის შეზღუდვის მითითებული შემთხვევების მაგალითზე იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპმა განიცადა კონცეპტუალური ცვლილება ადამიანის უფლებებთან მიმართებაში და რომ ამის შედეგად სახელმწიფოებს შეიძლება უარი ეთქვათ იმუნიტეტის მინიჭებაზე ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს განხორციელეს. ამ კონტექსტში განხორციელებული ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები კვლავაც განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად და შესაბამისად, ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს კვლავაც იცავს იმუნიტეტის პრინციპი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

#### 4. დასკვნა

დასკვნის სახით, სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებულ არგუმენტთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტი, სვამს რა არასწორ აქცენტებს სუვერენიტეტის კონცეფციაში, არასწორად მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებსაც სახელმწიფოები ახორციელებენ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს არ ენიჭებათ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

სუვერენიტეტის კონცეფციას გააჩნია რამდენიმე ასპექტი. არგუმენტი, აცხადებს რა, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს, ეყრდნობა გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტს. სუვერენიტეტის ამ ასპექტს არავითარი

შეხება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან არა აქვს. შესაბამისად, არასწორია სუვერენიტეტის ამ ასპექტიდან გამომდინარე, იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სუვერენული ქმედების შინაარსის განსაზღვრა და ამ ასპექტის საფუძველზე იმის მტკიცება, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ, შესაბამისად, ამ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოები არ სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

რაც შეეხება სუვერენიტეტის იმ ასპექტებს, რომელთაგან უშუალოდ გამომდინარეობს იმუნიტეტის პრინციპი, ამ ასპექტის მიხედვით ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად. შესაბამისად, ამ დარღვევებთან დაკავშირებით, სახელმწიფოზე ვრცელდება იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება.

სუვერენული ქმედებების კონცეფცია არ შეცვლილა იმ პრაქტიკის ფონზეც კი, რომელიც საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის საპასუხოდ სახელმწიფოებში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ვითარდება და რაც ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვაში გამოიხატება. ამ შეზღუდვებს არ გამოუწვევიათ იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალური ცვლილება და ამის შედეგად, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს განახორციელა, კვლავაც კვალიფიცირდება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად, რომლებთან მიმართებაშიც სახელმწიფო სარგებლობს იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

#### IV. ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ გამოთქმული არგუმენტი

##### 1. შესავალი

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში განხილულია ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ გამოთქმული ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და „სიცოცხლისუნარიანი“<sup>276</sup> არგუმენტი აღმოჩნდა.

ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში რამდენიმე სახით გვხვდება. კერძოდ, იგი წამოყენებულია სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის ისეთი უფლებების ურთიერთმიმართების კონტექსტში, როგორებიცაა: 1) *jus cogens* ნორმის ხასიათის მქონე ადამიანის უფლებები; 2) სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება; 3) მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და 4) სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

განზოგადებული სახით, ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს არ უნდა მიენიჭოს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, ვინაიდან, არგუმენტის მიხედვით, ამით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი წინააღმდეგობაში მოდის იერარქიულად უფრო მაღალ ნორმებთან, კერძოდ, *jus cogens* ნორმის ხასიათის მქონე ადამიანის უფლებებთან და აგრეთვე ამ უფლებების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილ ადამიანის ისეთ უფლებებთან, როგორებიცაა: სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების, მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები. ეს უფლებები არგუმენტების მიხედვით, სარგებლობენ უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით.

ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის სამართლებრივი ანალიზისთვის აუცილებელია განსაკუთრებულად აღინიშნოს, რომ ის ეყრდნობა ორ პრეზუმპციას. სწორედ აღნიშნული პრეზუმპციების შეფასებების საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნები ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის მართებულობასთან დაკავშირებით.

<sup>276</sup> Bianchi A., Denying State Immunity to Violators of Human Rights, 46 *Austrian Journal of Public and International Law*, 195, 1994, 219.

არგუმენტის პირველი პრეზუმპციის მიხედვით, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის ზემოთ მითითებული უფლებები წარმოადგენენ ურთიერთდაპირისპირებულ, კოლიზიურ სამართლებრივ ნორმებს.

მეორე პრეზუმპციის მიხედვით, საერთაშორისო სამართალში არსებობს ნორმატიული იერარქია და ამ იერარქიაში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმები, აგრეთვე ამ ნორმების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ადამიანის ისეთი უფლებები, როგორებიცაა: სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების, მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები, სარგებლობენ უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით.

თუკი ზემოთ მითითებული პრეზუმპციების სისწორეს ეჭვგარეშედ მივიჩნევთ, შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი გვთავაზობს რეალურ სამართლებრივ მექანიზმს იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების დასაძლევად, მათ შორის, ადამიანის უფლებების ისეთი მძიმე დარღვევების კონტექსტშიც, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა. თუმცა, საკმარისია პრეზუმპციების სისწორის შემოწმება მოხდეს, რომ ეს ზედაპირული შთაბეჭდილება არგუმენტის მართებულობასთან დაკავშირებით ქარწყლდება და არგუმენტი დამაჯერებლობას კარგავს.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის ნორმათა იერარქიის საკითხთან დაკავშირებით. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ შეხედულება, თითქოს ადამიანის უფლებები ყოველთვის სარგებლობენ უპირატესობით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით, ნაკლებად სარწმუნოა. კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ საერთაშორისო სამართალში საერთოდ არასწორია ნორმატიული იერარქიის არსებობაზე მსჯელობა.<sup>277</sup> გარდა ამისა, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ საერთაშორისო სამართალში, მართალია, არსებობს ნორმატიული იერარქია, მაგრამ ეს იერარქია არ ეყრდნობა *jus cogens* ნორმებს და ამ უკანასკნელ ნორმათა უზრუნველსაყოფად განკუთვნილ ადამიანის უფლებებს. ასე, მაგალითად, ალექსიძე წერს, რომ საერთაშორისო სამართალში ნორმათა იერარქია ასახავს „უნივერსალური, ე.ი. საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობის, ნორმებისა და ლოკალურ . . . დონეზე შექმნილი ნორმების ურთიერთდაქვემდებარებას.“<sup>278</sup> ამის საფუძველზე ალექსიძე აყალიბებს საერთაშორისო სამართლის ნორმათა იერარქიას, რომლის სათავეშიც

<sup>277</sup> Shelton D., Normative Hierarchy in International Law, 100 *The American Journal of International Law* 291, 2006.

<sup>278</sup> Алексидзе Л., Место и Роль Императивных Норм в Системе Международного Права, 16-17 (იხ. Graefrath B. (Ed.), *Probleme des Völkerrechts* (Berlin: Akademie-Verlag, 1985).

მოიაზრებს საერთაშორისო სამართლის „კონსტიტუციური“ 279 მნიშვნელობის ძირითად პრინციპებს, რომელთაგან ყველა, მისი შეფასებით, არ წარმოადგენს *jus cogens* ნორმებს.<sup>280</sup>

ნაშრომის მოცემულ ნაწილში ჩვენ არ ვჩერდებით იმ საკითხების შესწავლაზე – მართლაც არსებობს თუ არა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ნორმატიული იერარქია და თუ არსებობს, სარგებლობენ თუ არა ამ იერარქიაში *jus cogens* ნორმები და ამ ნორმების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ადამიანის უფლებები უპირატესი იურიდიული ძალით სხვა ნორმებთან შედარებით. აღნიშნული საკითხები ძალიან პრობლემური და მოცულობითია, მოითხოვენ დამოუკიდებელ კვლევას და, აქედან გამომდინარე, აქ მათ საგანგებო ყურადღება არ ეთმობათ, მითუმეტეს, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია ნორმატიული იერარქიის საკითხის განხილვის გარეშეც.

ნორმატიული იერარქიის ირგვლივ არსებული წინააღმდეგობრივი შეხედულებები არ არის ერთადერთი და ყველაზე მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი შეიძლება ჩაითვალოს გამოუსადეგარად ადამიანის უფლებების ისეთ მძიმე დარღვევებთან მიმართებაში იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების გასანეიტრალებლად, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა. ამ არგუმენტთან დაკავშირებით ყველაზე დიდი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მითითებული დარღვევების კონტექსტში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის ზემოაღნიშნულ უფლებებს შორის ნორმატიული კონფლიქტი საერთოდ არ არსებობს; კონფლიქტის არარსებობა კი საფუძველშივე ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის მცდარობაზე მიუთითებს და საერთაშორისო სამართალში ნორმათა იერარქიის პრობლემის შემდგომი კვლევის საჭიროებას გამოიხატავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის უფლებებს შორის ნორმატიული კონფლიქტის არსებობა წარმოადგენს ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის ერთ-ერთ ძირითად პრეზუმპციას, რომლის გარეშეც არგუმენტის მთელი სამართლებრივი კონსტრუქცია, რომელიც გულისხმობს იერარქიულად უფრო დაბალი ნორმის (სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის) მოქმედების განეიტრალებას იერარქიულად უფრო მაღალი ნორმის (ადამიანის უფლებების) ხარჯზე, იმსხვრევა. საქმე იმაშია, რომ იერარქიულად უფრო მაღალმა ნორმამ ქვემდგომი ნორმა შეიძლება გაანეიტრალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვემდგომი ნორმა მოდის

<sup>279</sup> ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2008), 6-7.

<sup>280</sup> Alexidze L., Legal Nature of *Jus Cogens* in Contemporary International Law, 252-253, 260, იხ. სქოლიო 171.

მასთან კოლიზიაში. თუ ქვემდგომი ნორმა არ ეწინააღმდეგება ზემდგომს ან თუ ზემდგომი ნორმა საერთოდ არ არსებობს, მაშინ, ცხადია ეს უკანასკნელი ვერავითარ კორექტივებს ვერ შეიტანს ქვემდგომი ნორმის მოქმედებაში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი წინააღმდეგობაში არ მოდის ადამიანის უფლებებთან, რომლებსაც *jus cogens* ნორმების სახე აქვთ, და არც ისეთ უფლებებთან, როგორებიცაა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების, კომპენსაციის მიღების მოთხოვნისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები, არასწორია იმის მტკიცება, რომ იმუნიტეტის პრინციპის, როგორც იერარქიულად ქვემდგომი ნორმის, მოქმედება გამოირიცხება ადამიანის დასახელებული უფლებების, როგორც იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ნორმების, მოქმედების შედეგად.

ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში მთავარი აქცენტი კეთდება სწორედ იმის ჩვენებაზე, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის ზემოთ მითითებულ უფლებებს შორის ნორმატიული კონფლიქტი არ არსებობს. კერძოდ, 3.2 თავი მიზნად ისახავს იმის ილუსტრირებას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმები შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავებული ნორმებია, რომლებსაც შეხების წერტილები საერთოდ არ გააჩნიათ, და რომ, შესაბამისად, მათ შორის ნორმატიული კონფლიქტი საერთოდ გამოირიცხება; 3.3 თავი ეძღვნება სახელმწიფო იმუნიტეტისა და ქმედითი დაცვის მოთხოვნის უფლების ურთიერთმიმართებას. ამ თავში შევეცადეთ იმის ჩვენებას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტში, რომელიც სახელმწიფოს ენიჭება უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან ადამიანის უფლებების ისეთ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც მან საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, საერთოდ არ არსებობს ქმედითი დაცვის მოთხოვნის უფლება და რომ, შესაბამისად, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ქმედითი დაცვის მოთხოვნის უფლებებს შორის ნორმატიული კონფლიქტი საერთოდ ვერ იარსებებს; 3.4 თავი ეთმობა სახელმწიფო იმუნიტეტისა და კომპენსაციის მიღების უფლების ურთიერთმიმართების საკითხს; უფრო ზუსტად, ამ საკითხის ფარგლებში ყურადღება მახვილდება სახელმწიფო იმუნიტეტისა და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნის უფლების ურთიერთმიმართებაზე. წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნის უფლებაზე (და არა ზოგადად კომპენსაციის მოთხოვნის უფლებაზე) ყურადღების შეჩერება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო პრაქტიკაში ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი გვხვდება სწორედ სახელმწიფო იმუნიტეტისა და მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნის უფლების ურთიერთმიმართების კონტექსტში. ამ შემთხვევაშიც ნაშრომი წარმოაჩენს, რომ იმუნიტეტი, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო ძალით ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით ენიჭება, გამოირიცხავს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას და შესაბამისად, მათ



შორის ნორმატიულ კონფლიქტის არსებობას. დაბოლოს, 3.5 თავში ნახვენებია, რომ ადამიანის უფლებების მიმდებარე დარღვევებთან მიმართებაში სახელმწიფოსთვის საერთაშორისო სამართლის ძალით მინიჭებული იმუნიტეტის კონტექსტში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საერთოდ არ არსებობს, რის გამოც ნორმატიული კონფლიქტი სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას შორის არ დასტურდება.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის ზემოთ დასახელებულ უფლებებს შორის ნორმატიული კონფლიქტის არარსებობის წარმოჩენით ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში კეთდება დასკვნა, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი არის კონცეპტუალურად არასწორი და ვერ სთავაზობს ადამიანის უფლებების დარღვევის შედეგად დაზარალებულ პირებს ქმედით მექანიზმს ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორის წინააღმდეგ სამოქალაქო დავის საწარმოებლად.

## 2. ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმებისა და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ურთიერთმიმართების შესახებ

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში განხილულია არგუმენტი, რომელიც ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაყრდნობით ცდილობს დაასაბუთოს, რომ სახელმწიფოს არ უნდა მიენიჭოს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმები დაარღვია.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ *jus cogens* ნორმების, იმავე იმპერატიული ნორმების, მოქმედება არ სცილდება საერთაშორისო სახელმწიფოებს სამართლის სფეროს, რომლის წიაღშიც წარმოიშვა *jus cogens* ნორმების კონცეფცია და რომ მათი გამოყენება სხვა კონტექსტში არ არის მართებული.<sup>281</sup>

საერთაშორისო სახელმწიფოებს სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-53 მუხლის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის *jus cogens* ნორმა არის ნორმა, რომელიც მიღებულია და აღიარებულია

<sup>281</sup> Tams C., *Enforcing Obligations Erga Omnes in International Law* (New York: Cambridge University Press, 2005), 143. საწინააღმდეგო მოსაზრებისთვის იხ. Bianchi A., *Human Rights and the Magic of Jus Cogens*, 19 *The European Journal of International Law* 491, 2008, 496.

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანობაში, როგორც ნორმა, რომლისგანაც გადახვევა დაუშვებელია და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ზოგადი საერთაშორისო სამართლის ამავე ხასიათის მომდევნო ნორმით.<sup>282</sup> იმის საფუძველზე, რომ *jus cogens* ნორმის კონცეფცია წარმოადგენს საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის პირმშოს, ყალიბდება მოსაზრება, რომ კონცეპტუალურად არასწორია *jus cogens* ნორმების ცალმხრივ დარღვევებზე მსჯელობა და ამ დარღვევებისთვის გარკვეული სამართლებრივი შედეგების დაკავშირება, ვინაიდან, როგორც საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის კატეგორია, *jus cogens* ნორმები გამიზნულია მხოლოდ საიმისოდ, რომ არ დაუშვას საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის აღნიშნული ნორმების გადახვევით ხელშეკრულებების დადება.<sup>283</sup> მსგავსი შეხედულება შეიძლება იყოს დავის საგანი.<sup>284</sup> მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშრომი ყველა სადავო საკითხს ადამიანის უფლებების დასაცავად გამოთქმული არგუმენტების სასარგებლოდ წყვეტს და ცდილობს გაანალიზოს, აქვთ თუ არა არგუმენტებს რაიმე სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც პირვინდად გამორიცხავს მათ მართებულობას.

ბუნებრივად დაისმის კითხვა – აქვს თუ არა ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებულ არგუმენტს, რომელიც წამოყენებულია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმის კონტექსტში, რაიმე სამართლებრივი ხარვეზი, რომლის გამოც არგუმენტი შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად არაქმედითად საიმისოდ, რომ მასზე დაყრდნობით ადამიანის უფლებების დარღვევის შედეგად დაზარალებულ პირს შეეძლოს სამოქალაქო სარჩელის წარდგენა ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ან სამხედრო კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით?

განსახილველი არგუმენტი ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა იერარქიის იმ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც *jus cogens* ნორმები სარგებლობენ უპირატესი იურიდიული ძალით ყველა სხვა ნორმებთან, მათ შორის, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით. აღნიშნული იერარქიული სტრუქტურის საფუძველზე არგუმენტი აცხადებს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის, როგორც უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ნორმის, მოქმედება ვერ ვრცელდება იერარქიულად უფრო მაღალი *jus cogens* ნორმის დარღვევის შედეგებზე.

<sup>282</sup> კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org>

<sup>283</sup> მაგ., იხ. *Алексидзе Л.А., Некоторые Вопросы Теории Международного Права: Императивные Нормы*. Тбилиси, Издание Тбилисского Университета, 1982).

<sup>284</sup> მაგ., საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტი ითვალისწინებს იმპერატიულ ნორმების დარღვევის შესაძლებლობას (იხ. Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries* 245-253, იხ. სქოლიო 144).

შედეგად, არგუმენტის მიხედვით, სახელმწიფო, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს, არ ექცევა სახელმწიფო პრინციპის დაცვის ქვეშ. მეტიც, ამ არგუმენტის მიხედვით, არა მხოლოდ იმ სახელმწიფოს არ შეუძლია იმუნიტეტის მოთხოვნა, რომელმაც *jus cogens* ნორმა დაარღვია, არამედ იმ სახელმწიფოსაც, რომლის სასამართლოშიც სამოქალაქო სარჩელია წარდგენილი, არ შეუძლია *jus cogens* ნორმების დარღვევი სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება.

რამდენად თანმიმდევრულია წარმოდგენილი არგუმენტი? უნდა ეთქვათ თუ არა უცხო სახელმწიფოებს, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს, უარი იმუნიტეტის მინიჭებაზე იმ საფუძველზე, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმათა იერარქიაში *jus cogens* ნორმებს ენიჭებათ უპირატესი იურიდიული ძალა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან შედარებით?

არგუმენტის სამართლებრივ ანალიზამდე განხორციელებამდე მიზანშეწონილია მიმოვიხილოთ სასამართლო პრაქტიკა, რომელშიც გვხვდება განსახილველი არგუმენტი. აღსანიშნავია, რომ ამ არგუმენტზე ხშირად აპელირებენ საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, ეს არგუმენტი წამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში საქმეებზე – *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others* და *Jones v. Saudi Arabia*, – და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – ევროპული სასამართლო) მოსამართლეების მიერ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom*.

საქმეში – *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others* – მოსარჩელე – გაერთიანებული სამეფოსა და ქუვეითის მოქალაქე – აცხადებდა, რომ ქუვეითის სამეფო ოჯახის წევრის დავალებით ის უკანონოდ დააპატიმრეს და აწამეს ქუვეითის ტერიტორიაზე ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებმა. ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ მან შეიტანა სარჩელი ქუვეითის წინააღმდეგ და ითხოვდა მისთვის უკანონო დაპატიმრებითა და წამებით, აგრეთვე ლონდონში დაბრუნების შემდეგ ქუვეითის მთავრობისგან სისტემატური მუქარის შედეგად მისთვის მიყენებული ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.<sup>285</sup> ქუვეითის იმუნიტეტის საკითხთან დაკავშირებით, მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი აღნიშნავდნენ, რომ ქუვეითმა მოსარჩელის წამებით დაარღვია საერთაშორისო სამართლის *jus cogens* ნორმა, რომელსაც, მისი იურიდიული ძალიდან გამომდინარე, შეუძლია გადაწონოს საერთაშორისო სამართლის ყველა სხვა ნორმა, მათ შორის, საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი.<sup>286</sup> მოსარჩელის განცხადებით, გაერთიანებული სამეფოს 1978 წლის აქტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოები უცხო სახელმწიფოების

<sup>285</sup> *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others*, 536, იხ. სქოლიო 51.

<sup>286</sup> იქვე, 541.

იმუნიტეტის საკითხის განხილვისას, უნდა განმარტებულიყო საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებით და გაერთიანებული სამეფოს სასამართლო იურისდიქციისგან ქუვეით არ უნდა მინიჭებოდა დამცავი იმუნიტეტი.<sup>287</sup>

საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia* – გაერთიანებული სამეფოს მოქალაქემ შეიტანა საუდის არაბეთისა და მისი ოფიციალური პირის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი გაერთიანებული სამეფოს სასამართლოში.<sup>288</sup> მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ის საუდის არაბეთის ოფიციალურმა პირმა საუდის არაბეთის ტერიტორიაზე აწამა. გაერთიანებული სამეფოს სასამართლოში სარჩელის წარდგენით მოსარჩელე ითხოვდა მისთვის წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.<sup>289</sup> მოსარჩელე საკუთარი სარჩელის დასაშვებობის დასასაბუთებლად აცხადებდა, რომ მოცემულ საქმეზე საუდის არაბეთს და მის ოფიციალურ პირს წამების აკრძალვის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით არ იცავდა იმუნიტეტი გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციისგან, ვინაიდან წამების აკრძალვა, როგორც საერთაშორისო *jus cogens* ნორმა, სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით ყველა ნორმასთან, მათ შორის სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან, შედარებით.<sup>290</sup>

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განსახილველ არგუმენტს ეყრდნობიან არა მხოლოდ მოსარჩელეები საკუთარ სარჩელებში, არამედ მოსამართლეებიც საკუთარ გადაწყვეტილებებში. მაგალითისთვის შეიძლება დასახელდნენ ევროპული სასამართლოს მოსამართლეები: როზაკისი, კაფლიში, ვილდჰაბერი, კოსტა, კაბრალ ბარეტო, ვაჯიჩი და ლუკაიდი, რომლებიც საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – არ შეუერთდნენ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და რომლებმაც საკუთარ განსხვავებულ აზრში ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაყრდნობით აღნიშნეს, რომ *jus cogens* ნორმების დარღვევებთან მიმართებით არ ვრცელდება იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება, ვინაიდან, სასამართლოს შეხედულებით, *jus cogens* ნორმები სარგებლობენ უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით.<sup>291</sup>

საქმესთან – *Al-Adsani v. United Kingdom* – დაკავშირებით მოკლედ უნდა ითქვას, რომ სარჩელი ევროპულ სასამართლოში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ წარდგენილ იქნა მას შემდეგ, რაც გაერთიანებული სამეფოს

<sup>287</sup> *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others*, 541-542, იხ. სქოლიო 51.

<sup>288</sup> *Jones v. Saudi Arabia*, 631, იხ. სქოლიო 51.

<sup>289</sup> იქვე.

<sup>290</sup> იქვე, 714-715.

<sup>291</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, Dissenting Opinion of Judges Rozakis and Caflisch, joined by Judges Wildhaber, Costa, Cabral Barreto and Vajic, 49-51; მოსამართლეები ფერარი ბრავო და ლუკაიდესი ასევე არ შეუერთდნენ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა საკუთარი განსხვავებული აზრის დასაბუთებაში მათ გამოიყენეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებისა და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ურთიერთმიმართების კონტექსტში წამოყენებული ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი, რომლის შესახებაც საუბარია ნაშრომის წინამდებარე თავის მე-3 ქვეთავში.

სასამართლოებმა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საფუძველზე უარი უთხრეს მოსარჩელეს ქუვეიტის წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის განხილვაზე. გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა, ჩათვალეს რა, რომ მოცემულ საქმეზე ქუვეითი სარგებლობდა იმუნიტეტით გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციისგან, არ განიხილეს წარდგენილი სარჩელი, რის შემდეგაც მოსარჩელემ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მოითხოვა იმის დადგენა, დაარღვია თუ არა გაერთიანებულმა სამეფომ ქუვეითისთვის იმუნიტეტის მინიჭებით ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლებით დაკისრებული ვალდებულებები და აგრეთვე მე-6(1) მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.<sup>292</sup>

მოცემულ საქმეზე მოსამართლეები არ დაეთანხმნენ მოსარჩელის მტკიცებას, რომ გაერთიანებულმა სამეფომ წამების ფაქტებთან დაკავშირებით ქუვეითისთვის იმუნიტეტის მინიჭებით დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) და მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება);<sup>293</sup> ამასთან, უმცირესობაში მყოფმა მოსამართლეებმა გაიზიარეს მოსარჩელის პოზიცია, რომ *jus cogens* ნორმების დარღვევებთან მიმართებაში სახელმწიფოზე იმუნიტეტის გავრცელება წარმოადგენდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევას. მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქუვეითი, როგორც *jus cogens* ნორმის დამრღვევი სახელმწიფო, არ სარგებლობდა საერთაშორისო სამართლის ძალით იმუნიტეტით გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციისგან და რომ, შესაბამისად, გაერთიანებულმა სამეფომ ქუვეითისთვის იმუნიტეტის მინიჭებით შეუქმნა მოსარჩელეს სამართლებრივი ბარიერი სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განსახორციელებლად.<sup>294</sup>

იმ საკითხის განმარტებისას, თუ რატომ არ სარგებლობდა ქუვეითი, როგორც *jus cogens* ნორმების დამრღვევი სახელმწიფო, იმუნიტეტით უცხო სახელმწიფო იურისდიქციისგან, მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ იმუნიტეტის პრინციპი, წინააღმდეგობაში მოდის რა იერარქიულად უფრო მაღალ, *jus cogens* ნორმასთან, ვერ წარმოშობს *jus cogens* ნორმის დამრღვევი სახელმწიფოსთვის ვერავითარ სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, მოსამართლეებმა: როზაკისმა, კაფლიშმა, ვილდჰაბერმა, კოსტამ, კაბრალ ბარეტომ და ვაჯინმა საერთო განსხვავებულ აზრებში მიუთითეს, რომ „წამების აკრძალვის პრინციპის *jus cogens* ნორმად აღიარებით, უმრავლესობა [იგულისხმება საქმეზე დანიშნულ მოსამართლეთა უმრავლესობა] ადასტურებს, რომ ის იერარქიულად უფრო მაღალი ნორმაა, ვიდრე საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი სხვა ნორმა, იქნება ეს ზოგადი თუ სპეციალური, ჩვეულებითი თუ სახელშეკრულებო ნორმა: ... *jus*

<sup>292</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, ECHR, 2001 (123 ILR 24).

<sup>293</sup> იქვე, 35-36.

<sup>294</sup> იქვე, 49-53.

*cogens* ნორმის ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ, როგორც სამართლის წყარო, ამჟამად უკვე საერთაშორისო სამართლის ვერტიკალურ სისტემაში ის გადაწონის ნებისმიერ სხვა ნორმას, რომელსაც არ გააჩნია იგივე სტატუსი. *jus cogens* ნორმისა და საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი სხვა ნორმის კონფლიქტის შემთხვევაში, ამ პირველს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა. ამ უპირატესობის შედეგია ის, რომ ნებისმიერი ნორმა [რომელიც წინააღმდეგობაში მოდის *jus cogens* ნორმასთან] არის ბათილი, ან სულ ცოტა, არ წარმოშობს ისეთ სამართლებრივ შედეგს, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა იმპერატიული ნორმის შინაარსთან.“<sup>295</sup>

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ „ამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ქუვეითი ვერ ამოეფარება სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს, რათა თავიდან აიცილოს უცხო სახელმწიფოს სასამართლოში მის წინააღმდეგ წამების ბრალდებასთან დაკავშირებული პროცესი; და ამ უცხო სახელმწიფოს (გაერთიანებული სამეფო) სასამართლოებს არ შეუძლიათ, დააკმაყოფილონ იმუნიტეტის მინიჭების შესახებ შუამდგომლობა ან დაეკრძალოს მას *ex officio*, რათა უარი უთხრან მოსარჩელეს წამების საქმის განხილვაზე. წამების აკრძალვის შესახებ *jus cogens* ნორმისა და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, სახელმწიფო იმუნიტეტის პროცედურული ბარიერი ავტომატურად უქმდება, ვინაიდან ეს წესები ეწინააღმდეგება იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ ნორმებს და არ წარმოშობს არავითარ სამართლებრივ შედეგს.“<sup>296</sup>

როგორც ზემოთ მითითებული საქმეებიდან იკვეთება, არგუმენტმა მოიპოვა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის მსხვერპლთა სასარჩელო განცხადებებსა და მოსამართლეების გადაწყვეტილებებში, რაც არგუმენტს უფრო დამაჯერებელს ხდის. ამის გათვალისწინებით, არგუმენტს საგანგებო ყურადღება ეთმობა ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი არგუმენტი ღრმა ანალიზს არ მოითხოვს და პრაქტიკულად *a priori* ნათელია, რომ ის მცდარია.

ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებულ არგუმენტს არსებობის უფლება ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმები და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიოდნენ. იმ სახით, როგორც არგუმენტი წამოყენებულია საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და *jus cogens* ნორმები ერთმანეთთან კოლიზიაში არ მოდიან, რაც ნორმატიული

<sup>295</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, Dissenting Opinion of Judges Rozakis and Caflisch, joined by Judges Wildhaber, Costa, Cabral Barreto and Vajic, 49-50, იხ. სქოლიო 292.

<sup>296</sup> იქვე, 50.

იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის გამოყენების საჭიროებას გამორიცხავს.

საქმე ისაა, რომ პრაქტიკაში განსახილველი არგუმენტი წამოყენებულია ისეთი *jus cogens* ნორმების კონტექსტში, რომლებიც ატარებენ მატერიალურსამართლებრივი ნორმების ხასიათს. ასე, მაგალითად, წამების აკრძალვის შესახებ პრინციპი, რომელზეც საუბარია ზემოთ მითითებულ საქმეებზე, წარმოადგენს მატერიალურსამართლებრივ ნორმას. ამ სახით, *jus cogens* ნორმები აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის მატარებელი ნორმებია, ვიდრე სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, რომელიც პროცედურულსამართლებრივ ნორმას წარმოადგენს. სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და *jus cogens* ნორმების ძალით არც ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, სადაც წარდგენილია სარჩელი, და არც უცხო სახელმწიფოს, რომელმაც დაარღვია შესაბამისი *jus cogens* ნორმა, არ გააჩნიათ ისეთი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ერთმანეთთან კონფლიქტში შეიძლება მოვიდნენ. კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმა არ უკრძალავს არც სამართალდამრღვევ სახელმწიფოს, მოითხოვოს იმუნიტეტის მინიჭება უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან, არც ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, მიანიჭოს უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტი. თავის მხრივ, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი არ ითხოვს სახელმწიფოსგან ისეთი ქმედებების განხორციელებას, რაც წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს იგივე წამების აკრძალვის პრინციპის მოთხოვნებთან ან ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ სხვა *jus cogens* ნორმებთან, რომლებიც ატარებენ მატერიალური ნორმების ხასიათს.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და *jus cogens* ნორმების ხასიათის მქონე ადამიანის უფლებებზე, როგორც აბსოლუტურად სხვადასხვა კატეგორიის იურიდიულ ნორმებზე, რომელთა შორის გამორიცხულია ნორმატიული კონფლიქტის არსებობა, წერენ საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, სუვერენული იმუნიტეტის საკითხების ცნობილი მკვლევარი ჰეიზელ ფოქსი აღნიშნავს: „სახელმწიფო იმუნიტეტი პროცედურული წესია, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული სასამართლოს იურისდიქციას. ის არ ეხება მატერიალური სამართლის საკითხებს და წინააღმდეგობაში არ მოდის იმ აკრძალვასთან, რომელსაც შეიცავს *jus cogens* ნორმა ...“<sup>297</sup>

ის შეხედულება, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმები შინაარსობრივად საერთოდ „არ ეხმიანებიან ერთმანეთს“<sup>298</sup> და, შესაბამისად, არ მოდიან ერთმანეთთან კოლიზიაში, გაზიარებულია სასამართლოების მიერაც. ამაზე

<sup>297</sup> Fox H., *The Law of State Immunity*, First Edition (New York: Oxford University Press, 2002), 524-525 (იხ. Fox H., *The Law of State Immunity*, 151-152, იხ. სქოლიო 33).

<sup>298</sup> Zimmermann A., Sovereign Immunity and Violations of International Jus Cogens Norms – Some Critical Remarks, 16 *Michigan Journal of International Law* 433, 1995, 438 (გადმოტვირთულია LexisNeixs-ის მონაცემთა ბაზიდან).

მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასამართლოები საკუთარ გადაწყვეტილებებში საუბრობენ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს შორის კონფლიქტის არარსებობაზე, როგორც თავისთავად ნაგულისხმებ გარემოებაზე. ამის საფუძველზე სასამართლოები მიდიან დასკვნამდე, რომ ადამიანის უფლებები, რომლებიც *jus cogens* ნორმების სახეს ატარებენ, ვერ გადაწონიან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებას. ასე, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლომ საქმეზე – *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others* – განაცხადა, რომ 1978 წლის აქტით დადგენილი სახელმწიფო იმუნიტეტის რეგულირება არ ექვემდებარება რაიმე სახის „გადაწონის“ პრინციპს.<sup>299</sup>

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia*. აღნიშნულ საქმეზე ლორდმა ბინგჰემმა მიუთითა, რომ საერთაშორისო სამართლის *jus cogens* ნორმები, მაგალითად, ისეთი, როგორცაა წამების აკრძალვა, ავტომატურად ვერ გადაწონიან საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებს, მათ შორის სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს.<sup>300</sup> საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისას მოსამართლემ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო იმუნიტეტი არის პროცედურული წესი, რომელიც ეხება ეროვნული სასამართლოს იურისდიქციას. ის არ ეხება მატერიალური სამართლის საკითხებს; წინააღმდეგობაში არ მოდის იმ აკრძალვასთან, რომელსაც *jus cogens* ნორმა შეიცავს.“<sup>301</sup> ანალოგიურად, ლორდი ჰოფმანი აცხადებს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტისა და წამების აკრძალვის პრინციპები სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი ნორმებია და რომ, შესაბამისად, მათ შორის კონფლიქტი არ არსებობს. ის აცხადებს, რომ „*jus cogens* ნორმა კრძალავს წამებას, მაგრამ გაერთიანებული სამეფო სამეფოსთვის [საუდის არაბეთისთვის] იმუნიტეტს მინიჭებით არავის მოუწოდებს წამების განხორციელებისაკენ.“<sup>302</sup> ამის შემდეგ მოსამართლე აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან კონფლიქტის წარმოშობისთვის აუცილებელია იმის დემონსტრირება, რომ წამების აკრძალვამ წარმოშვა თანმდევი პროცედურული წესი, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპიდან გამონაკლისის სახით, ... მოითხოვს სახელმწიფოებისგან სამოქალაქო იურისდიქციის გავრცელებას სახელმწიფოებზე იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება წამების აკრძალვას. ასეთი წესის არსებობა შეიძლება იყოს სასურველი და, ვინაიდან საერთაშორისო სამართალი ვითარდება, შეიძლება ჩამოყალიბდეს კიდევ. მაგრამ ... [ამ ეტაპზე] ის არ გამომდინარეობს წამების აკრძალვიდან.“<sup>303</sup>

<sup>299</sup> *Al-Adsani v. Government of Kuwait and Others*, 542, იხ. სქოლიო 51.

<sup>300</sup> *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Bingham of Cornhill, 726-727, იხ. სქოლიო 51.

<sup>301</sup> იქვე, 727. მოსამართლე ამ მონაკვეთში ახდენს ჰეიზელ ფოქსის ნაშრომის ციტირებას Fox. H., *The Law of State Immunity* (2004), p. 525

<sup>302</sup> იქვე, Opinion of Lord Hoffmann, 732.

<sup>303</sup> *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Hoffmann, 732, იხ. სქოლიო 51.



ლორდ ბინგჰემისა და ჰოფმანის გადაწყვეტილებებს შეუერთდნენ სხვა მოსამართლეებიც, <sup>304</sup> რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს შორის ნორმატიული კონფლიქტის არარსებობის შესახებ მოსაზრება წარმოადგენს საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia* – ლორდთა პალატის ერთსულოვან პოზიციას.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ მატერიალურსამართლებრივ *jus cogens* ნორმებს შორის კონფლიქტის არარსებობა გულისხმობს, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი ვერ იქნება გამოყენებული ამ ორ სამართლებრივ ნორმას შორის ურთიერთმიმართების დასარგვლირებლად. არგუმენტის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ იერარქიულად უფრო მაღალმა ნორმამ გამორიცხოს ან შეზღუდოს მასთან წინააღმდეგობაში მყოფი იერარქიულად უფრო დაბალი ნორმის მოქმედება. თუ ეს ნორმები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, როგორც ეს სახელმწიფო იმუნიტეტისა და *jus cogens* ნორმის ხასიათის მქონე ადამიანის უფლებების შემთხვევაშია, *jus cogens* ნორმა ვერ იქნება გამოყენებული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების სამართლებრივი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი მეტ დამაჯერებლობას იძენს სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის ისეთი უფლებების ურთიერთმიმართების კონტექსტში, როგორებიცაა: უფლების ქმედითი დაცვის მოთხოვნის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლებები. ამ შემთხვევებში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის მითითებული უფლებები პოტენციურად შეიძლება მოვიდნენ ერთმანეთთან კონფლიქტში და, შესაბამისად, ნორმატიული იერარქია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც კონფლიქტის დარეგულირების მეთოდი.

თუ რამდენად რეალურია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ზემოთ მითითებულ უფლებებს შორის კონფლიქტი, ამ საკითხის განხილვას საგანგებო ყურადღება ნაშრომის მომდევნო თავებში ეთმობა.

### 3. სახელმწიფო იმუნიტეტი და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განხილულია ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების

---

<sup>304</sup> *Jones v. Saudi Arabia*, Opinions of Lord Rodger of Earslsferry, Lord Walker of Gestingthrope, Lord Carswell, 749, ib. სქოლიო 51.

უფლების (შემდგომში – ქმედითი დაცვის უფლება) კონტექსტშია წამოყენებული.

ქმედითი დაცვის უფლება გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან, უზრუნველყოს მესამე პირების მიერ ადამიანის უფლებების დაცვა.<sup>305</sup> საქმე იმაშია, რომ, ფიზიკური პირის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები.<sup>306</sup> ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, თავად არ დაარღვიოს ფიზიკური პირის შესაბამისი უფლება; პოზიტიური ვალდებულება კი – სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სხვა პირთა მიერ ამ უფლების დაცვა,<sup>307</sup> ხოლო დარღვევის შემთხვევაში – მოახდინოს ამ დარღვევაზე რეაგირება, მათ შორის, სამართალდამრღვევის მიმართ შესაბამისი სანქციების გატარებით.<sup>308</sup>

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურ პირსაც, საკუთარი უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა სახის მოთხოვნის უფლება გააჩნია; კერძოდ, სახელმწიფოს მიმართ საკუთარი უფლების დაცვის მოთხოვნის გარდა, მას შეუძლია, მოითხოვოს ამ უფლების ქმედითი დაცვა, რაც შეიძლება გამოიხატოს მსხვერპლისთვის დარღვეული უფლების აღსადგენად სასამართლო ფორუმის შეთავაზებაში, სამართალდამრღვევი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაში და მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღების უზრუნველყოფაში.<sup>309</sup>

<sup>305</sup> კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან*, თბილისი, 2005, 21.

<sup>306</sup> იქვე.

<sup>307</sup> იქვე.

<sup>308</sup> იქვე, 21-22.

<sup>309</sup> ქმედითი დაცვის უფლების შინაარს განსაზღვრავს გაეროს გენერალური ასამბლეის 2006 წლის რეზოლუციით განმტკიცებული პრინციპები, რომელიც ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმე დარღვევების მსხვერპლი პირების სამართლებრივი დაცვისა და ზიანის ანაზღაურების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს ეხება, (შემდგომში – სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების პრინციპები). სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების პრინციპების მე-3 მუხლის თანახმად, სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებიდან და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება: ა) მიიღონ სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა სახის ზომები, რათა არ დაუშვან ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმე დარღვევები; ბ) გამოიძიონ დარღვევები და პასუხისმგებლობა დააკისრონ დარღვევებში დამნაშავე პირებს; გ) უზრუნველყონ დარღვევის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, განურჩევლად იმისა, თუ ვის შეიძლება დაეკისროს, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებლობა შესაბამისი დარღვევების გამო; დ) უზრუნველყონ მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღება (იხ. Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law (UN Resolution A/Res/60/147, 2006). დოკუმენტის ტექსტი

სწორედ ქმედითი დაცვის უფლებაზე დაყრდნობით, ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განსახილველი არგუმენტი აცხადებს, რომ სახელმწიფოს არ უნდა მიენიჭოს იმუნიტეტი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან მიმართებაში. კერძოდ, არგუმენტის მიხედვით, როდესაც მსგავს დარღვევებთან დაკავშირებით ერთი სახელმწიფო ავრცელებს იმუნიტეტს მეორე სახელმწიფოზე, ის წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის ქმედითი დაცვის უფლებასთან, რომელიც, არგუმენტის მიხედვით, სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან შედარებით. სახელმწიფო იმუნიტეტისა და ქმედითი დაცვის უფლების კოლიზიის საფუძველზე, აგრეთვე ქმედითი დაცვის უფლების უპირატესი იურიდიული ძალის საფუძველზე არგუმენტი ასაბუთებს, რომ სახელმწიფოს არ ენიჭება იმუნიტეტი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისთვის.

განსახილველმა არგუმენტმა გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვა საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, არგუმენტი საკუთარი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად გამოიყენა იტალიის საკასაციო სასამართლომ საქმეზე – *Max Josef Milde Case*. კერძოდ, სასამართლოს განცხადებით, „საერთაშორისო მართლწესრიგში, უდავოდ, ორი პრინციპი თანაარსებობს – სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის პრინციპი.“<sup>310</sup> ამის შემდეგ სასამართლომ ასევე დასძინა, რომ საერთაშორისო დანაშაულს მიკუთვნებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებისას „სახელმწიფო ვალდებულია, გაასამართლოს და დასაჯოს“ პასუხისმგებელი პირები და რომ ამ ვალდებულებას, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან შედარებით, უპირატესი ძალა აქვს.<sup>311</sup> ამ ვალდებულების შესახებ სასამართლო მსჯელობს გადაწყვეტილების სხვა მონაკვეთშიც: „საერთაშორისო სამართლის შინაგანი ლოგიკა მოითხოვს, რომ ფუნდამენტური ფასეულობების დარღვევებს მოჰყვეს რეპრესიული რეაქცია საერთაშორისო თანამეგობრობისა და თავად მსხვერპლის მხრიდან.“<sup>312</sup>

განსახილველ არგუმენტზე დაყრდნობით სარჩელი წარდგენილ იქნა ევროპულ სასამართლოშიც საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom*. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ საქმეზე სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ შეტანილ იქნა მას შემდეგ, რაც გაერთიანებულმა სამეფომ უარი უთხრა მოსარჩელეს წამების ფაქტთან დაკავშირებით ქუვეითის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის განხილვაზე. გაერთიანებული სამეფოს სასამართლოში

---

ხელმისაწვდომია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების ელექტრონულ ბაზაში: <http://www.un.org/Depts/dhl/resguide/r60.htm> (ნანახია: 07/07/2011).

<sup>310</sup> Ciampi A., *The Italian Court of Cassation Court Asserts Civil Jurisdiction over Germany in a Criminal Case Relating to the Second World, The Civitella Case*, 603, იხ. სქოლიო 20.

<sup>311</sup> იქვე, 603-604.

<sup>312</sup> იქვე, 604.

მოსარჩელე აცხადებდა, რომ ქუვეითს ვერ დაიცავდა იმუნიტეტი, ვინაიდან წამების აკრძალვის პრინციპი, რომლის დარღვევაც ამ უკანასკნელს ედებოდა ბრალად, სარგებლობდა უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით და, შესაბამისად, ამ პრინციპის დარღვევაზე ვერ გავრცელდებოდა იმუნიტეტის პრინციპის მოქმედება.<sup>313</sup>

მოსარჩელე უთითებდა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ქუვეითისთვის იმუნიტეტის მინიჭებით დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი (ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება), მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა), და მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება). მოსარჩელის განცხადებით, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი 1-ლ და მე-13 მუხლებთან კავშირში გაერთიანებულ სამეფოს აკისრებდა ვალდებულებას, დახმარება აღმოეჩინა თავისი მოქალაქისთვის, რათა ამ უკანასკნელს მიეღო ქმედითი დაცვა მის მიმართ წამების აკრძალვის პრინციპის დარღვევისას, რაც, მოსარჩელის აზრით, სახელმწიფოს აკისრებდა ვალდებულებას, უარი ეთქვა უცხო სახელმწიფოსთვის, ქუვეითისთვის, იმუნიტეტის მინიჭებაზე.<sup>314</sup>

საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მოსარჩელის ზემოაღნიშნული პოზიცია გაიზიარა ევროპული სასამართლოს მოსამართლე ლუკაიდისმა. საკუთარ განსხვავებულ აზრში მოსამართლე ლუკაიდისი დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ მას შეეძლო გაერთიანებული სამეფოსთვის მოეთხოვა მისი უფლების ქმედითი დაცვა, მათ შორის, შეეძლო მოეთხოვა მისი უფლების დამრღვევი პირისთვის, კერძოდ, ქუვეითისთვის, პასუხისმგებლობის დაკისრება და ქუვეითისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმა: „ვინაიდან აღიარებულია, რომ წამების აკრძალვა წარმოადგენს *jus cogens* ნორმას, რომელიც სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით, სახელმწიფო იმუნიტეტი ვერ იქნება გამოყენებული იმ სასამართლო პროცესებზე, რომელთა მიზანია პასუხისმგებლობის დაკისრება ნებისმიერი პირისთვის წამების ნებისმიერ ფაქტთან დაკავშირებით.“<sup>315</sup> სხვა სიტყვებით, მოსამართლე ლუკაიდისმა ჩათვალა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ ბარიერს ქმედითი დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების გზაზე.

ქმედითი დაცვის უფლება ფუნდამენტური პრინციპია სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველსაყოფად. ეს უფლება, ევროპული კონვენციის გარდა, განმტკიცებულია ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედ ყველა ძირითად საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის:

<sup>313</sup> იხ. სქოლიო 286.

<sup>314</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 35, იხ. სქოლიო 292.

<sup>315</sup> იქვე, 52, იხ. სქოლიო 292. იქვე იხ. აგრეთვე მოსამართლე ფერარი ბრავოს განსხვავებული აზრი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში,<sup>316</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში,<sup>317</sup> ადამიანისა უფლებათა ამერიკულ კონვენციაში.<sup>318</sup>

ერთი შეხედვით, არგუმენტი, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი ეწინააღმდეგება უფლების ქმედითი დაცვის მოთხოვნას, ძალიან დამაჯერებლად გამოიყურება, ვინაიდან ქმედითი დაცვის უფლება თავის თავში აერთიანებს ისეთი მოთხოვნის უფლებებს, რომლებიც შეიძლება კონფლიქტში მოვიდნენ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან.<sup>319</sup> ასე, მაგალითად, თუ ფიზიკურ პირს, ქმედითი დაცვის უფლებიდან გამომდინარე, შეუძლია, მოითხოვოს მისი უფლების დამრღვევი პირისთვის, მათ შორის უცხო სახელმწიფოსთვის, პასუხისმგებლობის დაკისრება ამ დარღვევისთვის, მაშინ სახელმწიფო იმუნიტეტი არის ბარიერი ამ უფლების განხორციელებისათვის და, ამდენად, მასთან კონფლიქტში მოდის. კონფლიქტის არსებობის პირობებში კი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის მსხვერპლ პირებს ეძლევათ ნოყიერი ნიადაგი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, რათა ამტკიცონ, რომ მათი ქმედითი დაცვის უფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით და რომ, შესაბამისად, სახელმწიფოებს არ უნდა მიენიჭოთ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ წარდგენილია სამოქალაქო სარჩელები ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

იმის გათვალისწინებით, რომ შინაარსობრივად სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ქმედითი დაცვის უფლება სავსებით შესაძლებელია განვიხილოთ როგორც კოლიზიური სამართლებრივი ნორმები, მთავარი საკითხი, რომელიც უნდა გაირკვეს ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში, მდგომარეობს შემდეგში – აქვს თუ არა პირს ქმედითი დაცვის მოთხოვნის უფლება ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევების კონტექსტში, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

საქმე იმაშია, რომ, როდესაც ერთი სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებს, მეორე სახელმწიფოს არა აქვს იურისდიქცია განიხილოს ამ

<sup>316</sup> იხ. დეკლარაციის მე-8 მუხლი. დეკლარაციის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს ვებგვერდზე: <http://www.un.org/en/documents/udhr/index.shtml#a6> (ნანახია: 07/07/2011).

<sup>317</sup> იხ. პაქტის მე-2(3)(a) მუხლი. პაქტის ტექსტი ხელმისაწვდომია გაეროს

ხელშეკრულებების ელექტრონულ ბაზაში: <http://treaties.un.org>

<sup>318</sup> იხ. კონვენციის 25-ე მუხლი. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: [http://www.hrcr.org/docs/American\\_Convention/oashr.html](http://www.hrcr.org/docs/American_Convention/oashr.html) (ნანახია: 07/07/2011).

<sup>319</sup> იხ. სქოლიო 309.

დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა – შეიძლება თუ არა სახელმწიფოს დაეკისროს უფლების ქმედითი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება ისეთ საქმეებზე და ისეთ პირებთან მიმართებაში, რომლებზეც ის იურისდიქციას არ ფლობს?

ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ფარგლებში ეკისრება სახელმწიფოს ადამიანის უფლებებთან ქმედითი დაცვის ვალდებულება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტების გაცნობას, რომლებშიც განმტკიცებულია ქმედითი დაცვის უფლება.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმოხილვის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ სახელმწიფოებს, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ვალდებულებები ეკისრებათ მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. მაგალითად, 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2(1) მუხლის მიხედვით: „პაქტის თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს და უზრუნველყოს საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში თავის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირის პაქტით განმტკიცებული უფლებები.“<sup>320</sup> ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი განამტკიცებს, რომ კონვენციის „მაღალი ხელშემკრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“<sup>321</sup> ანალოგიურ დებულებას შეიცავს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიც.<sup>322</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულებების არაორაზროვანი ტექსტი ნათელიყოფს, რომ სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრება მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში დამკვიდრებული სტანდარტია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი, უზრუნველყონ უფლების ქმედითი დაცვა იმ ფაქტებთან და იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც მის იურისდიქციას არ ექვემდებარებიან. ასეთი ვალდებულება სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ჩვეულებითი ნორმის საფუძველზე და მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული კატეგორიის პირთა მიმართ. მაგალითად, წამების აკრძალვის შესახებ კონვენცია მოითხოვს მისი წევრი სახელმწიფოებისგან წამების აკრძალვის დამრღვევ ოფიციალურ პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, განურჩევლად იმისა, თუ რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელი სახელმწიფოს საჯარო მოხელის

<sup>320</sup> იხ. სქოლიო 317.

<sup>321</sup> იხ. სქოლიო 5.

<sup>322</sup> მაგ., იხ. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 1-ლი მუხლი, იხ. სქოლიო 5.

მიერ და რომელი სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ იყო ეს დარღვევა ჩადენილი.<sup>323</sup> სხვა შემთხვევაში, სპეციალური სამართლებრივი რეგულირების არარსებობის პირობებში, სახელმწიფოებს ეკისრებათ ადამიანის შესაბამისი უფლებების ქმედითი დაცვის ვალდებულება მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებების მიძიე დარღვევები, რომლებიც ერთმა სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, სცილდება მეორე სახელმწიფოს იურისდიქციას, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოს არ ეკისრება ფიზიკური პირის უფლების ქმედითი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული დარღვევების კონტექსტში სახელმწიფოს არ გააჩნია იურისდიქცია განიხილოს უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელები და შესაბამისად, არ ეკისრება უფლების ქმედითი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება, გამოდის, რომ ამ შემთხვევაში არც ფიზიკურ პირებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არ გააჩნიათ ქმედითი დაცვის მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, ქმედითი დაცვის უფლების არარსებობა გამორიცხავს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან კონფლიქტის არსებობას – ბუნებრივია, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი კონფლიქტში ვერ მოვა არარსებულ უფლებასთან.

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ევროპული სასამართლო საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom*. ის დაეთანხმა მოსარჩელეს იმაში, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) მე-13 მუხლთან (ქმედითი დაცვის უფლება) კავშირში სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს უფლების ქმედითი უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუმცა, ამავედროულად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოებს აღნიშნული ვალდებულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრებათ, თუ წამება ან სხვა სახის არაადამიანური მოპყრობა მათ ტერიტორიაზე ხდება. რადგან ამ საქმეზე, როგორც მოსარჩელე ამტკიცებდა, მის მიმართ წამების აკრძალვის პრინციპი დაირღვა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სასამართლომ ჩათვალა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ ჰქონდა ვალდებულება, უზრუნველყო მოსარჩელის უფლებების ქმედითი დაცვა, და, შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და უფლების ქმედითი დაცვის მოთხოვნას შორის ამ შემთხვევაში კონფლიქტი არ წარმოშობილა.<sup>324</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების მიძიე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით წარდგენილი სამოქალაქო სარჩელების

<sup>323</sup> იხ. წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლი, იხ. სქოლიო 47.

<sup>324</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 35-36, იხ. სქოლიო 292.

შემთხვევაში სახელმწიფოს იმუნიტეტის პრინციპი და ქმედითი დაცვის უფლებები ერთმანეთთან კონფლიქტში არ მოდიან, ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი ვერ იქნება გამოყენებული იმის დასასაბუთებლად, რომ მითითებულ სარჩელებთან დაკავშირებით ერთ სახელმწიფოს შეიძლება უარი ეთქვას იმუნიტეტის მინიჭებაზე მეორე სახელმწიფოს სასამართლოში მოსარჩელის ქმედითი დაცვის უფლებიდან გამომდინარე. მოსარჩელეს ამ შემთხვევაში არ გააჩნია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიმართ ქმედითი დაცვის მოთხოვნის უფლება, შესაბამისად, დღის წესრიგში არ დგება სახელმწიფო იმუნიტეტისა და უფლების ქმედითი დაცვის მოთხოვნის იერარქიული ურთიერთდაკავშირების საკითხი, რაც სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და უფლების ქმედითი დაცვის ურთიერთმიმართების პრობლემის გადაჭრას ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე (რომელიც კონფლიქტში მყოფი ნორმების ურთიერთმიმართებას აწესრიგებს) დაყრდნობით გამორიცხავს.

#### **4. სახელმწიფო იმუნიტეტისა და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლი**

სასამართლო პრაქტიკაში ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი ხშირად წამოჭრილა სახელმწიფო იმუნიტეტისა და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლის ურთიერთმიმართების კონტექსტში. კონვენციის ეს მუხლი ავალდებულებს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, უზრუნველყონ წამების მსხვერპლის მიერ ადეკვატური კომპენსაციის მიღება.

ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით მოსაზრებას, რომ კონვენციის წევრ სახელმწიფოს, მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე, ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყონ წამების აკრძალვის მსხვერპლის მიერ კომპენსაციის მიღება არა მხოლოდ წამების იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღინიშნა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არამედ მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ წამების აკრძალვის შესახებ კონვენცია, ითვალისწინებს რა ცალკეულ მუხლებში განმტკიცებულ ვალდებულებათა შეზღუდვას ტერიტორიული ნიშნით, ამ შეზღუდვაზე არ საუბრობს მე-14(1) მუხლში. ამის საფუძველზე სასამართლოებში წამოყენებულ იქნა არგუმენტი, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიან და რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უარი უთხრან უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტზე, როდესაც ამ მუხლის საფუძველზე უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ



წამების მსხვერპლი წარადგენს სამოქალაქო სარჩელს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

განსახილველი არგუმენტი იმუნიტეტის პრინციპის დასაძლევად სწორ მიდგომას გეთავაზობს. თუ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს წამების მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღება, განურჩევლად იმისა, თუ სად აღინიშნა მისი დარღვევის ფაქტი (ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ), მაშინ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და მსხვერპლის კომპენსაციის უფლება, მართლაც, კონფლიქტში მოდიან ერთმანეთთან და, შესაბამისად, ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დამყარებული არგუმენტი არის ლოგიკური სამართლებრივი კონსტრუქცია ამ კონფლიქტის დასარეგულირებლად წამების მსხვერპლთა სასარგებლოდ.

საკითხის გასარკვევად – იძლევა თუ არა მე-14(1) მუხლი იმის შესაძლებლობას, რომ წამების მსხვერპლმა პირმა შეიტანოს სარჩელი ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ – ნოყიერ ნიადაგს ქმნის ონტარიოს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს მიერ (შემდგომში – ონტარიოს პირველი ინსტანციის სასამართლო) საქმეზე – *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran* – მიღებული გადაწყვეტილება. ამ საქმეზე სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე, ამ დარღვევის მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე ვრცელი და სრულყოფილია და, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებაზე ყურადღების შეჩერება და განსახილველი საკითხის გაშუქება მის პრიზმაში.

საქმეზე – *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran* – სარჩელი წარდგინდა იქნა ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ირანის მოქალაქის მიერ ონტარიოს პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა ირანისგან ირანის ტერიტორიაზე მისი უკანონო დაპატიმრებისა და წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. იმის დასასაბუთებლად, რომ ირანი ამ საქმეზე არ სარგებლობდა იმუნიტეტით, მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, სხვა საფუძვლებთან ერთად, უთითებდნენ: თუმცა მოსარჩელის წამების ფაქტი არ მომხდარა ირანის ტერიტორიაზე, კანადა წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლის ძალით ვალდებული იყო, უზრუნველყოფო მოსარჩელის, როგორც წამების მსხვერპლის, მიერ კომპენსაციის მიღება ირანისგან.<sup>325</sup> მოსარჩელის ამ პოზიციას მხარი დაუჭირა საქმეზე ექსპერტად მოწვეულმა ედ მორგანმა (Ed Morgan), რომლის განცხადებითაც, წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14 მუხლში გათვალისწინებული ვალდებულება არ არის შეზღუდული გეოგრაფიული ნიშნით, რაც ექსპერტის მტკიცებით, გულისხმობს იმას, რომ მე-11–მე-13 მუხლებისგან

<sup>325</sup> *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, 428-429, იხ. სქოლიო 51.

განსხვავებით, მე-14 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს წამების მსხვერპლის მიერ კომპენსაციის მიღება მაშინაც კი, თუ წამება მისი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მოხდა.<sup>326</sup>

ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას: ვინაიდან მე-14 მუხლის ტექსტში საუბარი არ არის ტერიტორიულ შეზღუდვაზე, იგულისხმება, რომ სახელმწიფოებს, ამ მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულებები ეკისრებათ, განურჩევლად იმისა, თუ სად მოხდა წამების ფაქტები. მაგრამ სასამართლოები, სადაც ეს საკითხი დამდგარა დღის წესრიგში, მიიჩნევენ, რომ მე-14 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები სახელმწიფოებს ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წამების ფაქტები აღინიშნა მათი იურისდიქციის ფარგლებში. ამ სასამართლოთა რიცხვს მიეკუთვნება ონტარიოს პირველი ინსტანციის სასამართლოც. მან სრულად გაიზიარა საქმეზე ექსპერტად მოწვეული კრისტოფერ გრინვუდის (*Christopher Greenwood*) დასკვნა და განაცხადა, რომ მე-14 მუხლი არ ითხოვს წვერი სახელმწიფოსგან წამების მსხვერპლისთვის სამოქალაქო დაცვის საშუალების მინიჭებას წამების იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხდა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, და რომ, შესაბამისად, კანადა არ დაარღვევს ამ მუხლის მოთხოვნებს, თუ გააგრძელებს იმუნიტეტის მინიჭებას უცხო სახელმწიფოებისთვის მათ ტერიტორიაზე მომხდარ წამების ფაქტებთან დაკავშირებით.<sup>327</sup>

ვინაიდან სასამართლოს, გრინვუდის დასკვნის საფუძველზე, ამომწურავად აქვს განხილული სახელმწიფოთა მიერ მე-14 მუხლის განმარტების პრაქტიკა, მიზანშეწონილია ონტარიოს სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ფრაგმენტის მოყვანა, რომელშიც გრინვუდის დასკვნის ამონარიდები არის წარმოდგენილი: „სახელმწიფოთა პრაქტიკა, როგორც ხელშეკრულების [წამების აკრძალვის შესახებ კონვენცია] დადებისას, ისე შემდგომში, მიუთითებს, რომ არც ერთი სახელმწიფო არ განმარტავს მე-14 მუხლს, როგორც მუხლს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს განახორციელოს სამოქალაქო იურისდიქცია უცხო ქვეყანასთან მიმართებით იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, აშშ-მა 1994 წელს შეადგინა განმარტებითი დეკლარაცია ..., რომელშიც მიუთითა, რომ, მისი აზრით, მე-14 მუხლი მოითხოვს სახელმწიფოსგან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სამოქალაქოსამართლებრივი საქმისწარმოების დაშვებას წამების მხოლოდ იმ ფაქტებზე, რომლებიც მხოლოდ წვერი სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოხდა. გერმანიამ მიიღო ეს როგორც დეკლარაცია და არა როგორც დათქმა. გრინვუდის განმარტებით, ამერიკის დეკლარაცია, გერმანიის პასუხი და სხვა სახელმწიფოთა დუმილი ადასტურებს სახელმწიფოთა პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, მე-14 მუხლი

<sup>326</sup> *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, 439, იხ. სქოლიო 51.

<sup>327</sup> იქვე, 440.

სახელმწიფოსგან მოითხოვს სამოქალაქო დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას წამების მხოლოდ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მოხდა.“<sup>328</sup> ამის შემდეგ სასამართლო დასძენს: „გარდა ამისა, ბატონმა გრინვუდმა მიმოიხილა სახელმწიფოთა ანგარიშები კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ, რომლებიც მიეწოდა წამების წინააღმდეგ შექმნილ კომიტეტს... არცერთი ანგარიში არ უთითებს, რომ სახელმწიფო ანიჭებს სამოქალაქო დაცვის უფლებას სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მომხდარ წამების ფაქტებთან დაკავშირებით.“<sup>329</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქმეში ექსპერტად ჩართული იყო აგრეთვე ედ მორგანი, რომელიც ცდილობდა, გაეხილავინა გრინვუდის მოსაზრება და დაესაბუთებინა, რომ, წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ წამების აკრძალვის მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღება უცხო სახელმწიფოებისგან. მაგრამ მოსამართლემ არ გაიზიარა მისი მოსაზრება, ვინაიდან, მოსამართლის შეფასებით, მორგანის დასკვნა ასახავდა არა საერთაშორისო სამართალში არსებულ ვითარებას, არამედ მისი სამომავლო განვითარების შესაძლო გზას, თუმცა, როგორც მოსამართლემ აღნიშნა, „სახელმწიფოთა მიერ არც ერთი ნაბიჯი“ ამ მიმართულებით ჯერ არ გადადგმულა.<sup>330</sup>

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეზე ირანისთვის იმუნიტეტის მინიჭებით კანადა კონფლიქტში არ მოდიოდა წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლის მოთხოვნებთან. მოსამართლის გადაწყვეტილება და დასაბუთება სრულად გაიზიარა ონტარიოს სააპელაციო სასამართლომაც.<sup>331</sup>

ონტარიოს სასამართლოების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები გაზიარებულია მრავალი სახელმწიფოს სასამართლოების მიერ. ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილებიდან შეიძლება მოვიყვანოთ გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლოსა და ლორდთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia*, სადაც მოსამართლეებმა ერთხმად მიიჩნიეს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14 მუხლით განმტკიცებული წამების მსხვერპლთა კომპენსაციის უფლება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიან. მაგალითად, ინგლისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia* – განაცხადა, რომ „მე-14(1) მუხლი ეხება (მხოლოდ და მხოლოდ) კომპენსაციის უფლებას იმ სახელმწიფოს (სახელმწიფო A) სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, რომლის ოფიციალურმა პირმაც (ან სხვა პირმა, რომელიც მოქმედებდა

<sup>328</sup> *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, 440, იხ. სქოლიო 51.

<sup>329</sup> იქვე.

<sup>330</sup> იქვე, 441.

<sup>331</sup> *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, Ontario Court of Appeal, Canada, 2004 (128 ILR 586).

საჯარო სტატუსში) წამების აკრძალვა დაარღვია (მიუხედავად იმისა, თუ სად იყო ეს ქმედება ჩადენილი – საკუთარ სახელმწიფოში თუ მის ფარგლებს გარეთ). სახელმწიფო A არის პასუხისმგებელი სახელმწიფო და მან უნდა იზრუნოს ადეკვატურ სამოქალაქო კომპენსაციაზე. მე-14(1) მუხლი არ მოითხოვს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსგან (სახელმწიფო B), უზრუნველყოს საკუთარი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში კომპენსაციის გადახდა წამების აკრძალვის იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხდა სახელმწიფო A-ში . . .“<sup>332</sup>

იმავე საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia* – იგივე პოზიცია გაიზიარა ლორდთა პალატამ. ლორდმა ბინგჰემმა განაცხადა, რომ „წამების აკრძალვის კონვენცია არ ითვალისწინებს უნივერსალურ სამოქალაქო იურისდიქციას ... ეს მუხლი [მე-14 მუხლი] ... განამტკიცებს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის უფლებას მხოლოდ იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებში მომხდარი წამების ფაქტებით.“<sup>333</sup> ამავე საქმეზე ლორდმა ჰოფმანმაც განაცხადა, ის სავსებით ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმ საკითხზე, რომ წამების მსხვერპლს უფლება აქვს, მოითხოვოს სასამართლო წესით ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ სახელმწიფოსგან, რომელმაც დაარღვია წამების საერთაშორისო აკრძალვის პრინციპი.<sup>334</sup> ლორდ ბინგჰემისა და ლორდ ჰოფმანის აზრს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას შორის კონფლიქტი არ არსებობს, ლორდთა პალატის სხვა წევრებიც დაეთანხმნენ.

მსგავსი შეხედულება გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაშიც. მაგალითად, ბირნსი წერს: „მე-14 მუხლის განხილვა ერთიან კონტექსტში იმ მუხლებთან, რომლებიც ტერიტორიული ნიშნით შეზღუდვებს უკავშირდება, ბადებს ვარაუდს, რომ ეს მუხლიც უნდა განიმარტოს როგორც მუხლი, რომელიც მოითხოვს სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფას წვერი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილი წამების ფაქტებთან მიმართებით... წვერი სახელმწიფოს დავალებულება, რომ საკუთარი სამართლებრივი სისტემა ... ყველა მსურველისთვის გახადოს ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, ის ვალდებულება არ არის, რომელსაც წვერი სახელმწიფოები ასე მარტივად გაიზიარებდნენ. [კონვენციის] ავტორებს ამ ვალდებულების გათვალისწინება რომ ჰქონოდათ მხედველობაში, საფიქრებელია, ისინი მკაფიოდ მიუთითებდნენ ამის შესახებ.“<sup>335</sup>

<sup>332</sup> *Jones v. Saudi Arabia*, 659, იხ. სქოლიო 260.

<sup>333</sup> იქვე, 727, იხ. სქოლიო 51.

<sup>334</sup> იქვე, Opinion of Lord Hofmann, 733.

<sup>335</sup> Byrnes A., *Civil Remedies for Torture Committed Abroad* 543 (იხ. სტატიათა კრებული Scott G. (Ed), *Torture as Tort, Comparative Perspective of the Development of Transnational Human Rights Litigation* (Oxford-Portland Oregon: HART Publishing, 2001).

როგორც სახელმწიფოთა პრაქტიკა ნათელყოფს, წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები სახელმწიფოს ეკისრება მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილი წამების ფაქტებთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით, წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლიდან გამომდინარე, წამების შედეგად მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მას აქვს მხოლოდ იმ სახელმწიფოსგან, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა წამების ფაქტს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ფიზიკური პირი ვერ მოსთხოვს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს კომპენსაციის მიღების უზრუნველყოფას იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც მას მიაღება უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების შედეგად. მას ესეთი მოთხოვნის უფლება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უბრალოდ არ გააჩნია. უფლების არარსებობა კი, თავისთავად, გამორიცხავს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მისი კონფლიქტის შესაძლებლობასაც. თუ ფიზიკურ პირს არა აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნის უფლება, ბუნებრივია, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი წინააღმდეგობაში ვერ მოვა ამ უფლებასთან. ნორმატიული კონფლიქტის არარსებობა კი პირდაპირ კავშირშია მე-14(1) მუხლის კონტექსტში წამოყენებული ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის ქმედითობასთან. კონფლიქტის არარსებობის პირობებში არგუმენტის სამართლებრივი სქემა, რომელიც ზემდგომი ნორმის მიერ ქვემდგომი ნორმის მოქმედების დაძლევის გულისხმობს, ვერ სთავაზობს წამების მსხვერპლს საერთაშორისოსამართლებრივი თვალსაზრისით რეალურ სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ მან წარადგინოს სარჩელი ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოითხოვოს ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე წამების შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>336</sup>

## 5. სახელმწიფო იმუნიტეტი და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

### 5.1 შესავალი

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში საგანგებო ყურადღება ეთმობა ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებულ არგუმენტს, რომელიც

<sup>336</sup> სახელმწიფო იმუნიტეტისა და წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-14(1) მუხლის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები თანაბრად ეხება სახელმწიფო იმუნიტეტისა და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლთა კომპენსაციის უფლების ურთიერთმიმართებას (მაგალითებისთვის იხ. Mazzeschi R.P., *Reparation Claims by Individuals for State Breaches of Humanitarian Law and Human Rights Law: An Overview*, 1 *Journal of International Criminal Justice* 339, 2003, 340 (გადმოტვირთულია Cambridge University Press-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან).

წამოყენებულია სახელმწიფო იმუნიტეტისა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ურთიერთმიმართების კონტექსტში. განსახილველი არგუმენტი, ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული სხვა არგუმენტების მსგავსად, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩარჩოს ფარგლებში ცდილობს იპოვოს რაიმე მექანიზმი, რომელიც ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევათა მსხვერპლ პირებს შესაძლებლობას მისცემდა წარედგინათ სამოქალაქო სარჩელები ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოეთხოვათ მათთვის ამ დარღვევების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განსახილველი არგუმენტი ეფუძნება მოსაზრებას, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი მოდიან ერთმანეთთან ნორმატიულ კონფლიქტში და ამტკიცებს, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაყრდნობით ეს ნორმატიული კონფლიქტი უნდა გადაწყდეს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების სასარგებლოდ. არგუმენტის მიხედვით სახელმწიფო იმუნიტეტი პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ ბარიერს, რომელიც საშუალებას არ აძლევს პირებს წარადგინონ უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელები ადგილსამყოფელი სახელმწიფოების სასამართლოებში და მოითხოვონ მათი უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში შეფასდება ზემოაღნიშნული არგუმენტის სისწორე. ამისთვის გაანალიზებულ იქნება, რამდენად მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და რამდენად შეუძლია სახელმწიფოს უარი უთხრას მეორე სახელმწიფოს იმუნიტეტის მინიჭებაზე მოსარჩელის სასამართლოსთვის მიმართვის უფლებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნება ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მიღებული გადაწყვეტილების ჭრილში, ვინაიდან სწორედ ამ გადაწყვეტილებას ფართოდ იყენებენ არა მხოლოდ ევროპის, არამედ სხვა კონტინენტების სახელმწიფოთა სასამართლოები სახელმწიფო იმუნიტეტისა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობისას.<sup>337</sup>

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას და იგი გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი პრაქტიკულად ყველა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებით.<sup>338</sup> ამ უფლებას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა

<sup>337</sup> მაგ. იხ. *Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, 444-445, იხ. სქოლიო 51.

<sup>338</sup> მაგ. იხ. პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 14(1)-ე მუხლი, იხ. სქოლიო 317; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 8(1)-ე მუხლი, იხ. სქოლიო 5. ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის 7(1)-ე მუხლი. ქარტიის

ევროპული კონვენცია. მართალია, კონვენციის ტექსტში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება გამოდინარეობს კონვენციის მე-6(1) მუხლიდან, რომელიც განამტკიცებს სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას.<sup>339</sup>

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გულისხმობს პირის უფლებას, წარადგინოს სარჩელები სასამართლოებსა თუ ტრიბუნალებში საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსახილველად. <sup>340</sup> მოცემული განსახილველობა ნათლად მიუთებს, რომ პირს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ფლობს სამოქალაქო უფლებას ან ვალდებულებას და სურს ამ უფლებასთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელი წარადგინოს სასამართლოში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების არარსებობის პირობებში არც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობაზე შეიძლება საუბარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევის საკითხს, ის, უპირველეს ყოვლისა, არკვევს, ჰქონდა თუ არა პირს სამოქალაქო უფლება ან ვალდებულება, რომელთან დაკავშირებითაც წარდგენილი სარჩელის განხილვაზეც მას უარი ეთქვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრ სახელმწიფოში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო შესაბამისი სამოქალაქო უფლებისა და ვალდებულების არსებობას დაადგენს, ის იწყებს მსჯელობას იმ საკითხზე, იყო თუ არა უარი სარჩელის განხილვაზე ლეგიტიმური და პროპორციული.<sup>341</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევის საკითხი ევროპულ სასამართლოში ორ ეტაპად განიხილება. პირველ ეტაპზე, როგორც აღინიშნა, მოწმდება მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობა; კერძოდ, ხდება იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს სამოქალაქო უფლება ან ვალდებულება მოპასუხე სახელმწიფოში და ეთქვა თუ არა მას მოპასუხე სახელმწიფოში ამ სამოქალაქო უფლებასთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებით სასამართლო საქმისწარმოებაზე უარი. თუ დადგინდა, რომ მოსარჩელეს საკუთარ სამოქალაქო უფლებასთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფოს სასამართლოში დავის წარმოების შესაძლებლობა არ მიეცა, სხვა სიტყვებით, თუ დადგინდა, რომ მისი სასამართლოსთვის მიმართვის უფლება შეიზღუდა, მაშინ სასამართლო

---

ტექსტი ხელმისაწვდომია მინესოტას უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <http://www1.umn.edu/humanrts/instree/z1afchar.htm>

<sup>339</sup> *Golder v. the United Kingdom*, ECHR, 1975, Par. 29–36. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე:

<http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Case-Law/Decisions+and+judgments/HUDOC+database/>.

<sup>340</sup> იქვე, Par. 36.

<sup>341</sup> *Ashingdane Case*, ECHR, 1985 (81 ILR 107, 129).

გადადის განხილვის მეორე ეტაპზე და აფასებს, იყო თუ არა ეს შეზღუდვა ლეგიტიმური და პროპორციული. თუ ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზნებს და არ იყო პროპორციული, მაშინ ის შეაფასებს ამ შეზღუდვას როგორც მე-6(1) მუხლის დარღვევას.

საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მე-6(1) მუხლის დარღვევის შესამოწმებლად ევროპულმა სასამართლომ მიმართა ტრადიციულ ტესტს. სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობა. სხვა სიტყვებით, სასამართლომ შეამოწმა კჭონდათ თუ არა მოსარჩელეს მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში სამოქალაქო უფლება და შეზღუდა თუ არა მას სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ძალით აღნიშნულ სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფოში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. მოცემული საკითხის დადებითად გადაწყვეტისა და, მაშასადამე, სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის დადგენის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ შეაფასა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობა და პროპორციულობა.

სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების ირგვლივ ევროპული სასამართლოს მიერ დასახელებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების განხილვის საფუძველზე, ნაშრომის წინამდებარე ნაწილში წარმოვადგენთ დასკვნებს სახელმწიფო იმუნიტეტისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ურთიერთმიმართების საკითხზე. კერძოდ, ხდება იმის გაანალიზება, არსებობს თუ არა ნორმატიული კონფლიქტი სახელმწიფოს იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას შორის და, აქედან გამომდინარე, ფასდება, მართებულია თუ არა ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას შორის სამართლებრივი კონფლიქტის არსებობას აღიარებს და ამ დაპირისპირებაში უპირატესობას სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ანიჭებს.

ნაშრომის მოცემული ნაწილი სტრუქტურულად აგებულია იმავე პრინციპზე, რაც მე-6(1) მუხლის დარღვევის საკითხთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მიღებული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში ვაანალიზებთ, თუ რამდენად სწორია ევროპული სასამართლოს შეფასება, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე ფლობდა სამოქალაქო უფლებას და რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპმა მოსარჩელეებს სამართლებრივი დაბრკოლება შეუქმნა ამ სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განსახორციელების თვალსაზრისით. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ამ ფრაგმენტის მიხედვით გაკეთდება ძირითადი



დასკვნები სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ურთიერთმიმართების საკითხის ირგვლივ.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, აქ ვიხილავთ ზემოთ მითითებულ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ საკითხთან დაკავშირებით, იყო თუ არა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საბაბით მოსარჩელის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური და პროპორციული. აღნიშნული საკითხის თაობაზე ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე ყურადღების შექერება მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც ის შეიცავს საინტერესო შეფასებებს, რომლებიც ნაშრომის მოცემულ ნაწილის ფარგლებში გასახილველი ძირითადი საკითხის თაობაზე დასკვნების მისაღებადაა საჭირო. კერძოდ, სასამართლოს შესაფერებს სიცხადე შეაქვთ იმ საკითხში, თუ რამდენად მართებულია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის კონტექსტში სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევაზე საუბარი.

მაგრამ ვიდრე მოხდება უშუალოდ ზემოაღნიშნული საკითხების თაობაზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხილვა და გაანალიზება, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ საქმის – *Al-Adsani v. United Kingdom* – ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა.

## 5.2 საქმის – *Al-Adsani v. United Kingdom* – ფაქტობრივი გარემოებები

საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი წარდგენილ იქნა გაერთიანებული სამეფოსა და ქუვეითის მოქალაქის მიერ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქუვეითმა დაარვია მის წინააღმდეგ წამების აკრძალვის პრინციპი. წამების აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოსარჩელემ წარადგინა ქუვეითის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი ინგლისის სასამართლოებში, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მოცემულ საქმეზე ქუვეითი სარგებლობდა იმუნიტეტით გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციისგან და რომ, შესაბამისად, ისინი ვერ განიხილავდნენ ქუვეითის წინააღმდეგ საქმეს. ამის შემდეგ მოსარჩელემ წარადგინა სარჩელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და ამტკიცებდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვა მუხლებთან ერთად, გაერთიანებულმა სამეფომ დაარვია მე-6(1) მუხლით განმტკიცებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, უარი უთხრა რა მას იმუნიტეტის მოტივით ქუვეითის წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის განხილვაზე.<sup>342</sup>

<sup>342</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 25, იხ. სქოლიო 292.

საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – გაერთიანებული სამეფოს მიერ მოსარჩელის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის საკითხზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა ნაშრომის ფარგლებში მოხდება ორი სხვადასხვა საკითხის კონტექსტში. პირველ რიგში, დადგინდება, არსებობდა თუ არა საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობა. კერძოდ, შეფასდება, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს სამოქალაქო უფლება, რომლის სასამართლო გზით დაცვის უზრუნველყოფაც მას შეეძლო მოეთხოვა გაერთიანებული სამეფოსგან. აღნიშნული საკითხის განხილვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის, ვინაიდან სწორედ ამ საკითხის ფარგლებში იკვეთება, თუ რამდენად მართებულია სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტში სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობაზე და შესაბამისად, იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას შორის ნორმატიულ კონფლიქტზე მსჯელობა.

ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ ყურადღება დაეთმობა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ფრაგმენტს, რომელშიც საუბარია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის სასარგებლოდ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობასა და პროპორციულობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებები მნიშვნელოვანია ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში ძირითად საკვლევ საკითხზე – სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ურთიერთმიმართებაზე – დასკვნების გასაკეთებლად.

### 5.3 სახელმწიფო იმუნიტეტი და მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობა

#### 5.3.1. შესავალი

ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება ეთმობა იმ საკითხს, თუ რამდენად მართებულია სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტში მე-6(1) მუხლის წინაპირობის არსებობაზე მსჯელობა. სხვა სიტყვებით, გაანალიზდება, არსებობს თუ არა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მაშინ, როდესაც მოქმედებს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია საქმეებზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მხარეთა არგუმენტები, ევროპული სასამართლოს შეფასებები და, ბოლოს, სასამართლოს შეფასებების სამართლებრივი ანალიზი, რისთვისაც ხდება სახელმწიფო იმუნიტეტისა და მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის საკითხის ირგვლივ ევროპული სასამართლოს არსებული პრაქტიკის მიმოხილვა.

### 5.3.2 მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტები და სასამართლოს შეფასებები

საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მე-6(1) მუხლის წინაპირობის საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის გამოყენება არ იყო შესაძლებელი, ვინაიდან ეს მუხლი არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს სახელმწიფოს ისეთ დაგეგმულ დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც სცილდება სახელმწიფოს იურისდიქციას. გაერთიანებული სამეფოს განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ მას მოეთხოვებოდა საერთაშორისო სამართლის ძალით იმუნიტეტის გაერცვლება ქუვეითზე, გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ სასამართლოებს არ გააჩნდათ იურისდიქცია, განეხილათ მოსარჩელის მიერ ქუვეითის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი; შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, მას არ მოეთხოვებოდა მე-6(1) მუხლის საფუძველზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელის დაშვება საკუთარ სასამართლოებში.<sup>343</sup>

მოსარჩელის განცხადებით, გაერთიანებული სამეფოს სამართლის მიხედვით, წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართალწარმოების წესითაა დაშვებული. ის, რომ მისი წამების ფაქტი მოხდა გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ, მოსარჩელის თქმით, არ ქმნიდა დაბრკოლებას სარჩელის განსახილველად, ვინაიდან გაერთიანებული სამეფო, გარკვეულ შემთხვევებში, იურისდიქციას ავრცელებს მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მომხდარ სამოქალაქო დარღვევებზეც. ამის დასტურად მოსარჩელემ მოიყვანა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა იმავე საქმეზე დააკმაყოფილეს მის მიერ ცალკეულ პიროვნებათა წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი, მაგრამ უარი უთხრეს ქუვეითის წინააღმდეგ სარჩელის განხილვაზე იმუნიტეტის პრინციპის საბაბით. შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცებით, ამ შემთხვევაში პრობლემა იყო არა ის, რომ მას არ ჰქონდა ქუვეითის მიმართ სამოქალაქო მოთხოვნის უფლება, არამედ ის, რომ გაერთიანებულმა სამეფომ იმუნიტეტი მიანიჭა ქუვეითს საკუთარი სასამართლო

<sup>343</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 37, იხ. სქოლიო 292.

იურისდიქციისგან და ამით შესაძლებლობა არ მისცა მოსარჩელეს, უზრუნველყო თავისი სამოქალაქო უფლების დაცვა სასამართლოში.<sup>344</sup>

მხარეთა მიერ წამოდგენილ არგუმენტებთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით განაცხადა, რომ თავისთავად მე-6(1) მუხლი არავითარ მატერიალურსამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს არ წარმოშობს და რომ ეს მუხლი ეხება ევროპული კონვენციის წევრ სახელმწიფოებში უკვე არსებული მატერიალურსამართლებრივი უფლებების სასამართლო გზით უზრუნველყოფის გარანტიებს.<sup>345</sup> ამით სასამართლომ განმარტა, რომ მე-6(1) მუხლი არ ექვემდებარება გამოყენებას, თუ მოსარჩელეებს არ გააჩნიათ სამოქალაქო უფლებები, რომლებთან დაკავშირებითაც მათ უარი ეთქვათ სასამართლოსთვის მიმართვასა და საქმის განხილვის მოთხოვნაზე.

საკითხზე, ჰქონდა თუ არა განსახილველ საქმეზე მოსარჩელეს სამოქალაქო უფლება, რომლის სასამართლო გზით დაცვის უზრუნველყოფაც მას მოპასუხე სახელმწიფოსგან შეეძლო მოეთხოვა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მოსარჩელე მსგავს სამოქალაქო უფლებას ფლობდა. სასამართლომ არ გაიზიარა გაერთიანებული სამეფოს საპირისპირო არგუმენტი, რომლის მიხედვითაც გაერთიანებულ სამეფოს არ ჰქონდა იურისდიქცია, განეხილა ქუვეითის წინააღმდეგ წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი და რომ, შესაბამისად, მოსარჩელეს არ ჰქონდა გაერთიანებული სამეფოს მიმართ აღნიშნული სარჩელის სასამართლოში დაშვების მოთხოვნის უფლება.

საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოში მოსარჩელის მიერ წამების ბრალდებით უცხო სახელმწიფოთა წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის განხილვა შეზღუდული არ იყო *in limine*, ვინაიდან, სასამართლოს განცხადებით, საკმარისი იყო, უცხო სახელმწიფოს უარი ეთქვა საკუთარ იმუნიტეტზე, სარჩელი დაექვემდებარებოდა შესაბამის სახელმწიფოებში განხილვასა და გადაწყვეტას. ყოველივე ეს, სასამართლოს აზრით, მიუთითებდა იმაზე, რომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – იმუნიტეტის მინიჭება განხილული უნდა ყოფილიყო არა როგორც სამოქალაქო უფლების არსებობის გამომრიცხველი გარემოება, არამედ როგორც პროცედურული ბარიერი, რომელიც მოსარჩელეს შესაძლებლობას ართმევდა, სასამართლო გზით დაეცვა საკუთარი სამოქალაქო უფლება.<sup>346</sup>

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელეს შეეზღუდა 6(1)-ე მუხლით

<sup>344</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 37, იხ. სქოლიო 292.

<sup>345</sup> სასამართლო ახდენს საკუთარი გადაწყვეტილების ციტირებას საქმეზე – *Z and Others v. United Kingdom*, ECHR, 2001, Par.87 (იხ. *Al-Adsani v. United Kingdom*, 37-38, იხ. სქოლიო 292).

<sup>346</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 38, იხ. სქოლიო 292.

განმტკიცებელი სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ვინაიდან, როგორც სასამართლომ განმარტა, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს იურისდიქციიდან მთელი რიგი სამოქალაქო უფლებების ამოღებით ან პირთა გარკვეული კატეგორიებისთვის იმუნიტეტების მინიჭებით.<sup>347</sup>

მსგავსი შეფასებით ევროპულმა სასამართლომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასა და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს შორის ნორმატიული კონფლიქტის არსებობა აღიარა. ეს, პრაქტიკულად, სასამართლოს მხრიდან ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში განსახილველი არგუმენტის არსებობის უფლების აღიარებას წარმოადგენს. განიხილა რა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება როგორც ორი, კონკურენტული სამართლებრივი ნორმა, სასამართლომ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ერთ-ერთი ამ ნორმის მიერ მეორის მოქმედების განეიტრალების შესახებ. ცხადია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად იძენს ადამიანის ინტერესებზე ორიენტირებული სამართლებრივი სისტემის ნიშნებს, არსებობს ნოყიერი ნიადაგი მოსაზრებისთვის, რომ ნორმებს, რომლებიც იცავენ ადამიანის ინტერესებს, განსაკუთრებით კი ადამიანის არსებით და სასიცოცხლო ინტერესებს, უნდა მიენიჭოთ უპირატესობა იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ინტერესებს. მეტიც, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების, როგორც კოლიზიური სამართლებრივი კატეგორიების განხილვის შედეგად, საერთაშორისო თუ ეროვნულ სასამართლოებს სამართლებრივად არაფერი არ შეუშლის ხელს, რომ ამ ნორმატიულ კონფლიქტში უპირატესობა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას მიანიჭონ, განსაკუთრებით კი, თუ საქმე ადამიანთა უფლებების მძიმე დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებს ეხება.

ქვემოთ საგანგებო ყურადღება ეთმობა საკითხს, თუ რამდენად სწორად ჩათვალია ევროპულმა სასამართლომ, რომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მოსარჩელე ფლობდა მოპასუხე სახელმწიფოში სამოქალაქო უფლებას და ამ უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. ამ საკითხის გარკვევას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების სასარგებლოდ უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი.

<sup>347</sup> სასამართლო ახდენს საკუთარი გადაწყვეტილების ციტირებას საქმეზე – *Fayed v. the United Kingdom*, ECHR, 1994, Par. 65 (იხ. *Al-Adsani v. United Kingdom*, 38, იხ. სქოლიო 292).

**5.3.3 სახელმწიფო იმუნიტეტისა და ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის ურთიერთმიმართების საკითხი ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით და საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მიღებული გადაწყვეტილების ანალიზი**

როგორც ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – განაცხადა, სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის ძალით ეკრძალება გარკვეული კატეგორიის პირებისთვის, მათ შორის უცხო სახელმწიფოებისთვის, იმუნიტეტის მინიჭებით საკუთარი სასამართლო იურისდიქციის სფეროდან სამოქალაქო უფლებების ამოღება და ამის შედეგად ამ სამოქალაქო უფლებების მფლობელ პირთა სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვება.<sup>348</sup>

ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, ერთი სახელმწიფო კი არ ანიჭებს მეორეს იმუნიტეტს, არამედ სახელმწიფოს ენიჭება იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან საერთაშორისო სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპის ძალით, როგორცაა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი;<sup>349</sup> სხვა სიტყვებით, მითითებულ შემთხვევაში, სახელმწიფო თვითონ კი არ გამორიცხავს საკუთარი სასამართლოების იურისდიქციის სფეროდან ფიზიკურ პირთა სამოქალაქო უფლებებს, არამედ ამას მის ნაცვლად თავად საერთაშორისო სამართალი აკეთებს; ანუ, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოს არა აქვს არჩევნის თავისუფლება, გააგრძელოს ან – არა ამა თუ იმ კატეგორიის საქმეებზე საკუთარი იურისდიქცია, მას, უბრალოდ, არ გააჩნია იურისდიქცია შესაბამისი კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური კითხვა – შესაძლებელია კი, მითითებულ შემთხვევაში დღის წესრიგში დადგეს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევის საკითხი? გაუგებარია, როგორ შეიძლება სასამართლო იყოს ვალდებული, მიიღოს წარმოებაში სამართლებრივი დავები, რომელთა განსახილველადაც მას იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის ძალით არ გააჩნია. როგორც ლორდმა ბინგჰემმა განაცხადა საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia*: „არ მესმის, როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ სასამართლომ არ მიიღო საქმე სასამართლოში განსახილველად, თუ მას არა აქვს მიღების უფლება.“<sup>350</sup>

ავტორი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იურისდიქციის არარსებობის პირობებში სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მის სასამართლოებში წარდგენილი დავების განხილვა, იყო დამიანი (Damian). ის აღნიშნავს, რომ მე-6(1) მუხლით

<sup>348</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 38, იხ. სქოლიო 292.

<sup>349</sup> იხ. ნაშრომის გვ. 49-51 და მითითებული სქოლიოები.

<sup>350</sup> *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Bingham of Cornhill, 720, იხ. სქოლიო 51.

განმტკიცებული პროცედურული გარანტიების დაცვა ევროპული კონვენციის წევრ სახელმწიფოებს ევალებათ მხოლოდ საკუთარი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში. შესაბამისად, – მიუთითებს ავტორი, – სახელმწიფოს არავითარი ვალდებულება არ ეკისრება სასამართლო-ლოსთვის მიმართვის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არა აქვს იურისდიქცია განიხილოს შესაბამისი სამართლებრივი დავა.<sup>351</sup>

მოსაზრებას, რომ იურისდიქციის არარსებობის პირობებში უადგილოა სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევაზე საუბარი, იზიარებს ევროპული სასამართლო პრაქტიკაც. ამ სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე თვალსაჩინოა ევროპული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე – *Spaans v. Netherlands*, რომელზეც განიხილებოდა ირანისა და აშშ-ის პრეტენზიების ტრიბუნალის (Iran-United States Claims Tribunal, შემდგომში – ტრიბუნალი) ყოფილი თანამშრომლის მიერ ნიდერლანდის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი.<sup>352</sup> მოსარჩელის განცხადებით, ნიდერლანდმა დაარღვია მე-6(1) მუხლის მოთხოვნები, როდესაც უარი უთხრა მოსარჩელეს ტრიბუნალის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის განხილვაზე. სარჩელი ეხებოდა ტრიბუნალის მიერ გამოცემული იმ ადმინისტრაციული აქტის კანონიერების საკითხს, რომლითაც მოსარჩელე დაითხოვეს სამსახურიდან.<sup>353</sup> ნიდერლანდის სასამართლომ უარი სარჩელის განხილვაზე დაასაბუთა იმით, რომ ტრიბუნალი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, სარგებლობდა იმუნიტეტით ნიდერლანდის სასამართლოების იურისდიქციისგან და, შესაბამისად, ნიდერლანდს არ შეეძლო წარდგენილი სარჩელის განხილვა.<sup>354</sup> იმუნიტეტის მოტივით სარჩელის განხილვაზე უარის მიღების შემდეგ მოსარჩელემ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში წარადგინა სარჩელი, რომლითაც ის ბრალს სდებდა ნიდერლანდს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევაში.<sup>355</sup> კომისიამ დაუშვებლად ცნო სარჩელი, ვინაიდან, კომისიის აზრით, ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის ძალით, წევრი სახელმწიფოები კისრულობენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებას მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. როგორც კომისიამ განაცხადა, „ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“<sup>356</sup> ამის შემდეგ კომისიამ დასძინა: „იმ იმუნიტეტის გამო, რომლითაც სარგებლობს ტრიბუნალი, მისი

<sup>351</sup> Damian H., *Staatenimmunität und Gerichtszwang*(Berlin/Heidelberg/New York/Tokyo: Springer,1985), 16-17) (იხ. Kloth M., *Immunities and the Right of Access to Court under Article 6 of the European Convention on Human Rights* (Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2010), 27).

<sup>352</sup> *Spaans v. Netherlands*, European Commission of Human Rights, 1988 (107 ILR 1).

<sup>353</sup> იქვე.

<sup>354</sup> იქვე.

<sup>355</sup> იქვე.

<sup>356</sup> იქვე, 4.

ადმინისტრაციული აქტები არ არის ისეთი აქტები, რომლებიც შედის ნიდერლანდის იურისდიქციაში [ევროპული] კონვენციის 1-ლი მუხლის გაგებით და, შესაბამისად, [ამ აქტებთან მიმართებით] ნიდერლანდს არავითარი პასუხისმგებლობა კონვენციიდან გამომდინარე არ ეკისრება.<sup>357</sup>

მოსაზრება, რომ იმუნიტეტის პრინციპის კონტექსტში სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დაცვა, გამოთქმულია ევროპული კომისიის გადაწყვეტილებაშიც საქმეზე – *Van der Peet v. Germany*. საქმის მიხედვით, მოსარჩელე, ევროპული საპატენტო სამსახურის (European Patent Office) თანამშრომელი, ბრალს სდებდა გერმანიას ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის დარღვევაში. მოსარჩელე გერმანიის სასამართლოებში წარდგენილი სარჩელით ასაჩივრებდა ევროპული საპატენტო სამსახურის ადმინისტრაციულ აქტებს, რომელთა საფუძველზეც მას უარი ეთქვა შეგებულებაზე. გერმანიის სასამართლოებმა აღიარეს ევროპული საპატენტო სამსახურის იმუნიტეტი და მოსარჩელეს უარი უთხრეს სარჩელის განხილვაზე. საპასუხოდ მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა ევროპულ კომისიაში. ის ითხოვდა კომისიისგან გერმანიის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევის აღიარებას.<sup>358</sup>

ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ „საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიანიჭონ პრივილეგიები და იმუნიტეტები მათ ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო სტრუქტურებს ... ეროვნული სუვერენიტეტის მსგავსი შეზღუდვები, რომელთა მიზანია საერთაშორისო სტრუქტურების საქმიანობის ხელშეწყობა, არსებითად, კონვენციის ფარგლებში ამ საკითხს [მე-6(1) მუხლის დარღვევის საკითხს] დღის წესრიგში არ აყენებს“<sup>359</sup> (ხაზგასმა ჩემია).

აღსანიშნავია, რომ ევროპული კომისიის პრაქტიკაში ისეთი გადაწყვეტილებებიც გვხვდება, რომლებიც ევროპული კომისიის მიერ საქმეებზე – *Spaans v. Netherlands* და *Van der Peet v. Germany* – მიღებული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებულ მიდგომას ავლენენ და იმ პირობებშიც კი, როდესაც სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო სამართლის ძალით ენიჭება იმუნიტეტი, აღიარებენ მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობას. მაგალითად, საქმეზე – *Waite and Kennedy v. Germany* – ევროპულმა კომისიამ განაცხადა, რომ „უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო მისიების წევრებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მათი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის მინიჭებული იმუნიტეტი ... არ გამორიცხავს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში

<sup>357</sup> *Spaans v. Netherlands*, European Commission of Human Rights, 4.

<sup>358</sup> *Van der Peet v. Germany*, European Commission of Human Rights, 1996 (იხ. Van Alebeek R., 376, იხ.

სქოლიო 155).

<sup>359</sup> იქვე.



შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი უფლებების არსებობას.“<sup>360</sup> ევროპული კომისიის განმარტებით, საერთაშორისო ორგანიზაციის იმუნიტეტი „უქმნის დაბრკოლებას გარკვეული პრივილეგირებული პირების წინააღმდეგ გერმანიის სასამართლოებში იმ მოთხოვნების წამოყენებასა და უზრუნველყოფას, რომლებიც უკავშირდება გერმანულ სამართალში არსებულ მატერიალურსამართლებრივ უფლებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირები უარს ამბობენ იმუნიტეტზე. ამ შემთხვევაში, ის [იმუნიტეტი] მხოლოდ და მხოლოდ პროცედურული ბარიერია, რომელიც ქმნის დაბრკოლებას პოტენციური მოთხოვნების სასამართლოში წარსადგენად.“<sup>361</sup> როგორც ჩანს, სწორედ მსგავს პრეცედენტებზე დაყრდნობით დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კომისიის მიერ საქმეზე – *Waite and Kennedy v. Germany* – მიღებული გადაწყვეტილება უფრო ახალია საქმეებზე – *Spaans v. Netherlands* და *Van der Peet v. Germany* – მიღებულ გადაწყვეტილებებთან შედარებით, მართებული იქნებოდა, ევროპულ სასამართლოს სწორედ ამ ბოლო ორ საქმეზე ევროპული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ეხელმძღვანელა. ეს გადაწყვეტილებები უფრო ადეკვატურად ასახავენ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის არსს, მე-6(1) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, ადეკვატურად განსაზღვრავენ, თუ რა ფარგლებში ეკისრებათ სახელმწიფოებს მე-6(1) მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები.<sup>362</sup>

<sup>360</sup> *Van der Peet v. Germany*, European Commission of Human Rights, 1996 (იხ. Van Alebeek R., 374, იხ. სქოლიო 155).

<sup>361</sup> იქვე.

<sup>362</sup> აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კომისიის მიერ საქმეზე – *Spaans v. Netherlands* და *Van der Peet v. Germany* – გამოყენებული მიდგომა გაზიარებულია აგრეთვე ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებშიც. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს ლორდთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე – *Holland v. Lampen-Wolfe*, სადაც მოსარჩელები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლით განმტკიცებულ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასთან. ლორდთა პალატამ არ გაიზიარა ეს მოსაზრება, რაც დამაჯერებლად დაასაბუთა ლორდმა მილემ (Millett): „კონვენციის მე-6 მუხლით ყველას ენიჭება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისთვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება... ერთი შეხედვით, ეს უფლება შეიძლება შეუსაბამო ჩანდეს სრული და ყოვლისმომცველი იმუნიტეტის (როდესაც ის სავალდებულო გამოყენებას ექვემდებარება) დოქტრინასთან, მაგრამ შეუსაბამობა არ არსებობს. არ არსებობს არა იმიტომ, რომ მე-6 მუხლით განმტკიცებული უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვებს, არც იმის გამო, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება – შეუსაბამობა იმის გამო არ არსებობს, რომ მე-6 მუხლი უკრძალავს წევრ სახელმწიფოებს ფიზიკური პირებისთვის უარის თქმას თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო უფლებამოსილებების განხორციელებაზე; ეს მუხლი უფლებამოსილებების მოცულობის ზრდას არ ითვალისწინებს. მე-6(1) მუხლი მოითხოვს კონვენციის წევრი სახელმწიფოებისგან სამართლიანი და საჯარო პროცესების წარმოებას და უკრძალავს მათ უარი უთხრან ფიზიკურ პირებს ასეთ პროცესებზე.

ევროპული კომისია საქმეებზე – *Spaans v. Netherlands* და *Van der Peet v. Germany* – მართებულად უთითებს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტში, რომელიც საერთაშორისო სამართლის ძალით ენიჭება, არ ხდება სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევა. იმუნიტეტი ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში სადემარკაციო ხაზია მათი ექსკლუზიურ იურისდიქციათა სფეროების გასამიჯნავად – იქ, სადაც იწყება ერთის იურისდიქცია, მთავრდება მეორესი. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს ეკისრება უცხო სახელმწიფოზე იმუნიტეტის გავრცელების საერთაშორისო ვალდებულება, მას არ გააჩნია იურისდიქცია განიხილოს ამ უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელები,<sup>363</sup>

---

რომლებზეც ხდება მათი სამოქალაქო უფლებების განსაზღვრა. ეს მუხლი გულისხმობს, რომ წევრ სახელმწიფოს აქვს საკმარისი სასამართლო უფლებამოსილებები, რათა გადაწყვიტოს სადავო საკითხები. ამასთან, ეს მუხლი არ ანიჭებს წევრ სახელმწიფოს ისეთ სასამართლო უფლებამოსილებებს, რომლებიც მას არ გააჩნიათ. სახელმწიფო იმუნიტეტი ... საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პირშემა და გამომდინარეობს სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპიდან; ის არ არის გაერთიანებული სამეფოს მიერ საკუთარი სასამართლოების იურისდიქციაზე დაწესებული შეზღუდვა – იგი თავად გაერთიანებული სამეფოს სუვერენიტეტის შეზღუდვაა, რომელიც გარედან მომდინარეობს.“ (იხ. *Holland v. Lampen-Wolfe*, Opinion of Lord Millett, UK House of Lords, 2001 (119 ILR 367, 383-384)).

<sup>363</sup> აღსანიშნავია, რომ არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც კონცეპტუალურად არასწორია იმუნიტეტზე საუბარი იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არ გააჩნია იურისდიქცია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ამ შეხედულების მომხრეთა აზრით, სასამართლოს შეუძლია, იმსჯელოს იმუნიტეტის მინიჭება-არმინიჭების საკითხზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტს, რომ განსახილველ საქმეზე იგი ფლობს იურისდიქციას. სახელმწიფო იმუნიტეტზე, როგორც სასამართლოს არსებული იურისდიქციისგან დაცვის ბარიერზე, ტიპური შეხედულება ასახულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეების: პიგინსის კუიუჟანისა და ბურგენტალის საერთო განსაკუთრებულ აზრში საქმეზე – *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*. მოცემულ საქმეზე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მსჯელობდა, ჰქონდა თუ არა ბელგიას უფლება, არ მიენიჭებინა კონგოს მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრისთვის იმუნიტეტი ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მან საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში განახორციელა. აღნიშნულ საკითხზე სასამართლომ იმსჯელა წინასწარ იმ საკითხის განხილვის გარეშე, ვრცელდებოდა თუ არა ბელგიის იურისდიქცია კონგოს საგარეო საქმეთა მინისტრის დანაშაულებრივ ქმედებებზე (იხ. *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, 75, იხ. სქოლიო 13). მოსამართლეებმა: პიგინსმა, კუიუჟანმა და ბურგენტალმა არ გაიზიარეს სასამართლოს პოზიცია და ჩამოაყალიბეს საერთო განსაკუთრებული აზრი იმის შესახებ, რომ სასამართლოს წინასწარ აუცილებლად უნდა ემსჯელა, ჰქონდა თუ არა ბელგიას იურისდიქცია კონგოს საგარეო საქმეთა მინისტრის იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებშიც მას ბელგიის სამართალდამცავი ორგანოები სდებდნენ ბრალს და მხოლოდ იურისდიქციის არსებობის დადასტურების შემთხვევაში სასამართლო უნდა გადასულიყო იმუნიტეტის საკითხის განხილვაზე. კერძოდ, მოსამართლეებმა განაცხადეს: „სასამართლო არ საუბრობს საკითხზე ... ჰქონდა თუ არა ბელგიის სასამართლოს, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, უფლება, გაცვა დაპატიმრების ორდერი პირზე, რომელიც იმ მომენტში არ იმყოფებოდა მის ტერიტორიაზე.“ შემდეგ სასამართლო დასძინა: „ჩვენი აზრით, არათუ სასურველი, არამედ სავალდებულოც კი იყო, რომ სასამართლოს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით. ამის მრავალი მიზეზი არსებობს: „იმუნიტეტი“ არის შემოკლება გამოთქმისა – „იურისდიქციისგან იმუნიტეტი.“ თუ იურისდიქცია, როგორც ასეთი, არ არსებობს, მაშინ იურისდიქციისგან იმუნიტეტის საკითხი ... არც კი წამოიჭრებოდა. სასამართლომ იურისდიქციის საკითხის ყურადღების მიღმა დატოვებით შექმნა ისეთი

ვინაიდან მუხლი, რომელიც ევროპული კონვენციის წევრ სახელმწიფოებს მიუთითებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მათ საკუთარი სასამართლო იურისდიქცია მაშინ, როდესაც ისინი განსახილველ საქმეზე იურისდიქციას ფლობენ, არ შეიძლება აკისრებდეს ვალდებულებებს წევრ სახელმწიფოებს ისეთ საქმეებზე, რომლებიც მათ იურისდიქციაში არ შედის.<sup>364</sup> კონვენციის ტექსტის სხვაგვარი წაკითხვა გამოიწვევდა აბსურდულ შედეგებს – წარმოუდგენელია, რომ კონვენციამ წევრ სახელმწიფოებს ისეთი ვალდებულებები დააკისროს, რომელთა შესრულებაც მათი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. ეს ვალდებულებები წინასწარვე შეუსრულებლობისთვის იქნებოდა განწირული.

იმის გათვალისწინებით, რომ უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭების საერთაშორისო ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს არა აქვთ იურისდიქცია ამ უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელები განიხილონ და, შესაბამისად, მათ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების უზრუნველყოფის ვალდებულებაც არ ეკისრებათ, ლოგიკურად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საერთაშორისო სამართლის ძალით გარანტირებული სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტში არც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობაზე შეიძლება საუბარი.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო იურისდიქციის არარსებობა მიუთითებს კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომელიც ასევე გამორიცხავს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობას. იმუნიტეტის კონტექსტში სასამართლო იურისდიქციის არარსებობა პრაქტიკულად გულისხმობს იმას, რომ ფიზიკურ პირს შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში არ გააჩნია

---

შთაბეჭდილება, რომ „იმუნიტეტი“ საერთაშორისო სამართალში ცალკე მდგომი საკითხია. ეს ასე არ არის. „იმუნიტეტი“ და „იურისდიქცია“ ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული.“ (იხ. *Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, Opinion of Judge Higgins, Judge Kooijmans, Judge Buergenthal, 119, იხ. სქოლიო 13. მაგრამ, რეალურად, გავრცელებული მიდგომის თანახმად, თუ საქმე ეხება სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებს, იურისდიქციის არსებობა იმუნიტეტის პრინციპის გამოყენების წინაპირობა კი არ არის, არამედ იმუნიტეტის არარსებობა განიხილება იურისდიქციის არსებობის წინაპირობად. როგორც ლორდმა ბინგჰემმა განაცხადა საქმეზე – *Jones v. Saudi Arabia*, – „იქ, სადაც მოქმედებს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი, ეროვნულ სასამართლოებს არ გააჩნიათ [საქმის განხილვის] იურისდიქცია.“ (იხ. *Jones v. Saudi Arabia*, Opinion of Lord Bingham, 727, იხ. სქოლიო 51). იხ. აგრეთვე *Dralle v. Republic of Czechoslovakia*, Austria, Supreme Court, 1950 (17 ILR 155); *Ryuichi Shimoda et Al. v. The State*, Japan, District Court of Tokyo, 1963 (32 ILR 626); *Senerman Rapaport v. Republic of Cuba*, Chile, Supreme Court, 1975 (65 ILR 29); *Colonel H. H. Raja Sir Harinder Singh Barar Bans Bahadur v. Commissioner of Income Tax, Punjab*, India, Supreme Court, 1971 (64 ILR 523); *Kramer Italo Limited v. Government of the Kingdom of Belgium, Embassy of Belgium, Nigeria*, Nigeria, Court of Appeal, 1988 (103 ILR 299); *Johnson v. Major-General Howard M. Turner et Al.*, Philippines, Supreme Court, 1954 (21 ILR 103).

<sup>364</sup> Voyiakis E., *Access to Court v. State Immunity*, 52 *International and Comparative Law Quarterly* 297, 2003, 308 (გადმოტვირთულია Cambridge University Press-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან).

სამოქალაქო უფლება, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობასაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო უფლება წარმოადგენს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების წინაპირობას და თუ პირს არ გააჩნია სამოქალაქო უფლება, რომლის სასამართლო გზით დაცვის უზრუნველყოფაც მან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს, მას არც სასამართლოსთვის მიმართვის უფლება შეიძლება გააჩნდეს.<sup>365</sup>

იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ძალით არა აქვს იურისდიქცია განიხილოს პირის მიერ წარდგენილი სარჩელი, წარმოუდგენელია ამ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მოსარჩელის სამოქალაქო უფლების არსებობაზე საუბარი. კონკრეტული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში უფლების არსებობა უცილობლად გულისხმობს მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობასაც – *Ubi jus ibi remedium*. „შიშველი“ უფლება ადეკვატური სამართლებრივი დაცვის გარეშე ვერ იქნება უფლება.<sup>366</sup> როგორც ბლეკის იურიდიულ ლექსიკონშია (Black's Law Dictionary) განმარტებული, „უფლება არის პირის უნარი, სახელმწიფოს თანხმობითა და დახმარებით, გააკონტროლოს სხვა პირის ქმედებები“<sup>367</sup> (ხაზგასმა ჩემია). შესაბამისად, თუ სახელმწიფოს არ შეუძლია დაუდგეს პირს გარანტიად იმისა, რომ უფლების დარღვევის შემთხვევაში ის ამ დარღვეული უფლების აღდგენას უზრუნველყოფს, გამოდის, რომ მას პირისთვის უფლების, როგორც ასეთის, მინიჭება არ შეუძლია.

რაც მთავარია, საერთაშორისო სამართლის ძალით, სახელმწიფოსთვის მინიჭებული იმუნიტეტის კონტექსტში სამოქალაქო უფლების არარსებობა დასტურდება იმითაც, რომ სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით არ გააჩნია არა მხოლოდ სასამართლო, არამედ, პირველ რიგში, საკანონმდებლო იურისდიქცია.<sup>368</sup> საკანონმდებლო იურისდიქცია გულისხმობს სახელმწიფოს უფლებამოსილებას დაადგინოს იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესები და ამის საფუძველზე პირებს მიანიჭოს გარკვეული უფლებები ან დააკისროს ვალდებულებები. საკანონმდებლო იურისდიქციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია, მაგალითად, დააკისროს პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

<sup>365</sup> იხ. ნაშრომის გვ. 124 და მითითებული სქოლიოები.

<sup>366</sup> Tomuschat C., Individual Reparation Claims in Instances of Grave Human Rights Violations: The Position under General International Law, 11 (იხ. სტატიათა კრებული Randelzofher A. and Tomuschat C. (Eds), *State Responsibility and the Individual*, (The Hague/London/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 1999)).

<sup>367</sup> Black H.C., *Black's Law Dictionary*, 2<sup>nd</sup> (New Jersey: The Lawbook Exchange LTD., 1995).

<sup>368</sup> O'Keefe R., Universal Jurisdiction, Clarifying the Basic Concept, 2 *Journal of International Criminal Justice* 735, 2004, 736-737 (გადმოტვირთულია Cambridge University Press-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან).

იმუნიტეტი უკრძალავს სახელმწიფოს გაავრცელოს უცხო სახელმწიფოზე, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელ სუბიექტზე, ყველა სახის იურისდიქცია, მათ შორის საკანონმდებლოც. შესაბამისად, ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია უცხო სახელმწიფოს საკუთარ სახელისუფლებო ქმედებებთან დაკავშირებით დაუდგინოს ქცევის იურიდიულად სავალდებულო წესები, მათ შორის, სახელმწიფოს არ შეუძლია უცხო სახელმწიფოსთვის იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, რომელიც გამოწვეულია ამ უკანასკნელის სახელისუფლებო ქმედებებით.

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტისთვის, ყოველგვარი ვალდებულებების დაკისრების აკრძალვა გამორიცხავს მესამე პირებისთვის ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე უფლებების მინიჭების შესაძლებლობას. უფლება ყოველთვის გულისხმობს საპასუხო ვალდებულების არსებობას და პირიქით – თუ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არ არის განმტკიცებული პირის ესა თუ ის ვალდებულება, არც მისი შესაბამისი უფლების არსებობაზე შეიძლება საუბარი. აქედან გამომდინარე, თუ იმუნიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო უცხო სახელმწიფოს ვერავითარ სამართლებრივ ვალდებულებებს ვერ დააკისრებს, ის ვერც უფლებებს ვერ მიანიჭებს პირებს ამ უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტი, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ძალით უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან ენიჭება, არ უქმნის პროცედურულ ბარიერს სამოქალაქო უფლების სასამართლო წესით დაცვას. ამ შემთხვევაში იმუნიტეტი გამორიცხავს იმ სამოქალაქო უფლების არსებობას, რომლის უზრუნველყოფაც პირმა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოში შეიძლება მოითხოვოს. აქედან გამომდინარე, იქ, სადაც ერთი სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სავალდებულო წესით იმუნიტეტს ანიჭებს მეორე სახელმწიფოს, არ არსებობს მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობა და, შესაბამისად, არც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების დარღვევაზე შეიძლება ამ კონტექსტში საუბარი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს მიერ მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობის შესახებ გაკეთებული დასკვნა საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – არასწორი იყო. საერთაშორისო სამართლის ძალით მინიჭებული იმუნიტეტის პრინციპის ძალით სახელმწიფოს არათუ მოეთხოვებოდა, არამედ ეკრძალებოდა კიდევ საკუთარი სასამართლო იურისდიქციის გაავრცელება უცხო სახელმწიფოზე. ამ ფონზე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ზედმეტია ფიზიკური პირის შესაბამისი სამოქალაქო უფლების არსებობასა და

თავისთავად ამ უფლების პროცედურული დაცვის მე-6(1) მუხლით განმტკიცებულ გარანტიებზე საუბარი.

ამგვარად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – ევროპულმა სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და რომ გაერთიანებულმა სამეფომ შეზღუდა ეს უფლება ქუვეითზე იმუნიტეტის გავრცელებით.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე შეთავაზებული დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ განსახილველ საქმეში არსებობდა მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობა. ეს დასაბუთება, ჩვენი აზრით, ძალიან საყურადღებო და დამაფიქრებელია (შეიძლება ითქვას, დამაბნეველიც კი). როგორც ნაშრომის წინამდებარე თავის მე-5.3.2 ქვეთავში აღინიშნა, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფოთა იურისდიქციის ფარგლებში მოსარჩელეს ჰქონდა სამოქალაქო უფლება და, შესაბამისად (ამ უფლებებიდან გამომდინარე), სამართლებრივი დავების წარმოებაზე მათთვის იმუნიტეტის საბაზით უარის თქმა, უბრალოდ, პროცესუალური ბარიერი იყო, რომელიც ხელს უშლიდა მოსარჩელეს დაცვა საკუთარი უფლება მოპასუხე სახელმწიფოს სასამართლოში. სასამართლოს მიერ საკუთარი შეხედულების დასაბუთებლად მოყვანილი არგუმენტის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციის ფარგლებში მოსარჩელის შესაბამისი სამოქალაქო უფლების არარსებობის პირობებში, შეუძლებელი იქნებოდა, ქუვეითის მიერ საკუთარ იმუნიტეტზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ სამოქალაქო საქმისწარმოება. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ქუვეითის მიერ საკუთარ იმუნიტეტზე უარის თქმის შემთხვევაში, გაერთიანებულ სამეფოს ექნებოდა იურისდიქცია განეხილა ქუვეითის წინააღმდეგ წამების ბრალდებით წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი, რაც, სასამართლოს აზრით, იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ გაერთიანებულ სამეფოს ჰქონდა იურისდიქცია განეხილა შესაბამისი სამართლებრივი დავები.<sup>369</sup>

ერთი შეხედვით, სასამართლოს დასაბუთება ძალიან ლოგიკურია. თუ სახელმწიფოს არ გააჩნია იურისდიქცია განიხილოს სამართლებრივი დავა, როგორ შეიძლება მან ეს არარსებული იურისდიქცია შეიძინოს უცხო სახელმწიფოს მიერ საკუთარ იმუნიტეტზე უარის თქმის საფუძველზე? მაგრამ ევროპული სასამართლოს მიერ საკითხის ასე დაყენების სიმცდარეზე ძალიან სწორად მიუთითებს ვან ალენბეკი. მისი აზრით, უცხო სახელმწიფოს მიერ საკუთარ იმუნიტეტზე უარის თქმით, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლო იძენს იურისდიქციას იმავე პრინციპით, როგორც ნებისმიერი საერთაშორისო სასამართლო ან საერთაშორისო ტრიბუნალი, კერძოდ კი, უცხო სახელმწიფოს მიერ შესაბამისი

<sup>369</sup> ის ნაშრომის წინამდებარე თავის მე-5.3.2 ქვეთავი.

სამართლებრივი დავის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოსთვის გადაცემით. ამ შემთხვევაში, ავტორის განცხადებით, ადგილსამყოფელი სახელმწიფო, გამონაკლისის სახით, იურისდიქციას იძენს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ უკანასკნელის თანხმობით. უცხო სახელმწიფოს მიერ თანხმობის განცხადებით იხსნება ის შეზღუდვები, რომლებიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციას უწესდება, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე.<sup>370</sup> ესენია სახელმწიფოს იურისდიქციის ე.წ. გარე შეზღუდვები. ამავე დროს, სახელმწიფოთა იურისდიქციას, გარე შეზღუდვების გარდა, უწესდებათ შიდა შეზღუდვებიც საკუთარი კანონმდებლობის ძალით და ამ შიდა შეზღუდვების საფუძველზე სახელმწიფო არ განიხილავს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელს იმ შემთხვევაშიც კი, როცა უცხო სახელმწიფო უარს ამბობს საკუთარ იმუნიტეტზე.<sup>371</sup>

როგორც ჩანს, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – არ გაითვალისწინა სახელმწიფოს იურისდიქციის ასეთი ორი განსხვავებული შეზღუდვის არსებობა და, აქედან გამომდინარე, ჩათვალა, რომ, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით, წამების ბრალდებით სამოქალაქო სამართლებრივი დავის წარმოების დასაშვებობა ავტომატურად გულისხმობს მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის არსებობას. სწორედ ამის საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო იმუნიტეტი საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – იყო მხოლოდ და მხოლოდ პროცესუალური ბარიერი, რომელიც დაბრკოლებას უქმნიდა მოსარჩელეს დაეცვა თავისი უფლება სასამართლოს გზით. სინამდვილეში კი, მოცემულ საქმეზე გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციაზე არსებობდა არა შიდა, არამედ გარე შეზღუდვა, რაც გამორიცხავდა გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციაში მოსარჩელეების ისეთი სამოქალაქო უფლების არსებობას, რომლის სასამართლო გზით დაცვის უზრუნველყოფაც შეეძლო მას მოეთხოვა და რაც, შესაბამისად, გამორიცხავდა მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობის არსებობას. ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის კონტექსტში, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ძალით ენიჭება, არ წარმოიშობა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

#### 5.4 სახელმწიფო იმუნიტეტის მე-6(1) მუხლთან შესაბამისობის საკითხი

მას შემდეგ, რაც ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – არსებობდა მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობები, მან დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად ჯდება

<sup>370</sup> Van Alebeek R., 88, იხ სქოლიო 155.

<sup>371</sup> იქვე.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი მე-6(2) მუხლით დადგენილი შეზღუდვის ფარგლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილების ეს ფრაგმენტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსთვის სახელისუფლებო ქმედებებთან დაკავშირებით მინიჭებული იმუნიტეტის კონტექსტში ფიზიკურ პირს არა აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და, შესაბამისად, არც სახელმწიფო იმუნიტეტისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ურთიერთმიმართების საკითხი დგება დღის წესრიგში.

საყურადღებოა, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა დასაშვებია.<sup>372</sup> საქმეზე – *Ashingdane v. United Kingdom* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებების, მათ შორის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების, შეზღუდვა არ უნდა ღახავდეს თავად უფლების არსს, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს და იყოს პროპორციული.<sup>373</sup>

მიუხედავად გაერთიანებული სამეფოს მტკიცებისა, რომ განსახილველ საქმეზე საერთოდ არ არსებობდა მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობები და, შესაბამისად, არც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვაზე შეიძლებოდა საუბარი, საკუთარი პოზიციის დასაცავად წარდგენილ არგუმენტებში ის მაინც აღნიშნავდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, რომ ადგილი ჰქონოდა მოსარჩელის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდავას, ეს შეზღუდვა იქნებოდა ლეგიტიმური და პროპორციული.<sup>374</sup>

იმუნიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობასა და პროპორციულობასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოსთვის სამოქალაქო პროცესში სუვერენული იმუნიტეტის მინიჭება აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ და ემსახურება სახელმწიფოთა შორის კეთილმეგობრული ურთიერთობების განვითარებას. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმუნიტეტის მინიჭება სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველია.<sup>375</sup>

როგორც წესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმუნიტეტის ლეგიტიმურობის საკითხის გადასაწყვეტად არ ხელმძღვანელობს საქმის კონკრეტული გარემოებებით. <sup>376</sup> ევროპულ

<sup>372</sup> *Ashingdane Case*, 129, იხ. სქოლიო 341.  
<sup>373</sup> იქვე.  
<sup>374</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 40, იხ. სქოლიო 292.  
<sup>375</sup> იქვე, 38, იხ. სქოლიო 292.  
<sup>376</sup> *Kloth M.*, 14, იხ. სქოლიო 351.



სასამართლოს მიაჩნია, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება ყველა შემთხვევაში ემსახურება სახელმწიფოებს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობების განვითარებას, რაც, თავისთავად, არის ლეგიტიმური მიზანი.<sup>377</sup> შესაბამისად, სასამართლოსთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას შეეხება სარჩელი, რომელთან დაკავშირებითაც, უცხო სახელმწიფოს მოპასუხე სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქციისგან მიენიჭა იმუნიტეტი. ევროპული სასამართლოს მიდგომით, უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება ლეგიტიმურად ითვლება ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა სახელმწიფოს იმუნიტეტი ენიჭება წამების საერთაშორისო აკრძალვის დარღვევის ბრალდებებთან დაკავშირებით<sup>378</sup> (რისთვისაც საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – მოსარჩელის განცხადებით, იმუნიტეტის მინიჭება მოკლებულია ყოველგვარ რაციონალურ და ლეგიტიმურ საფუძველს<sup>379</sup>). საქმის კონკრეტულ გარემოებებს მნიშვნელობა ენიჭება იმ ეტაპზე, როცა ხდება სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვის პროპორციულობის შეფასება.<sup>380</sup> საკითხისადმი მსგავსი მიდგომის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს შეფასება, რომ გაერთიანებული სამეფოს მიერ ქუვეითისთვის იმუნიტეტის მინიჭება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზნებს, გასაგებია და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებშია მოქცეული.

უცხო სახელმწიფოებისთვის მინიჭებული იმუნიტეტების ლეგიტიმურობის შესახებ მიღებული სტანდარტული გადაწყვეტილებების შემდეგ სასამართლომ დაიწყო პროპორციულობის საკითხზე მსჯელობა. ევროპულ სასამართლოს საკუთარ სასამართლო გადაწყვეტილებებში აქვს ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომლებითაც მან უფლების შეზღუდვის პროპორციულობის დასადგენად უნდა იხელმძღვანელოს. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს: 1) შეზღუდვის არსი; 2) რამდენად ადეკვატურად პასუხობს ეს შეზღუდვა მიზანს, რომლის გამოც იქნა ის შემოღებული, და 3) რამდენად უარყოფითად აისახება ეს შეზღუდვა კონვენციით დაცულ უფლებებზე.<sup>381</sup> გარდა ამისა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად შესაძლებელი იყო სხვა საშუალებებით, რომლებიც ნაკლები ხარისხით შეზღუდავდნენ კონვენციით დაცულ უფლებას, იმავე მიზნის მიღწევა.<sup>382</sup> სხვა სიტყვებით, პროპორციულობის ტესტით სასამართლო ავასებს დაპირისპირებულ ინტერესებს, რომლებშიც, ერთი მხრივ, იგულისხმება ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლება და, მეორეს მხრივ, ის მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხდება ამ უფლების შეზღუდვა. ასეთი შეფასების შედეგად სასამართლო ადგენს, თუ

<sup>377</sup> Kloth M., 13.

<sup>378</sup> იქვე, 14.

<sup>379</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 39, იხ. სქოლიო 292.

<sup>380</sup> Kloth M., 14, იხ. სქოლიო 351.

<sup>381</sup> *Voyiakis E.*, 312, იხ. სქოლიო 364.

<sup>382</sup> იქვე.

რამდენად სამართლიანად იყო დაცული ბალანსი კერძო პირის ინტერესებსა და საზოგადოებრივ, საჯარო ინტერესებს შორის.<sup>383</sup>

საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – დაპირისპირებულ ინტერესებს წარმოადგენდა ორი უფლება – ერთი მხრივ, სახელმწიფოს იმუნიტეტის უფლება და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირის სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. ვინაიდან სასამართლომ ეს ინტერესთა კონფლიქტი შეაფასა სამართლებრივ კონფლიქტად, მის გადასაწყვეტად მან ვენის 1969 წლის კონვენციას მიმართა, კერძოდ, მის 31-ე(3)(c) მუხლს, რომელიც სახელმწიფოებო ნორმათა განმარტების წესებს აღგენს.<sup>384</sup> ამის საფუძველზე სასამართლომ განაცხადა, რომ „კონვენციის ტექსტი, მათ შორის მე-6(1) მუხლი არ შეიძლება საერთაშორისო სამართლის კონტექსტიდან ამოგლეჯილად განიმარტოს. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ხელშეკრულების, სპეციფიკური ხასიათი და ასევე უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესები. კონვენცია, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნაწილია, სახელმწიფო იმუნიტეტის მინიჭებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის სხვა წესებთან მაქსიმალურად ჰარმონიზებულად უნდა განიმარტოს.“<sup>385</sup> ამის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ „ის ზომები, რომლებიც მიიღო მაღალმა ხელშეკრულებმა მხარემ და რომლებიც საერთაშორისო სამართალში სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ წესებს ასახავენ, პრინციპულად ვერ განიხილებიან როგორც მე-6(1) მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არაპროპორციულად შემზღვეველი ზომები; როგორც სასამართლოსთვის მიმართვის უფლებაა სამართლიანი სასამართლოს გარანტიის ... თავისთავად ნაგულისხმევი ნაწილი, ასევე ზოგიერთი შეზღუდვა ამ უფლებაზე შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად ნაგულისხმევად და ამ შეზღუდვების ... საყოველთაოდ აღიარებულ მაგალითად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო იმუნიტეტის დოქტრინა.“<sup>386</sup> შედეგად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის უზრუნველსაყოფად იყო პროპორციული ზომა, რომლითაც არ ირღვეოდა მე-6(1) მუხლით სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულებები.<sup>387</sup>

პროპორციულობის საკითხთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში თვალშისაცემია მითითება იმის შესახებ, რომ მოცემულ საქმეებზე სახელმწიფო იმუნიტეტი არის სასამართლოსთვის მიმართვის უფლების „თავისთავად ნაგულისხმევი“ შეზღუდვა. როგორც დელმას-მარტი (Delmas-Marty) წერს, უფლების თავისთავად ნაგულისხმევი

<sup>383</sup> *Spjorrong and Lönnroth v. Sweden*, ECHR, 1982 (68 ILR 86, 110).

<sup>384</sup> იხ. სქოლიო 142.

<sup>385</sup> *Al-Adsani v. United Kingdom*, 40, იხ. სქოლიო 292.

<sup>386</sup> იქვე.

<sup>387</sup> იქვე 43.

შეზღუდვა „არა შესაბამისი უფლების განხორციელების შეზღუდვაა, არამედ ამ უფლების შინაარსის შეზღუდვა.“<sup>388</sup> სხვა სიტყვებით, თუ რაღაც გარემოება კვალიფიცირდება, როგორც უფლების თავისთავად ნაგულისხმევი შეზღუდვა, მაშინ ამ გარემოების არსებობისას საერთოდ გამოირიცხება შესაბამისი უფლების არსებობა. აქედან გამომდინარე, თუ იმუნიტეტი სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ორგანული შეზღუდვაა, მაშინ გამოდის, რომ იმუნიტეტის მოქმედების შემთხვევაში გამოირიცხება ამ უფლების არსებობა. ეს შეხედულება ეხმიანება და ადასტურებს ამ ნაშრომის IV თავის მე-5.3.3 ქვეთავში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ საქმეზე – *Al-Adsani v. United Kingdom* – საერთოდ გამოირიცხება სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არსებობა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ იმუნიტეტის ამ დახასიათებიდან გამომდინარე, დღის წესრიგიდან მთლიანად იხსნება მე-6(1) მუხლის გამოყენების საკითხი და, მით უმეტეს, მე-6(1) მუხლით განმტკიცებული უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის შეფასების აუცილებლობა.

როგორც ჩანს, სასამართლომ განსახილველ საქმეზე, საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, თავი აარიდა იმის შეფასებას, თუ რომელი ინტერესი იყო უფრო მნიშვნელოვანი – სახელმწიფო ინტერესი, უზრუნველყოფილი იმუნიტეტის პრინციპით, თუ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. ამის შედეგად ევროპულმა სასამართლომ მიმართა უფლების „თავისთავად ნაგულისხმევი“ შეზღუდვის „მეთოდს“ და ამით აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოვიდა გადაწყვეტილებასთან, რომელიც მან მოცემულ საქმეზე მე-6(1) მუხლის გამოყენების წინაპირობების არსებობის საკითხთან დაკავშირებით მიიღო.

## 5.5 დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების კონტექსტში, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა, ნორმატიული კონფლიქტი იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას შორის, არ წარმოიშობა. აღნიშნულ შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ძალით ენიჭება იმუნიტეტი, რის შედეგადაც უცხო სახელმწიფოს არა აქვს იურისდიქცია განიხილოს მითითებული დარღვევებიდან გამომდინარე სამართლებრივი დავები და, შესაბამისად, არც ამ დარღვევათა მსხვერპლ პირებს არა აქვთ უცხო სახელმწიფოს სასამართლოებში აღნიშნულ დავათა დაშვების მოთხოვნის უფლება.

<sup>388</sup> Delmas-Marty M., *The European Convention for the Protection of Human Rights: International Protection Versus National Restrictions* (Dordrecht/Boston/London: Martinus Nijhoff Publishers, 1992), 216.

არ არსებობს რა კონფლიქტი სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას შორის, ნორმატიული იერარქია ვერ იქნება გამოყენებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლების საფუძველზე იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების გამოსარიცხად. ამის გათვალისწინებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ არგუმენტი, რომლის მიხედვითაც სასამართლოსთვის მიმართვის უფლებასთან კონფლიქტის გამო იმუნიტეტის პრინციპი არ უნდა ვრცელდებოდეს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილ სამოქალაქო სარჩელებზე, არ არის მართებული და ამ დარღვევების მსხვერპლ პირებს არ აძლევს იმის სამართლებრივ შესაძლებლობას, რომ ამ დარღვევებთან მიმართებაში მოსთხოვონ ერთი სახელმწიფოს სასამართლოს, არ გაავრცელოს მეორე სახელმწიფოზე იმუნიტეტი და დააკისროს მეორე სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

## 6. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი არ არის გამოსადეგი სამართლებრივი სქემა სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების პრობლემის გადასაწყვეტად, ერთი მარტივი მიზეზის გამო – სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და ადამიანის შესაბამისი უფლებები არ მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში.

კონფლიქტის არარსებობა შეიძლება აიხსნას ორი სხვადასხვა საფუძველით: იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების ურთიერთმიმართებაზე, კონფლიქტის არსებობა გამოირიცხება ამ ნორმების განსხვავებული სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, – სახელმწიფო იმუნიტეტი არის პროცედურული ნორმა, რომლის ძალითაც ერთ სახელმწიფოს ეკრძალება გაავრცელოს მეორე სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქცია, ხოლო შესაბამისი *jus cogens* ნორმა მატერიალური ნორმაა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს მოეთხოვება გარკვეული ქმედების შესრულება ან შესრულებისგან თავის შეკავება. შესაბამისად, არც სამართალდამრღვევ სახელმწიფოს და არც იმ სახელმწიფოს, რომლის სასამართლოში არის წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი, ამ ნორმების მიხედვით, არ ეკისრებათ არავითარი ისეთი ვალდებულება, რომელიც წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს ან სამართალდამრღვევი სახელმწიფოს უფლებასთან, მოითხოვოს უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან იმუნიტეტი, ან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ვალდებულებასთან, საკუთარ სასამართლოში სამართალდამრღვევ სახელმწიფოს მიანიჭოს იმუნიტეტი.

რაც შეეხება სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის ისეთი უფლებების ურთიერთმიმართებას, როგორებიცაა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლებები, ამ შემთხვევაში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი და შესაბამისი უფლებები ერთმანეთთან კონფლიქტში არ მოდიან, ვინაიდან ამ უფლებებიდან გამომდინარე, ვაღდებულებები სახელმწიფოს ეკისრება მხოლოდ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში და, შესაბამისად, არ ვრცელდება ადამიანის უფლებების ისეთი მძიმე დარღვევის ფაქტებზე, რომლებიც სამართალდამრღვევა სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

შესაბამისად, ნორმატიული იერარქიის დოქტრინის გამოყენებაც, რომელიც მხოლოდ ნორმატიული კონფლიქტის დასარეგულირებლად არის გამიზნული, სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის ზემოაღნიშნული უფლებების კონტექსტში აზრს მოკლებულია.

V. სახელმწიფო იმუნიტეტი და საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2) –ე მუხლი

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის ფარგლებში განხილულია ადამიანის უფლებების სასარგებლოდ და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საწინააღმდეგოდ წამოყენებული არგუმენტი, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის (Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts) (შემდგომში – სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტი) 41(2)-ე მუხლს.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლის მიხედვით, არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს კანონიერად სიტუაცია, რომელიც, მე-40 მუხლის თვალსაზრისით, სერიოზული დარღვევის შედეგად ჩამოყალიბდა, და არც უნდა შეუწყოს ხელი ამ სიტუაციის შენარჩუნებას.<sup>389</sup> მე-40 მუხლის მიხედვით, სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა.<sup>390</sup>

ნაშრომის მოცემული ნაწილის ფარგლებში განსახილველ არგუმენტთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი საფუძველშივე ნაკლებად სარწმუნო ჩანს, ვინაიდან სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის ნორმა, რომელსაც არგუმენტი ეყრდნობა, ფრიად სადავოა იმდენად, რამდენადაც ის ოპერირებს იმპერატიული ნორმების, იგივე *jus cogens* ნორმების კონცეფციით ისეთ კონტექსტში, რომელიც იძლევა შედავების საფუძველს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმპერატიული, *jus cogens* ნორმების კონცეფცია პირველად ვენის 1969 წლის კონვენციით დამკვიდრდა და აღნიშნული კონვენციის მიხედვით, *jus cogens* ნორმის ერთადერთი დანიშნულებაა, არ დაუშვას სახელმწიფოებს შორის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც თავისი შინაარსით უხვევენ *jus cogens* ნორმებს.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტი აფართოებს *jus cogens* ნორმების მოქმედების ფარგლებს და უკრძალავს სახელმწიფოებს არა მხოლოდ *jus cogens* ნორმების საწინააღმდეგოდ დადებული ხელშეკრულებების ნამდვილობის ცნობას, არამედ ამ ნორმათა საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედებების შედეგად შექმნილი

<sup>389</sup> Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries*, 249, იხ სქოლიო 144.

<sup>390</sup> იქვე, 245.

სიტუაციის კანონიერების აღიარებასა და ამ სიტუაციის შენარჩუნებისთვის ხელის შეწყობას.

იმის გათვალისწინებით, რომ *jus cogens* ნორმების კონცეფცია თავდაპირველად დამკვიდრდა როგორც საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის კატეგორია, მისი გამოყენება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის ფარგლებში სადავოა. კერძოდ, სადავოა, რამდენად სახელმწიფოებმა ცალმხრივი ქმედებებით შეიძლება დაარღვიონ *jus cogens* ნორმები და შედეგად რამდენად შეიძლება უცხო სახელმწიფოები შემოიბოჭონ ამ დარღვევების შედეგად შექმნილი სიტუაციის არაღიარებისა და არდახმარების ვალდებულებებით, როგორც ამას სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლი ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ეჭვქვეშ დგება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლზე დაფუძნებული არგუმენტის სამართლებრივი კონსტრუქციის სისწორეც. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშრომი ყველა სადავო საკითხს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საწინააღმდეგოდ წამოყენებული არგუმენტების სასარგებლოდ წყვეტს და ცდილობს გამოიკვლიოს, ხომ არ გააჩნია არგუმენტს სხვა რაიმე ისეთი სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც მის სისწორეს გამორიცხავდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომში ხდება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლზე დაფუძნებულ არგუმენტზე ყურადღების შეჩერება და იმის შეფასება, შეიძლება თუ არა მითითებულ მუხლზე დაყრდნობით სახელმწიფომ არ მიანიჭოს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოს ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა საკუთარ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედებების დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

41(2)-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ნაწილობრივ არის უკვე არსებული საერთაშორისო ჩვეულების კოდიფიკაცია, რომელსაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრაქტიკაში გამოყენების ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა, ამავედროულად, მისი მოცულობა კონვენციის პროექტის ფარგლებში არსებითად გაიზარდა.<sup>391</sup> საქმე ისაა, რომ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ძალით, არაღიარებისა და დახმარების არადმოჩენის ვალდებულება არსებობდა მხოლოდ უკანონოდ ძალის გამოყენებისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარების კონტექსტში,<sup>392</sup> ხოლო კონვენციის პროექტმა ეს ვალდებულება გააფართოვა და მოიცვა ისეთი სიტუაციები, რომლებიც

<sup>391</sup> Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries*, 250-251, იხ. სქოლიო 144.

<sup>392</sup> იქვე.

იქმნება საერთაშორისო სამართლის სხვა იმპერატიული ნორმების დარღვევის შედეგად.

არადიარების ვალდებულების გავრცელება, ზოგადად, ყველა სახის იმპერატიული ნორმების დარღვევებთან მიმართებით, გაუგებარს ხდის, თუ კონკრეტულად რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს ისეთი იმპერატიული ნორმების დარღვევის შედეგად, როგორებიცაა, მაგალითად, გენოციდის, მონობისა და წამების აკრძალვა. არადიარების ვალდებულება გულისხმობს იმ სამართლებრივი მოთხოვნების აღიარების აკრძალვას, რომლებიც სამართალდამრღვევ სახელმწიფოს უჩნდება საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის საფუძველზე.<sup>393</sup> ამ ფონზე გაუგებარია, თუ რა სამართლებრივ მოთხოვნებს შეიძლება აყენებდეს სახელმწიფო გენოციდის, მონობისა და წამების აკრძალვების დარღვევის შედეგად<sup>394</sup> და შესაბამისად, რა მოთხოვნების აღიარების აკრძალვას შეიძლება გულისხმობდეს 41(2)-ე მუხლი. სინათლე ამ კუთხით არც კონვენციის პროექტის კომენტარებს შემოაქვთ. შედეგად ჩნდება მოსაზრება, რომ არადიარების ვალდებულება ზემოთ მითითებულ იმპერატიულ ნორმებთან მიმართებით არის საერთოდ უშინაარსო.<sup>395</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძნელად დასაჯერებელია, რომ გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიას სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტში გაეთვალისწინებინა სახელმწიფოთა ისეთი ვალდებულება, რომელიც რეალურად აბსოლუტურად უშინაარსოა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ხდება პროექტის 41-ე(2) მუხლის ისეთი ინტერპრეტირება, რომელიც ამ მუხლით განმტკიცებულ ვალდებულებას რეალურ სამართლებრივ შინაარსსა და დატვირთვას შესძენდა. როგორც ჩანს, ამ მუხლიდან გამომდინარე, იმუნიტეტის სფეროში გარკვეული ვალდებულებების წარმოშობის მოაზრებაც ზემოხსენებულ მცდელობათა რიცხვს განეკუთვნება. კერძოდ, საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ისეთი შეხედულება, რომ 41-ე(2) მუხლით განმტკიცებული ვალდებულების ძალით სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, უარი უთხრან უცხო სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის მინიჭებაზე.<sup>396</sup> ამ მოსაზრების მიხედვით, *jus cogens* ნორმათა

<sup>393</sup> Dawidowicz M., The Obligation of Non-recognition of an Unlawful Situation, 683 (იხ. სტატიათა კრებული Crawford J., Pellet A., Olleson S. (Eds.), *The Law of International Responsibility* (New York: Oxford University Press, 2010)).

<sup>394</sup> Talmon S., The Duty Not to “Recognise as Lawful” a Situation Created by the Illegal Use of Force or Other Serious Breaches of a Jus Cogens Obligation: An Obligation Without Real Substance? 104-105 (იხ. სტატიათა კრებული Tomuschat C., Thouvenin J.M. (Eds.), *The Fundamental Rules of International Legal Order, Jus Cogens and Obligations Erga Omnes*, იხ.სქოლიო 164).

<sup>395</sup> იქვე, 99-125; გარდა ამისა იხ. Dawidowicz M., The Obligation of Non-recognition of an Unlawful Situation, 683 (იხ. სტატიათა კრებული: Crawford J., Pellet A., Olleson S. (Eds.), იხ. სქოლიო 393).

<sup>396</sup> Talmon S., The Duty Not to “Recognise as Lawful” a Situation Created by the Illegal Use of Force or Other Serious Breaches of a Jus Cogens Obligation: An Obligation Without Real Substance? 116 (იხ. Tomuschat C., Thouvenin J.M. (Eds.), *The Fundamental Rules of International Legal Order, Jus Cogens and Obligations Erga Omnes*, იხ.სქოლიო 164)); Fox H., 158, იხ. სქოლიო 33.



დარღვევებთან მიმართებით უცხო სახელმწიფოზე იმუნიტეტის გაგრძელება იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის კანონიერად აღიარებას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, აკრძალულად უნდა ჩაითვალოს 41(2)-ე მუხლზე დაყრდნობით.<sup>397</sup>

არაღიარების ვალდებულების განმარტება, როგორც იმ სამართლებრივი მოთხოვნების არაღიარების ვალდებულებისა, რომლებიც სახელმწიფოს იმპერატიული ნორმის დარღვევის საფუძველზე უჩნდება, ერთი შეხედვით, შეიძლება ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ის გულისხმობს სახელმწიფოების ვალდებულებას, უარი უთხრან სახელმწიფოს იმ ქმედებებთან მიმართებით იმუნიტეტის მინიჭებაზე, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ იმპერატიულ ნორმებს.

ზემოაღნიშნულ შთაბეჭდილებას შეიძლება აძლიერებდნენ გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის შექმნისას შემუშავებული მასალები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომისიის სპეციალური მომხსენებლის, რიფაგენის (Riphagen) „კანონიერად არაღიარების“ ვალდებულების განმარტება. მისი თქმით, ეს ვალდებულება გულისხმობს „უარის თქმას ... [მომხდარი] მოვლენის სხვა შემთხვევაში გარდაუვალ შედეგებზე.“<sup>398</sup> სპეციალური მომხსენებლის პოსტზე რიფაგენის მემკვიდრემ, არანჯიო-რუისმა (Arangio-Ruiz), მსგავსად თავისი წინამორბედისა, არაღიარების ვალდებულება განმარტა ძალიან ფართოდ და ამ ვალდებულებაში მოიცვა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევის შედეგებისთვის ყოველგვარი იურიდიული ძალის მინიჭების აკრძალვა „როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.“<sup>399</sup> რაც შეიძლება განიმარტოს, მათ შორის, როგორც იმპერატიული ნორმების დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭების აკრძალვა.

საკუთარ მასალებში საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ არაღიარების ვალდებულების ასეთი ფართო სახით განმარტების მიუხედავად, არაღიარების ვალდებულების იმ ფორმულირებაში, რომელიც მოცემულია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტში, იმუნიტეტის მინიჭების აკრძალვა ვერ თავსდება. პროექტი ნათლად მიუთითებს, რომ არაღიარების ვალდებულება გულისხმობს

<sup>397</sup> Talmon S., *The Duty Not to “Recognise as Lawful” a Situation Created by the Illegal Use of Force or Other Serious Breaches of a Jus Cogens Obligation: An Obligation Without Real Substance?* 116 (იხ. Tomuschat C., Thouvenin J.M. (Eds.), *The Fundamental Rules of International Legal Order, Jus Cogens and Obligations Erga Omnes*, იხ.სქოლიო 164)); Fox H., 158, იხ. სქოლიო 33.

<sup>398</sup> International Law Commission Yearbook 1980, Vol. II, Part I, 117, Para. 54 ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია:

[http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/Ybkvolumes%28e%29/ILC\\_1980\\_v2\\_p1\\_e.pdf](http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/Ybkvolumes%28e%29/ILC_1980_v2_p1_e.pdf)

<sup>399</sup> International Law Commission Yearbook 1993, Vol. II, Part I, 40-41, Para. 158 ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია:

[http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/Ybkvolumes%28e%29/ILC\\_1993\\_v2\\_p1\\_e.pdf](http://untreaty.un.org/ilc/publications/yearbooks/Ybkvolumes%28e%29/ILC_1993_v2_p1_e.pdf)

საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის მხოლოდ კანონიერად აღიარების აკრძალვას.<sup>400</sup> არაღიარების ვალდებულების ასეთი სახით ფორმულირება, თავის მხრივ, ლოგიკურად გულისხმობს, რომ არ უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად მხოლოდ ისეთი მოთხოვნებისა და პრივილეგიების აღიარება, რომლებიც სახელმწიფოს მარტო კანონიერ საფუძვლებზე შეიძლება წარმოეშვას, ვინაიდან ასეთი სახის მოთხოვნებისა და პრივილეგიების აღიარება თავისთავად გულისხმობს იმ ქმედებების კანონიერების აღიარებასაც, რის საფუძველზეც სახელმწიფოს უნდა შეესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები.

იმუნიტეტის შემთხვევაში სახელმწიფოსთვის არ ხდება ისეთი უფლებებისა და პრივილეგიების მინიჭება, რომლებიც მხოლოდ კანონიერ საფუძვლებზე მოიპოვება. სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი არის აბსოლუტურად ინდიფერენტული კანონიერების საკითხის მიმართ და სახელმწიფოს იმუნიტეტი ენიჭება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ქმედება საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა.<sup>401</sup> შესაბამისად, სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება არ გულისხმობს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის კანონიერად აღიარებას. იმუნიტეტის მინიჭებას ასეთი შედეგი მოჰყვებოდა მარტო იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებს იმუნიტეტი მიენიჭებოდათ მხოლოდ მართლზომიერი ქმედებებისთვის.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის არაღიარების ვალდებულების გარდა, ეკისრება ვალდებულება, არ დაეხმაროს სახელმწიფოს იმპერატიული ნორმების დარღვევის შედეგად შექმნილი კანონსაწინააღმდეგო სიტუაციის შენარჩუნებაში.<sup>402</sup>

ერთი შეხედვით, არაღიარების ვალდებულება მოიცავს დახმარების აღმოჩენის აკრძალვასაც, მაგრამ როგორც სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის კომენტარებში არის მითითებული, ამ უკანასკნელ ვალდებულებას აქვს დამოუკიდებელი შინაარსიც, ვინაიდან მოიცავს ისეთი ქმედებების აკრძალვასაც, რომლებიც თავის თავში არ გულისხმობენ შექმნილი სიტუაციის კანონიერების აღიარებას.<sup>403</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ ვალდებულებასთან დაკავშირებით ჩნდება მოსაზრება, რომ მისი ძალით სახელმწიფოს ეკრძალება იმპერატიული ნორმების დამრღვევი სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება, ვინაიდან იმუნიტეტის მინიჭება იწვევს საერთაშორისო სამართალდარღვევაში პასუხისმგებელ პირთა, მათ შორის,

<sup>400</sup> იხ. International Law Commission Yearbook 1980, Vol. II, Part I, 117, Para. 54, იხ. სქოლიო 398.

<sup>401</sup> იხ. სქოლიოები 163 და 165.

<sup>402</sup> Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries*, 249, იხ. სქოლიო 144.

<sup>403</sup> იქვე, 252.

სახელმწიფოს დაუსჯელობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართალდარღვევის შედეგად ჩამოყალიბებული სიტუაციის შენარჩუნებას. მაგალითად, ორახელაშვილი მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების დარღვევისას „იმუნიტეტის შენარჩუნება, თავისთავად, გულისხმობს დარღვევით გამოწვეული შედეგის ცნობასა და სამართალდამრღვევი სახელმწიფოს დახმარებას დამდგარი შედეგის გამყარებაში.“<sup>404</sup> ანალოგიურ შეხედულებას ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითად, საბერძნეთის პირველი ინსტანციის სასამართლო საქმეზე – *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany* – განაცხადა, რომ „საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დამრღვევ ქმედებებთან მიმართებით იმუნიტეტის აღიარება იქნებოდა ეროვნული სასამართლოების ... დახმარება იმ ქმედებებისათვის, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საჯარო წესრიგითაა დაგმობილი.“<sup>405</sup>

41-ე(2) მუხლით განმტკიცებული არდახმარების ვალდებულება სახელმწიფოებს შეიძლება აკისრებდეს როგორც აქტიური მოქმედების (მაგალითად, გარკვეული ზომების მიღება, რათა არ მოხდეს სამართალდამრღვევი სახელმწიფოსთვის იარაღის მიწოდება<sup>406</sup>), ისე უმოქმედობის ვალდებულებას (მაგალითად, იარაღის მიწოდების აკრძალვა<sup>407</sup>). ამ თვალსაზრისით, არდახმარების ვალდებულება სავსებით შესაძლებელია გულისხმობდეს იმუნიტეტის მინიჭების აკრძალვასაც. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უმოქმედობის ვალდებულება, ლოგიკურად, შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ისეთი მოქმედებების შესრულებისგან თავის შეკავების ვალდებულებას, რომლებიც არაკანონიერია საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით.

<sup>404</sup> Orakhelashvili A., 18 State Immunity and Hierarchy of Norms: Why the House of Lords Got It Wrong, *European Journal of International Law* 955, 2008, 967.

<sup>405</sup> Knuchel S., State Immunity and the Promise of Jus Cogens, 9 *Northwestern University Journal of International Human Rights* 149, 2011, 163. სტატიის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <http://www.law.northwestern.edu/journals/iijhr/v9/n2/2/#86> (ნანახია: 29/06/2011). იხ. აგრეთვე *Ferrini v. Federal Republic of Germany*, 669, იხ. სქოლიო 13.

<sup>406</sup> მაგ., იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს 1965 წლის რეზოლუცია 218, რომელიც ეხებოდა აფრიკულ კოლონიებში პორტუგალიის ქმედებების დაგმობას. ამ რეზოლუციის მე-6 პუნქტი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა არ დაუშვან სხვა სახელმწიფოების მიერ ან სხვა პირების მიერ პორტუგალიის მთავრობისთვის იარაღის ან სხვა სამხედრო მოწყობილობებისა და აღჭურვილობის მიყიდვა და მიწოდება. რეზოლუციის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ელექტრონულ ბაზაში: <http://www.un.org/Docs/sc/unscl/resolutions.html> (ნანახია: 01/06/2011).

<sup>407</sup> მაგ., იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს 1977 წლის რეზოლუცია 418, რომელიც ეხებოდა სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის რეჟიმს. რეზოლუციის მე-2 პუნქტი მოითხოვდა სახელმწიფოებისგან, არ მიეწოდებინათ სამხრეთ აფრიკისთვის შეიარაღება ან სხვა სამხედრო მასალები, მოწყობილობები, აღჭურვილობები და ა.შ.; მე-4 პუნქტი მოითხოვდა სახელმწიფოებისგან, არ ეთანამშრომლათ სამხრეთ აფრიკასთან ბირთვული იარაღის წარმოებაში. რეზოლუციის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ელექტრონულ ბაზაში: <http://www.un.org/Docs/sc/unscl/resolutions.html> (ნანახია: 01/06/2011).

უცხო სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის მინიჭება არათუ არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონო ქმედებას, არამედ, პირიქით, უცხო სახელმწიფოსთვის, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტისთვის, იმუნიტეტის მინიჭება არის სახელმწიფოს ვალდებულება, რომელიც მას საერთაშორისო სამართლის ძალით ეკისრება. სავალდებულო სახელმწიფო იმუნიტეტის შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, უბრალოდ, არ აქვს უფლება, უარი უთხრას უცხო სახელმწიფოს მის სახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით იმუნიტეტის მინიჭებაზე. აქედან გამომდინარე, იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმა არ შეიძლება განიმარტოს, როგორც არდახმარების ვალდებულების ნაწილი. შესაბამისად, საერთაშორისო კონვენციების ტექსტში პირდაპირი და არაორაზროვნი აღიარების გარეშე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემის ფარგლებში არდახმარების ვალდებულების ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, მსჯელობა იმაზე, რომ სახელმწიფოს მოეთხოვება, უარი უთხრას უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტის მინიჭებაზე, ამ უკანასკნელის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე და საომარი მოქმედებების დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მიმე დარღვევის შემთხვევაში.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციის პროექტის 41-ე(2) მუხლით გათვალისწინებული არაღიარებისა და არდახმარების ვალდებულებები არავითარ სიახლეს არ ნერგავენ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების თვალსაზრისით ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან დაკავშირებით. იმ სახით, როგორითაც ეს ვალდებულებები არის ფორმულირებული კონვენციის პროექტში, ისინი არ იძლევიან ისეთი განმარტების შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოებს ჰქონდეთ უფლება, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში დააყენონ ადამიანის უფლებების მიმე დარღვევიდან გამომდინარე უცხო სახელმწიფოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი. ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის არაღიარების ვალდებულება მოიაზრებს მხოლოდ სიტუაციის კანონიერად არაღიარების ვალდებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ იმუნიტეტის მინიჭება არ გულისხმობს შესაბამისი სიტუაციის კანონიერად აღიარებას, იმუნიტეტი არ ექცევა არაღიარების ვალდებულების მოქმედების სფეროში.

რაც შეეხება არდახმარების ვალდებულებას, ამ ვალდებულებაში შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ ისეთი მოქმედებების შესრულებისგან თავის შეკავება, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არაკანონიერად არის აღიარებული. იმუნიტეტის შემთხვევაში კი, არაკანონიერია უცხო სახელმწიფოსთვის როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტისთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმა. შესაბამისად, არდახმარების ვალდებულებაც არ შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოს ვალდებულებას უარი უთხრას უცხო სახელმწიფოს

იმუნიტეტზე. მსგავსი ვალდებულების არსებობის შესახებ მსჯელობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართალი უკანონოდ აღიარებდა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოზე იმუნიტეტის გავრცელებას. საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ასეთი ვალდებულების არარსებობის ფონზე არდახმარების ვალდებულება ვერ იქნება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებიდან გამომდინარე სამოქალაქო სარჩელების განხილვის კანონიერი საფუძველი.<sup>408</sup>

---

<sup>408</sup> სხვა მიზეზების შესახებ, თუ რატომ არ შეიძლება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლის გამოყენება ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის დასასაბუთებლად იხ. Gattini A., *The Dispute on Jurisdictional Immunities of the State before the ICJ: Is the Time Ripe for a Change of the Law*, 24 *Leiden Journal of International Law* 173, 2011, 182-184 (გადმოტვირთულია Cambridge University Press-ის ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან).

## დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე სახელმწიფოს სამართლებრივი მდგომარეობა ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვნად შესუსტდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად იმდენად მძლავრი ტალღა აგორდა,<sup>409</sup> რომ თანამედროვე საერთაშორისო გარემო ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანებმა შეიძინეს განუსაზღვრელი შესაძლებლობები საკუთარი უფლებების დასაცავად. ამის საფუძველზე ამ ბოლო წლებში შეიქმნა არაერთგვაროვანი შეხედულება იმ საკითხზე, თუ სად გადის ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დასაშვები ზღვარი.

ამ ბუნდოვანების ფონზე ძალიან დამაჯერებლად ჟღერს მანამდე აბსოლუტურად წარმოუდგენელი მოსაზრებები, რომლებიც ასაბუთებენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დასაშვები ხდება სახელმწიფოს ტრადიციული უფლებების (რომლებიც ოდითგანვე სახელმწიფოს ხელშეუვალ უფლებებად განიხილებოდა) შეზღუდვის ხარჯზე ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. ერთ-ერთი ასეთი მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს არ იცავს იმუნიტეტი ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა. სწორედ ამ მოსაზრების შეფასება შეადგენს წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად მიზანს.

ნაშრომის ფარგლებში განხილულია და გაანალიზებულია არგუმენტები, რომლებზეც ყველაზე უფრო ხშირად ხდება აპელირება სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში იმის დასასაბუთებლად, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში შესაძლებელია ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევათა მსხვერპლმა პირებმა წარადგინონ სამოქალაქო სარჩელები ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოითხოვონ მათთვის ამ დარღვევათა შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული არგუმენტების ანალიზი საშუალებას იძლევა, პასუხი გაეცეს კითხვას – არსებობს თუ არა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში რაიმე სახის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ მსგავსი სახის სამოქალაქო სარჩელები განეხილა.

საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ადამიანის უფლებების სასარგებლოდ და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებულ ყველაზე უფრო ხშირად ციტირებად არგუმენტებს მიეკუთვნებიან: სუვერენული ქმედების კონცეფციაზე, ნორმატიული იერარქიის დოქტრინასა და სახელმწიფოთა

<sup>409</sup> იხ. სქოლიო 101.

პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლზე დაფუძნებული არგუმენტები.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებების სასარგებლოდ გამოთქმულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი. აღნიშნული არგუმენტი ეყრდნობა შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის სამართლებრივ კონსტრუქციას, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებებს (*acta jure imperii*) და არასახელისუფლებო ქმედებებს (*acta jure gestionis*) და სახელმწიფოს იმუნიტეტს მხოლოდ პირველ ქმედებებთან დაკავშირებით ანიჭებს. აღნიშნული არგუმენტი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს და რომ, შესაბამისად, ამ დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოები არ შეიძლება სარგებლობდნენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

სუვერენული ქმედებების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი განსაკუთრებულ დამაჯერებლობას იძენს იმ ტენდენციების ფონზე, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ვითარდება და რომლებიც ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვას გულისხმობენ. ერთი შეხედვით, აღნიშნული ტენდენციები სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის კონცეპტუალურ ცვლილებაზე მიუთითებენ, რის შედეგადაც ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის აღარ განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებად და დასაშვები ხდება მსგავს მძიმე დარღვევებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ უცხო სახელმწიფოზე საკუთარი იურისდიქციის გაგრძელება.

სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებულ არგუმენტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი, აცხადებს რა, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს, ეყრდნობა სახელმწიფო სუვერენიტეტის არარელევანტურ ასპექტს. სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფცია მოიცავს რამდენიმე ასპექტს და მათგან მხოლოდ ზოგიერთი მიიღება მხედველობაში იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სახელმწიფოს სუვერენული ქმედების შინაარსის განსაზღვრისას.

სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი ეყრდნობა გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტს, რომელიც ასახავს სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებას.<sup>410</sup> სუვერენიტეტის ამ ასპექტის ძალით, სახელმწიფოები თვითონ წყვეტენ საერთაშორისო სამართლის რომელ ნორმებს და რა შინაარსით აქვთ

<sup>410</sup> იხ. სქოლიო 149.

მათთვის სავალდებულო ძალა.<sup>411</sup> საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე მოხდა სუვერენიტეტის სწორედ ამ ასპექტის შეზღუდვა<sup>412</sup> და სუვერენიტეტის სწორედ ამ ასპექტის თვალსაზრისით, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს შეიძლება არ მიეცეთ სახელმწიფოს სუვერენული ქმედებების კვალიფიკაცია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუვერენიტეტის ეს ასპექტი არ განსაზღვრავს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის შინაარსს და შესაბამისად, არასწორია სუვერენიტეტის ამ ასპექტიდან გამომდინარე, იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სახელმწიფოს ქმედებების სუვერენულად ან არასუვერენულად კვალიფიკაცია.

იმუნიტეტის პრინციპი წარმოადგენს შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის გამოვლინებას. სუვერენიტეტის ამ ასპექტების ძალით, სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე ან საერთაშორისო ასპარეზზე სახელისუფლებო სტატუსით მოქმედებისას სარგებლობს დამოუკიდებლობით უცხო სახელმწიფოების იურისდიქციისგან,<sup>413</sup> რაც, სხვა სიტყვებით, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში სარგებლობს იმუნიტეტით, მათ შორის, უცხო სახელმწიფოთა მართლმსაჯულების იურისდიქციისგან. გარდა ამისა, შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის პირველი ასპექტის ძალით, სახელმწიფო, როგორც სახელისუფლებო უფლებამოსილების მატარებელი პირი, გვევლინება სხვა სახელმწიფოების თანასწორ სუბიექტად და შესაბამისად, მასზე სხვა სახელმწიფოები, როგორც მისი თანასწორები, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე არ ფლობენ იურისდიქციას – *par in parem non habet imperium*.

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპს განსაზღვრავენ შიდა სუვერენიტეტისა და გარე სუვერენიტეტის მეორე ასპექტები, ლოგიკურია, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის სუვერენული ქმედებების განმარტება მოხდეს სუვერენიტეტის სწორედ ამ ორი ასპექტიდან გამომდინარე. სუვერენიტეტის ამ ასპექტების გაგებით სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებას წარმოადგენს სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ის ახორციელებს როგორც საჯარო პირი, განურჩევლად იმისა, კანონიერია თუ არა მისი ქმედება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. შესაბამისად, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის ფარგლებში ქმედების სუვერენულად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს ამ ქმედების მართლზომიერებას, მთავარია, რომ ის განხორციელებული იყოს სახელმწიფოს მიერ სახელისუფლებო სტატუსით მოქმედებისას. სწორედ ამიტომ მოიაზრებიან ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები სუვერენულ ქმედებად და სწორედ ამიტომ ენიჭებათ ამ ქმედებებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

<sup>411</sup> იხ. სქოლიო 149.

<sup>412</sup> იხ. სქოლიოები 171, 172, 173.

<sup>413</sup> იხ. სქოლიოები 152 და 153 მუხლები.



სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციას ცვლილება არ განუცდია იმ ტენდენციების ფონზე კი, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში ვითარდება. ეს ტენდენციები გამოიხატება განსაზღვრულ შემთხვევებში ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვაში. კერძოდ, იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლები შეიზღუდა ადამიანის უფლებების იმ მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ტერორისტული აქტის ფარგლებში უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა. ამავე დარღვევებთან მიმართებით შეიზღუდა აგრეთვე ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის მოქმედებაც.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან მიმართებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვის ფაქტები შეიძლება ქმნიდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ამ შეზღუდვების შემოღება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციის შეცვლა და შედეგად იმის აღიარება, რომ ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს, რომლებთან დაკავშირებითაც სახელმწიფოები სარგებლობენ იმუნიტეტით უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან; თუმცა, ეს შთაბეჭდილება მცდარია.

მითითებულ შემთხვევებში ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვა შესაძლებელი გახდა იმუნიტეტის იმ სპეციფიკური წესების ხარჯზე, რომლებიც მოქმედებს სახელმწიფოს მიმართ ადამიანის უფლებების იმ მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც ის ახორციელებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არასაომარ ვითარებაში ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტის ფარგლებში. გარდა ამისა, ფუნქციური იმუნიტეტის პრინციპის დაცვის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს მოქმედი თუ ყოფილი ოფიციალური პირების მიმართ ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვაც აიხსნება იმ სპეციფიკური წესებით, რომლებიც ფუნქციურ იმუნიტეტს ახასიათებს. სხვა სიტყვებით, დასახელებულ შემთხვევებში ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტის პრინციპის მოქმედების ფარგლების შეზღუდვა არ მომხდარა სახელმწიფოს სუვერენული ქმედების კონცეფციის ცვლილების შედეგად. აქედან გამომდინარე, მითითებულ შემთხვევებში იმუნიტეტის შეზღუდვის ფაქტები არ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ზრდის ფონზე შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპმა განიცადა კონცეპტუალური ცვლილება და რომ შედეგად ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევები აღარ განიხილება სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებად, რომლებთან დაკავშირებითაც სახელმწიფოებს ენიჭებათ იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტი მცდარად ასაბუთებს, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სუვერენულ ქმედებებს. აღნიშნული დარღვევები სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის მიზნებისთვის კვალიფიცირდება სუვერენულ ქმედებად და შესაბამისად, ამ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოებზე ვრცელდება იმუნიტეტი უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციისგან.

სუვერენული ქმედების კონცეფციაზე დაფუძნებული არგუმენტის გარდა, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტის წინააღმდეგ წამოყენებულ არგუმენტებს შორის ერთ-ერთი ხშირად ციტირებულია ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტიც.

ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი ეყრდნობა შეხედულებას, რომ საერთაშორისო სამართალში ნორმათა გარკვეულ კატეგორიას, კერძოდ კი საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს (ე.წ. *jus cogens* ნორმებს), აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა საერთაშორისო სამართლის ისეთ ჩვეულებრივ ნორმებთან შედარებით, როგორსაც, მაგალითად, წარმოადგენს სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი. მეტიც, არგუმენტის მიხედვით, უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობენ არა მხოლოდ *jus cogens* ნორმები, არამედ ის ნორმებიც, რომლებიც *jus cogens* ნორმების უზრუნველყოფას ემსახურებიან. შესაბამისად, არგუმენტის მიხედვით, სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით, უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობენ არა მხოლოდ ადამიანის ის მატერიალურსამართლებრივი ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც *jus cogens* ნორმებშია განმტკიცებული, არამედ ის უფლებებიც, რომლებიც მათ (*jus cogens* ნორმების სახით არსებული უფლებების) ეფექტურ უზრუნველყოფას ემსახურებიან. ასეთ უფლებებს განეკუთვნებიან: უფლების ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები.

არგუმენტის მიხედვით, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭებით სახელმწიფოები წინააღმდეგობაში მოდიან ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებთან და ამ ნორმების უზრუნველსაყოფად განკუთვნილ ადამიანის ისეთ უფლებებთან, როგორებიცაა: უფლების ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები. ამის საფუძველზე და ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაყრდნობით, არგუმენტი აცხადებს, რომ იმუნიტეტის პრინციპი, რომელიც წარმოადგენს იერარქიულად უფრო დაბალ ნორმას, ვიდრე ადამიანის ზემოთ მითითებული უფლებები, საერთოდ არ მოქმედებს ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც

ახორციელებს სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებულ არგუმენტთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დავას იწვევს საკითხი, თუ რამდენად არსებობს საერთაშორისო სამართალში ნორმატიული იერარქია, რომლის სათავეშიც იმპერატიული ნორმებია მოქცეული. აქედან გამომდინარე, სადავოა არგუმენტის მტკიცება, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებსა და ამ ნორმების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილ ადამიანის უფლებებს ენიჭებათ უპირატესი იურიდიული ძალა სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით. თუმცა, რომც ჩავთვალოთ, რომ ადამიანის აღნიშნული უფლებები სარგებლობენ უპირატესი იურიდიული ძალით სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან მიმართებით, ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის მიერ შეთავაზებული სამართლებრივი სქემა მაინც არ გამოდგება საიმისოდ, რომ სახელმწიფოს უარი ეთქვას იმუნიტეტის მინიჭებაზე ადამიანის უფლებების მიმე დარღვევებთან დაკავშირებით.

საქმე იმაშია, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტის ქმედითობისთვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის ზემოთ მითითებულ უფლებებს შორის არსებობდეს ნორმატიული კონფლიქტი, ვინაიდან ნორმატიული იერარქიის საფუძველზე ერთი ნორმისთვის უპირატესობის მინიჭება მეორის ხარჯზე შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნორმები მოდიან ერთმანეთთან კოლიზიაში. კონფლიქტის არარსებობის პირობებში ერთი ნორმის მოქმედების შედეგები ვერ გაუქმდება მეორე ნორმის მოქმედების ხარჯზე.

სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში, ვინაიდან ისინი განეკუთვნებიან სხვადასხვა კატეგორიის ნორმებს (სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი არის პროცესუალური ნორმა, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმები მატერიალურსამართლებრივი ნორმებია<sup>414</sup>) და, შესაბამისად, ამ ნორმებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის უფლებებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებს შეხების არავითარი წერტილი არ გააჩნიათ, რაც მათ შორის ნორმატიული კონფლიქტის არსებობის შესაძლებლობას გამორიცხავს.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმებისაგან განსხვავებით, ისეთი უფლებები, როგორებიცაა: ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები, თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა პოტენციურად,

<sup>414</sup> იხ. სქოლიო 297.

კონფლიქტში მოვიდნენ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპთან. თუმცა ეს კონფლიქტი არ არსებობს იმ სამოქალაქო სარჩელის კონტექსტში, რომელიც წადგენილია ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორეს წინააღმდეგ და რომელიც ეხება ამ უკანასკნელის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების შედეგად ფიზიკური პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო კონვენციების მიხედვით, ამა თუ იმ სამართალდარღვევიდან გამომდინარე ფიზიკურ პირს ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები ენიჭება უშუალოდ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც შესაბამისი სამართალდარღვევა განახორციელა, ან რომლის იურისდიქციაშიც ადგილი ჰქონდა ამ სამართალდარღვევას.

რაც შეეხება იმ უცხო სახელმწიფოს, რომლის სასამართლოშიც არის წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი და რომლის იურისდიქციის ფარგლებს გარეთაც მოხდა შესაბამისი სამართალდარღვევა, მის მიმართ ფიზიკური პირი არავითარ მოთხოვნის უფლებას ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით არ ფლობს. შესაბამისად, თუ საქმე ეხება ერთი სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის ფაქტებს, მეორე სახელმწიფოს, რომლის სასამართლოშიც აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელია წარდგენილი, ფიზიკური პირის წინაშე მითითებული უფლებებიდან გამომდინარე, არავითარი ისეთი ვალდებულება არ ეკისრება, რაც კონფლიქტში მოვიდოდა სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭების საერთაშორისო ვალდებულებასთან. სხვა სიტყვებით, მოცემულ შემთხვევაში ფიზიკური პირის ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებები და სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპი ერთნეთთან ნორმატიულ კონფლიქტში არ მოდიან.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი არ გვთავაზობს ქმედით სამართლებრივ სქემას საიმისოდ, რომ სახელმწიფოს უარი უარი ეთქვას იმუნიტეტის მინიჭებაზე ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედებების დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა. ნორმატიული იერარქიის დოქტრინაზე დაფუძნებული არგუმენტი გამოსადეგი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ *jus cogens* ნორმებს, აგრეთვე ქმედითი დაცვის, კომპენსაციის მიღებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებებს შორის იარსებებდა ნორმატიული კონფლიქტი. კონფლიქტის არარსებობის პირობებში კი არგუმენტი საფუძველს მოკლებულია.

დაბოლოს, რაც შეეხება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლზე დაფუძნებულ არგუმენტს, – არც ეს არგუმენტი იძლევა იმის სამართლებრივ საფუძველს, რომ ერთმა სახელმწიფომ უარი უთხრას მეორე სახელმწიფოს იმუნიტეტის მინიჭებაზე ადამიანის უფლებების იმ მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელმა საკუთარ ტერიტორიაზე ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელა.

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოთა ვალდებულებას – კანონიერად არ აღიარონ საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაცია და ხელი არ შეუწყონ ამ სიტუაციის შენარჩუნებას.

41(2)-ე მუხლზე დაფუძნებული არგუმენტი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსთვის, რომელმაც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი *jus cogens* ნორმა დაარღვია, იმუნიტეტის მინიჭებით ხდება იმპერატიული ნორმების დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის კანონიერად აღიარება და ამ სიტუაციის შენარჩუნებისთვის ხელის შეწყობა. ამის საფუძველზე, არგუმენტი აცხადებს, რომ აღნიშნული სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ არგუმენტთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლი, რომელსაც არგუმენტი ეყრდნობა, იყენებს *jus cogens* ნორმის სადავო კონცეფციას. კერძოდ, 41(2)-ე მუხლი მიუთითებს სახელმწიფოს მიერ *jus cogens* ნორმის ცალმხრივი დარღვევის შესაძლებლობაზე და სხვა სახელმწიფოებს უკრძალავს ამ დარღვევების შედეგების აღიარებასა და მათი შენარჩუნებისთვის ხელის შეწყობას. აღნიშნულ კონტექსტში *jus cogens* ნორმის კონცეფციის გამოყენება სადავოა იმდენად, რამდენადაც ვენის 1969 წლის კონვენციის მიხედვით, *jus cogens* ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის კატეგორიას და მათი ერთადერთი მიზანია სახელმწიფოებმა არ გააფორმონ ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს მათ მოთხოვნებთან.<sup>415</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ტრადიციულად *jus cogens* ნორმები გამოიყენება სახელმწიფოებს შორის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობების კონტექსტში, შეიძლება საეჭვოდ ჩაითვალოს, კონცეპტუალურად რამდენად სწორია სახელმწიფოების მიერ ამ ნორმების ცალმხრივი ქმედებებით დარღვევის შესაძლებლობასა და დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე მსჯელობა, რაც, თავის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს,

<sup>415</sup> იხ. სქოლიო 142.

ზოგადად, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლისა და ამ მუხლზე დაფუძნებული არგუმენტის მართებულობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 41(2)-ე მუხლით განმკიცებული *jus cogens* ნორმების კონცეფცია სადავოდ რომც არ იყოს, ამ მუხლის საფუძველზე სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტი მაინც უსარგებლოდ უნდა ჩაითვალოს.

მიზეზი, რის გამოც სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 41(2)-ე მუხლზე დაფუძნებული არგუმენტი ვერ იქნება გამოყენებული ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმის სამართლებრივად დასასაბუთებლად, მდგომარეობს იმაში, რომ 41-ე(2) მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოებს არავითარ ისეთ ვალდებულებას, რაშიც უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმის ვალდებულება შეიძლება ყოფილიყო ნაგულისხმები. ასე, მაგალითად, 41(2)-ე მუხლით გათვალისწინებული არადიარების ვალდებულება არ გულისხმობს სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭებაზე უარის თქმას, ვინაიდან არადიარების ვალდებულება ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის მხოლოდ კანონიერად აღიარების აკრძალვას. შექმნილი სიტუაციის კანონიერად აღიარების აკრძალვა გულისხმობს სახელმწიფოსთვის იმ უფლებებისა და პრივილეგიების მინიჭების აკრძალვას, რომლებიც სახელმწიფოს, ზოგადად, მხოლოდ კანონიერ ქმედებებთან დაკავშირებით შეიძლება მიენიჭოს. სხვა სიტყვებით, 41(2)-ე მუხლით გათვალისწინებული არადიარების ვალდებულება კრძალავს სახელმწიფოს იმ ქმედებების კანონიერების აღიარებას, რომლებმაც *jus cogens* ნორმების დარღვევა გამოიწვიეს. სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება არ გულისხმობს მისი ქმედებების, რომლებმაც იმპერატიული ნორმების დარღვევა გამოიწვია, კანონიერების აღიარებას. იმუნიტეტი სახელმწიფოს ენიჭება განურჩევლად იმისა, კანონიერია თუ არა სახელმწიფოს სახელისუფლებო ქმედებები. შესაბამისად, არადიარების ვალდებულებაში არ შეიძლება მოაზრებულ იქნეს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭების აკრძალვა.

რაც შეეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი არ შეუწყოს უცხო სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის შენარჩუნებაში, ამ ვალდებულებაშიც ვერ იქნება მოაზრებული იმუნიტეტის მინიჭების აკრძალვა. ეს ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოებისგან მხოლოდ ისეთი მოქმედებების განხორციელებისაგან თავის შეკავებას, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით სამართალდარღვევას წარმოადგენენ. სახელისუფლებო ქმედებებთან მიმართებით უცხო სახელმწიფოსთვის იმუნიტეტის მინიჭება არათუ არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძალით არაკანონიერ ქმედებას, არამედ, პირიქით, სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს.

შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის შენარჩუნებისთვის ხელის შეწყობის აკრძალვის ვალდებულება არ შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით იმუნიტეტის მინიჭების აკრძალვას.

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების დაცვის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტები სამართლებრივი ხარვეზების შემცველია. აღნიშნული არგუმენტები ეყრდნობიან იმ სამართლებრივ სქემებს, რომლებიც ჰიპოთეტურად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული იმის დასასაბუთებლად, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებთან დაკავშირებით, შესაძლებელია ერთი სახელმწიფოს სასამართლოში მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და განხილვა, მაგრამ ეს სქემები საერთაშორისო სამართლის მოქმედი პრინციპებიდან გამომდინარე არაქმედითია.

საერთაშორისო სამართლის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მსხვერპლთა სამოქალაქო სარჩელებისთვის სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის სახით დაწესებული ბარიერის გადალახვის არავითარი ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში არ გამომუშავებულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების საკითხში აღარ ხდება არსებული საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირებისა და საერთაშორისო ლეგიტიმურობის თანხვედრა. ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დღეს უკვე არსებობს იმის განცდა, რომ არალეგიტიმურია სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპის საფუძველზე ადამიანის უფლებების დარღვევათა მსხვერპლი პირებისთვის უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ სარჩელების განხილვაზე უარის თქმა და ამით ფიზიკური პირების ადეკვატური სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვება. ეს ვითარება კი საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით პოზიტიური ცვლილებების მომასწავებელია.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო პუბლიკაციები

ალექსიძე ლ., *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი* (თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2008);

კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან*, თბილისი, 2005;

ხუციშვილი ქ., სუვერენული იმუნიტეტის დაცვამ უნდა გადაწონოს თუ არა ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან? *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი* №1, 2008;

Алексидзе Л., *Место и Роль Императивных Норм в Системе Международного Права* (იხ. Graefrath B. (Ed.), *Probleme des Völkerrechts* (Berlin: Akademie-Verlag, 1985);

Алексидзе Л., *Некоторые Вопросы Теории Международного Права: Императивные Нормы*. Тбилиси, Издание Тбилисского Университета, 1982);

Aceves W.J., Liberalism and International Legal Scholarship: The Pinochet Case and the Move Toward a Universal System of Transnational Law Litigation, 41 *Harvard International Law Journal* 129, 2000;

Akande D., Shah S., Immunities of State Officials, International Crimes and Foreign Domestic Courts, 41 *European Journal of International Law* 815, 2011;

Akehurst M., Jurisdiction in International Law, 46 *British Yearbook of International Law* 145, 1972-1973;



Alexidze L., *Legal Nature of Jus Cogens in Contemporary International Law, Recueil des Cours*, Volume 172, 1981;

Ambos K., Wirth S., *Genocide and War Crimes in the Former Yugoslavia Before German Criminal Courts* (იხ. სტატიათა კრებული: Fischer H., Kress C., Rolf Lüder (Eds.), *International and National Prosecution of Crimes Under International Law, Current Developments*, Second Edition (Berlin: BWV/Berliner Wissenschafts-Verlag, 2004));

Anand R.P., *Sovereign Equality of States in International Law, Academie de Droit International, Recueil de Cours*, Vol. II, 1986;

Arangio-Ruiz G., *The UN Declaration on Friendly Relations and the System of Sources of International Law* (Alphen aan den Rijn: Sijthoff & Noordhoff, 1979);

Ascensio H., *The Spanish Constitutional Tribunal's Decision in Guatemalan Generals, Unconditional Universality Is Back*, 4 *Journal of International Criminal Justice* 586, 2006;

Bachmann S.D., *Civil Responsibility for Gross Human Rights Violations* (Cape Town: Pretoria University Law Press, 2007);

Badr G.M., *State Immunity: An Analytical and Prognostic View Rights* (Hague/Boston/Lancaster: Martinus Nijhoff Publishers, 1984);

Bakker C.A.E., *Universal Jurisdiction of Spanish Courts over Genocide in Tibet: Can It Work?* 4 *Journal of International Criminal Justice* 595, 2006;

Bankas E. K., *The State Immunity Controversy in International Law, Private Suits Against Foreign States in Domestic Courts* (Berlin/Heidelberg/New York: Springer, 2005);

Bantekas I., *Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany. Case No. 137/1997, Court of First Instance of Leivadia, Greece, October 30, 1997*, 92 *American Journal of International Law* 765, 1998;

Bassiouni M.C., Universal Jurisdiction for International Crimes: Historical Perspective and Contemporary Practice, 42 *Vanderbilt Journal of International Law* 81, 2001-2002;

Belsky A.C., Merva M. and Roht-Arriaza N., Implied Waiver Under the FSIA: a Proposed Exception to Immunity for Violations of Peremptory Norms of International Law, 77 *California Law Review* 365, 1989;

Bianchi A., Denying State Immunity to Violators of Human Rights, 46 *Austrian Journal of Public and International Law*, 195, 1994;

Bianchi A., Human Rights and the Magic of Jus Cogens, 19 *The European Journal of International Law* 491, 2008;

Bonafè B.I., *The Relationship Between State and Individual Responsibility for International Crimes*, (Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2009);

Bradley C.A. & Goldsmith J. L., Foreign Sovereign Immunity, Individual Officials, and Human Rights Litigation, 13 *The Green Bag An Entertaining Journal of Law* 9, 2009;

Bradley C.A., Universal Jurisdiction and U.S. Law, *The University of Chicago Legal Forum* 323, 2001;

Bröhmer J., *State Immunity and the Violation of Human Rights* (The Hague/Boston/London: Martinus Nijhoff Publishers, 1997);

Brown B.S., *Research Handbook on International Criminal Law* (Cheltenham/Northampton: Edward Elgar Publishing Limited, 2011);

Brownlie I., *Principles of Public International Law*, 6<sup>th</sup> Edition (New York: Oxford University Press, 2003);

Byrnes A., Civil Remedies for Torture Committed Abroad (იხ. სტატიათა კრებული Scott G. (Ed), *Torture as Tort, Comparative Perspective of the Development of Transnational Human Rights Litigation* (Oxford-Portland Oregon: HART Publishing, 2001));

Cassese A., *International Law*, Second Edition (New York: Oxford University Press, 2005);

Ciampi A., The Italian Court of Cassation Court Asserts Civil Jurisdiction over Germany in a Criminal Case Relating to the Second World, The Civitella Case, 7 *Journal of International Criminal Justice* 597, 2009;

Clunan A.L., Redefining Sovereignty: Humanitarianism's Challenge to Sovereign Immunity (იხ. სტატიათა კრებული Shawki N., Cox M., *Negotiating Sovereignty and Human Rights: Actors and Issues in Contemporary Human Politics* (Hampshire: Ashgate, 2009));

Cooper-Hill J., *The Law of Sovereign Immunity and Terrorism* (New York: Oxford University Press, 2006);

Crawford J., *The Creation of States in International Law*, Second Edition (Oxford: Clarendon Press, 2007);

Crawford J., *The International Law Commission's Articles on State Responsibility: Introduction, Text and Commentaries* (Cambridge: Cambridge University Press, 2002);

Cryer R., Friman H., Robinson D., Wilmshurst E., *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Second Edition (Cambridge: Cambridge University Press, 2010);

Cryer R., *Prosecuting International Crimes, Selectivity and the International Criminal Law Regime* (Cambridge: Cambridge University Press, 2005);

Tams C., *Enforcing Obligations Erga Omnes in International Law* (New York: Cambridge University Press, 2005);

Damgaard C., *Individual Criminal Responsibility for Core International Crimes, Selected Pertinent Issues* (Berlin/Heidelberg: Springer, 2008);

Danilenko G., *Law-Making in the International Community* (Dordrecht: Martinus Nijhoff Publishers, 1993);

Dawidowicz M., The Obligation of Non-recognition of an Unlawful Situation (იხ. სტატიათა კრებული Crawford J., Pellet A., Olleson S. (Eds.), *The Law of International Responsibility* (New York: Oxford University Press, 2010));

Delmas-Marty M., *The European Convention for the Protection of Human Rights: International Protection Versus National Restrictions* (Dordrecht/Boston/London: Martinus Nijhoff Publishers, 1992);

De Schutter O., *International Human Rights Law: Cases, Materials, Commentary* (New York: Cambridge University Press, 2010);

De Wet E., The Prohibition of Torture as an International Norm of Jus Cogens and Its Implications for National and Customary Law, 15 *European Journal of International Law* 97, 2004;

Dickinson A., Lindsay R., Loonam J.P. (Eds.), *State Immunity, Selected Materials and Commentary* (Oxford University Press: New York, 2004);

Doebbler C.F., *International Human Rights Law: Cases and Materials*, Vol. I (Washington: CDP Publishing, 2004);

Donovan D. F. and Roberts A., The Emerging Recognition of Universal Civil Jurisdiction, 100 *American Journal of International Law* 142, 2006;

Fagan A., *Human Rights: Confronting Myths and Misunderstandings* (Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited, 2009);

Focarelli C., Federal Republic of Germany v. Giovanni Mantelli and Others, Order No. 14201, 103 *American Journal of International Law* 122, 2009;

Fox H., *The Law of State Immunity*, Second Edition (New York: Oxford University Press, 2008);

Friedman E. J., Hochstetler K., Clark A. M., *Sovereignty, Democracy and Global Civil Society: State-Society Relations at UN World Conferences* (Albany: State University of New York Press, 2005);

Freeman M., *Human Rights: An Interdisciplinary Approach*, Second Edition (Cambridge: Polity Press, 2011);

Gattini A., The Dispute on Jurisdictional Immunities of the State before the ICJ: Is the Time Ripe for a Change of the Law, 24 *Leiden Journal of International Law* 173, 2011;

Gavouneli M., Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany. Case No. 11/2000. Areios Pagos (Hellenic Supreme Court), May 4, 2000, 95 *American Journal of International Law* 198, 2001;

Giegerich T., Do Damages Claims Arising from Jus Cogens Violations Override State Immunity from the Jurisdiction of Foreign Courts (იხ. სტატიათა კრებული: Tomuschat C., Thouvenin J.M. (Eds.), *The Fundamental Rules of International Legal Order, Jus Cogens and Obligations Erga Omnes*, (Leiden/Boston:Martinus Nijhoff Publishers , 2006));

Grover S. C., *The European Court of Human Rights as a Pathway to Impunity for International Crimes* (Heidelberg/Dordrecht/London/New York: Springer, 2010);

Hays Butler A, The Growing Support for Universal Jurisdiction in National Legislation (იხ. სტატიათა კრებული: Macedo S. (Ed), *Universal Jurisdiction, National Court and the Prosecution of Serious Crimes under International Law* (Philadelphia: University of Pennsylvania Press 2004));

Holland T.E., *The Elements of Jurisprudence* (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 2006);

Hoye W.P., Fighting Fire With . . . Mire? Civil Remedies and the New War On State-Sponsored Terrorism, 12 *Duke Journal of Comparative and International Law* 105, 2002;

Humes-Schulz S., Limiting Sovereign Immunity in the Age of Human Rights, 21 *Harvard Human Rights Journal* 105, 2008;

Inazumi M., *Universal Jurisdiction in Modern International Law: Expansion of National Jurisdiction for Prosecuting Serious Crimes under International Law* (Antwerpen/Oxford: Intersentia, 2005);

Jackson R., *Sovereignty: Evolution of an Idea* (Cambridge: Polity Press, 2007);

Jones O., Jones v. Ministry of Interior of Kingdom of Saudi Arabia: An Exercise of Interpretation, 11 *Singapore Yearbook of International Law* 163, 2007;

Joyner C.C., *International Law in the 21st Century: Rules for Global Governance* (Lanham/Boulder/New York/Toronto/Oxford: Rowman & Littlefield Publishers, Inc., 2005);

Kamminga M.T., Lessons Learned from the Exercise of Universal Jurisdiction in Respect of Gross Human Rights Offences, 23 *Human Rights Quarterly* 940, 2001;

Kamminga M.T., Universal Civil Jurisdiction: Is It Legal? Is It Desirable?, 99 *American Society of International Law Proceedings* 123, 2005;

Kelsen H., *Principles of International Law* (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 2003);

Kloth M., *Immunities and the Right of Access to Court under Article 6 of the European Convention on Human Rights* (Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2010);

Knuchel S., State Immunity and the Promise of Jus Cogens, 9 *Northwestern University Journal of International Human Rights* 149, 2011;

Krasner S.D., *Power, the State, and the Sovereignty: Essays on International Relations* (New York: Routledge, 2009);

Lauren P.G., *The Evolution of International Human Rights: Visions Seen* (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2003);

Lauterpacht H., *International Law and Human Rights* (London: Stevens & Sons, 1950);

Lauterpacht H., The Problem of Jurisdictional Immunities of Foreign States, 28 *British Yearbook of International Law* 220, 1951;

Mazzeschi R.P., Reparation Claims by Individuals for State Breaches of Humanitarian Law and Human Rights Law: An Overview, 1 *Journal of International Criminal Justice* 339, 2003;

McGregor L., Need to Resolve the Paradoxes of the Civil Dimension of Universal Jurisdiction, 99 *American Society of International Law Proceedings* 125, 2005;

McKay L., A New Take On Antiterrorism: Smith v. Socialist People's Libyan Arab Jamahiriya, 13 *The American University International Law Review* 439, 1997;

Mendes E.P., *Peace and Justice at the International Criminal Court, A Court of Last Resort* (Cheltenham/Northampton: Edward Elgar Publishing Limited, 2010);

Mora P.D., The Legality of Civil Jurisdiction over Torture under the Universal Principle, 52 *German Yearbook of International Law* 367, 2009;

Murphy J.F., Civil Liability for the Commission of International Crimes as an Alternative to Criminal Prosecution, 12 *Harvard Human Rights Journal* 1, 1999;

Nieto-Navia R., International Peremptory Norms (Jus Cogens) and International Humanitarian Law (იხ. სტატიათა კრებული Vohrah L.C., Pocar F., Featherstone Y., Fourmy O., Graham C., Hocking J. and Robson N., *Man's Inhumanity to Men, Essays on International Law in Honor of Antonio Cassese* (Hague: Kluwer Law International, 2003));

O'Keefe R., Universal Jurisdiction, Clarifying the Basic Concept, 2 *Journal of International Criminal Justice* 735, 2004;

O'Neill K. C., A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet, 38 *Stanford Journal of International Law* 289, 2002;

Ongena T., Van Daele I., Universal Jurisdiction for International Core Crimes: Recent Developments in Belgium, 15 *Leiden Journal of International Law* 687, 2002;

Oppenheim L.F.L. (Author), Roxburgh R. (Ed.), *International Law: A Treatise*, Vol. 1, Third Edition (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 2006);

Orakhelashvili A., 18 State Immunity and Hierarchy of Norms: Why the House of Lords Got It Wrong, *European Journal of International Law* 955, 2008;

Orentlicher D.F., Universal Jurisdiction: A Pragmatic Strategy in Pursuit of a Moralists' Vision (იხ. სტატიათა კრებული Sadat L.N., Scharf M.P. (Eds.), *The Theory and Practice of International Criminal Law, Essays in Honor of M. Cherif Bassiouni* (Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2008));



Parlett K., Universal Civil Jurisdiction for Torture, 12 *European Human Rights Law Review* 385, 2007;

Pattison J., *Humanitarian Intervention and Responsibility to Protect, Who Should Intervene?* (New York: Oxford University Press, 2010);

Reydams L., Belgium's First Application of Universal Jurisdiction: the Butare Four Case, 1 *Journal of International Criminal Justice* 428, 2003;

Reydams L., *Universal Jurisdiction: International and Municipal Law Perspectives* (New York: Oxford University Press, 2004);

Ryngaert C., Universal Tort Jurisdiction Over Gross Human Rights Violations, *Netherlands Yearbook of International Law*, Vol. XXXVIII, 2007;

Schreuer C.H., *State Immunity: Some Recent Developments* (Cambridge: Grotius Publications Limited, 1988);

Shelton D., Normative Hierarchy in International Law, 100 *The American Journal of International Law* 291, 2006;

Sinclair I., Law of Sovereign Immunity – Recent Developments, *Academie de Droit International*, 167 *Recueil de Cours* 113, 1980;

Slomanson W. R., *Fundamental Perspectives on International Law*, Sixth Edition (Boston: Wadsworth, 2010);

Snow D. M., Drew D. M., *From Lexington to Baghdad and Beyond: War and Politics in the American Experience* (New York: M.E. Sharpe, 2009);

Spinedi M., State Responsibility v. Individual Responsibility for International Crimes: Tertium Non Datur? 13 *European Journal of International Law* 895, 2002;

Stephens B., Translating Filartiga: A Comparative and International Law Analysis of Domestic Remedies for International Human Rights Violations, 27 *Yale Journal of International Law* 1, 2002;

Stern B., Can a State or A Head of State Claim The Benefit of Immunities in Case an International Crime Has Been Committed? 14 *ILSA Journal of International & Comparative Law* 441, 2008;

Sucharitkul S., Immunities of foreign States Before National Authorities, *Academie de Droit International*, 149 *Recueil des Cours* 87 , 1976;

Talmon S., The Duty Not to “Recognise as Lawful” a Situation Created by the Illegal Use of Force or Other Serious Breaches of a Jus Cogens Obligation: An Obligation Without Real Substance? (იხ. სტატიათა კრებული Tomuschat C., Thouvenin J.M. (Eds.), *The Fundamental Rules of International Legal Order, Jus Cogens and Obligations Erga Omnes* (Leiden/Boston:Martinus Nijhoff Publishers , 2006));

Tams C., Individual States as Guardians of Community Interests, 396 (იხ. სტატიათა კრებული Fastenrath U., Simma B., Geiger R., Khan D.E., Paulus A., Von Schorlemer S., Vedder C., *From Bilateralism to Community Interest: Essays in Honor of Judge Bruno Simma* (New York: Oxford University Press, 2011));

Terry J., Taking Filartiga on the Road: Why Courts Outside the United States Should Accept Jurisdiction Over Actions Involving Torture Committed Abroad (იხ. სტატიათა კრებული: Scott G. (Ed), *Torture as Tort, Comparative Perspective of the Development of Transnational Human Rights Litigation* (Oxford-Portland, Oregon: HART Publishing, 2001));

Tomuschat C., Individual Reparation Claims in Instances of Grave Human Rights Violations: The Position under General International Law (იხ. სტატიათა კრებული Randelzofher A. and Tomuschat C. (Eds), *State Responsibility and the Individual*, (The Hague/London/Boston: Martinus Nijhoff Publishers, 1999));

Trapp K. N., *State Responsibility for International Terrorism* (New York: Oxford University Press, 2011);

Turpel M.E., Sands P., Peremptory International Law and Sovereignty: Some Questions, 3 *Connecticut Journal International Law* 364, 1988;

Van Alebeek R., *The Immunity of States and Their Officials in International Criminal Law and International Human Rights Law* (New York: Oxford University Press, 2008);

Van Schaack B., In Defence of Civil Redress: The Domestic Enforcement of Human Rights Norms in the Context of the Proposed Hague Judgments Convention, 42 *Harvard International Law Journal* 141, 2001;

Vandermeersch D., Prosecuting International Crimes in Belgium, 3 *Journal of International Criminal Justice* 400, 2005;

Voyiakis E., Access to Court v. State Immunity, 52 *International and Comparative Law Quarterly* 297, 2003;

Weissbrodt D. S., De La Vega C., *International Human Rights Law: An Introduction* (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2007);

White J.G., Nowhere To Run, Nowhere to Hide: Augusto Pinochet, Universal Jurisdiction, The ICC, and a Wake-Up Call for Former Heads of State, 50 *Case Western Reserve Law Review* 127, 1999;

Wood M., Pronto A., *The International Law Commission 1999-2009: Volume IV: Treaties, Final Draft Articles and Other Materials* (New York: Oxford University Press, 2010);

Wright J., Retribution but No Recompense: A Critique of the Torturer's Immunity from Civil Suit, 30 *Oxford Journal of Legal Studies* 143, 2010;

Zemanek K., The Metamorphosis of *Jus Cogens*: From an Institution of Treaty Law to the Bedrock of the International Legal Order? (იხ. სტატიათა კრებული Cannizzaro E. (Ed.), *The Law of Treaties: Beyond the Vienna Convention* (New York: Oxford University Press, 2011));

Zimmermann A., Sovereign Immunity and Violations of International *Jus Cogens* Norms – Some Critical Remarks, 16 *Michigan Journal of International Law* 433, 1995.

### სასამართლო გადაწყვეტილებები

ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები

*I Congreso del Partido*, United Kingdom, House of Lords, 1981 (64 ILR 307);

*Al-Adsani v. Government of Kuwait and Others*, Court of Appeal, England, 1996 (107 ILR 536);

*Amerada Hess Shipping Corporation v. Argentine Republic United Carriers Inc v. Argentine Republic*, United States, Court of Appeals, Second Circuit, 1986 (79 ILR 1);

*Arab Republic of Syria v. Arab Republic of Egypt*, Brazil, Supreme Court, 1982 (91 ILR 288);

*Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, Ontario Superior Court of Justice, Canada, 2002 (124 ILR 427);

*Bouzari and Others v. Islamic Republic of Iran*, Ontario Court of Appeal, Canada, 2004 (128 ILR 586);

*Campione v. Peti-Nitrogenmuvek NV and Hungarian Republic*, Italy, Court of Cassation, 1972 (65 ILR 287);

*Carrato v. United States of America*, Canada, Ontario High Court, 1982 (90 ILR 229);

*Claim Against the Empire of Iran Case*, Federal Republic of Germany, Federal Constitutional Court, 1963 (45 ILR 57);

*Colonel H. H. Raja Sir Harinder Singh Barar Bans Bahadur v. Commissioner of Income Tax, Punjab, India, Supreme Court, 1971 (64 ILR 523);*

*Dralle v. Republic of Czechoslovakia, Austria, Supreme Court, 1950 (17 ILR 155);*

*Fang and Others v. Jiang Zemin and Others, New Zealand, High Court, 2006 (141 ILR 702);*

*Ferrini v. Federal Republic of Germany, Italy, Court of Cassation, 2004 (128 ILR 658);*

*Filartiga v. Pena-Irala, United States, Court of Appeals, Second Circuit, 1980 (77 ILR 169);*

*Flatow v. Islamic Republic of Iran and Others, US, District Court, District of Columbia, 1998 (121 ILR 618);*

*Government of Bolivia v. Italian Association for Aeronautical Exports, Italy, Court of Cassation (United Sections), 1948 (15 ILR 133);*

*Harbhajan Singh Dhalla v. Union of India, India, Supreme Court, 1986 (92 ILR 530);*

*Habré, Senegal, Court of Cassation, 2001 (125 ILR 569);*

*Holland v. Lampen-Wolfe, Opinion of Lord Millett, UK, House of Lords, 2001 (119 ILR 367);*

*In re Savini and Others, Italy, Court of Appeal of Rome, 1927 (4 ILR 166);*

*International Association of Machinists and Aerospace Workers v. Organization of Petroleum Exporting Countries et al., United States, Court of Appeals, Ninth Circuit, 1981 (66 ILR 413);*

*Jaffe v. Miller and Others, Canada, Ontario Court of Appeal, 1993 (95 ILR 446);*

*Jones v. Ministry of the Interior of the Kingdom of Saudi Arabia and Another (Secretary of State for Constitutional Affairs and Another Intervening), UK, Court of Appeal, 2004 (129 ILR 631);*

*Jones v. Ministry of the Interior of the Kingdom of Saudi Arabia and Another (Secretary of State for Constitutional Affairs and Another Intervening), UK, House of Lords, 2006 (129 ILR 629);*

*Johnson v. Major-General Howard M. Turner et Al., Philippines, Supreme Court, 1954 (21 ILR 103);*

*Kramer Italo Limited v. Government of the Kingdom of Belgium, Embassy of Belgium, Nigeria, Nigeria, Court of Appeal, 1988 (103 ILR 299);*

*Letelier v. Republic of Chile, United States, District Court, District of Columbia, 1980 (63 ILR 378);*

*LF and HMK v. Federal Republic of Germany, The Netherlands, District Court of Haarlem, 1986 (94 ILR 342);*

*Prefecture of Voiotia v. Federal Republic of Germany (Distomo Massacre Case)*, Court of Cassation of Greece (Areios Pagos), 2000 (129 ILR 513);

*Princz v Federal Republic of Germany*, US District Court, District of Columbia, 1992 (103 ILR 594);

*Regina v. Bow Street Metropolitan Stipendiary Magistrate, ex parte Pinochet Ugarte* (No 3) (119 ILR 135);

*Ryuichi Shimoda et Al. v. The State*, Japan, District Court of Tokyo, 1963 (32 ILR 626);

*Saudi Arabia and Others v. Nelson*, United States, Supreme Court, 1993 (100 ILR 544);

*Senerman Rapaport v. Republic of Cuba*, Chile, Supreme Court, 1975 (65 ILR 29);

*Siderman de Blake v. Republic of Argentina*, US Court of Appeals, Ninth Circuit, 1992 (103 ILR 454);

*Smith v. Socialist People's Libyan Arab Jamahiriya*, United States, Court of Appeals, Second Circuit, 1997 (113 ILR 534);

*Société Anonyme 'Eau, Gaz, Électricité et Applications' v. Office d'Aide Mutuelle*, Belgium, Court of Appeal of Brussels, 1956 (23 ILR 205);

*Sosa v. Alvarez-Machain*, Separate Opinion of Justice Breyer, United States, Supreme Court, 2004 (127 ILR 691);

*Sporrong and Lönnroth v. Sweden*, ECHR, 1982 (68 ILR 86);

*Republic of Austria v. Altmann*, United States, Supreme Court, 2004;

*Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, England, High Court, Queen's Bench Division, 1976 (64 ILR 111);

*Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, England, Court of Appeal, 1977 (64 ILR 111);

*Venne v. Democratic Republic of the Congo*, Canada, Quebec Court of Queen's Bench, Appeal Side, 1968 (64 ILR 1);

*Verlinden BV v Central Bank of Nigeria*, United States, Supreme Court, 1983 (79 ILR 548);

*Xuncax and Others v. Gramajo; Ortiz and Others v. Gramajo*, US, District Court, District of Massachusetts, 1995 (104 ILR 165);

## საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები

*Al-Adsani v. United Kingdom*, ECHR, 2001 (123 ILR 24);

*Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of the Congo v. Belgium)*, ICJ, 2002 (128 ILR 1);

*Ashingdane Case*, ECHR, 1985 (81 ILR 107);

*Case Concerning the Barcelona Traction, Light and Power Company, Limited*, ICJ, 1970;

*Certain Questions of Mutual Assistance in Criminal Matters (Djibouti v. France)*, ICJ, 2008;

*Golder v. the United Kingdom*, ECHR, 1975;

*Judgement of International Military Tribunal*, 1946;

*Jurisdictional Immunities of the State (Germany v. Italy)*, ICJ, 2012;

*Kalogeropoulou and Others v Greece and Germany*, ECHR, 2002 (129 ILR 537);

*Prosecutor v. Blaskic*, ICTY, Trial Chamber II, 1997 (110 ILR 607);

*Prosecutor v. Furundzija*, ICTY, Trial Chamber II, 2000 (121 ILR 213); *Prosecutor v. Furundzija*, ICTY, Trial Chamber II, 2000 (121 ILR 213)

*Prosecutor v. Tadic (Jurisdiction)*, ICTY, Appeals Chamber, 1995 (105 ILR 419);

*Questions Relating to the Obligation to Prosecute or Extradite (Belgium v. Senegal)*, ICJ, 2012;

*Spaans v. Netherlands*, European Commission of Human Rights, 1988 (107 ILR 1);

*The Case of the S.S. Lotus (France v. Turkey)*, PCIJ, 1927.

## საერთაშორისო ხელშეკრულებები

1919 წლის ვერსალის საერთაშორისო საზავო ხელშეკრულება;

1920 წლის სევრის საერთაშორისო ხელშეკრულება;

1945 წლის ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება;

1946 წლის შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის (ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის) წესდება;

- 1949 წლის ქენევის კონვენცია სახმელეთო ჯარებში დაჭრილთა და ავადმყოფთა პირობების გაუმჯობესების შესახებ;
- 1949 წლის ქენევის კონვენცია საზღვაო ჯარებში დაჭრილთა და ხომალდის დაღუპვის შედეგად დაზარალებულთა პირობების გაუმჯობესების შესახებ;
- 1949 წლის ქენევის კონვენცია სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ;
- 1949 წლის ქენევის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ;
- 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი;
- 1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია;
- 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის შესახებ;
- 1972 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ ევროპული კონვენცია;
- 1979 მძევლების აყვანის წინააღმდეგ კონვენცია;
- 1981 წლის ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია;
- 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ
- 1993 წლის ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება;
- 1994 წლის რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება;
- 1996 წლის აშშ-ის ანტიტერორისტული და სიკვდილით დასჯის აქტი;
- 1998 წლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი);
- 2004 წლის სახელმწიფოსა და მისი ქონების იმუნიტეტების შესახებ გაეროს კონვენცია;
- 2006 წლის კონვენცია ყველა პირთა იძულებით გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ;
- 2008 წლის პროტოკოლი აფრიკის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტატუტის დამტკიცების შესახებ.



## სხვადასხვა

1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;

აშშ-ის 1789 წლის კანონი უცხოური დელიქტების შესახებ (The Alien Tort Claims Act, 28 U.S.C. § 1350, 1994);

აშშ-ის 1992 წლის წამების მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონი (Torture Victim Protection Act);

გაეროს უშიშროების საბჭოს 1965 წლის რეზოლუცია 218;

გაეროს უშიშროების საბჭოს 1977 წლის რეზოლუცია 418;

Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law (UN Resolution A/Res/60/147, 2006);

Black H.C., *Black's Law Dictionary*, 2<sup>nd</sup> (New Jersey: The Lawbook Exchange LTD., 1995);

Brief for the US as Amicus Curiae Supporting Affirmance, 2010;

International Law Commission Yearbook 1980, Vol. II, Part I;

International Law Commission Yearbook 1993, Vol. II, Part I;

Preliminary Report of ILC on Immunity of State Officials from Foreign Criminal Jurisdiction, 2008 (Special Rapporteur Kolodkin R.);

Princeton Principles on Universal Jurisdiction, 2001;

Report of the 17<sup>th</sup> Commission of Institute of International Law on Universal Criminal Jurisdiction With Respect to the Crime of Genocide, Crimes Against Humanity and War Crimes, *Annuaire De L'Institut de Droit International*, Vol. 71, Part I, 2005;

Report on Responsibilities of the Authors of War and Enforcement of Penalties to the Preliminary Peace Conference, 14 *American Journal of International Law* 95;

Roberts A., The ATS and TVPA in Comparative Perspective (გამოსვლა დაიწერა მრგვალი მაგიდის შეხვედრისთვის: Public Policy Roundtable: The Alien Tort Statute and U.S. Enforcement of Foreign Judgments, Searle Center of Law, Regulation, and Economic Growth, Northwestern Law School, 2010);

ავსტრალიის 1985 წლის უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტების შესახებ აქტი;

აშშ-ის 1976 წლის უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტების შესახებ აქტი;

გაერთიანებული სამეფოს 1978 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტი;

კანადის 1980 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტი;

სამხრეთ აფრიკის 1981 წლის უცხო სახელმწიფოს სუვერენული იმუნიტეტების შესახებ აქტი;

სინგაპურის 1979 წლის სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ აქტი;

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის

ვებგვერდი: <http://www.state.gov/j/ct/c14151.htm>